კვირის პალიტრა

36 გვ

№ 15 (365) ◆ 15 – 21 აპრილი. 2002 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.

ოკუპაცია პატრულირების საბაბით!

გვ.8

...პატრულირება საეჭვო ადგილების შემოწმებას ნიშნავს, რის შემდეგაც ერთობლივი პატრული გამაგრებული პუნქტის მშენებლობას კი არ იწყებს, არამედ ბრუნდება დისლოკაციის ადგილზე. როდის ყოფილა, რომ პატრულირებისას სანგრებს თხრიდნენ ან ორი კვირის საგზალი და დასაკეცი საწოლები თან მიჰქონდეთ?

...ალიკვეთა ეს აგრესიული ქმედება, მაგრამ დიდი ხნით? გენერალი ევტეევი დაგვემუქრა, — ამგვარ პატრულირებას ყოველ კვირას მოვაწყობთო(!).

ქშააა! „უხადიტე ვონხ!“



...კოდორის ხეობის ზემო ზონაში ქართული სოფლების თავზე გამოჩენილი სამხედრო-სატრანსპორტო შვეულმფრენებისთვის ხეობის დამცველებს გადამღობი ცეცხლი უნდა გაეხსნათ.

...რუსებით ზურგგამაგრებული სეპარატისტები თუკი ფეხს შედგამენ ამ ხეობის ქართულ სოფლებში, შემდეგ მათი განდევნა ძალზე გაჭირდება.

საქართველოს პრესტიჟი ცოტათი, მაგრამ მაინც ამაღლდა!

„რუსები ხვალ-ზეგ უარესს დაგვმართებენ!“

დოკუმენტი ეხება ორივე მხარეს, მაგრამ ერთი ფეხებზე იკიდებს ამ დოკუმენტს, მეორე კი ასრულებს. ასეთი რამ საქართველოს გარდა არსად არ მომხდარა. გვ.3

გვ.7 მაინც რა წერია იმ ყბადაღებულ პროტოკოლში...

ძველი საქმის ახალი დეტალები

ვის დარჩება 10 მილიონი დოლარი

გვ.5

„ყურში უთხრა, აბა, ცხვირში ხომ არ ეტყოდა...“

სამსიტყვიანი დედის გინება რომ არის, თავიდან ბოლომდე მითხრა...

მიხეილ ნანეიშვილი

ჩაჩურჩულებაში, მგონი, ცუდი არაფერია. ყურში იმიტომ ეუბნებიან რაიმეს კაცს, რომ კარგად გააგებინონ.

გვ.11 ***პეტრე ცისკარიშვილი***

კვების პროდუქტების ლაბორატორიული გამოკვლევის სავალალო შედეგები, ანუ ვინ აგებს პასუხს?

გვ.6,13

ჩანართი

სახალხო გაზეთი

17-20 გვერდი

რას წერენ ჩვენზე:

შევარდნაძემ ცნო ის, რომ რუსი მშვიდობისმყოფელები 2 აპრილის ოქმით მოქმედებდნენ, მაგრამ საქართველოს პარლამენტის აღშფოთება მოიმიზეზა და მხოლოდ მათი ნერვების დასამშვიდებლად სთხოვა ევტეევს, სანამ დროა, თავი დაანებოს იმ ავადსახსენებელ პოსტს. გვ.14

არ მინდა ჩემი შვილი ბალეტის მოცეკვავე იყოს

გვ.4



თქვენთვის, ქალბატონებო

შჩვეულო და იქნებ ჯერ უფინალო სიყვარულის ისტორია...

ვგრძნობდი, კარგი არაფერი უნდა მომესმინა და ლამის გული ამომვარდნოდა. მიყვარდა გურამი...

მან გაბზარული ხმით დაიწყო... ყურებზე ხელი ავიფარე, თითებს შორისაც კარგად აღწევდა შემზარავი სიტყვები: ნანა მიყვარს, ერთი დღეც არ შემიძლია უიმისოდ. უნდა გაგვიგო, ნანას გარეშე ვერ გავძლებო.

ნანა დაა ჩემი. გვ.21

ტელეკომპანია „მეცხრე არხი“

აცხადებს კონკურსს

ტელესერიალის სცენარის შესაქმნელად (სერიების რაოდენობა არანაკლებ ოცდაათისა, თითოეულის ხანგრძლივობა 40-50 წუთი).

გამარჯვებულთათვის დაწესებულია:

ორი პირველი პრემია თითოეული — 8000 ლარი

ერთი წამახალისებელი პრემია — 4000 ლარი

დაწვრილებითი ცნობებისათვის დარეკეთ 77-86-87

ვერსია

ჩახვალ თბილისში, მოძებნი მირიანს და ბეგლარს და — დახოცავ...

გვ.10,13

...მასპინძელმა თვალი გაახილა თუ არა, აფთარივით წამოვარდა ლოგინიდან.

...მინდოდა, ის გარეწრები დაგეხოცა, ვისი მითითებითაც ჩემთან მოხვედი. თუმცა ჯერ ყველაფერი არ დამთავრებულა. შენ აწიც შეძლებ ჩემი შეკვეთის შესრულებას...

...მისამართებს მოგცემ. ჩახვალ თბილისში და მოძებნი მირიან აბუთიძეს და ბეგლარ სისაურს, დახოცავ მათ. სამაგიეროდ, მილიონ მანეთს მიიღებ.

მშვიდობიან კვირას გისურვებთ!

შეთანხმება ფარატინა ქაღალდად იქცა

2 აპრილს თბილისში ხელმოწერილი ოთხმხრივი შეთანხმება, რომელიც კოდორის ხეობიდან ქართული ჯარის გაყვანას ითვალისწინებდა და რაც დათქმულ ვადაშიც განხორციელდა, რუსებმა ფარატინა ქაღალდად აქციეს და სოფელ აჟარაში დესანტი გადასხეს. ამ ფაქტმა საომარი დაპირისპირების საშიშროებამდე მიიყვანა ისედაც გამძაფრებული ქართულ-რუსული ურთიერთობები. ხეობაში უმალ ჩავიდა პრეზიდენტი შევარდნაძე და სვანთა შეიარაღებული რაზმებით ალყაში მოქცეულ რუსის დესანტს ულტიმატუმის ფორმით მოსთხოვა ხეობის დატოვება. იმავდროულად, ირაკლი მენაღარიშვილმა შეწყვიტა მოლაპარაკება ბორის პასტუხოვთან რუსეთ-საქართველოს ჩარჩო-ხელშეკრულებაზე და მძაფრი განცხადებებით დაგმო მომხდარი. პარლამენტმაც მიიღო შესაბამისი მიმართვა საერთაშორისო თანამეგობრობისადმი... შედეგად რუსეთის დესანტმა დატოვა ხეობა (ვრც. იხ. გვ. 3, 8).

კოდორის ხეობაში ვითარების დაძაბვამდე რამდენიმე დღით ადრე რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მორიგი ნოტა „სტკიცა“ ოფიციალურ თბილისს და საქართველოს ხელისუფლება კვლავ დაადანაშაულა აფხაზეთში ვითარების გამწვავებაში. იგორ ივანოვის უწყება გაიძახის, რომ გასულ კვირას რუსეთის სამშვიდობო ძალებზე მომხდარი თავდასხმის უკან ქართველი პარტიზანები და ქართული სპეცსამსახურები დგანან. მაგრამ საინტერესო ის არის, რომ სამშვიდობო ძალების მოღვაწეობის დარგში რუსეთის სახმელეთო ჯარების მთავარსარდლის მოადგილემ ვალერი ევნევიჩმა საჯაროდ უარყო იგორ ივანოვის უწყების ნოტაში დაფიქსირებული ბრალდებები და განაცხადა, რომ იგორ ივანოვისთვის სერგეი ივანოვის უწყებას მსგავსი ინფორმაცია არ მიუწოდებიაო(!). სავარაუდოა, რომ მოსკოვი მორიგი დეზინფორმაციით ნიადაგს ამზადებდა აჟარის ოპერაციის განსახორციელებლად.

დუმაშიც ისახელა თავი

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს კვალდაკვალ ანტიქართულ დემარშებს აგრძელებს დუმაც. ამჯერად დუმის დეპუტატებმა იმით „ისახელეს“ თავი, რომ საგანგებო მიმართვაში კატეგორიულად მოსთხოვეს პრემიერ-მინისტრ მიხაილ კასიანოვს, რომ რუსეთმა დაუყოვნებლივ გააუქმოს საქართველოს მიმართ არსებული ყველა სავაჭრო-ეკონომიკური შეღავათი და მეტიც, კასიანოვმა ანგარიში უნდა ჩააბაროს დუმას იმის თაობაზე, თუ რის საფუძველზე და ვის მიერ გადაწყდა რუსეთის ხელისუფლებაში საქართველოსთვის სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში შეღავათების დაწესება. ამ მოთხოვნას დუმა იმ „არგუმენტით“ ამყარებს, რომ საქართველოში ამერიკელ სამხედროთა შესვლისა და საზოგადოდ, აშშ-ის სამხედრო-პოლიტიკური გავლენის შესაკავებლად რუსეთს სხვა საშუალება აღარა აქვს საქართველოს „მოსარჯულებლად“(!). „კაცთმოყვარეობის სულისკვეთებით“ გაჟღენთილ დუმის ამ მოთხოვნებზე კასიანოვს, ჯერჯერობით, არ გაუცია პასუხი...

ბუნტის მორიგი ეპიზოდი

გასულ კვირას „თბილსრესში“ მომხდარი „ამბოხისა“ და საკადრო წმენდის შემდეგ, როცა თანამდებობიდან გაათავისუფლეს „თბილსრესის“ ხელმძღვანელები, თბილელექტროსადგურის თანამშრომლები კვლავ აჯანყდნენ და ამჯერად ბრალდებები წაუყენეს „თბილსრესის“ სამეთვალყურეო საბჭოს ყოფილ თავმჯდომარეს ტარიელ ბიწაძეს, რომელსაც საწარმოდან დიდი რაოდენობით ჯართისა და ფერადი ლითონების გატანა-გაყიდვაში ადანაშაულებენ. იმავდროულად, მუშა-მოსამსახურეები კვლავ კატეგორიულად მოითხოვენ პოსტიდან გადაყენებული „თბილსრესის“ გენერალური დირექტორის ზურაბ ბიბილაშვილის თანამდებობაზე დაბრუნებას.

„გადაბრალების ტენდენციას წერტილი დაესვას...“

მთავრობის სხდომამ მოიწონა ანტიკორუფციული საბჭოს მდივნის მირიან გოგიაშვილის მიერ წარმოდგენილი ანტიკორუფციულ ღონისძიებათა პროგრამა, რომელშიც აქცენტი ექვს ძირითად მიმართულებაზეა გაკეთებული: აღმასრულებელი ხელისუფლების რეორგანიზაცია, სამეწარმეო ლიბერალიზაცია; ფინანსურ-საბიუჯეტო პროცესების მოწესრიგება, განათლების სისტემისა და ძალოვან სტრუქტურათა რეფორმა; იმუნიტეტის მოხსნისა და საგადასახადო კოდექსის საკითხები... სხდომაზე ითქვა, რომ „ქართველ და უცხოელ ექსპერტთა საერთო შეფასებით საქართველოს მთავრობის ცენტრალურ ორგანოთა სისტემა გადაქცეულია მოუქნელ, არაეფექტიან და ძვირად ღირებულ მექანიზმად, ამიტომ უნდა ჩამოყალიბდეს სამინისტროთა ისეთი სქემა, სადაც ყველა სამინისტრო ინდივიდუალურად იქნება პასუხისმგებელი და გადაბრალების ტენდენციასაც წერტილი დაესმება!“ საინტერესოა, რომ მთავრობის წევრები, რომლებიც დღემდე ეწინააღმდეგებოდნენ გოგიაშვილის პროექტს, ამჯერად მშვიდად შეხვდნენ მოსალოდნელ სახელისუფლებო სისტემის გარდაქმნებს და მხარი დაუჭირეს პროექტს, რომლის საფუძველზეც მკვეთრად შემცირდება სამინისტროებისა და დეპარტამენტების რიცხვი, შესაბამისად, შემცირდება ამ უწყებებში მომუშავეთა რაოდენობაც... დაისვა აგრეთვე სახელმწიფო ტელევიზიის საზოგადოებრივ ტელევიზიად გარდაქმნის საკითხიც...

„ეი-ი-ეს თელასსაც“ ემუქრებიან

თბილისის მაღალი ძაბვის ქვესადგურთა თანამშრომლები გაიფიცნენ, ისინი 13 თვის მიუღებელ ხელფასებს ითხოვენ. ენერგეტიკოსები იმუქრებიან, რომ ელექტროენერგიის მიწოდებას შეუწყვეტენ ყველა სამთავრობო ორგანიზაცია-უწყებას, მათ შორის კრწანისის სამთავრობო რეზიდენციას, აგრეთვე... „ეი-ი-ეს თელასსაც“. მეტიც, გაფიცულები გაიძახიან, ორშაბათიდან მთელ თბილისს გამოვრთავთო! ხელფასებს ითხოვენ მაღალი ძაბვის ხუთიე ქვესადგურში, რომლებიც თბილისთან ერთად ელექტროენერგიას აწვდიან მთელ აღმოსავლეთ საქართველოს და მისი ჩაბნელებითაც იმუქრებიან!

გულგაკოვი 14-წლიან ვაღას მოითხოვს

რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ საქართველოს ხელისუფლებასთან შეუთანხმებლად, გენერალ-პოლკოვნიკ ვლადიმირ ბულგაკოვის თავკაცობით, მაღალჩინოსან გენერალთა ჯგუფი მიავლინა მოსალაპარაკებლად აჭარის ლიდერთან. „მისიის“ ოფიციალური მიზანი იყო რუსეთის სამხედრო ბაზების ინსპექცია(!). ასლან აბაშიძისა და რუს გენერალთა საუბრის დეტალები უცნობია, მაგრამ ცნობილია გენერალ ბულგაკოვის პოზიცია, რომელიც ბათუმიდან და ახალქალაქიდან რუსეთის ბაზების გატანის სამწლიან ვადას ეწინააღმდეგება და... 14 წელს მოითხოვს. პრეზიდენტმა შევარდნაძემ გვიან შეიტყო რუს სამხედროთა დელეგაციის ბათუმში ჩასვლის შესახებ, რასაც ირონიული, მაგრამ დაუფარავი აღშფოთებით შეხვდა... პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე გია ბარამიძე კი არ გამორიცხავს, რომ რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციები იგეგმება და რომ ინტენსიურ მზადებაშია საქართველოს საზღვრის პერიმეტრზე განლაგებული რუსეთის 58-ე არმია, რომლის ქვედანაყოფებიც ხშირად გადაადგილდებიან აფხაზეთსა და სამაჩაბლოს ტერიტორიაზე...

„ქუთაისი“ გაძარცვეს და დაარბიეს

ქუთაისში დამოუკიდებელი ტელეკომპანია „ქუთაისი“ გაძარცვეს და დაარბიეს, რასაც ქუთაისელთა საპროტესტო აქციები მოჰყვა. მოსახლეობამ მომხდარში და თავისუფალი სიტყვის დევნაში იმერეთის გუბერნატორი თემურ შაშიაშვილი დაადანაშაულა და მისი თანამდებობიდან გადადგომა მოითხოვა. თავად გუბერნატორმა კი პასუხისმგებლობა პოლიციას დააკისრა და დაემუქრა, რომ დანაშაულის გაუხსნელობის შემთხვევაში თანამდებობიდან გადააყენებს ქუთაისის პოლიციის მაღალჩინოსნებს. გაძარცული ტელეკომპანიის ერთ-ერთი მფლობელია ბონდო შალიკიანი, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში ქუთაისის მერობისთვის აპირებს კენჭისყრას და შესაბამისად, ქუთაისელები არ გამორიცხავენ, რომ მომხდარს პოლიტიკური სარჩულიც უდევს საფუძვლად, მით უმეტეს, რომ ქუთაისელთა თქმითვე, შაშიაშვილი პირად მტრად აღიქვამს შალიკიანსო... რაც შეეხება საპროტესტო აქციის მონაწილეებს, მათ ქუთაისელი ჟურნალისტების მხარდასაჭერად პრეზიდენტს მიმართვა გაუგზავნეს და მოსთხოვეს, რომ შაშიაშვილს მომხდარი დანაშაულის გამოძიების დასრულებამდე შეეუწყდეს რწმუნებულის უფლებამოსილებანი.

პატიმარმა ქაცი გაიქცა

თითქმის ერთკვირიანი ტყვეობის შემდეგ მძევლობიდან გაათავისუფლეს 15 წლის ივანე ბერბიჭაშვილი, რომელიც ბანდიტებმა საკუთარი ეზოდან გაიტაცეს და გამოსასყიდს ითხოვდნენ. პოლიციის მიერ განხორციელებული ოპერაციის შედეგად მძევალი გათავისუფლდა. გაირკვა, რომ გატაცებულის ოჯახის წევრებთან ტელეფონით მოლაპარაკებას... პატიმარი აწარმოებდა და საკუთარი თავის გათავისუფლებას ითხოვდა, ანუ ბერბიჭაშვილის ოჯახს საკუთარი ნაცნობობითა და ფულით უნდა დაეხსნა ციხიდან ეს პატიმარი(!). მას შემდეგ, რაც პოლიციამ გამტაცებლებთან მოლაპარაკებაზე უარი თქვა, მათ მოთხოვნები შეცვალეს და გამოსასყიდად 50 ათასი დოლარი მოითხოვეს, თუმცა შემდეგ 4 ათასამდე ჩამოვიდნენ... ოპერაციის შედეგად დაიკავეს პატიმარ გიგა ბალავაძის მამა ზურაბ ბალავაძე, რომელმაც ბერბიჭაშვილების მიერ მიტანილი გამოსასყიდი თანხა აიღო, შესაბამისად, გამოძიებამ იგი პატიმარი შვილის დანაშაულის თანამზრახველად ჩათვალა და დაიკავა. ივანე ბერბიჭაშვილი გამტაცებლებს გლდანში ერთ-ერთ კორპუსში ჰყავდათ გადამალული. პოლიციამ დაიკავა ერთი გამტაცებელი — მამუკა რუხაძე, დანარჩენ 5 გამტაცებელს, მათ შორის, გიგა ბალავაძის ძმას, ნოე ბალავაძეს ეძებენ...

დავითაშვილი ზღაპარ მაინდილოსნის დასაცავად

პარლამენტი ვერც ამ კვირას გადაურჩა ცემა-ტყეპას. პარლამენტარებმა დაასრულეს მსჯელობა კოდორის ხეობაში რუსეთის დესანტის გადასხმაზე და მიმართვა დაუგზავნეს საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ქვეყნების პარლამენტებს. ამის შემდეგ სპიკერმა ნინო ბურჯანაძემ სხვა საკითხები დააყენა პარლამენტში განსახილველად და დებატები განახლდა. „აღორძინების“ წევრმა სანდრო ბრეგაძემ რატომღაც ბურჯანაძეს მოუწოდა ცოტა ელაპარაკა და კომენტარები არ გაეკეთებინა დეპუტატთა გამოსვლებზე! სპიკერს გამოექომაგა ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი კობა დავითაშვილი, რომელმაც ზრდილობისკენ მოუწოდა ბრეგაძეს, მაგრამ კოლეგა-დეპუტატისგან გვარიანი მუშტი მიიღო, თანაც ზურგიდან. შუაში უმალ ჩადგნენ სხვა კოლეგები... ბრეგაძემ ღანძღვა-გინებით დატოვა დარბაზი, დავითაშვილმა კი მშვიდად გააგრძელა საუბარი... პროცედურაზე, თუმცა იქვე დასძინა, რომ ყოველთვის მზადაა მანდილოსნის ღირსების დასაცავად, მით უმეტეს, თუ ეს მანდილოსანი პარლამენტის თავმჯდომარეაო!

გაერო მკაცრ ზომას მიმართავს

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ ახლახან გამოქვეყნებულ ანგარიშს საქართველოში ადამიანის უფლებების უხეში დარღვევების ფაქტების შესახებ ამ დღეებში დაემატა გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის დასკვნა, რომლითაც გაერო საქართველოს ვითარების გამოსასწორებლად 12 თვის ვადას აძლევს! დოკუმენტში ყველაზე მძაფრად საქართველოს ძალოვანი სტრუქტურებია გაკრიტიკებული: — წამება, სასტიკი და არაჰუმანური მეთოდები ჩვეული მოვლენაა ქართველი სამართალდამცველების საქმიანობაში, ნათქვამია თავისი შინაარსით ამ უპრეცედენტო დოკუმენტში და ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში საქართველოში არსებული ვითარება უკიდურესად უარყოფითადაა შეფასებული. არასამთავრობო ორგანიზაციები და ექსპერტები აცხადებენ, რომ დოკუმენტის ტონი და შინაარსი შორს დგას გაეროს ტრადიციული დიპლომატიური ენისა და ტონისგან, რაც უაღრესად შემაშფოთებელია. საქმე ის არის, რომ თითოეულ ქვეყანაზე ანგარიშის მოსმენა გაეროს უფლებათა დაცვის კომიტეტში 5 წელიწადში ერთხელ ხდება და შემდეგ გაეროო შესაბამის ზომებს ახორციელებს იმ ქვეყნის წინააღმდეგ, სადაც უხეშად ირღვევა ადამიანის უფლებები. ასეთი მკაცრი ზომა გაეროო ერთხელ უკვე გამოიყენა აზერბაიჯანის მიმართ, რომელიც აიძულა გამოესწორებინა ვითარება და 12 თვის შემდეგ ანგარიში ჩაებარებინა გაწეული მუშაობის შესახებ გაეროსთვის! ახლა ამ უსიამოვნო პროცედურის გავლა საქართველოსაც მოუწევს.

ტარიფის გაზრდას არ დაუშვებენ

დიდი ხმაური იყო თბილისის საკრებულოში, სადაც ელექტროენერგიის ტარიფის შესაძლო გაძვირების შესახებ „ეი-ი-ეს თელასის“ გადაწყვეტილებაზე მსჯელობდნენ. საკრებულო რამდენიმე საათის განმავლობაში ამაოდ ელოდა „ეი-ი-ეს თელასისა“ და სემეკის ხელმძღვანელებს, თუმცა იგნასიო ირიბარენმა და ელიზბარ ერისთავმა იქ მისვლით თავი არ შეიწუხეს. შედეგად საკრებულოს და სხდომაზე დამსწრე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა რისხვაც დაიმსახურეს — ირიბარენს და ერისთავს თავხედები უწოდეს და მასობრივი აქციებით დაემუქრნენ. ენერგეტიკის მინისტრმა ასევე გაილაშქრა ტარიფის შესაძლო გაზრდის წინააღმდეგ და განაცხადა, რომ მისთვის მიუღებელია დსთ-ის სივრცეში ელექტროენერგიის ყველაზე მაღალი საფასური საქართველოში იყოს... საკრებულომ პრეზიდენტისადმი გაგზავნილ მიმართვაში მოითხოვა ტარიფის ზრდის შეჩერება, „ეი-ი-ეს“-თან დადებული კაბალური ხელშეკრულების გადასინჯვა და ამ ხელშეკრულებაზე ხელმომწერი ქართველი ჩინოვნიკების პასუხისმგებლობის საკითხის დასმა... დავით მირცხულავა დაიმუქრა, რომ თუ სემეკი „ეი-ი-ეს თელასს“ ტარიფს გაუზრდის, ენერგეტიკის სამინისტრო სემეკის წინააღმდეგ მკაცრ სანქციებს ამოქმედებს...

ჯარისკაცს ხელ-ფეხის ამპუტაცია გაუკეთდა

ვაზიანის სამხედრო ბაზის მიმდებარე ტერიტორიაზე ნაპოვნი ტანკსაწინააღმდეგო ნაღმის აფეთქების შედეგად მძიმედ დაიჭრა მე-11 მოტომსროლელი ბრიგადის რიგითი ჯარისკაცი მამედოვი. ჯარისკაცს ორივე ხელისა და ერთი ფეხის ამპუტაცია გაუკეთეს, მაგრამ ექიმთა თქმით, მისი გადარჩენის მხოლოდ თეორიული შანსიღა არსებობს!

მამედოვმა რუსების მიერ დატოვებული ოთხი ნაღმი იპოვა, რომელთაგან ერთი ხელში აუფეთქდა! საქართველოს თავდაცვის სამინისტროში აცხადებენ, რომ ტერიტორია, სადაც ნაღმები აღმოჩნდა, ქართულ სამხედრო ნაწილს არ ეკუთვნის. იქ აღრე რუსეთის 137-ე სამხედრო ნაწილი იყო განლაგებული, მისი გასვლის შემდეგ კი ტერიტორია უპატრონოდ დარჩა და საქონლის საძოვრად იყენებდნენ.

სკოლისთვის ფული ვერ გამოიძებნა

ახმეტაში საშუალო სკოლის ავარიული შენობა ჩამოინგრა. საბედნიეროდ, ნგრევა ღამით მოხდა. სკოლის 300-მდე მოსწავლე დროებით გადაანაწილეს რაიონის სხვა სკოლებში. საინტერესოა, რომ სკოლის დირექცია ახმეტის რაიონის ხელმძღვანელობას შენობის გასამაგრებლად დახმარებას 4 წლის მანძილზე სთხოვდა, მაგრამ როგორც ჩანს, საჭირო ფული „ვერ გამოიძებნა“...

ვისი შეკვეთით იცვლება ჩვენება?!

გიორგი სანაიას მკვლელობაში ეჭვმიტანილმა გრიგოლ ხურცილავამ ჩვენება შეცვალა. თუ იგი დაპატიმრებისას აცხადებდა, რომ ჟურნალისტი შელაპარაკებისა და კონფლიქტის ნიადაგზე „აღელვების“ გამო მოკლა, ახლა აცხადებს, რომ მას ტყვია შემთხვევით გაუვარდა(!). ამ ე.წ. ახალმა „ჩვენებამ“ აღაშფოთა ჟურნალისტთა კორპუსიც, პოლიტიკური სპექტრიც და საზოგადოებაც, რომელსაც უკვე აღარ ეპარება ეჭვი იმაში, რომ ხურცილავა „მავანთა“ ინტერესებს ემსახურება და მათი შეკვეთისამებრ იძლევა „ჩვენებებს“, რომ გიორგი სანაია წინასწარგანზრახვით და შეკვეთითაა მოკლული და რომ გამოძიებას ნამდვილი მკვლელისა და მკვლელობის შემკვეთის პოვნა არ უნდა! პარლამენტში უკვე ხმამაღლა ალაპარაკდნენ, რომ სამართალდამცველთა ნდობა არ შეიძლება და რომ აუცილებელია შეიქმნას გიორგი სანაიას მკვლელობის საგამოძიებო საპარლამენტო კომისია!

„ისტორიულ ცერემონიას“ პრემიერიც დაესწრო

სვანეთში უპრეცედენტო ამბავი მოხდა. მესტიის რაიონის პოლიციაში გამოცხადდა და ხელისუფლებას შეურიგდა ცნობილი კრიმინალი ევგენი აფრასიძე, რომელმაც სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტის სანაცვლოდ, პოლიციას იარაღის მთელი არსენალი ჩააბარა. აფრასიძე 18 წლის მანძილზე იძებნებოდა მძიმე დანაშაულობების გამო. ასევე მძიმე დანაშაულისთვის დღემდე იძებნება აფრასიძის ორი ვაჟი.... „აბრაგ“ აფრასიძის შემორიგების „ისტორიულ ცერემონიალს“ თვით შინაგან საქმეთა მინისტრი კობა ნარჩემაშვილი დაესწრო, რომელმაც დაადასტურა, რომ აფრასიძე აღარ არის საზოგადოებისთვის საშიში და მის ამ კეთილგონივრულ ნაბიჯს მივესალმებითო... (ჩვენი გაზეთი რუბრიკა „ვერსიაში“ ხშირად მოგითხრობდათ ამ პიროვნების წარსულზე — რედ.).

მუშავდება პროგლეიმის მოგვარების ვარიანტები

უშიშროების მინისტრ ვალერი ხაბურძანიას განცხადებით, გაზაფხულის მიწურულს, ივნისისთვის პანკისის ხეობაში არსებულ სიტუაციაში მნიშვნელოვანი გარდატეხის პროცესი დაიწყება. მისივე თქმით, მუშავდება პრობლემის მოგვარების რამდენიმე ვარიანტი, მათ შორის, ჩეჩენ ბოევიკთა დაბრუნება იმ ტერიტორიაზე, საიდანაც შემოვიდნენ პანკისის ხეობაში ან მათ მიერ იარაღის ჩაბარება ქართველი ძალოვნებისთვის.

ბერძენი „სექვესტრი“ გვხოვებს...

12-13 აპრილს წინანდლის სამთავრობო რეზიდენციაში გაიმართა „გაეროს განვითარების პროგრამის“ მიერ ორგანიზებული სემინარი, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ხელმძღვანელი პირები და მასმედიის წარმომადგენლები. სემინარის ძირითადი მიზანი იყო ფინანსთა სამინისტროში მიმდინარე რეფორმებისა და „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ კანონის პროექტით გათვალისწინებული ძირითადი ცვლილებებისა და სიახლეების გაცნობა საზოგადოებისთვის. როგორც საქართველოს ფინანსთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ვასილ გიგოლაშვილმა „კვირის პალიტრასთან“ საუბარში განაცხადა, ამ კანონპროექტის საშუალებით გაუმჯობესდება საბიუჯეტო პროცესის გამჭირვალობა და რეალურობა. ასევე შეიქმნება ხარჯვისა და პრიორიტეტების გამოვლენისა და მათი ბიუჯეტში ასახვის სისტემა. ამ კანონის შედეგად გაერთიანდება ბიუჯეტის ფორმირების დაქუცმაცებული პროცესი და შეიქმნება ერთიანი ფისკალური დისციპლინა, რომელიც დღეისათვის არსებულ სისტემას აკლია. და ბოლოს, რაც ყველაზე საგულისხმოა, მოსახლეობა ვეღარ მოისმენს ავადსახსენებელ სიტყვას „სეკვესტრს“, ახალ კანონში ასევე გაუქმებულია „დაცული მუხლების“ ცნება, რადგან მათი არსებობის აუცილებლობა კანონპროექტის მიღებისა და ამოქმედების შემთხვევაში აღარ იარსებებს.

გააფხაზებული ქართველების მზაკვრული ჩანაფიქრი

ქართველმა პარტიზანებმა სოფელ ჭკადუაში გააუვნებელყვეს აფხაზეთიდან გადმოსული ტერორისტები და უბედურება ის არის, რომ ეს ბოევიკები სეპარატისტთა სამსახურში მდგარი ქართველები არიან. ისინი სოხუმის რეჟიმის უშიშროების სამსახურის შეფის უშუალო დაფინანსებითა და მითითებით გეგმავდნენ ტერორისა და დივერსიების განხორციელებას ზუგდიდის რაიონშიც და სხვაგანაც. პარტიზანებმა ერთი გაყიდული ქართველი ვიტალი კობახიძე ადგილზე მოკლეს, მეორე — ნუკრი ცინცარია კი ცოცხლად აიყვანეს. მან აღიარა, რომ ქართველებს იტაცებდა მძევლად და აფხაზებს გადასცემდა. ამჯერად კი ცინცარიას და მის ბიძას, მოკლულ ვიტალი კობახიძეს, საქართველოს ტერიტორიაზე მატარებელი უნდა აეფეთქებინათ. მისივე თქმით, კიდევ რამდენიმე ტერორისტთა ჯგუფი ჰყავთ მზად აფხაზებს საქართველოში შემოსაგზავნად...

ხალხი პრეზიდენტის დასჯას მოითხოვს

ფილიპინების ყოფილ პრეზიდენტს ჯოზეფ ესტრადას უმძიმესი სასამართლო პროცესი ელის. მას 4 მილიარდი პესოს მითვისება ედება ბრალად, რომლის დამტკიცების შემთხვევაში მას სიკვდილით დასჯა არ ასცდება. ესტრადას ადვოკატები ირწმუნებიან, რომ ესტრადა მძიმე ავადმყოფია და მას სასწრაფო მკურნალობა ესაჭიროება. მაგრამ ადვოკატთა ამ განცხადებას მასობრივი საპროტესტო აქციები მოჰყვა, სადაც ყოფილი პრეზიდენტის სასწრაფოდ გასამართლებას და დასჯას მოითხოვენ.

ორი ყოფილი მინისტრის თვითმკვლელობა

იუგოსლავიის ყოფილმა შინაგან საქმეთა მინისტრმა, 65 წლის ლაიკო სტოლიკოვიჩმა პარლამენტის შენობის წინ თავში ტყვია დაიხალა. იგი სლობოდან მილოშევიჩთან უაღრესად დაახლოებული პირი იყო და კოსოვოში ალბანელ სეპარატისტთა წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციას ხელმძღვანელობდა. ახლახან სერბეთის პარლამენტმა ვაშინგტონის მძლავრი ზეწოლის შედეგად მიიღო გადაწყვეტილება სტოლიკოვიჩის ჰააგის ტრიბუნალისთვის გადაცემის შესახებ... ყოფილი მინისტრი კრიტიკულ სიტუაციაში მიიყვანეს საავადმყოფოში... მისი გადარჩენის შანსი უკანასკნელ საათამდე მინიმალური იყო. საგულისხმოა, რომ წინა დღით მადრიდში მყოფმა იუგოსლავიის შრომის, ჯანდაცვისა და სოციუზრუნველყოფის ყოფილმა მინისტრმა მიოდრატ კოვაჩმაც თავი მოიკლა...

დღევანდელი კურსით, აფხაზეთს, როგორც საკუთარ ყურებს, ვერასოდეს ვნახავთ საქართველოს შემადგენლობაში

დღევანდელი თაობა პათოლოგიურად პოლიტიზებული ხდება...



ხდება მოვლენა, რომელიც არანაირ ანალიზს არ საჭიროებს, რადგან ნათელია ყველაფერი და მოითხოვს მხოლოდ კონკრეტულ მოქმედებას. გალის ტრაგედიის შემდეგ საქართველო პრაქტიკულად აღარ მდგარა რუსეთთან რეალური ომის საშიშროების წინაშე, როგორც ეს კოდორის ხეობაში დაგვემუქრა. უნდა აღინიშნოს, რომ ყველაფერი სწორად გაკეთდა, მაგრამ მძაფრ დიპლომატიურ დემარშს ხელისუფლება კვლავ მოერიდა — ვგულისხმობ მოსკოვიდან საქართველოს ელჩის დროებით გამოწვევას. შედეგად, არც დასავლეთის მასმედიის ყურადღების ცენტრში მოქცეულა კრემლის ეს მორიგი ავანტიურა, ხოლო მაშინ, როცა აჭარიდან რუსის დესანტის გაძევებას თბილისში ქართული პოლიტიკის გამარჯვება უწოდეს, რუსეთის ტელევიზიამ სასაცილოდ აგვიგდო (დაცინვა კი, როგორც ჩანს, აღარანაირ გავლენას არ ახდენს საქართველოს ხელისუფლებაზე და „ბუნებრივ“ მოვლენად მიაჩნიათ). მეტიც, აჭარის დესანტს მოსკოვში ხოტბა შეასხეს და მათი სალდაფონი მეთაურები ტელეეკრანებზე ატრაბახეს, რომლებმაც, თავის მხრივ, კოდორის ხეობის მართლაც გმირ დამცველ სვანებს პანიკიორები უწოდეს... პოლიტიკა პოლიტიკად, მაგრამ ოფიცრის ღირსებასა და ნამუსთან რომ ტრადიციულად მწყრალად არიან რუსი სალდაფონები, ეს მთელმა მსოფლიომ იცის და ქართველებსაც 200 წლის მანძილზე არაერთხელ უყნოსიათ ამ „ღირსების და ნამუსის სურნელი“. ამასთან, არც საქართველოს პრეზიდენტს მოუხდებოდა საქმის დაჭერა თანამედროვე ტოტლებენებთან, მაგრამ რა ვქნათ, რა ვუშველოთ ჩვენს ქვეყანას ამ კორუმპირებული ჩინოვნიკებისა და ე.წ. პოლიტიკური ელიტის ხელში? ამ და სხვა საკითხებზე ვესაუბრები პოლიტოლოგ **სოსო ცინცაძეს.**

— რუსეთის მორიგი აგრესია კოდორის ხეობაში უბრალო დამთხვევა არ იყო თბილისში პასტუხოვის ვიზიტთან. სამხედრო აგრესიის დიპლომატიური დივიდენდები ჩვეულებრივი პრაქტიკაა. არათუ ფართო საზოგადოებრიობა, არამედ ექსპერტთა ვიწრო წრემაც არ ვიცით, რას ითხოვს რუსეთი ჩარჩო-ხელშეკრულებით და რაზე ეუბნება საქართველო უარს. ეს აგრესია რუსეთის გენერალიტეტს დეტალურად ჰქონდა გაანგარიშებული და პასტუხოვის ვიზიტსაც იმიტომ დაამთხვიეს, რომ რუსეთს ზეწოლა განეხორციელებინა თბილისზე. რუსები ამ აგრესიას ამართლებენ 2 აპრილს თბილისში ხელმოწერილი ოთხმხრივი ხელშეკრულებით და გაიძახიან, — ჩვენ ვმოქმედებთ ამ ხელშეკრულების ჩარჩოებშიო. ამიტომ კოდორის ხეობიდან ქართული ჯარის გამოყვანა შეცდომაა და არც უსაფრთხოების არავითარი გარანტიები არ ყოფილა. ბოდენის დიპლომატიურ კარიერაზე კი არ უნდა ვზრუნავდეთ, არამედ საკუთარ ინტერესებს ბოლომდე უნდა ვიცავდეთ... სამარცხვინოა, რომ თავად პრეზიდენტი ჩადის იქ, რუსებთან სალაპარაკოდ.

ასეთ შემთხვევაში უწინარესად რა უნდა გაკეთდეს: დიპლომატიური ნოტები არაფრის მომცემია და ეს კარგად იცის ირაკლი მენაღარიშვილმაც და რუსებმაც. ამიტომ ოპერატიულად უნდა შეგროვდეს აგრესიის უტყუარი მტკიცებულებები. უნდა მოვითხოვოთ გაეროს უშიშროების საბჭოს რიგგარეშე სხდომა (ეს ახლა გაკეთდა და მისასალმებელია), რაც რუსებმა ჩაიდინეს კოდორში, ამას საერთაშორისო ენაზე ჰქვია „არაპროვოცირებული აგრესია“; დროებით უნდა გამოვიწვიოთ ჩვენი ელჩი მოსკოვიდან და დავიწყოთ აქტიური კონსულტაციები ყველა საერთაშორისო ორგანიზაციასთან; გაეროს უშიშროების საბჭოს რიგგარეშე სხდომა ჯერ კიდევ მაშინ უნდა მოგვეთხოვა, როცა რუსებმა პირველად დაგვბომბეს. ულტიმატუმი შევარდნაძემ კი არ უნდა წაუყენოს, არამედ გაეროს უშიშროების საბჭომ, რადგან ჩვენს ულტიმატუმებს არ ექნება სათანადო საერთაშორისო რეზონანსი და რუსები ხვალ-ზეგ უარესს დაგვმართებენ! და კიდევ: მაშინ, როცა 31 იანვარს გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული რეზოლუციის წაკითხვაც კი არ უნდათ სოხუმში, რადგან იქ ლაპარაკია საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრის პრინციპებზე, ჩვენ ამ რეზოლუციის რეკომენდაციების შესრულება ცალმხრივად არ უნდა დაგვეწყო. დიპლომატიის პრაქტიკაში ეს არის უპრეცედენტო შემთხვევა, რადგან რეზოლუცია ეხება ორივე მხარეს, მაგრამ ერთი ფეხებზე იკიდებს ამ დოკუმენტს, მეორე კი ასრულებს. ასეთი რამ საქართველოს გარდა არსად არ მომხდარა. ასე იყო, როცა ჩვენი ტექნიკა გამოვიტანეთ ფოთში, აფხაზებმა კი სოხუმიდან ორ კილომეტრში გადამალეს და ამას რაც მოჰყვა, ცნობილია. რამდენჯერ უნდა გავიმეოროთ ერთი და იგივე შეცდომა?!

— ხელისუფლება მოელის აფხაზეთის კონფლიქტის სამშვიდობო პროცესის გაგრძელებას და იმედსაც გამოთქვამს, რომ გაერო, საერთაშორისო თანამეგობრობა, რუსეთი(!) ბოლოს და ბოლოს, მოაგვარებს ამ პრობლემას. გასაგებია, რომ ამ ეტაპზე ლოდინის მეტი სხვა გზა არა გვაქვს, მაგრამ, თქვენი აზრით, დარჩა კი შანსი აფხაზეთის მშვიდობიანი გზით დაბრუნებისა...

— დღევანდელი კურსით, აფხაზეთს, როგორც საკუთარ ყურებს, ვერასოდეს ვნახავთ საქართველოს შემადგენლობაში. გაეროს მსოფლიოში არსად არ აღუდგენია ტერიტორიული მთლიანობა. საერთოდ, სეპარატიზმის შემთხვევაში მსოფლიოში ერთადერთხელ აღდგა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა — ნიგერიაში, რომელმაც გამოყოფილი აღმოსავლეთ პროვინცია ბიაფრა კვლავ შეიერთა. ეს მოხდა იმიტომ, რომ აფრიკელებმა იქ არც გაერო შეუშვეს, არც დიტერ ბოდენი, 30 თვე იომეს და თავიანთ არძინბას — ოდე მუგუ ოჯუკვუს, რომელმაც ნავთობით მდიდარი ბიაფრის დამოუკიდებლობა და კარგად ცხოვრება მოინდომა, ანდერძი აუგეს. მართალი გითხრათ, ვეღარ ვმალავ აღშფოთებას, როცა დიტერ ბოდენი გვიმტკიცებს, რომ სერიოზული საქმითაა დაკავებული — ქართული და აფხაზური მხარეების დაახლოებით! ახლა მინდა დავურეკო და ვუთხრა, რომ ზუსტად 52 წელიწადია, გაერო ქაშმირში მხარეების დაახლოების პროცესით არის დაკავებული და მიპასუხეთ, დააახლოეთ თუ არა-მეთქი. არძინბა-ჯერგენიას დააახლოებს ბოდენი ქართველებთან? არ ვიცი, რა ვუწოდო ქმედებას, როცა განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრი ჩადის სოხუმში და ჯერგენიასთან ერთად იხილავს ონკოლოგიურ ავადმყოფთა მკურნალობის საკითხებს ისევე, როგორც დიტერ ბოდენი ამას წინათ სოხუმის საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაციის პრობლემებით იყო დაკავებული. სად, რომელ ქვეყანაში ხდება მსგავსი აბსურდი? რომელ სახელმძღვანელოში, რომელ დოკუმენტში ნახეს, რომ ამ გზით სადმე, როდისმე ქვეყანას დაკარგული ტერიტორია დაებრუნებინოს? არსად, კაცობრიობის ისტორიაში თუნდაც ეფემერული დამოუკიდებლობა ნებით არავის დაუთმია და მხოლოდ ქართველებს აქვთ იმედი, რომ ჯერგენია რაიმეს

არ ვიცი, რა ვუწოდო ქმედებას, როცა განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრი ჩადის სოხუმში და ჯერგენიასთან ერთად იხილავს ონკოლოგიურ ავადმყოფთა მკურნალობის საკითხებს ისევე, როგორც დიტერ ბოდენი ამას წინათ სოხუმის საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაციის პრობლემებით იყო დაკავებული. სად, რომელ ქვეყანაში ხდება მსგავსი აბსურდი?

დათმობს და დათანხმდება ტყვარჩელში თავისი შავი ბიზნესიდან გადასახადები უხადოს ნოღაიდელს!.. თანაც აფხაზები ხედავენ ჩვენს უძლურებას. ხოლო დიპლომატია, რომელიც არ ეფუძნება ძალას, ლირიკაა! როგორ შეიძლება ჩვენი საგარეო პოლიტიკა გრძელვადიან პერსპექტივაში წარმატებული იყოს, დანგრეულ-გაუბედურებულ საშინაო ვითარების ფონზე! ეს ნონსენსია და შედეგად, ჩვენი საგარეო პოლიტიკაც მუდამ იქნება დეკლარაციული. ეს არ არის დიპლომატების ბრალი, რადგან, როცა ქართველ დიპლომატს სოხუმში აგდებულად ელაპარაკებიან, ამას აკეთებენ იმიტომ, რომ იციან — მას ზურგს „უმაგრებს“ კორუმპირებული ხელისუფლება, კომპრომეტირებული პოლიცია და უშიშროება, მშიერი ჯარი. ამიტომ, ჩვენი დიპლომატიც მოკაკულია. რამდენიმე თვის წინ არ იყო, რომ გვპირდებოდნენ მალე პოზიტიურ შედეგებს მივაღწევთ აფხაზეთშიო, სად არის ეს შედეგები? ბუშს ჯერ კიდევ ჰაერივით სჭირდება პუტინი და საქართველოს გულისთვის ამ ეტაპზე არ მოიმდურებს რუსეთს. გრძელვადიან პერსპექტივაში აშშ-ისა და რუსეთის ინტერესები მაგრად დაეჯახება კავკასიაში და ამერიკის გავლენა იმძლავრებს, მაგრამ დღეს ვაშინგტონ-მოსკოვის დაპირისპირება გამორიცხულია. მსოფლიოში ერთადერთი ქვეყანა, რომლისთვისაც აშშ-მა შეიძლება მოიმდუროს სხვა ქვეყანა, ეს არის ისრაელი, მაგრამ ვხედავთ, რომ უკვე ისრაელის გულისთვისაც ვერ იმდურებს არაბებს. ამიტომ, სანამ ბინ ლადენს და მოლა ომარს ელექტრონის სკამზე არ დასვამენ, მანამდე ნუ ველით არსებით ცვლილებებს. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ სერიოზული რუსი და დასავლელი ექსპერტები აცხადებენ, დღეს პუტინი ისეთივე მდგომარეობაშია, როგორშიც თავის დროზე გორბაჩოვიო. ვინ არიან გენერლები ივაშოვი და კვაშნინი, რომლებიც აცხადებენ, — არ ვეთანხმებით სახელმწიფო კურსსო. სად გაგონილა არმიის გაპოლიტიზირება? მაგრამ რუსეთის ისტორიაში არმია ყოველთვის იყო ავტონომიური პოლიტიკური ძალა და ასეა დღესაც. მომავალში კი ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, საით წავა რუსეთი, თუმცა საითაც არ უნდა წავიდეს, ადვილად ვერ შეეგუება კავკასიის დაკარგვას. თუ ნეოლიბერალები მოვიდნენ კრემლში, მაშინ კიდევ შეიძლება შეეგუონ კავკასიის ნეიტრალიტეტს. შეიძლება უძლურების გამო ბოლოს ხელი ჩაიქნიოს რუსეთმა, მაგრამ მაინც არ მოგვასვენებს წვრილ-წვრილი პროვოკაციებით.

— კოდორის ხეობაში განიმუხტა ვითარება, მაგრამ როდემდე შეიძლება გაგრძელდეს რუსების განუკითხავი თარეში? აქვს კი აზრი ასეთ ურთიერთობებს — იქნება ეს დიპლომატიური, თუ კულტურული...

— შექმნილ ვითარებაში ქართულ დიპლომატიას სჭირდება უმძიმესი შრომა და აინშტაინის ინტელექტი იმისთვის, რომ როგორმე მოდუსვივენდი გამოძებნოს რუსეთთან და აშშ-თან ურთიერთობებში. ტრაგიკული შეცდომა დავუშვით, როცა ვთქვით, რომ საქართველოს ყველა პრობლემას გადაჭრის ამერიკა, როგორც იტყვის ვაშინგტონი ისე იქნება, და რის რუსეთი, რა რუსეთიო. ამერიკამ კი თქვა, სამხედროებს ვაგზავნიო, მაგრამ ახლა ცოტა თავს იკავებს და როდის ჩამოვლენ, არავინ იცის. დარწმუნებული ვარ, რომ ჩამოვლენ, მაგრამ მტრისას, თუ არ ჩამოვიდნენ, მაშინ ნახეთ რუსეთის პროვოკაციები! ქართველ ხელისუფალთ ვერ გაუცნობიერებიათ და არ იციან, რომ რუსეთს თვითშეკავების იმპულსი არასოდეს ჰქონია, მით უმეტეს მაშინ, როცა იგი შარზეა. მეორეც, რუსეთი თავისი ისტორიის მანძილზე ერთი წელიც კი არ ყოფილა ისეთი, რომ კეთილმეზობლური, თანასწორუფლებიანი ურთიერთობა ჰქონოდა თუნდაც ერთ მეზობელ ქვეყანასთან. დღესაც, რომელ მეზობელთან აქვს რუსეთს ისეთი ცივილიზებული ურთიერთობა, როგორც ევროპაში აქვთ? არავისთან. სომხეთთან აქვს სტრატეგიული კავშირი იმიტომ, რომ სომხეთსა და რუსეთს შორის საერთო საზღვარი არ არის. აბა, ჰქონდეს საერთო საზღვარი და ვნახავდით, რა დღეშიც ეყოლებოდა... მაგრამ ეს არ გვაძლევს უფლებას, ვთქვათ, რომ რადგან რუსეთი არ იცვლება, მასთან ურთიერთობას აზრი არა აქვს. მეორეც: საქართველოს ისტორიაში თითებზე ჩამოსათვლელია წლები, როდესაც ქვეყნის ბედი თბილისში წყდებოდა. ამიტომ არა გვაქვს საკუთარი ეროვნული ინტერესების გამომუშავების ტრადიცია, არ ვიცით, როგორ კეთდება ეს საქმე. შედეგად, კონცეპტუალურ და ინსტიტუციონალურ დონეზე ჩვენთან არც საშინაო, არც საგარეო პოლიტიკა, არც ეკონომიკური, არც ბუნების დაცვის და განათლების პოლიტიკა არ არის შემუშავებული. დამოუკიდებლობის პირველ წლებში საქართველოს საგარეო-პოლიტიკური კონცეფციები უცხოეთში იწერებოდა. 10 წელიწადი კი დიდი დროა, არც მეტი, არც ნაკლები, ორი საუნივერსიტეტო გამოშვების დრო. 1918-1921 წლების საქართველოს ეროვნული კრების მდივანი პაპაჩემი გახლდათ და დღემდე ინახება ჩემს ოჯახში დოკუმენტები და სიები, თუ როგორ გეგმიურად იგზავნებოდნენ ქართველი ახალგაზრდები გერმანიაში უმაღლესი განათლების მისაღებად. იმ მთავრობას არ დასცალდა მოემკო ამ სწორი პოლიტიკის შედეგი. 1992 წლიდან ხელისუფლებას რომ გეგმიურად და მიზნობრივად გაეგზავნა დასავლეთში სტუდენტები ღია კონკურსისა და შერჩევის გზით და არა ჩაწყობითა და ფულით, თანაც ხელწერილით, რომ — არავითარი იქ დარჩენა — მერწმუნეთ, დღეს ჩვენს სახელისუფლებო სტრუქტურებში საკმარისი პროფესიონალი და მაღალინტელექტუალური ხელმძღვანელი კადრი გვეყოლებოდა... უნდა შეიგნოს ხელისუფლებამ ისიც, რომ მემარჯვენეობა სხვაა, ლიბერალიზმი — სხვა. აქაური მემარჯვენე გაიძახის — ხელისუფლება გაძლევს თავისუფლებას და გინდა მილიონერი გახდი, გინდა შიმშილით მოკვდიო! ეს ამერიკული მოდელია. ევროპაში კი ათი წელიწადია მკვიდრდება ნეოლიბერალიზმი, რომელიც ამბობს — სახელმწიფო ვალდებულია შეინახოს მოქალაქე! ვთქვათ, მე, მეცნიერს, არა მაქვს ბიზნესის ნიჭი, რა, მშიერი უნდა მოკვდე? პრეზიდენტის ერთ-ერთი მრჩეველი საჯაროდ აცხადებდა, — ჩემი ნაცნობი პროფესორი „ტაქსაობს“ და კარგად შეეწყო საბაზრო ეკონომიკასო(!). ე.ი. ამ „მრჩეველს“ მეცნიერის პოტენციალი უწიგნური მძღოლის „პოტენციალამდე“ დაჰყავს და ამით ტრაბახობს! იქამდე მივედით, დღეს ვინც არ უნდა მოვიდეს პრეზიდენტად, დაწყებული იულიუს კეისრიდან, დამთავრებული ნაპოლეონით თუ რუზველტით, მოკლე ხანში ვერავინ ვერაფერს შეცვლის. ერთადერთი, რისი გაკეთებაც შეუძლია პრეზიდენტს, არის საჩვენებელი გაჯოხვის მოწყობა, ანუ დახსნას თანამდებობიდან ხალხი, „დააგოროს თავები“ და ორთქლი გამოუშვას, მაგრამ ამ მინიმუმსაც არ აკეთებს. არადა ისტორიაში უამრავია მაგალითი: როდესაც ხელისუფლებას, მეფეს გაუტყდებოდა სახელი, ყველაზე ოდიოზურ ხელქვეითებს თავებს დააჭრიდა, ხალხიც კმაყოფილი იყო, მაგრამ სინამდვილეში არაფერი იცვლებოდა, პეტრეს ივანე ცვლიდა, რომელიც იმავეს აკეთებდა. შემდეგ ამ ივანესაც აჭრიდნენ თავს და ა.შ. დღეს ჩვენს პრეზიდენტს უნდა, რომ თავი არავის მოაჭრას და მისი ხელისუფლებაც ძლიერი იყოს.

ამერიკაში ნამყოფი არა ვარ, სამაგიეროდ, აფრიკისა და აზიის 48 ქვეყანა მაქვს მოვლილი, ღარიბი ქვეყნები მაინტერესებდა. უღარიბეს გვინეი-ბისაუში და გაბონშიც კი, სადაც რაქიტიანი ბავშვები პირდაპირ ქუჩებში ყრიან, სახელმწიფო მოხელე უზრუნველყოფილია ვილით, მანქანით, მოსამსახურით, კარგი ხელფასით, წელიწადში ერთი თვით ოჯახთან ერთად ევროპაში მოგზაურობით. რა თქმა უნდა, კორუფცია იქაც მძვინვარებს, მაგრამ ნორმალური ცხოვრებისთვის სახელმწიფო უქმნის ყველა პირობას. იქ მოხელე ქრთამს იღებს კერძო ბიზნესისთვის და ვთქვათ, ნიცაში სასახლის შესაძენად, მაგრამ აფრიკელი კორუმპირებული ჩინოვნიკი უფრო ახლოს დგას სახელმწიფოებრივ ინტერესებთან (მას ხელფასი ჰყოფნის), ვიდრე აქაური ჩინოვნიკი. ჩვენთან ხელფასმა სოციალური ფუნქცია დაკარგა და ტრაგედია ის არის, რომ ყველა შეეგუა ამ გაუკუღმართებულ ყოფას.

— უკვე მერამდენედ ვართ უმწეო მდგომარეობაში ჩვენი სახელმწიფოს უკიდურესი სისუსტის გამო და აქ მართლაც ძნელია კაცმა თავი შეიკავოს ხელისუფალთა, ჩინოვნიკთა, თუ ე.წ. პოლიტიკოსთა „ნაღვაწის“ გამო...

— ჩვენ აფხაზეთი მაშინ კი არ დავკარგეთ, როცა სოხუმიდან გამოგვრეკეს, არამედ მაშინ, როდესაც განვაცხადეთ, რომ ტერიტორიული მთლიანობა უნდა აღვადგინოთ მსოფლიოს, გაეროს, ანუ სხვების დახმარებითო. დღემდე ამას გავიძახით. როგორც არ უნდა აფასებდეს საზოგადოება თამაზ ნადარეიშვილს, ის ერთადერთია, რომელიც სწორ გზაზე მიგვანიშნებს, მაგრამ ნადარეიშვილიც ლამის მარგინალად აქციონ, მისი იდეა დისკრედიტებულია. აი, ზოგიერთი ჩვენი პოლიტიკოსის აზრით, ისრაელმა ცეცხლით და მახვილით უნდა გაატაროს თავისი ინტერესები, საქართველომ კი დათმობებით და მოლაპარაკებებით. მთავარია ერთი იდეით გაერთიანება და, საუბედუროდ, ილიას მთავარი პოსტულატი — „ჩვენი თავი ჩვენდავე გვეყუდნესო“, ვერ გავითავისეთ. იქამდე მივედით, გვინდა საქართველოს ბედით დაინტერესებული იყოს მთელი მსოფლიო, გარდა ქართველი ხელისუფალისა! ახლა უკვირთ და ამბობენ: „კაცო, ბუშმა ხომ თქვა, სამხედროებს გამოვგზავნიო, მაგრამ არ მოდიან და ვაი, ჩვენს თავსო“. ეს არის კაპიტულანტური აზროვნება, ანუ თუ უბედურება დაგვატყდა, ამასაც სხვას დავაბრალებთ! იმავე პრეზიდენტთან რომ მიხვიდეთ და ჰკითხოთ, თუ რატომ არ შესრულდა თქვენი ადრინდელი დაპირებებიო, ისიც დაგისახელებთ სულ გარე ფაქტორებს და არც ერთს — საშინაოს. რომ რუსეთში საფინანსო კრიზისი იყო, მერე თურქეთი წალეკა ინფლაციამ, რომ ჯორჯ ბუში-უფროსი კლინტონმა შეცვალა და ა.შ. შეიძლება მიამიტად გამოვჩნდე, მაგრამ ვაღიარებ, რომ 8 წლის წინ ვერც კი წარმოვიდგენდი, თუ საქართველოში ამდენი ფულიანი თანამდებობა არსებობდა. როცა პრივატიზაცია დასრულდა და ყველაფერი დაიტაცეს, ვიფიქრე, სულ ბევრი, 20-30 ფულიანი თანამდებობაღა იქნება-მეთქი, რომელსაც აიტანდა ქვეყანა. 30 კი არა, რატომ 30 ათასი არ არის ამ პატარა ქვეყანაში! ქალაქგარეთ სასახლეს დავინახავ, ვკითხულობ, ვისია-მეთქი და ისეთ თანამდებობას მისახელებენ, წარმოდგენაც რომ არ მქონდა. ოსტაპ ბენდერმა ფულის შოვნის ასი ხერხი იცოდა. საქართველოში კი 100 ათასი იციან და მსხვილი და წვრილი ჩინოვნიკები ოსტაპ ბენდერს ალბათ მანქანის გარეცხვასაც არ ანდობენ. ამასთან, არსებობს და მოქმედებს ფულის კეთება-განაწილების ისეთი მკაცრი და ჩამოყალიბებული სახელისუფლებო ვერტიკალი, რომ კაი ბიჭია ვინმე და ქვემოთ დადებული ფულიდან ვერტიკალის კენწეროში მისასვლელ, ვთქვათ, 100 ლარს თუნდაც ერთი თეთრი მოაკლოს, სადმე. კომუნისტების დროს ამაზე პარტიიდან რიცხავდნენ, დღეს სიკვდილია.

არსებობს და მოქმედებს ფულის კეთება-განაწილების ისეთი მკაცრი და ჩამოყალიბებული სახელისუფლებო ვერტიკალი, რომ კაი ბიჭია ვინმე და ქვემოთ დადებული ფულიდან ვერტიკალის კენწეროში მისასვლელ, ვთქვათ, 100 ლარს თუნდაც ერთი თეთრი მოაკლოს, სადმე. კომუნისტების დროს ამაზე პარტიიდან რიცხავდნენ, დღეს სიკვდილია.

(გაგრძელება იხ. გვ. 4)

დღევანდელი კურსით, აფხაზეთს, როგორც საკუთარ ყურებს, ვერასოდეს ვნახავთ საქართველოს შემადგენლობაში

(დასაწყისი იხ. გვ. 3)

— საუბედუროდ, დაქსაქსულ-დაპირისპირებულია ისეთი უმნიშვნელოვანესი ფენომენიც, რასაც სტუდენტობა ჰქვია და რომელთა აქტიურობასაც, სამწუხაროდ, ვერ დავარქმევთ იმას, რაც ჯანსაღი სტუდენტური მოძრაობითაა ცნობილი ყველგან, ყველა სახელმწიფოში. სასაცილოა, მაგრამ „მავანნი“ საფრანგეთში 60-იან წლებში მომხდარ სტუდენტურ მოძრაობასთანაც ავლებენ გარკვეულ ანალოგიას..

— სტუდენტობის და საერთოდ, ახალგაზრდობის მოძრაობა არასოდეს არსად სტერილურად დამოუკიდებელი არ ყოფილა. მის უკან ყოველთვის ვიღაც იდგა, ვიღაც მართავდა. როცა ვუყურებ ტელეეკრანებზე ქართველ სტუდენტთა პაექრობას, მახსენდება ჩემი სტუდენტობის პერიოდი იმ თვალსაზრისით, რომ მაშინაც კომკავშირი მძლავრობდა. კომკავშირი დღესაც ცოცხალია! ერთხელ უნივერსიტეტის ბაღში ცხონებულ ნიაზ დიასამიძეს ვესაუბრებოდით, რომელიც, რა თქმა უნდა, ნასვამი იყო. უნივერსიტეტის კომკავშირის მდივანმა თავისი მოადგილე გამოგზავნა ჩვენთან, რომელმაც პირდაპირ მითხრა — ფანჯრიდან გიყურებდით და გამაგებინეთ, რა საერთო გაქვთ ამ ლოთთანო?! არადა მე არასოდეს ვყოფილვარ კომკავშირელი აქტივისტი. ნიაზ დიასამიძესთან სტუდენტების ურთიერთობას დაუშვებლად მიიჩნევდნენ მარტო იმის გამო კი არა, რომ ნიაზი სვამდა, არამედ უწინარესად იმიტომ, რომ „ბუტილკა“ შარვლით დადიოდა. ასეთ შარვალთან გაკარებაც კი, მათი ჭკუით სტუდენტისათვის დაუშვებელი იყო. აი, ასეთ ურთიერთდამოკიდებულებას ვხედავ დღესაც ჩვენი სტუდენტების ლაპარაკსა და ქმედებებში. გავიხსენებ ერთ ჭკუის სასწავლებელ მოვლენას. 60-იანი წლების ბოლოს საფრანგეთში სორბონის უნივერსიტეტი აჯანყდა იმის გამო, რომ სწავლის გადასახადები მოუმატეს! პარიზში გახლდით და ჩემ თვალწინ დაიწყო ეს უპრეცედენტო სტუდენტური მღელვარება. მაშინ კომპიუტერი დიდ იშვიათობას წარმოადგენდა, მაგრამ სორბონაში მდგარი ერთიორი კომპიუტერიც კი არ დაინდეს სტუდენტებმა, დალეწეს ისევე, როგორც მთელი უნივერსიტეტი. ამ გამოსვლებს სათავეში ედგა „რიჟი ბენი“, დანიელ ბენ კონდიტი, რომელიც კომუნისტებთან დაახლოებული ანარქისტი გახლდათ. კომუნისტები იდგნენ ამ სტუდენტური მღელვარების უკან, მაგრამ თვითონ არ ჩანდნენ, პროფკავშირებს აკეთებინებდნენ ყველაფერს. პრეზიდენტი გახლდათ დე გოლი, რომელიც მაშინ არ გადამდგარა პოსტიდან, 3 წლის შემდეგ გადადგა პოლიტიკური სკანდალის გამო, როცა მისი უახლოესი თანამშრომელი კორუფციაში ამხილეს... სორბონის ამბოხის პერიოდში დე გოლი ორი დღით გაქრა პარიზიდან ისე, რომ კაცისშვილმა ვერ გაიგო, სად წავიდა. იგი საიდუმლოდ ჩავიდა გერმანიაში, სადაც საფრანგეთის საოკუპაციო ჯარის, მისი ერთგული ქვედანაყოფი იდგა. დე გოლს დათმობები არ უყვარდა და გადაწყვიტა, ამ ქვედანაყოფის გამოყენებით ჩაეხშო სტუდენტური გამოსვლები. ეს ინფორმაცია ცნობილი გახდა საფრანგეთში საბჭოთა საელჩოსთვის, რომელმაც უმალ დაიწყო მუშაობა საფრანგეთის კომუნისტურ პარტიასთან დესტაბილიზაციის კიდევ უფრო ასაზვირთებლად, ფრანგმა კომუნისტებმა, როგორც ვთქვი, საქმეში ჩართეს პროფკავშირები, მაგრამ იცით, რა მოხდა შემდეგ? ფრანგმა კომუნისტებმა დაინახეს, რომ სტუდენტური გამოსვლები ანგრევდა სახელმწიფოს, ანუ საფრანგეთის ყოფნა-არყოფნა იღო სასწორზე. „რიჟი ბენი“, ლეგრანი, მარი კონტე ვა ბანკზე მიდიოდნენ და მოუწოდებდნენ ახალგაზრდობას — არც კაპიტალიზმი გვინდა, არც სოციალიზმი, არც კომუნიზმი, არაფერი არ გვინდა!.. ანუ თვითონაც არ იცოდნენ, რა უნდოდათ და ქვეყანა ანარქიისა და ქაოსის საშიშროების წინაშე დადგა! და აი, ფრანგმა კომუნისტებმა თვითონვე გაანეღლეს ეს მოძრაობა და ქვეყანა დაღუპვას გადაარჩინეს! დღეს კი, საქართველოს ხელისუფლებას იმდროინდელი ფრანგი კომუნისტებისაგან განსხვავებით, არა აქვს პრობლემებისადმი სახელმწიფოებრივი მიდგომის უნარი იმიტომ, რომ რაც დღეს ხდება, ეს მხოლოდ „ყვავილია“, დაპირისპირებების ტელებაკქანალიებისა და ტყვიის სროლის შედეგი მერე იქნება, დამანგრეველი და დამღუპველი.

— ფაქტია, რომ ქართველი სტუდენტობა გახლეჩილია, ანუ აშკარაა, გარკვეულ პოლიტიკურ და სახელისუფლებო ჯგუფებს თავიანთ „გონზე“ ჰყავთ მოქცეული სტუდენტთა ჯგუფები, ანუ უკიდურესად პოლიტიზირებულნი არიან ამ ცნების ცუდი გაგებით.

— რა თქმა უნდა, პოლიტიზებულნი არიან, მაგრამ უნდა ვთქვათ შემდეგიც: ჩვენ გვყავს ალბათ ერთ-ერთი ყველაზე არაინტელექტუალური პოლიტიკური ელიტა, ხელისუფლებაც და პარლამენტიც. მაგრამ ის თაობა, რომელიც დღეს აქტიურობს და რომელმაც ხვალ უნდა შეცვალოს პოლიტიკური ელიტა, სამჯერ-ოთხჯერ არაინტელექტუალური იქნება დღევანდელ ე.წ. პოლიტიკურ ელიტაზე. ვერც ერთი უმაღლესი სასწავლებელი ვერ დამაჯერებს — მართალია, თითოეროლა სტუდენტი აქტიურობს პოლიტიკაში, მაგრამ უნივერსიტეტებში სასწავლო პროცესი ნორმალურია, ლექციებს სტუდენტები არ აცდენენ, სწავლობენ, ტარდება სემინარებიო და ა.შ. ზღაპარია ეს. არაფერიც არ კეთდება, მიშვებულია ყველა თავის ნებაზე, რაც ჩემს თავზეც გამოვცადე. ნუგზარ ფოფხაძემ შემომთავაზა, ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე წამეკითხა ლექციები თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებზე. ჩემს დიპლომატიურ აკადემიაში ლექციები გავაცდინე, უნივერსიტეტში წავედი და... ცარიელი აუდიტორია დამხვდა! ავდექი და წამოვედი. განვსაჯოთ: დღევანდელი თაობა პათოლოგიურად პოლიტიზებული ხდება წმინდა პრაგმატული მოსაზრებებით. ისინი ხედავენ, რომ კეთილდღეობისა და იოლი გამდიდრებისთვის საქართველოში არსებობს ერთადერთი გზა, რომელზეც გადის ბიზნესიც. ეს გზა არის — პოლიტიკა! საკმარისია გახდე პარლამენტარი, ან ჩინოსანი, რომ უმალ შეგიძლია გახდე „წარმატებული ბიზნესმენი“ და მილიონერი! ყველა სხვა გზა უპერსპექტივოა გამდიდრების თვალსაზრისით! პოლიტიკისთვის სტუდენტებს მოუვათ დრო, მაგრამ საჭიროა ისინი პოლიტიკაში მოვიდნენ არა დღევანდელი პოლიტიკოსებივით ორ წიგნწაუკითხავი, არამედ ჭეშმარიტად განათლებულნი, პროფესიონალები. სტუდენტობამ დღეს უნდა ისწავლოს თავდაუზოგავად, რათა ხვალ-ზეგ ენდოკრინოლოგი თუ სანტექნიკოსი კი არ ყბედობდეს სისულელეებს პარლამენტში, არამედ თავის საქმეს აკეთებდეს, პოლიტიკაში კი პროფესიონალები იყვნენ. ამისთვის სწავლაა საჭირო.

დღევანდელი თაობა პათოლოგიურად პოლიტიზებული ხდება წმინდა პრაგმატული მოსაზრებებით. ისინი ხედავენ, რომ კეთილდღეობისა და იოლი გამდიდრებისთვის საქართველოში არსებობს ერთადერთი გზა, რომელზეც გადის ბიზნესიც. ეს გზა არის — პოლიტიკა! საკმარისია გახდე პარლამენტარი, ან ჩინოსანი, რომ უმალ შეგიძლია გახდე „წარმატებული ბიზნესმენი“ და მილიონერი! ყველა სხვა გზა უპერსპექტივოა გამდიდრების თვალსაზრისით!

— და აქ მივადექით ზნეობის პრობლემას, რისი კატასტროფული დეფიციტი შეიმჩნევა ქართულ საზოგადოებასა და უწინარესად ამ ე.წ. პოლიტიკურ ელიტაში, რომელსაც უკვე ბრმად ბაძავს ახალგაზრდების ნაწილი..

— 30-იანი წლების დიდი დეპრესიისას ამერიკაში ცათამბჯენებიდან ხტებოდნენ სასოწარკვეთილი ადამიანები და თავს იკლავდნენ, მაგრამ მათი რიცხვი უკიდურესად მცირე იყო. დიდმა დეპრესიამ ისე ჩაიარა, რომ სიკვდილიანობა მოსახლეობაში მცირდებოდა წლიდანწლამდე. დღეს ამ ფენომენის შესწავლაზე ამერიკაში ინსტიტუტები მუშაობენ, რათა გაიგონ, თუ რატომ მოხდა ასე. კვლევების შედეგად გაირკვა, რომ დეპრესიის უსაშინლეს წლებშიც კი ამერიკაში არ შეცვლილა ზნეობრივი, ბიბლიური ფასეულობები მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობაში. რასაკვირველია, განგსტერებიც იყვნენ, კლავდნენ და იპარავდნენ კიდეც, მაგრამ ვინც ამას აკეთებდა, მან იცოდა, რომ ამით ცოდვას სჩადიოდა და საზოგადოებაც მათ, როგორც ცოდვის ჩამდენთა, გმობდა. ანუ ამერიკაში ზნეობრივი ფასეულობები არ შეცვლილა, იქ მკვეთრად იყვნენ გამიჯნულნი მკვლელებისა და ქურდებისაგან და შრომის კულტი მეფობდა. ჩვენში კი საზოგადოება მზად არის, ნებისმიერი გზითა და ხერხით გამდიდრდეს. ადამიანები ისე კლავენ, ისე იპარავენ, თვითონაც დარწმუნებული არიან რომ არავითარ ცოდვას არ სჩადიან და საზოგადოებაც არ ემიჯნება მათ. ხოლო იქ, სადაც ცოდვილი ვერ გრძნობს თავის ცოდვას და არც არავინ აგრძნობინებს, რომ ის ქურდია, მკვლელია, ანუ ცოდვილია და მაინც ხელს ართმევს, მასთან ერთად ქეიფობს, იქ უკვე არც მონანიება არ არსებობს. ამიტომ ურიცხვი ეკლესიები რომ შენდება ირგვლივ, მათი ფუნქციური დატვირთვა მხოლოდ რიტუალური ხდება. რად გვინდა ეკლესიები, თუ ზნეობრივი ფასეულობები არ შეიცვალა? ახლა, როცა ახალგაზრდობა მასობრივად მიაწყდა პოლიტიკას, ვუყურებ მათ გამოსვლებს ტელევიზიით და გაოცებული ვარ. ბევრი უკვე ჩამოყალიბებული დემაგოგია, მიკვირს, 19-22 წლის ბიჭებმა ისეთი რა „სკოლა“ გაიარეს, რომ ცინიკურ დემაგოგებად იქცნენ. შეუძლიათ მამალი ტყუილი თქვან ისე, რომ არც კი გაწითლდნენ. რა ადამიანებს მივიღებთ მათგან 5-10 წლის შემდეგ?! თავიდათავი ამ უბედურებისა არის განათლების არასრულფასოვანი სისტემა და ჩვენც, თუ გადარჩენა გვინდა, ამ პრობლემას გაასკეცებული სისწრაფით უნდა ვუშველოთ. ხვალ გვიან იქნება.

ზურაბ მჭედლიშვილი

საბალეტო ხელოვნების ქართველ თაყვანისმცემლებს ამ გაზაფხულზე ნამდვილი დღესასწაული დაუდგათ. სულ ორიოდე კვირის წინ თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრმა მსოფლიოში სახელგანთქმულ ბალერინას — ნინო ანანიაშვილს უმასპინძლა. 11 აპრილს კი თბილისს მსოფლიოში აღიარებული მეორე ქართველი ბალერინა ირმა ნიორაძე ეწვია. ოთხწლიანი პაუზის შემდეგ სანკტ-პეტერბურგის მარინის თეატრის პრიმა-ბალერინამ სამშობლოში პირველად გამართა კონცერტი. შარშან აგვისტოშიც იყო ირმა საქართველოში, პატარა ვაჟიშვილის ილიკო ჩხაიძის ნათლობაზე დასასწრებად (აქვე შეგახსენებთ, რომ ირმას ვაჟის ერთ-ერთი ნათლია ნინო ანანიაშვილია). ირმა ნიორაძე ამჯერად საქართველოში თავის დისშვილთან, ქეთი პაპავასთან ერთად ჩამოვიდა, რომელიც ასევე სანკტ-პეტერბურგის მარინის თეატრის სოლისტია და წარმატებული გასტროლი აქვს უცხოეთში.

გთავაზობთ ინტერვიუს უფროს ბალერინასთან ირმა ნიორაძესთან.

— ირმა, ნინო ანანიაშვილის შემდეგ თქვენი კონცერტი წინასწარი შეთანხმებით გაიმართა?

— ყველაფერი სრულიად მოულოდნელად მოხდა. იტალიიდან დავბრუნდი ორი დღის წინ. 6 დღე მაქვს თავისუფალი და ეს გამოვიყენე თბილისში ჩამოსასვლელად. დამირეკა ოპერისა და ბალეტის თეატრის დირექტორმა, შევთანხმდით, რომ ამ დროს ჩამოვსულიყავი. სამწუხაროდ, ძალიან მალე, 16 აპრილს დავტოვებ თბილისს, რადგან სანკტ-პეტერბურგში სპექტაკლი მაქვს ახალ პარტნიორთან ერთად.

— თქვენს ახლანდელ პარტნიორზე რას იტყვით?

— ევგენი ივანჩენკო 27 წლისაა. საკმაოდ ცნობილი მოცეკვავეა. ხშირად ერთად ვართ გასტროლებზე. თბილისში წამოსვლა რომ შევთავაზე, თუმცა ძალიან დაკავებული იყო, უყოყმანოდ დამთანხმდა, რადგან აქ არასოდეს ყოფილა.

— როცა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის დასთან ერთად რეპეტიცია გაიარეთ, თუ იგრძენით ძველებური შემართება დასში?

— აეროპორტიდან პირდაპირ თეატრში წავედი. ორკესტრთან რეპეტიციის საშუალება ერთადერთხელ მქონდა, ამიტომ მარტო მუსიკას და დირიჟორს ვუსმენდი. მხოლოდ ზოგიერთი მიზანსცენის მოსინჯვა მომიხდა ბალერინებთან ერთად.

— როგორც აქამდე, ამჯერადაც საქველმოქმედო სპექტაკლებს მართავთ? ტრადიციას ხომ არ ამკვიდრებთ?

— რა თქმა უნდა. მე თბილისში ყოველთვის საქველმოქმედო კონცერტებს გავმართავ. თუ შემდგომშიც მომეცემა საშუალება, სიამოვნებით გავაკეთებ ამას თეატრისათვის.

— ოთხი წელია თბილისში არ გიცეკვიათ. ეს მოუცლელობის ბრალი იყო თუ მიწვევა არ გქონიათ?

— თავისუფალი დრო ნამდვილად არ მქონდა,

მარინის თეატრში არც კი იციან, სად ვარ. გამოვიპარესავით. იმედია მაპატიებენ (იცინის).

— ირმა, უამრავი საინტერესო გასტროლიც გქონდათ. რომელს გაიხსენებდით?

— ყველაზე საპასუხისმგებლო გასტროლი მქონდა ვაშინგტონის ნაციონალურ თეატრში. იქ, სადაც ტარდება ყველაზე პრესტიჟული დასების კონცერტები. მარინის თეატრში კი პრემიერა მქონდა „კონკიაში“, სადაც დედინაცვლის როლი ვითამაშე, ჩემთვის ეს იყო აბსოლუტურად წარმოუდგენელი როლი, რადგან დედინაცვლის სახით უარყოფითი პერსონაჟი უნდა განმესახიერებინა. კონკიას დედინაცვალი ძალიან სასაცილოდ გამოვიყვანე, ჩემი ჟესტები, ემოციები იუმორში გავატარე, რაც ძალიან მოეწონა მაყურებელს, სანკტ-პეტერბურგში ჩემს ახალ როლზე საინტერესო წერილიც დაიწერა, კმაყოფილი ვარ.

— თანამედროვე ცეკვების ჩამოტანას ხომ არ აპირებთ უახლოეს მომავალში?

— ცხადია, ვაპირებ, მაგრამ თუ თანამედროვე ცეკვებს ჩამოვიტან, უკვე საკონცერტო პროგრამით ჩამოვალ და არა ერთი სპექტაკლით. დიდი პროგრამა მაქვს და იმედია, საინტერესო იქნება ქართველი მაყურებლისთვის. მაგრამ ყველაფერი ჩემს გრაფიკზეა დამოკიდებული.

— თქვენი პატარა ვაჟიშვილი, ილიკო უკვე დარბის, რას ფიქრობთ, დედის პროფესიისკენ ლტოლვა ხომ არ ეტყობა?

— ილიკო ძალიან მუსიკალური ბავშვია. რიტმს აჰყვება ხოლმე. ცეკვა უყვარს, მაგრამ ბალეტს არ გავაყოლებ. არ მინდა ჩემი შვილი ბალეტის მოცეკვავე იყოს, იმიტომ კი არა, რომ მოცეკვავე მამაკაცები არ მომწონს, უბრალოდ, მე ვიცნობ ცნობილი მოცეკვავეების ცხოვრებას და ვიცი, რა კოლოსალურ შრომას მოითხოვს მათი შემოქმედება. არ მინდა ჩემი შვილის წვალებას ვუყურო. ძალიან მინდა, რომ განათლებული პიროვნება იყოს და სპორტის რომელიმე სახეობას დაეუფლოს, მაგალითად, ჩოგბურთს — ამ სპორტის დიდი თაყვანისმცემელი ვარ.

— თქვენი მეუღლე და იმპრესარიო გოჩა ჩხაიძე კვლავაც გიწყობთ სიურპრიზებს?

— (იცინის) არ ვიცი, იმპრესარიოა თუ არა, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ცდილობს, შემოქმედებითი საქმიანობისთვის კარგი პირობები შემიქმნას. რაც შეეხება სიურპრიზებს, ეს მისი დამახასიათებელი თვისებაა.

— ბოლო სიურპრიზს ხომ ვერ გაიხსენებთ?

— სიამოვნებით. ეს იყო ერთი კვირის წინ. იტალიაში გაფრენამდე ერთი დღით ადრე, გოჩა მოსკოვში ცხოვრობს, მე — პეტერბურგში. პარასკევს, შაბათს და კვირას სულ ჩვენთანაა. იტალიაში შაბათს უნდა გავფრენილიყავი, ამიტომ მოვილაპარაკეთ, რომ გოჩა დასვენების დღეებში მოსკოვში დარჩენილიყო, მაგრამ პარასკევს დილაადრიანად გოჩა ჩვენთან გაჩნდა. ძალიან ბედნიერი ვიყავი და ეს იყო ჩემთვის სასიამოვნო სიურპრიზი.

ეკა ლომიძე

ქვეყნის ახალი დეტალები

ამ შემდეგ, რაც საოლქო სასამართლოში კულტურის ყოფილი მინისტრის, ვალერი ასათიანისა და „რუსთავი-2“-ის სასამართლო პროცესი განახლდა და ვალერი ასათიანის „პრალმდებულმა“ პატიმარმა ირაკლი კერესელიძემ ციხიდან გაქცევა სცადა, ეს სკანდალური თემა კვლავ ყურადღების ცენტრში მოექცა. საზოგადოება დღემდე გაოგნებულია იმ პრალდებით, თითქოს ვალერი ასათიანმა მაგიურ სატანისტურ რიტუალში მიიღო მონაწილეობა და შვილის გადარჩენის მიზნით ორი ადამიანი სასიკვდილოდ გაიმეტა. ერთი მხრივ, ვალერი ასათიანის ყოფილი თანაშემწე ირაკლი კერესელიძე დღემდე ამ საზარელ მკვლელობაში თავის ხელმძღვანელს სდებს ბრალს, მეორე მხრივ, ყოფილი კულტურის მინისტრი, თავის დროზე მიღებულ შოკზე რომ არაფერი ვთქვათ, დღეს „რუსთავი-2“-ს პატივისა და ღირსების შელახვისათვის 10 მილიონ დოლარს სთხოვს.

„კვირის პალიტრა“ „60 წუთის“ ავტორს, **აკაკი გოგიჩაიშვილს** ესაუბრა:

— დღევანდელი გადასახედიდან ხომ არ ფიქრობთ, რომ ირაკლი კერესელიძემ „60 წუთი“ შეცდომაში შეიყვანა?

— კერესელიძეს არანაირი საშუალება არ ჰქონდა, რომ ჩვენ შეცდომაში შეგვეყვანებინა, რადგან ჩვენ ვმუშაობდით იმ დოკუმენტებზე, რომლებიც სასამართლოში იყო. იქ აღმოვაჩინეთ თეთრი ლაქები და ეს შემდეგ გადაცემაშიც ვახსენეთ. ჩვენ კერესელიძის ნაამბობიდან მხოლოდ ის ნაწილი გამოვიყენეთ, რომელიც პირდაპირი ან ირიბი გზებით შეგვეძლო დაგვედასტურებინა. ამდენად, მას არ შეეძლო, შეცდომაში შეგვეყვანებინა. მეორე საკითხია, რომ მან გამოთქვა გარკვეული მოსაზრებები, რისი გამოძიებაც პროკურატურის პრეროგატივაა. ჩვენ უბრალოდ ვაჩვენეთ, რომ საქმე არ იყო სათანადოდ გამოძიებული და საჭიროებდა კვლავ წარმოებაში დაბრუნებას, რაც მოხდა კიდეც. იქ როგორ განვითარდა მერე მოვლენები, ეს უკვე ჩვენი საქმე აღარ არის. მიუხედავად იმისა, რომ ამას ჩვენი ლანძღვა-გინება მოჰყვა პრესაში, საქმე წარიმართა სასამართლოში, თავიდან რომ დადგეს საკითხი და მსგავსი თემა მოვიდეს, მე მაინც იგივეს გავაკეთებ, რადგან ჩემს პროფესიულ მოვალეობად მიმაჩნია, რომ როდესაც შესაძლებელია ჟურნალისტმა დასვას კითხვები საგამოძიებო ქმედებებთან დაკავშირებით, ჟურნალისტი ვალდებულია ეს გააკეთოს.

— მაინტერესებს, თქვენ, როგორც ჟურნალისტს, გჯერათ, რომ ვალერი ასათიანმა ეს მართლაც ჩაიდინა?

— არა აქვს მნიშვნელობა, მჯერა თუ არა ეს. საქმეც ის იყო, რომ არ მჯეროდა, ამიტომ წავედი გადასამოწმებლად ექსპერტთან. მივუთითე, საქმეში არსებულ მასალებზე: 58 ჭრილობა ერთ სხეულზე, 57 — მეორეზე. ფაქტზე, რომ ტანი გაიტანეს ცალკე, თავები ცალკე — სასაფლაოზე შემოდეს ბორცვზე და ა.შ. ოკულტური მეცნიერების ექსპერტმა, რომელსაც უნივერსიტეტში მივაკვლიეთ, თქვა, რომ აშკარა იყო რაღაც რელიგიური, ალბათ, სატანისტური რიტუალის აღსრულების ნიშნები. აი, ამას გამოძიებამ ყურადღება არ მიაქცია.

ჩვენ ვეყრდნობით მხოლოდ იმ ფაქტებს, რომელთა დადასტურებაც შევძელით ჩვენს ხელთ არსებული მეთოდებით. დავურეკეთ ვალერი ასათიანს და ვუთხარით, რომ ჩვენ გვაქვს კასეტა, რომელზეც დაფიქსირებულია კერესელიძის ბრალდება. იქიდან კი მოდის სრულიად არაადეკვატური რეაქცია. ანუ იქიდან გვეუბნებიან, რომ ასეთი საქმეები ასე არ წყდება. გვთავაზობენ, ველაპარაკოთ პირობებზე ბენდელიანის საშუალებით, რომელიც იყო ასათიანის თანაშემწე. გარდა ამისა, ბენდელიანი კერესელიძის მიერ დასახელებული იყო ამ მკვლელობის მონაწილედ. ჩვენ, რა თქმა უნდა, დასკვნების გაკეთების უფლება არ გვქონდა და ვფიქრობ, რომ გადაცემაში დასკვნები არც გაგვიკეთებია. გადაცემის ბოლოს მე მკაფიოდ ვთქვი, რომ მიუხედავად იმისა, ვის რა შთაბეჭდილება დარჩა, ჩვენ არანაირად არ ვამტკიცებთ და არ ვამბობთ, რომ კერესელიძე ან ასათიანი დამნაშავეები არიან ან — უდანაშაულოები. ჩვენი მიზანი იყო გვეჩვენებინა, რომ საქმე, რომელიც გამოიძიეს და დახურეს, რეალურად არ არის გამოძიებული.

— როგორ ფიქრობთ, რატომ არ თქვა კერესელიძემ ყოველივე ეს პირველ სასამართლოზე, როდესაც მას სიკვდილი მიუსაჯეს...

— მინდა გითხრათ, რომ ინტერვიუ მასთან პირადად მე არ ჩამიწერია და არც შევხვედრივარ, მაგრამ რასაკვირველია, ასეთი კითხვა იყო დასმული. მან თქვა, რომ მან ეს განაცხადა სასამართლოზე და, სხვათა შორის, ამის შესახებ უთხრა არაერთ ადამიანს, მათ შორის, არასამთავრობო ორგანიზაციის, „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებების დაცვისათვის“, თავმჯდომარეს ნანა კაკაბაძეს, რომელმაც გვითხრა, კერესელიძე ადრეც ამბობდა, რომ ეს მისი გაკეთებული არ არის და აქ ჩარეულნი იყვნენ მაღალჩინიანი პირები, რომელთა დასახელებაც არ შემიძლია, რადგან დედაჩემს მოკლავენო. არგუმენტი კი ასეთი იყო, რომ როცა სასამართლო მიმდინარეობდა, ვალერი ასათიანი ჯერ კიდევ ხელისუფლებაში იყო და მას ყველაფრის გაკეთება შეეძლო, ხოლო როდესაც აღარ იყო ხელისუფლებაში, კერესელიძემ ჩათვალა, რომ დადგა სიმართლის თქმის დრო.

— იქნებ საზოგადოებას შევახსენოთ, რა დანაშაულში დებს ბრალს კერესელიძე ვალერი ასათიანს?

— ე.ი. იმ დროს, როცა ვალერი ასათიანი ქვეყნის მინისტრთა კაბინეტის აპარატის ხელმძღვანელი იყო, კერესელიძე მისი თანაშემწე იყო. გარდა ამისა, კერესელიძე იმავდროულად იყო ქართულ-რუსული ახალგაზრდული ასოციაციის წევრი. როგორც კერესელიძემ ახსნა, რუსეთის საელჩომ ეს ასოციაცია იმისთვის ჩამოაყალიბა, რომ შეექმნა ახალგაზრდობის გარკვეული აგენტურული წრე. ანუ ის „დაავერბოვკეს“. ის ასახელებს რუსეთის საელჩოს პირველ მდივანს ვინმე ანატოლის. ჩვენ გადავამოწმეთ, ასეთი ადამიანი მართლაც არსებობდა. კერესელიძეს ევალებოდა კანცელარიის მთელი ფოსტის გახსნა და მოხსენება, ვინ ვის რას სწერდა, რასაც აკეთებდა კიდეც. მერე გარკვეულ პერიოდში მას დაევალა ვალერი ასათიანის დამუშავება. ამ დამუშავების მიზნით დაიგეგმა რთული სცენა: იმ პერიოდში ვალერი ასათიანის ვაჟი ჩამოვიდა გერმანიიდან, სადაც სამკურნალოდ იყო. დიაგნოზის თანახმად, არაფერი ეშველებოდა. ვალერი ასათიანი ამ პერიოდში საშინელ დეპრესიაში ჩავარდა. დაიწყეს მისი დამუშავება სხვადასხვა საშუალებით. კერესელიძე ამბობს, რომ ასათიანს მიუგზავნეს რაბინი, რომელმაც უთხრა, რომ არსებობს ძველებრაული რიტუალი, რომელიც საჭიროებს მსხვერპლშეწირვას და ნებისმიერი ავადმყოფი მორჩება... მოკლედ, მოხდა ასათიანის ფსიქოლოგიური დამუშავება და იგი საბოლოოდ დაარწმუნეს. სხვათა შორის, საინტერესო ფაქტია, რომ ჩვენი გადაცემის შემდეგ ეს რაბინი უგზო-უკვლოდ გაქრა. იგი საქართველოდან წავიდა და ვისაც კი მის შესახებ ვკითხეთ, არავინ იცოდა, სად და რამდენი ხნით წავიდა.

— ანუ მისგან კომენტარი ვერ მიიღეთ?

— მასთან დაკავშირება გადაცემის პერიოდშიც ვცადეთ, მაგრამ ფიზიკურად ვერ მოვახერხეთ. გადაცემის შემდეგაც გვინდოდა, მაგრამ... საერთოდ ცოცხალი თუა, ისიც არ ვიცი... ამის შემდეგ ხდება მსხვერპლშეწირვა. როგორც კერესელიძე ამბობს, მან რუსეთის საელჩოს თანხებით დაიქირავა ბინა გლდანში, სადაც უნდა მიეყვანა ვალერი ასათიანი, მისი თანაშემწე ბენდელიანი და მისი დაცვის ორი წევრი. სწორედ აქ უნდა აღესრულებინათ ეს რიტუალი. ყველაფერი ფიქსირდებოდა ფარული კამერით, გადამცემი იყო მანქანაში. მანქანაში ისხდნენ რუსეთის საელჩოს წარმომადგენლები და იწერდნენ ყველაფერს. როგორც კი თავში ჩარტყმით მოკლეს ადამიანი, ბინაში ავიდნენ რუსეთის საელჩოს წარმომადგენლები და ასათიანის დაცვის წევრი. კერესელიძის თქმით, ასათიანმა აღმოაჩინა, რომ მისი და მისი თანაშემწის, ბენდელიანის გარდა, ყველა რუსეთის აგენტი იყო. მათ უთხრეს, თუ ჩვენთან თანამშრომლობაზე უარს იტყვი, გვაქვს შენზე ეს კომპრომატიო.

— თვითონ ასათიანი რა ისეთი ფიგურა იყო, რომ მის „დასავერბოვკებლად“ ადამიანების დახოცვა გახდა საჭირო?

— ის სახელმწიფოში ჯერ კიდევ მაღალი თანამდებობის პირი იყო.

— თუ არსებობს მტკიცებულება, რომ ეს მართლაც ასე მოხდა და თქვენ თუ ფლობთ ამ მტკიცებულებას?

— დამნაშავის ან მკვლელის გამოვლენა არ არის ჟურნალისტის მოვალეობა და ამ ტვირთს ვერ აიღებს ჟურნალისტი. გამოძიება უჭირთ თვით სამართალდამცველებს, რომლებსაც აქვთ ექსპერტიზა, არიან კრიმინალისტები. ჩვენი ამოცანა შეიძლება იყოს, გამოვავლინოთ მხოლოდ დარღვევები გამოძიების პროცესში ან წარმოვადგინოთ ახალაღმოჩენილი გარემოებები, რომელიც ჩვენამდე მოვიდა. ხდება ხოლმე, რომ ადამიანი დიდი ხნის შემდეგ საუბრობს. ვფიქრობ, ასეთ შემთხვევაში, ჟურნალისტმა თავისი როლი უნდა ითამაშოს, რათა სასამართლოში დაბრუნდეს საქმე.

— თუ აღმოაჩინეთ რაიმე დამამტკიცებელი საბუთი, რომ ვალერი ასათიანი ამ მკვლელობის შემდეგ მართლაც თანამშრომლობდა რუსეთის სპეცსამსახურებთან?

— არა. ასეთი საბუთების მოპოვება ჩემს ძალებს აღემატება. იცით, ეს გადაცემა არ იყო ასათიანზე. ეს გადაცემა იყო თვითონ მკვლელობაზე, რომელშიც არსებობდა ბევრი უპასუხო კითხვა. ერთ ფაქტს გეტყვით. სასამართლო დადგენილებაში წერია, რომ კერესელიძემ ეს ორი ადამიანი აიყვანა მარტომ, ერთს ესროლა, მეორეს ესროლა. მერე ერთს მიაყენა 58 ჭრილობა, მეორეს — 56. წარმოიდგინეთ, ორივე პიროვნება იყო სპორტსმენი. ძნელი დასაჯერებელია, რომ მეორე ელოდებოდა, როდის აჩუხდა კერესელიძე პირველს, რომ მერე მეორე აეჩეხა. გარდა ამისა, დადგენილებაში წერია, რომ ამ დაჩეხილ ხალხს კერესელიძე რომ არ დაეზიანებინათ, მკვლელს მიუბამს რადიატორზე. ეს ხომ აბსურდია. ადამიანს 58 ჭრილობა მიაყენო და კიდევ დააბა, უცნაურია. ეს არ არის ადვილი საქმე და არსებობს ეჭვი, ხომ არ იყვნენ იქ თანამზრახველები?! მით უმეტეს, გამოძიების მასალებში წერია, რომ იქ იყო ორი დაუდგენელი პირი და თვითმხილველებმა დაინახეს, როგორ ჩამოჰქონდათ მათ გვამები. ეს პირები დღემდე დაუდგენელნი არიან, ამ დროს საქმე გახსნილად გამოცხადდა. ამაზე იყო ჩვენი გადაცემა და არა იმაზე, რომ აი, ჩვენ ვიპოვეთ მკვლელი ასათიანის სახით. არა. ასეთი რამ არ ყოფილა გადაცემაში.

— გასულ კვირას კერესელიძემ ციხიდან გაქცევა სცადა, თუმცა ის აცხადებს, რომ პროვოკაცია მოაწყვეს. რას იტყვით ამასთან დაკავშირებით?

— როგორც ვიცი, როდესაც ბადრაგს გამოჰყავს პატიმარი, მას ამოწმებენ მთლიანად შიშველს, რომ არ გამოიტანოს წერილი, ნარკოტიკი, იარაღი არ შეიტანოს და ა.შ. ანუ მას რომ პისტოლეტი ჰქონოდა, სად უნდა შეენახა?.. მოკლედ, აქაც ბევრი კითხვის ნიშანია და ეს თუ მართლაც პროვოკაცია იყო, გამოდის, რომ საკმაოდ დიდი ძალა ცდილობს, რომ ეს საქმე არ გახმაურდეს. მით უმეტეს, ჩვენ თუ დავჯარიმდით, ეს იქნება ყველა ჟურნალისტისთვის კარგი გაკვეთილი, ისინი ალბათ შეშინდებიან და მსგავს საქმეებს ხელს აღარ მოჰკიდებენ.

ბუნებრივია, „კვირის პალიტრა“ დაინტერესდა, ადანაშაულებდა თუ არა ირაკლი კერესელიძე ვალერი ასათიანს ამ საზარელ მკვლელობაში განაჩენის გამოტანამდე. როგორც გავარკვიეთ, როცა უკვე მისჯილი იყო, 1998-99 წლებში, ის მართლაც ესაუბრა არასამთავრობო ორგანიზაციის, „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებების დაცვისათვის“ ხელმძღვანელს ნანა კაკაბაძეს. რაც შეეხება წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო გამოძიების პერიოდს, კერესელიძეს მაშინ არაფერი უთქვამს. გასულ კვირას გამართულ სასამართლო პროცესზე ეს ფაქტი კერესელიძემ მარტივად ახსნა:

„სიკვდილმისჯილს რომ ამგვარი განცხადება გამეკეთებინა, იტყოდნენ, სიკვდილის მოლოდინში გაგიჟდაო და ამას ადვილად დაიჯერებდნენ“. და კიდევ ერთი საინტერესო დეტალი: მოსამართლის კითხვას, ჰქონდა თუ არა რაიმე დამამტკიცებელი საბუთი, რითაც ასათიანის დანაშაული გამოჩნდებოდა, კერესელიძემ ასეთი პასუხი გასცა: „იმ ვიდეოფირის ჩანაწერი, რომელსაც მტკიცებულების ძალა ჰქონდა, 29 მარტს წაიღეს, იმ დღეს, როდესაც გაქცევის პროვოკაცია მომიწყვეს“ (?).

ნანა კაკაბაძე: ეს იყო 1998 თუ 1999 წელი. მას უკვე მისჯილი ჰქონდა მუდმივი პატიმრობა. თავიდან დახვრეტა ჰქონდა, მერე შეუცვალეს. იმყოფებოდა „კრიტში“. როცა ციხეში დავიწყეთ ინგლისურის სწავლების პროგრამა, ენის სწავლა მოინდომა კერესელიძემაც. ისიც გადიოდა ინგლისური ენის სწავლების კურსებს. თავიდან ძალიან ინტელექტუალური ახალგაზრდის შთაბეჭდილება დატოვა, განათლებულის, მონდომებულის. მერე გამომელაპარაკა და მითხრა, რომ მოვა დრო და ყველაფერს ნათელი მოეფინებაო. მე ვკითხე, რას გულისხმობ-მეთქი. „როდესაც ამ მკვლელობის ჩამდენი ხალხი აღარ იქნება ხელისუფლებაში, მაშინ შესაძლებელი გახდება ყველაფრის თქმა, რაც იქ მოხდაო“, — მიპასუხა. ბუნებრივია, ცნობისმოყვარეობამ მძლია და ჩავეძიე, იქნებ გვითხრა, ვინ არიან ეს ადამიანები და ჩვენ გვაქვს იმის ძალა, რომ დაგიცვათ-მეთქი. „არა, თქვენ ვერაფერს შეძლებთ, აქ ისეთი ხალხია ჩარეული“. მაინც ვინმეთქი, — ჩავეკითხე და მიპასუხა, — თუნდაც ასათიანი რომ ყოფილიყო — ასე თქვა სიტყვაზე, დარწმუნებით კი არა. გამეცინა, თუნდაც ასათიანი რას ნიშნავს-მეთქი? აღარ მოინდომა საუბარი. ეს იყო ერთადერთი, რაც მაშინ თქვა. გულახდილად გითხრათ, ჩემზე მართლა კარგი შთაბეჭდილება დატოვა მაშინ და გავიფიქრე კიდეც, იქნებ მართლაც არ ჩაუდენია ეს მკვლელობა-მეთქი. ამიტომ შევთავაზე, როდესაც საჭიროდ ჩათვლიდა ყველაფრის თქმას, დამკავშირებოდა. მართლაც, გარკვეული დროის შემდეგ სრულიად მოულოდნელად დამიკავშირდა და ყველაფერი მიამბო. ამას მოჰყვა გადაცემა, რომელიც მე არ მინახავს — მონათხრობით ვიცი. ამის შემდეგ თვითონ ამ პიროვნებაზე ძალიან ბევრი კითხვის ნიშანი გამიჩნდა.

— როგორც ადამიანის უფლებების დამცველს, რამდენად დამავალებლად გეჩვენებათ დღევანდელი გადასახედიდან კერესელიძის მონათხრობი?

— ის, რომ მკვლელობაში მონაწილეობდა ასათიანი, ნაკლებად მჯეროდა. იმ პერიოდში კერესელიძე ასათიანთან მუშაობდა, მისი თანაშემწე იყო და ბუნებრივია, რაღაც ფინანსური ურთიერთობები ექნებოდათ. თუნდაც კრედიტის აღებას, რაზეც საუბარი იყო, მარტო კერესელიძე, ასათიანის გარეშე, ვერ შეძლებდა, თავისი თანამდებობიდან გამომდინარე. ეს უფრო დამაჯერებელია, მაგრამ რაც შეეხება მკვლელობას, ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ასათიანი არ უნდა იყოს მკვლელობის მონაწილე — არადამაჯერებელი იყო.

— რაც შეეხება გაქცევის მცდელობას, რას ფიქრობთ?

— თვითონ ამბობს, რომ ეს იყო პროვოკაცია და მას არანაირი იარაღი არ ჰქონია. ჩემი აზრით, ირაკლის არ ჰყავს ისეთი ხალხი, გარემოცვა, რომ კოლონიაში მისთვის ვინმეს იარაღი მიეწოდებინა. ერთადერთი გაუბედურებული დედა პატრონობს. ძნელი დასაჯერებელია, რომ ამ ქალს შეეძლო იარაღის შეტანა. ასე რომ, არსებული ფაქტორების მიხედვით, ნაკლებსავარაუდოა, რომ კერესელიძეს იარაღი ჰქონოდა. თუმცა, არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება.

— თავის დროზე დედამისმა განაცხადა, რომ თავის შვილს თვითონ მიეხმარა გვამების დანაწევრებასა და გადატანაში. დღეს რას ამბობს?

— დღეს ამბობს, რომ იგი აუტანელი მორალური და ფიზიკური ზეწოლის ქვეშ მოაქციეს და არც იცოდა, რას აწერდა ხელს. თქვა, რომ ასე რთული სასამართლო პროცესი 8 დღეში დამთავრდა.

— როგორ ფიქრობთ, კერესელიძე უდანაშაულოა?

— მის სახლში მოხდა ყველაფერი. თვითონ არ უარყოფს ამას. დღევანდელ ეტაპზე უარყოფს ყველაფერს, თორემ თავის დროზე ჩემთან საუბარში არ უარყოფდა. უბრალოდ ამბობდა, რომ არ იყო მარტო.

— დადასტურდა თუ არა, რომ კერესელიძეს მართლაც ჰქონდა მოკლულების ვალი?

— კი. გარდაცვლილის ცოლი დარწმუნებულია, რომ მკვლელობა ჩადენილია ირაკლისა და დედამისის მიერ. ისე, არ არის გამორიცხული, რომ მათ ვიღაც ეხმარებოდა, რადგან გარდაცვლილები ფიზიკურად უფრო ძლიერები იყვნენ.

თავის მხრივ, ვალერი ასათიანის ადვოკატი **შალვა შავგულიძე** დარწმუნებულია, რომ ვალერი ასათიანი უდანაშაულოა და დიდი იმედი აქვს, რომ ამ პროცესს მოიგებს.

— ბატონო შალვა, რა არგუმენტს ეყრდნობით, რა მტკიცებულება გაქვთ, რომ ვალერი ასათიანი, პირდაპირ რომ ვთქვათ, ამ მკვლელობის მონაწილე არ ყოფილა?

— ახლავე მოგახსენებთ. აღნიშნულ მკვლელობაზე — თუ არ ვცდები, 1995 წელს მომხდარი ფაქტია, — აღძრული იქნა სისხლის სამართლის საქმე, პასუხისგებაში მიცემული იქნა ირაკლი კერესელიძე, ჩატარდა გამოძიება, მას დაუდასტურდა საბრალდებო დასკვნით ამ დანაშაულის ჩადენა. განაჩენის მიხედვით, მკვლელობის მოტივი იყო ის, რომ მას ქრთამის სახით ბახტაძისაგან (მოკლული) აღებული ჰქონდა 5 ათასი დოლარი და დამატებით, 500 დოლარი, რათა მოეგვარებინა კრედიტის გამოყოფის საკითხი. მაგრამ რამდენადაც მან ეს საკითხი ვერ მოაგვარა, ბახტაძე უკან ითხოვდა თავის თანხას და ამ მოტივით, კერესელიძემ მოკლა ბახტაძე. მოხდა ისე, რომ იმ საბედისწერო დღეს ბახტაძეს შემთხვევით თან ახლდა თავისი მეგობარი ოთიაშვილი, რომელიც მოჰყვა ამ ამბავში. ანუ კერესელიძემ მოკლა ორი პირი. ხოლო რაც შეეხება კერესელიძის დედას, ის უკვე შემდეგ ჩაერთო საქმეში და მას შეეფარდა დანაშაულის დაფარვის მუხლი, ანუ საქმის მასალების მიხედვით, დედამ დაფარა გვამების დანაწევრებისა და გატანის ფაქტი. ამ საქმეში ასათიანის მონაწილეობაზე საუბარი რომ აბსურდია, ამას თუნდაც ის ასაბუთებს, რომ კერესელიძეს და დედამისს გამოუტანეს გამამტყუნებელი განაჩენი, რომელიც კანონიერ ძალაშია შესული. მისი გადასინჯვა უკვე მოხდა და დარჩა ძალაში. როდესაც „60 წუთში“ კერესელიძემ წამოსწია ახალი ვერსია, რომ თითქოს დანაშაული ჩაიდინა ვალერი ასათიანმა, კვლავ მოხდა ამ საქმის გამოძიება-გადასინჯვა და ისევ დადასტურდა, რომ განაჩენი კანონიერია და მისი შეცვლის არავითარი საფუძველი არ არსებობს. დღესდღეობით კი, უკვე ორჯერ გადასინჯულ საქმეზე არსებობს დასკვნა, რომ განაჩენი არის კანონიერი და გადასინჯვას არ ექვემდებარება.

რაც შეეხება თანხის ოდენობას, ამას სასამართლო განსაზღვრავს. ჩვენ სასარჩელო განცხადებაში მითითებული გვაქვს, რომ ის მორალური ზიანი არ შეიძლება შეფასდეს თანხობრივად (10 მილიონი დოლარი) და სრული კომპენსაცია არ იქნება, მაგრამ გარკვეულწილად, მაინც მოხდება მორალური ზიანის კომპენსაცია. პრინციპში დღევანდელი სასამართლოს დავის საგანი ვალერი ასათიანის ბრალეულობის საკითხის გარკვევა კი არ არის, არამედ ის, შეილახა თუ არა ვალერი ასათიანის პატივი და ღირსება, როგორც კერესელიძის, ასევე გოგიჩაიშვილის მიერ გაკეთებული გამონათქვამებით გადაცემაში „60 წუთი“.

მარინა მამისაშვილი

ჩვენ სასარჩელო განცხადებაში მითითებული გვაქვს, რომ ის მორალური ზიანი არ შეიძლება შეფასდეს თანხობრივად და სრული კომპენსაცია არ იქნება, მაგრამ გარკვეულწილად, მაინც მოხდება მორალური ზიანის კომპენსაცია.



კვების პროდუქტების ლაბორატორიული გამოკვლევის სავალალო შედეგები, ანუ ვინ აგებს პასუხს?

სანიტარული ინსპექციის უფროსი აფრთხილებს თბილისის მოსახლეობას...

საქართველოს სამომხმარებლო ბაზარი რომ ფალსიფიცირებული, ადამიანის ჯანმრთელობისთვის საშიში ქიმიური დანამატებით არის სავსე, ღღეს საიდუმლოს აღარავისთვის წარმოადგენს. მაგრამ თბილისის სანიტარული ზედამხედველობის ინსპექციის მიერ ჩვენი თხოვნით ჩატარებულმა ზოგიერთი საეჭვო წარმოშობის პროდუქტის ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგებმა არა მარტო ჩვენ, ჟურნალისტები, გაგვაკვირვა, არამედ აღშფოთება მრავალისმნახველმა ინსპექციის ლაბორატორიის თანამშრომლებმაც ვერ დაფარეს.

ფალსიფიკატორებთან ბრძოლა

„ამ ბოლო დროს, სერტიფიცირებული პროდუქციის ადგილობრივმა მწარმოებელმა კომპანიებმა თავიანთი ნაწარმის ფალსიფიკატორებთან ბრძოლის ახალ ხერხს მიაგნეს — მათ შტატში აჰყავთ დაცვის ჯანიანი თანამშრომლები, რომელთაც პირდაპირი მოვალეობის შესრულების პარალელურად, ევალებათ იმ იატაკქვეშა საამქროების აღმოჩენა-დარბევა, რომლებიც მათი კომპანიის მიერ გამოშვებული პროდუქციის ფალსიფიცირებას ეწევიან. რა თქმა უნდა, ამ საქციელს ვერავინ მოუწონებს. არავის აქვს უფლება, რომ ადამიანს, თუნდაც ფალსიფიკატორს, დუბინკით თავი გაუხეთქოს და ქონება (მხედველობაში მაქვს იატაკქვეშა საამქროს დაზგა-დანადგარები) გაუნადგუროს, მაგრამ ქართველი მრეწველების თქმით, ხელისუფლებამ მათ ფალსიფიკატორებთან ბრძოლის სხვა გზა არ დაუტოვა. ხოლო იმ სახელმწიფო სტრუქტურების თანამშრომლები, რომელთაც ევალებათ ფალსიფიცირებული პროდუქტების გამოვლენა და ყალბისმქმნელებთან ბრძოლა, ყველასთვის გასაგები მიზეზების გამო, თავიანთ მოვალეობას არ ასრულებენ და, პირიქით, ხელსაც კი უწყობენ მათ“, — განაცხადა გადამხდელთა კავშირის თავმჯდომარემ **ვიკო ლეკიშვილმა**. ის ფაქტი, რომ თავისი მრავალწლიანი არსებობის მანძილზე „საქსტანდარტის“ დეპარტამენტის ე.წ. სერტიფიკაციის ორგანოებს ფალსიფიცირებული პროდუქციის გამოვლენის ერთი ფაქტიც არა აქვთ დაფიქსირებული, მრავლისმეტყველია. არადა, საიდუმლოს არავისთვის წარმოადგენს, რომ საქართველოს სამომხმარებლო ბაზარი სავსეა საეჭვო წარმოშობის უხარისხო პროდუქციით.

როგორც გადამხდელთა კავშირში გაგვანდეს, ფალსიფიკატორებთან უკომპრომისო ბრძოლით გამოირჩევიან გამაგრილებელი, უალკოჰოლო და ალკოჰოლიანი სასმელების მწარმოებელი კომპანიების მესვეურნი.

როგორ ლიმონათს მივირთმევთ, ანუ უხარისხო ლიმონათს ოფიციალური საწარმოებიც ასხამენ

ჟურნალისტური ძიებით დავადგინეთ, რომ გამაგრილებელი უალკოჰოლო სასმელების ფალსიფიკატორი იატაკქვეშა საამქროების უმეტესობა ისეთ მიყრუებულ ადგილებშია განთავსებული, ვინმე ძნელად თუ წარმოიდგენს იქ საამქროს არსებობას. მათი ადგილმდებარეობა სულ რამდენიმე სანდო ადამიანმა იცის. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს საამქროები კონსპირაციის წესების სრული დაცვით მუშაობენ. ზოგიერთი მათგანი ლიმონათს მხოლოდ ღამის საათებში ასხამს. იატაკქვეშა საამქროების ნაწილი, თურმე სამხედრო ნაწილის ტერიტორიაზე ყოფილა განთავსებული, რათა უცნობმა პირებმა იქ იოლად ვერ შეაღწიონ.

აღსანიშნავია, რომ ასეთი საწარმოები შაქრის ფხვნილის ნაცვლად, დანახარჯების შემცირებისა და მოგების გაზრდის მიზნით, შაქრის შემცვლელ ქიმიურ ფხვნილს ხმარობენ. შაქრის შემცვლელი, ქიმიურად მიღებული ფხვნილით დამზადებული ლიმონათი ადამიანის ჯანმრთელობისათვის რომ მავნებელია, ეს ზოგიერთ საწარმოს ხელმძღვანელს არ ანაღვლებს. უროლოგ **პაატა ქუთათელაძის** განცხადებით: „შაქრის შემცვლელ ფხვნილს ადამიანის ორგანიზმი ვერ ინელებს. ამ ფხვნილის გარკვეული ნაწილი თირკმლებსა და შარდსასქესო ორგანოების სადინარებში ილექება, დროთა განმავლობაში ეს უმცირესი ნაწილაკები კენჭებად გადაიქცევა და ადამიანს ჯოჯოხეთური ტკივილები ეწყება“.

„შაქრის შემცვლელი ფხვნილი ლიმონათს მხოლოდ ატკბობს. გარდა სიტკბოსი, ლიმონათს და სხვა უალკოჰოლო სასმელებს სჭირდებათ ამა თუ იმ ხილის არომატი და შესაბამისი ფერი. ფალსიფიკატორისათვის ესეც არ არის პრობლემა. თბილისის ბაზრობებზე უამრავი სახის ხელოვნური არომატიზატორი და კვების პროდუქტების ქიმიური საღებავი იყიდება. ისინი, ლიმონათის ნატურალური კომპონენტებისაგან განსხვავებით, ძალიან იაფი ღირს და ფალსიფიკატორიც უხვად აჯერებს ამ ე.წ. ინგრედიენტებით თავის ნაწარმს და ეს სითხე სარეალიზაციოდ გააქვს. რა თქმა უნდა, ზოგიერთ კვების პროდუქტში შეიძლება ყველა ამ ინგრედიენტის გამოყენება, ოღონდ მკაცრად განსაზღვრული დოზებით. თუმცა რა დოზებზეა ლაპარაკი, როცა არათუ ფალსიფიკატორს, არამედ უამრავ ოფიციალურ საწარმოსაც ლაბორატორია კი არა, უბრალო სასწორიც არა აქვს. ამ ლაბორატორიას მივმართეთ. როგორც კი ლაბორატორიის გამგეებმა გაიგეს, რისთვის გვჭირდებოდა ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგები, კატეგორიული უარით გამოგვისტუმრეს — თქვენ გამო ლიმონათის საამქროების მეპატრონეებს ვერ გადავიმტერებთო.





„ყურადსაღებია, რომ ლიმონათის ძირითადი მომხმარებლები ბავშვები არიან, ამასთან, ფალსიფიცირებულ ლიმონათებს მათი დაბალი ფასის გამო, უმეტესად სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ფენა ეტანება. შაქრის შემცვლელი ფხვნილით დამზადებულმა ასეთმა ლიმონათმა შეიძლება დააზიანოს ბავშვის შინაგანი ორგანოები, ხოლო შაქრის შემცვლელი ფხვნილის ჭარბმა კონცენტრაციამ და მისმა სისტემატურმა მიღებამ შეიძლება მოგვცეს კანცეროგენური ეფექტი, ანუ ორგანიზმში გამოიწვიოს სიმსივნური წარმონაქმნი“.

თბილისის სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ინსპექციის უფროსი ჯულიეტა ახვლედიანი არ შეუშინდა ლიმონათის ოფიციალური მწარმოებლების რისხვას და ჩვენ მიერ ქალაქის მაღაზიებში შეძენილი ლიმონათის ნიმუშების ლაბორატორიულ გამოკვლევაზე დაგვთანხმდა (უნდა აღინიშნოს, რომ ლაბორატორიაში ბოთლების მთლიანობა, ანუ ჰერმეტულობა გულდასმით შეამოწმეს, რათა შესაძლებელი შემთხვევითობა გამოერიცხათ — ზ.ჩ.). ინსპექციის კვების ჰიგიენის ლაბორატორიის გამგემ **ნუნუ ნათელაშვილმა** ნიმუშების მიკრობიოლოგიური გამოკვლევის შედეგები გაგვაცნო: „მიკრობიოლოგიურმა გამოკვლევამ ცხადყო, რომ შპს „ლეგის“ ლიმონათი „პრემიერი“, შპს „ლაღის“ ლიმონათი „მსხალი“, ინდმეწარმე „ზურიშვილის“ და ინდსაწარმო „ტატიშვილის“ „ტარხუნა“ დამზადებულია შაქრის შემცვლელი ფხვნილის გამოყენებით. ყოველ შემთხვევაში, ლაბორატორიულმა გამოკვლევამ ზემოთ დასახელებულ ლიმონათებში შაქრის შემცვლელზე დადებითი რეაქცია აჩვენა. არადა, ამ ფირმების მესვეურებს ეტიკეტებზე მსგავსი არაფერი აქვთ მითითებული, რაც საკმაოდ სერიოზული დარღვევაა“.

ჩვენ ზემოთ მოგახსენეთ, თუ რაოდენ საშიშია შაქრის შემცვლელი პროდუქტის სისტემატური მოხმარება. უროლოგ პაატა ქუთათელაძის აზრს ავითარებს სანიტარიისა და ჰიგიენის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის კვების განყოფილების წამყვანი მეცნიერი თანამშრომელი **გულიკო დვალი**. მისი განცხადებით: „ყურადსაღებია, რომ ლიმონათის ძირითადი მომხმარებლები ბავშვები არიან, ამასთან, ფალსიფიცირებულ ლიმონათებს მათი დაბალი ფასის გამო, უმეტესად სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ფენა ეტანება. შაქრის შემცვლელი ფხვნილით დამზადებულმა ასეთმა ლიმონათმა შეიძლება დააზიანოს ბავშვის შინაგანი ორგანოები, ხოლო შაქრის შემცვლელი ფხვნილის ჭარბმა კონცენტრაციამ და მისმა სისტემატურმა მიღებამ შეიძლება მოგვცეს კანცეროგენური ეფექტი, ანუ ორგანიზმში გამოიწვიოს სიმსივნური წარმონაქმნი“.

დოცენტი, უროლოგი **ჰამლეტ ყუფარაძე**: „შაქრის შემცვლელი რომ თირმკლის დაავადებას იწვევს, ეს უნდა ითქვას და ამაზე უნდა დაიწეროს. პირადად მე, უდიდეს დანაშაულად მიმაჩნია საქართველოში ერთი მეტად ცნობილი კომპანიის არსებობა, რომელიც ათასგვარი ქიმიური კომპონენტით გაზავებული გამაგრილებელი სასმლით გვწამლავს და მოსალოდნელ შედეგს კი არ ითვალისწინებს. მე, როგორც ექიმს, სრულიად დაუშვებლად მიმაჩნია, რომ ქიმიური კომპონენტებით გაჯერებული სასმელები ბავშვებს დაალევინონ“.

უალკოჰოლო სასმელების შემოწმების მასალებიდან

საქართველოს უშიშროების სამინისტროს პრესმდივანმა **ლევან ტატიშვილმა** გამაგრილებელი უალკოჰოლო სასმელების ფალსიფიკატორების გამოვლენის ორი ახალი ფაქტი გაგვაცნო ოფიციალური წერილით (სტილი დაცულია): „უშიშროების თანამშრომლების მიერ ა/წ 1 მარტს მიღებული შეტყობინების საფუძველზე, გადაუდებელი აუცილებლობის გამო შპს „ლეგას“ და ინდივიდუალური საწარმოს „ხორგუაშვილის“ უალკოჰოლო გამაგრილებელი სასმელების ჩამოსასხმელი საამქროებიდან, სადაც მზადდებოდა სხვადასხვა დასახელების ლიმონათი, ამოღებული იქნა გასაყიდად გამზადებული პროდუქცია. ნიმუშები გამოკვლევისათვის გადაეგზავნა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის კვების მრეწველობის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტს და უშიშროების სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკურ სამმართველოს. ინსტიტუტის სპეციალისტთა ცნობით, აგრეთვე უშიშროების სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური სამმართველოს სპეციალისტთა დასკვნით, შპს „ლეგას“ და ინდივიდუალურ საწარმო „ხორგუაშვილის“ მიერ წარმოებულ ლიმონათში იაფფასიანი შაქრის დამატკბობლის, ანუ შაქრის შემცვლელის გამოყენებით შეცვლილია მისი თვისობრიობა. ამასთან, ლიმონათის ეტიკეტებზე სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად არ არის სახარინის შემცველობის აღმნიშვნელი სავალდებულო წარწერა. ამდენად მათ მიერ წარმოებული პროდუქცია ფალსიფიცირებულია და შეიცავს ადამიანის ჯანმრთელობისათვის საშიშ ნივთიერებებს“.

როგორც „საქსტანდარტის“ დეპარტამენტის სახელმწიფო კონტროლისა და ზედამხედველობის მთავარი სამმართველოს უფროსმა **ავთანდილ ნაღირაძემ** ბრძანა: „რამდენიმე თვის წინ უშიშროების სამინისტრომ კახეთში, ახმეტის რაიონში აღმოაჩინა „კოკა-კოლას“ იატაკქვეშა საწარმო. უშიშროების სამინისტროს დავალებით, ჩვენ ავიღეთ ნიმუშები და ლაბორატორიულად შევამოწმეთ. ლაბორატორიის დასკვნა კი ასეთი იყო: „ადგილი აქვს „კოკა-კოლას“ აშკარა ფალსიფიცირებას“. როგორც ვიცით, ფალსიფიცირებული „კოკა-კოლას“ საწარმო უშიშროების სამინისტრომ თბილისშიც აღმოაჩინა და დღე-დღეზე ველოდებით უშიშროებიდან წარდგინებას“.

— კი, მაგრამ თქვენ რას აკეთებთ?

— შეძლებისდაგვარად ჩვენც ვებრძვით ფალსიფიკატორებს. მხოლოდ წელს ლიმონათის ფალსიფიცირების 30 შემთხვევა გამოვავლინეთ. სხვათა შორის, შესამოწმებელი პროდუქციის ნიმუშების ასაღებად სასამართლოს შესაბამისი დადგწყვეტილება გვჭირდება, რათა ჩვენი ყველა ქმედება კანონიერი იყოს.

— გამოდის, რომ მე, როგორც მომხმარებელს, უფლება არ მაქვს საეჭვო ხარისხის პროდუქციის ლაბორატორიული შემოწმება მოვითხოვო.

— როგორც მომხმარებელს ყველაფრის უფლება გაქვთ, მათ შორის□ ლაბორატორიული შემოწმებისაც, მაგრამ „საქსტანდარტი“ ამ შემთხვევაში მომხმარებელი კი არა, იურიდიული პირია და ამიტომ იურიდიული პროცესი უნდა დაიცვას, მათ შორის, ჩვენთან აკრედიტებულმა სერტიფიკაციის ორგანოების ლაბორატორიებმაც.

— რომლებმაც სასტიკი უარი მითხრეს ლაბორატორიულ გამოკვლევაზე–

— მაგ საკითხს მე განვიხილავ მხოლოდ ერთი კონტექსტით, რომ — ლაბორატორია არის იურიდიული პირი და თავის ქმედებაზე თვითონ აგებს პასუხს.

„საქსტანდარტის“ დეპარტამენტის შემდეგ ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსს, **არმაზ თავაძეს** მივაკითხეთ. მისი განცხადებით: „როგორც თბილ ქვეყნებს შეეფერება, უალკოჰოლო სასმელების მოხმარება ჩვენთან ძალიან მაღალია. ის, რომ ლიმონათის და სხვა გამაგრილებელი სასმელების ძირითადი მომხმარებლები ბავშვები არიან, ბუნებრივია, დიდ ყურადღებას მოითხოვს. ჩვენ ახლა დავიწყეთ ამ ბაზრის კვლევა და როგორც კი მუშაობას დავასრულებთ, შედეგებს საზოგადოებას გავაცნობთ. ჯერჯერობით კი, მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ლიმონათის, რომელიც აკმაყოფილებს ელემენტარულ ნორმებს და მოთხოვნებს, თვითღირებულება შეუძლებელია 30 თეთრზე ნაკლები იყოს.

(გაგრძელება იხ. გვ.13)

ყბადაღებული პროტოკოლი, ანუ პროვოკაციის საშიშროება ყოველთვის იქნება

წინა კვირაში კოდორში მომხდარ ინციდენტამდე რამდენიმე დღით ადრე ჩვენი გაზეთის მეშვეობით დაზვერვის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ავთანდილ იოსელიანმა საგულისხმო განცხადებები გააკეთა. მან ხმამაღლა განაცხადა ფსოუზე რუსული ცოცხალი სამხედრო ძალისა და ტექნიკის შემოსვლის გამო კოდორში მოსალოდნელი პროვოკაციის შესახებ. დაზვერვის დეპარტამენტის შეფის ხმამაღალი ეჭვები, სამწუხაროდ, სულ მალე გამართლდა — კიდევ ერთხელ ცხადი გახდა, რომ რუსები საერთაშორისო სამართლისა და ურთიერთობების არანაირ პრინციპებსა და ნორმებს არ ცნობენ. არც საერთაშორისო ხელშეკრულებების დარღვევას დაგიდევენ და მათ გაუმართლებელ გამოხდომებსაც ბოლო არ უჩანს.

ჩვენ კვლავ **ავთანდილ იოსელიანს** დავუკავშირდით და უკვე მომხდარი და მოსალოდნელი მოვლენების შესახებ კომენტარი ვთხოვეთ:

— როგორ გაჩნდა რუსული დესანტი კოდორში? არსებობს ვერსია, რომ იგი აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედი სამშვიდობო ჯარებიდან გადმოისროლეს.

— ეს დესანტი იმ სამხედრო ცოცხალი ძალის ნაწილია, რომელიც 14-16 მარტს ეშელონებით შემოვიდა აფხაზეთის ტერიტორიაზე. მათგან ზოგი სამშვიდობო ჯარების შენაერთებში განლაგდა, ზოგიც კოდორის ხეობის დასაწყისში დაბანაკდა მერხეულთან, ტყვარჩელის მიმართულებით. განაცხადეს, რომ თითქოს სამშვიდობო ძალების წარმომადგენლები არიან, რაც უდავოდ საეჭვოა და უფრო მეტიც — სიცრუე!

— რა გაძლევთ ამის საბაბს?

— ის, რომ მარტში შემოსული ჯარი უცებ გახდა სამშვიდობო. ეგენი სამშვიდობოები რომ ყოფილიყვნენ, აფხაზეთში შემოსვლამდე ქართულ მხარეს და გაეროს წინასწარ აცნობებდნენ, რომ როტაციას ახდენდნენ. მსგავსი ინფორმაცია რუსებს არავისთვის მიუწოდებიათ. არადა, ვალდებულნი იყვნენ, ეს გაეკეთებინათ.

— აქედან გამომდინარე, თქვენ რამდენად გამართლებულად მიიჩნევთ 2 აპრილს შეთანხმებაზე ხელის მოწერას საქართველოს ხელისუფლების მხრიდან?

— ქართული მხარე ამ შემთხვევაში ჯენტლმენურად მოიქცა. სამწუხაროდ, ვერ გაითვალისწინეს, რომ რუსები იმას გააკეთებდნენ, რაც კოდორში მოხდა. ჩვენ გვინდა აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოწესრიგება. პროტოკოლსაც ხელი იმიტომ მოვაწერეთ, რომ ჩვენი ჯარის კოდორიდან გამოსვლის შემდეგ გაეროს შუამდგომლობით დაწყებულიყო მოლაპარაკება აფხაზეთის სტატუსთან დაკავშირებით და ეს საკითხი მშვიდობიანად ორმხრივი თანხმობით მოგვარებულიყო. რუსების საქციელი კი საშინელებაა და სახელსაც ვერ დაარქმევ.

— კოდორის ინციდენტს რუსების მხრიდან ქართულ ტერიტორიებზე შეჭრად შეაფასებდით?

— რა თქმა უნდა, ასეა! რუსები ქართულ ტერიტორიაზე შეიჭრნენ. გაერომ ამასთან დაკავშირებით უკვე დააფიქსირა თავისი პოზიციები და იმედი მაქვს, ჩვენი მეგობარი ქვეყნებიც თავის სიტყვას იტყვიან.

— რა მოხდება კოდორის ხეობაში ამ პროვოკაციის შემდეგ? უკვე რუსული დესანტი გასულია, სიმშვიდის საფუძველი არსებობს?

— პროვოკაციის საშიშროება ყოველთვის იქნება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ აფხაზეთის საკითხის მშვიდობიანად მოსაგვარებლად მუშაობა არ უნდა განვაგრძოთ.

— რუსებმა მომხდარი ფაქტი იმით ახსნეს, რომ თურმე კოდორში დარჩენილი ქართული საჯარისო ნაწილები შეამჩნიეს და მოსახლეობის უსაფრთხოების მიზნით სიტუაციის შესასწავლად შეიყვანეს დესანტი.

— სიტუაციის შესასწავლად 4 კაცის შესვლაც საკმარისი იქნებოდა. რა საჭირო იყო დესანტი და შვეულმფრენების ტრიალი, თანაც სიტუაცია დანარჩენ მხარეებთან შეუთანხმებლად არ უნდა შეესწავლათ.

— ბატონო ავთანდილ, თენგიზ კიტოვანმა ერთ-ერთ ინტერვიუში ამ ამბავთან დაკავშირებით განაცხადა — რუსებს უფლება ჰქონდათ კოდორში შესულიყვნენ. ეს 2002 წლის 2 აპრილის პროტოკოლით იყო გათვალისწინებულიო. რა კომენტარს გააკეთებთ აღნიშნულზე?

— ეს აბსურდი და ბოროტი სიცრუეა. კიტოვანს ვურჩევ, თუ მაგარი გულშემატკივარი და პატრიოტია თავისი ქვეყნის, ჩამოვიდეს მოსკოვიდან და აქ ილაპარაკოს. საზოგადოებას კი შეუძლია გაეცნოს ამ პროტოკოლს და თავად დარწმუნდეს კიტოვანის სიმართლეში, რა და როგორ წერია...

გთავაზობთ განსაკუთრებულ საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებულ 2002 წლის 29 მარტს სოხუმში დაწყებული მოლაპარაკების პროტოკოლს, რომელსაც 2002 წლის 2 აპრილს თბილისში მოეწერა ხელი.

ეკა ლომიძე

Ï ÐÎ ÒÎ ÊÎ Ë

Ñòîðîíû ñîãëàñèëèñü î íèæåñëåäóþùåì :

1. Í àìîñîâåÌ îñêîâñêîãî Ñîãëàøåíèÿ îò 14 ìàÿ 1994ã. ãðóçèíñêèå âîéñêà áóäóò âûâåäåíû èç Êîäîðñêîãî óùåëüÿ äî 10 àïðåëÿ 2002ã. Âûâîä áóäåò îñóùåñòâëÿòüñÿ ïîä íàáëþäåíèåì è êîíòðîëåì ÌÎÎÍÍÃ è ÊÑÏÌ ÑÍÃ â ñîîòâåòñòâèè ñ èõ ìàíäàòàìè, êàê ñôîðìóëèðîâàíî â Ìîñêîâñêîì Ñîãëàøåíèè îò 14 ìàÿ 1994ã. è ðåçîëþöèè Ñîâåòà Áåçîïàñíîñòè ÎÎÍ ¹ 937 îò 21 èþëÿ 1994ã.

2. Àáõàçñêàÿ ñòîðîíà âûâåäåò âñ¸ òÿæåëîå âîîðóæåíèå è àðòèëëåðèéñêèå óñòàíîâêè èç Êîäîðñêîãî óùåëüÿ è ðàéîíà Òêâàð÷åëè äî 10 àïðåëÿ 2002ã. Âûâîä áóäåò îñóùåñòâëÿòüñÿ ïîä íàáëþäåíèåì è êîíòðîëåì ïàòðóëåé ÌÎÎÍÍÃ è ÊÑÏÌ ÑÍÃ. Àáõàçñêàÿ ñòîðîíà ïîäòâåðæäàåò ñâîþ ïðèâåðæåííîñòü îáÿçàòåëüñòâàì, âçÿòûì â ÷åòâåðòîì ïóíêòå Ïðîòîêîëà îò 17 ÿíâàðÿ 2002ã.

3. Äî 10 àïðåëÿ 2002ã. áóäåò ïðîâåäåíî, ðàçîâîå ïàòðóëèðîâàíèå ÌÎÎÍÍÃ è ÊÑÏÌ ÑÍÃ â âåðõíåé è íèæíåé ÷àñòÿõ Êîäîðñêîãî óùåëüÿ è ðàéîíå Òêâàð÷åëè. Íà÷èíàÿ ñ 10 àïðåëÿ 2002ã., ÌÎÎÍÍÃ è ÊÑÏÌ ÑÍÃ â ñîîòâåòñòâèè ñî ñâîèìè ìàíäàòàìè ïðèñòóïÿò ê ðåãóëÿðíîìó ïàòðóëèðîâàíèþ âåðõíåé è íèæíåé ÷àñòåé Êîäîðñêîãî óùåëüÿ è ðàéîíà Òêâàð÷åëè, êîòîðûå ñîîòâåòñòâåííî íàõîäÿòñÿ ïîä êîíòðîëåì ãðóçèíñêîé è àáõàçñêîé ñòîðîí. Ñîâìåñòíîå ïàòðóëèðîâàíèå âåðõíåé è íèæíåé ÷àñòåé Êîäîðñêîãî óùåëüÿ áóäåò ïðîâîäèòüñÿ íå ðåæå ÷åì îäèí ðàç â íåäåëþ. Îáå ñòîðîíû äîëæíû îáåñïå÷èòü íà êîíòðîëèðóåìûõ èìè òåððèòîðèÿõ óñëîâèÿ áåçîïàñíîñòè, âêëþ÷àÿ áåçîïàñíîñòü ìàðøðóòîâ, à òàêæå ãàðàíòèðîâàòü áåçîïàñíîñòü ïåðñîíàëà ÌÎÎÍÍÃ è ÊÑÏÌ ÑÍÃ âõîäå âûøåóïîìÿíóòîãî ïàòðóëèðîâàíèÿ è íàáëþäåíèÿ.

4. Âîïðîñû ñâÿçàííûå ñ äàëüíåéøåé ñòàáèëèçàöèåé ñèòóàöèè â Êîäîðñêîì óùåëüå áóäóò îáñóæäåíû ýêñïåðòàìè â ðàìêàõ Ðàáî÷åé Ãðóïïû I Êîîðäèíàöèîííîãî Ñîâåòà. Ïåðâàÿ âñòðå÷à ýêñïåðòîâ ñîñòîèòñÿ íå ïîçæå ÷åì 15 àïðåëÿ 2002ã.

„რაო, სიგუ, არ მოგალო არქიფომ?!“

ძალიანაც ძნელი მოსასმენია, მაგრამ სტუდენტური ორპოლუსიანობა მაინც ჩამოყალიბდა. მოკლედ, პოლიტიკა მართლაც რომ ბინძურ თამაშს დაემსგავსა, ზოგი პოლიტიკოსი კი — იმ ტალახიან ოთხფეხას, ასს რომ უკანმოუხედავად გასვრის. ფაქტია, მოსახლეობასაც აღარ სჯერა, როდესაც ესა თუ ის საზოგადოებრივი კავშირი თავის

გიორგი სიგუა

აპოლიტიკურობას ამტკიცებს. მოკლედ, დღეს ყველას პოლიტიკოსის ქუდი ხურავს და ეს ქუდი ხშირად ახალგაზრდულ კეპსაც ცვლის. ქარაგმები იქით იყოს და, ორპოლუსიანმა სტუდენტურმა „კონტინგენტმა“ გასულ შაბათს ორი ფორუმი მოაწყო. როგორც ჩემი კოლეგები ამბობენ, ერთი ნაციონალისტური მოძრაობიდან ფინანსდება, მეორე — კანცელარიიდან. არიან სეირის მაყურებლებიც, რომლებიც გუნება-განწყობილების მიხედვით, ხან აქეთ დგანან, ხან — იქით და მათ კაპიკსაც არავინ აძლევს, გარდა მშობლებისა. ერთი სიტყვით, ერის მომავალზე ფიქრით ძილგამტყდარი ახალგაზრდობა — რომელიც სიგუას და გოძიაშვილის „სასტავად“ (სწორედ ეს სიტყვა ისმოდა ორივე ფორუმზე) მოიხსენიება, მძიმე საზრუნავს შეუპყრია: კორუფციაო, ნეობოლშევიზმიო, პიარიო, კლანები და ათასი მავნებელიო... სადღა იყო შავი პურის ქერქზე გადასმული ნივრის სურნელადენილი სტუდენტობა, ზურიკელა რომ მისტიროდა...

პარლამენტში კი, ყველაფერი სხვაგვარად გახლავთ. აქ ზოგი სტუდენტების პოლიტიკური მამაა, ზოგი — მამინაცვალი. ვისთვის გოძიაშვილი პროვოკატორია და ვისთვის — პაატა...

ასე მაგალითად, ნაციონალისტი კოტე კემულარია აღშფოთებულია იმ ინციდენტით, ვახო გოძიაშვილს რომ შეემთხვა. როგორც იცით, მის მანქანას ესროლეს.

„სტუდენტების ურთიერთობაში ვიღაც ბიძები ერევიან, მაღალი რანგის ბიძა-ჩინოვნიკები, რომლებიც ერთი ნაწილისთვის (სტუდენტების) დარბაზს ქირაობენ ფორუმისთვის, მეორეს — ქუჩისკენ უბიძგებენ. ახალგაზრდა, 23 წლის ბიჭს, რომელსაც განსხვავებული აზრი გაუჩნდა ხელისუფლებაზე, ესროლეს. თუ ეს საქმე არ იქნება გამოძიებული, მე პასუხისმგებლობას პირადად პრეზიდენტს ვაკისრებ. უნივერსიტეტებში ეს სუფთად გაპარსული, ჰალსტუხიანი ბიძები იცით რა მუშაობას ეწევიან? მიდის ათასი დაპირებები, ფულის და მანქანების შეთავაზება, საზღვარგარეთ სასწავლებლად გაგზავნა, დაშინება და ტერორი. და ამ ყველაფერს აკეთებს ხელისუფლება. ეს ინფორმაციები მოდის ჩვენამდეც. ჩვენ ვაფრთხილებთ პრეზიდენტს — ვინც ქარს სთესს, ის ქარიშხალს იმკის. ანალიზი გაუკეთოს მოვლენებს. რაც შეეხება სიგუას, მან აღიარა ტელევიზიით, რომ ისაკაძის გვერდით დგას. ისაკაძე კი, კანცელარიის მაღალჩინოსანია, პრეზიდენტის კაცია“.

ჯემალ გოგიტიძე: „მე სიგუაზე არანაირი ინფორმაცია არ მაქვს და ვერაფერს გეტყვით მასზე. რაც არ ვიცი — არ ვიცი. გოძიაშვილს რაც შეეხება, ის არის პროვოკატორი, რომელიც თავის დროზე შემოაგზავნეს „აღორძინებაში“. მერე კი სკანდალური განცხადება გააკეთა — აღორძინებიდან 4.000 კაცი გავიდაო. მოკლედ, ძალიან ცუდია, რომ სტუდენტი ახალგაზრდობა იხლიჩება, ხდება ვიღაცის ინტერესების მსხვერპლი, ბრმა იარაღი, რომელმაც არ იცის, საით მიექანება. მე მათ არ ვურჩევდი, რომ პოლიტიკანების დუდუკებზე ეცეკვოთ“.

ახლა ახალგაზრდებსაც ვათქმევინოთ სიტყვა; ერთი კურიოზით დავიწყებ: ფილარმონიაში, ე.წ. კანცელარიის ბიჭების ფორუმზე, დიდი აზრა იუწყებოდა, რომ იქ ფორუმი ტარდებოდა. კინო რუსთაველის შენობაზე კი, სადაც ნაციონალისტთა ბიჭები შეიკრიბნენ, ფერადი აფიშა „მონსტრების კორპორაციის“ დაწყების საათებს გვაცნობდა. სააკაშვილმა მოგვიანებით იხუმრა კიდეც, მონსტრები სად არიანო. გოძიაშვილის ფორუმი პირველივე ფრაზებით ხელისუფლების ლანძღვას შეუდგა. სტუდენტობის გახლეჩაც მას დაბრალდა. მონოლოგებით თავი მოიწონეს კობა დავითაშვილმა, ელენე თევდორაძემ, ვახტანგ ბოჭორიშვილმა კი აკაკის ლექსი დიდი პათოსით წაიკითხა. სააკაშვილმა გაოცება გამოთქვა, ხელისუფლებას რად სწყინს ახალგაზრდობის პრეტენზიებიო: როცა სტუდენტი ვიყავი, შეყვარებულის კაფეში დასაპატიჟებლად ორი მანეთი რომ არ მქონოდა და პარკებში მეძუნძულა, გავმწარდებოდი აბა, არა?! და ახლა, აქტივისტ სტუდენტებს ესვრიან — ხმას რატომ იღებთო?! ვახოს დაცვა დღეს საქართველოს დაცვააო“.



ვახო გოძიაშვილი

ვახო გოძიაშვილმა კი ჩვენთან საუბარში განაცხადა:

„ჩვენ ეს ღონისძიება სულ 1380 ლარი დაგვიჯდა. დაგვეხმარნენ ბიზნესმენები, ხელისუფლებისგან ერთი თეთრიც არ მიგვიღია“.

როგორც ჩანს, მეგობარ-ბიზნესმენების ნაკლებობას არც სიგუას წრე უჩივის, თუმცა, მან გოძიაშვილისგან განსხვავებით, ვერაფრით გაიხსენა რამდენი გაიღეს მისმა მეგობრებმა. ფილარმონიაში მისი სტუმრები იყვნენ პრეზიდენტი, ლევან მამალაძე, ზურაბ გაიპარაშვილი (ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი) და უმაღლესი სასწავლებლების რექტორები.

(გაგრძელება იხ. გვ. 11)

რა არის გეოფიზიკური იარაღი და როგორ შეიძლება მისი გამოყენება...

გასულ კვირას დედაქალაქი მიწისძვრამ შეაზანზარა. ეს იყო ოთხბალიანი, ვერტიკალური მიწისძვრა, რომელიც ჰორიზონტალურზე იშვიათია. ორი ბიძგი დაახლოებით 5 წამის განმავლობაში გაგრძელდა და საბედნიეროდ, ნგრევა და მსხვერპლი არ მოჰყოლია. ცნობისთვის: 7-ბალიანი მიწისძვრა სრულიად საკმარისი ყოფილა იმისათვის, რომ შენობები დაინგრეს. აქედან გამომდინარე, 4-ბალიანი ბიძგი საკმაოდ მძაფრი იყო. როგორც სეისმოლოგებმა „კვირის პალიტრას“ განუცხადეს, სახლების გამძლეობა რელიეფზეა დამოკიდებული. ზოგი ქალაქი 4-5 ბალიანმა მიწისძვრამაც კი შეიძლება სერიოზულად დააზიანოს (საბედნიეროდ, თბილისი ამგვარ რელიეფს არ განეკუთვნება). ინჟინერმა **შალვა მილორავამ** გვითხრა, რომ ეპიცენტრი ზუსტად თბილისი იყო. ეს იყო ბუნებრივი მიწისძვრა თავისი სიძლიერით და სიხშირით. განმეორდება თუ არა ბიძგები მომავალში — ამაზე სეისმოლოგები დუმან. „არსად, მსოფლიოში ვერც ერთი ქვეყანა ამას ვერ იგებს წინასწარ“ — განაცხადა მილორავამ ჩვენთან საუბრისას.

მწვანეთა პარტიის ლიდერმა **გია გაჩეჩილაძემ** კი, მიწისძვრიდან უკვე მეორე დღეს მის ბუნებრიობაზე სერიოზული ეჭვი გამოთქვა და არგუმენტებიც მოიყვანა:

— როგორც იცით, ბიძგი იყო ვერტიკალური, რაც ხელოვნურს ჰგავდა და, ჩემი აზრით, ის პროვოცირებული იყო რუსეთის მიერ. ამის ტექნიკური შესაძლებლობები კი, რუსეთს ნამდვილად აქვს. ჯერ კიდევ 1997 წელს ჩვენ გამოვაქვეყნეთ ვრცელი მასალა რუსეთის შეიარაღებულ ძალებში არსებული ტექტონიკური იარაღის შესახებ. ვგულისხმობ ეშერის საიდუმლო, სეისმოლოგიურ ლაბორატორიას, რომელიც ექვემდებარება რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის მეთორმეტე სამმართველოს. ეს სამმართველო კი განლაგებული გახლდათ ქალაქ ზაგორსკ-7-ში, რომელიც მოსკოვის ახლოს მდებარეობს. ლაბორატორია დედამიწის ზედაპირიდან 200-250 მეტრის სიღრმეშია და მას აქვს განშტოებები — შავი ზღვისკენ, კავკასიის ქვეყნებისკენ და ა.შ. ეს არის უნიკალური ტექნიკით აღჭურვილი ლაბორატორია, რომელიც აკვირდება არა მარტო საქართველოს, არამედ თურქეთის, ირანის, ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორიებს და ინფორმაციას გადასცემს მე-12 სამმართველოს.

— რა ინფორმაციას?

— მომწიფებულია თუ არა ესა თუ ის ტერიტორია, დედამიწის ზედაპირი მიწისძვრისთვის. ე.ი. როგორია დედამიწის ქერქის დაძაბულობა. ზოგიერთ მომენტში ნიადაგი ხელსაყრელია მიწისძვრის პროვოცირებისთვის, ზოგჯერ — არა. თუ დაძაბულობა მაღალია, მას სულ მცირე ბიძგი სჭირდება, რომ ძლიერი მიწისძვრა გამოიწვიო.

— იქნებ განგვიმარტოთ, მიწისძვრის პროვოცირება ხდება აფეთქებით თუ რაღაც სხვა მექანიზმებით?

— ჩვენ ასეთი ინფორმაცია გვაქვს: ეს ხდება ატომური პოლიგონებიდან, სადაც ატომურ ბომბებს გამოცდიან. ამ პოლიგონებიდან მცირე ატომურ მუხტებს აფეთქებენ მიწისქვეშ. აქ მანძილს მნიშვნელობა არა აქვს. პოლიგონი სამიზნიდან შეიძლება საკმაოდ შორს იყოს. უბრალოდ, საჭიროა მუხტებს მისცე მიმართულება.

არსებობს ასეთი პროფესორი — კარიმოვი, რომელიც საბჭოთა კავშირის დროს იყო აზერბაიჯანის გეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე. მან გამოაქვეყნა მასალები და ერთ-ერთმა პირველმა თქვა, რომ ცნობილი მიწისძვრები, რომლებიც ყაზახეთში გრძელდებოდა 1978-დან 1984 წლამდე და რომელსაც საშინელი ნგრევა და მსხვერპლი მოჰყვა, ხელოვნურად იყო მოწყობილი. არსებობს მეორე რუსი სპეციალისტი, რომელმაც ოფიციალურად აღიარა, რომ 80-იანი წლების ბოლოს, ავღანეთში, ინდიყუშის რეგიონში გახშირებული მიწისძვრები ხელოვნურად იყო პროვოცირებული. სპიტაკის მიწისძვრას კი არაერთი სემინარი მიეძღვნა და გამოითქვა ეჭვი, რომ ისიც ხელოვნური იყო, თუმცა, ეჭვი ვერავინ დაადასტურა.

— სადგურები, რომლებიც თქვენ ახსენეთ, ხომ შეიძლება რუსეთის გარდა სხვა სახელმწიფოებსაც ჰქონდეთ?

— დავიწყებ იმით, რომ არსებობს გაეროს სპეციალური კონვენცია, რომელიც კრძალავს გეოფიზიკური იარაღის გამოყენებას. ამ იარაღს მხოლოდ მიწისძვრების გამოწვევა როდი შეუძლია: მისი მეშვეობით შეიძლება გამოიწვიონ თავსხმა წვიმები, ოკეანეში ცუნამი, ქარიშხლები. შეერთებულ შტატებს, როგორც მაღალგანვითარებულ ქვეყანას, ბუნებრივია, ექნებოდა ეს იარაღი, მაგრამ ის კანონმორჩილია და ალბათ მოსპო ეს იარაღი. რუსეთში, როგორც ჩანს, ვერ იმეტებენ მოსასპობად. ამას წინათ, კიევში ვიყავი, სადაც ევროპის „მწვანეების“ ფედერაციის სხდომა იყო და იქ ერთ-ერთმა ინფორმირებულმა პირმა გვითხრა, რომ მე-12 სამმართველო, რომელიც გეოფიზიკურ იარაღს ფლობს, ახლაც არსებობს.

— იზიარებენ თუ არა თქვენს ამ ეჭვს ოფიციალური სტრუქტურები?

— არ ვიცი. შეიძლება იზიარებენ კიდეც, მაგრამ ოფიციალური განცხადება არ მსმენია. მე 1997 წელს საერთაშორისო კომისიის შექმნაც კი მოვითხოვე ბიძგების შესასწავლად, მაგრამ არ მოხერხდა.

— რამდენად რეალურია ამ ეჭვების დადასტურება?

— ჩვენი სეისმური ტექნიკის პირობებში ამაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია.

ქეთი ბერეკაშვილი

ოკუპაცია პატრულირების საბაბით

რუსული დესანტი ტოვებს კოდორს, მაგრამ დაბრუნებით იმუქრება

რუსულ დესანტს აჟარაში სანგრების დამთავრება არ დააცალეს

სწორედ იმ დროს, როდესაც ფოთში საქართველოს შეიარაღებული ძალების მთელი გენერალიტეტი დაგეგმილ ოპერატიულ-ტაქტიკურ სწავლებას ესწრებოდა, საქართველოს სხვა კუთხეში — კოდორის ხეობაში სიტუაცია საომრად დაიძაბა.

ძნელი სათქმელია, რუსეთის ე.წ. სამშვიდობო ძალების ხელმძღვანელობამ საგანგებოდ გააკეთა ეს (გაითვალისწინა, რომ ქართული არმიის ძირითადი ძალების დიდი ნაწილი ფოთში იყო მობილიზებული) თუ არა, მაგრამ ფაქტია, რომ 12 აპრილის დილით კოდორის ხეობის ზემო ზონაში, სოფელ აჟარის მიდამოებში გადასხეს რუსი „ცისფერჩაფხუტიანების“ დაახლოებით 80-კაციანი ტაქტიკური დესანტი.

ფოთის სამხედრო პორტში დაძაბულობა იგრძნობოდა, ძრავებჩართული სამხედრო კატარღებისა და სადესანტო ხომალდების კაპიტნები რამდენიმე საათი ამაოდ ელოდნენ სწავლების დაწყების ბრძანებას. ბოლოს, სამხედრო პორტში გამოჩნდა საკმაოდ აღელვებული თავდაცვის მინისტრი. მან განცხადება საგანგებოდ გააკეთა რუსულ ენაზე როგორც უცხოელი და ქართველი ჟურნალისტებისთვის, ასევე იქ თავმოყრილი უცხოელი სამხედრო ატაშეებისთვის, მათ შორის რუსეთის სამხედრო ატაშეს გასაგონად, — 12 აპრილს, დილით, სოფელ აჟარასთან ოთხი შვეულმფრენიდან გადმოსხმული რუსი სამხედროების ტაქტიკური დესანტი ბლოკირებულია, შეიმჩნევა გარკვეული ქმედებები სოფელ ჩხალთის მიმართულებით. თუკი ისინი არ დატოვებენ ამ ტერიტორიას და წინააღმდეგობას გაგვიწევენ, გავხსნით ცეცხლსო.

მინისტრის თქმით, რუსეთის თავდაცვის სამინისტროდან ქართული მხარის პროტესტზე ამგვარი პასუხი მოსულა, — ეს ტაქტიკური დესანტი იმიტომ გადავსხით, რომ ადგილობრივი ქართული მოსახლეობა დავიცვათ ტერორისტებისგანო.

ეს „ტაქტიკა“ ახალი არ არის, თავის დროზე საბჭოთა ჯარი ავღანეთში ხომ ადგილობრივი მოსახლეობის „დაცვის“ საბაბით შევიდა, ხოლო შემდეგ რაც მოხდა, მთელმა მსოფლიომ გაიგო.

ეტყობა, რუსმა „ცისფერჩაფხუტიანებმა“ შექმნილი მდგომარეობის სათავისოდ გამოყენება სცადეს. თითქმის მეორე წელია, რაც კოდორის ხეობის ზემო ზონაში, ქართულ სოფლებში გაეროს სამხედრო დამკვირვებლებს რუს „ცისფერჩაფხუტიანებთან“ ერთად პატრულირება არ ჩაუტარებიათ. რამდენიმე დღის წინ თბილისში ხელი მოეწერა ხელშეკრულებას ასეთი პატრულირების დაწყების შესახებ. (დოკუმენტი იხ. მე-7 გვერდზე). თუმცა იმ დოკუმენტში ლაპარაკი არ ყოფილა კოდორის ხეობის ქართულ სოფლებში ახალი, სამშვიდობო ძალების საგუშაგოს შექმნაზე. დოკუმენტი, ძირითადად, ითვალისწინებდა აფხაზების მძიმე ტექნიკისა და არტილერიის ტყვარჩელის რაიონიდან და კოდორის ხეობის ქვემო ზონიდან გაყვანას, ხოლო ქართველების მხრიდან — კოდორის ზემო ზონიდან. დოკუმენტში ლაპარაკია მხოლოდ გაეროს სამხედრო დამკვირვებლების და რუსი „ცისფერჩაფხუტიანების“ ერთობლივ პატრულირებაზე იმის შესამოწმებლად, თუ როგორ შეასრულეს ხელშეკრულება დაპირისპირებულმა მხარეებმა. პატრულირება საეჭვო ადგილების შემოწმებას ნიშნავს, რის შემდეგაც ერთობლივი პატრული გამაგრებული პუნქტის მშენებლობას კი არ იწყებს, არამედ ბრუნდება დისლოკაციის ადგილზე. არადა 78-კაციანი რუსული დესანტი აჟარაში პატრულირებისთვის არ გადამსხდარა (პატრულირება რუსმა „ცისფერჩაფხუტიანებმა“ გაეროს სამხედრო დამკვირვებლებთან ერთად უნდა განახორციელონ. 12 აპრილის დილას კი გაეროს წარმომადგენლები ბაიბურში არ იყვნენ, რა ხდებოდა კოდორის ხეობის ქართულ სოფლებში და რუსებს თან არც წაუყვანიათ), ამ რაოდენობის სამხედრო კონტინგენტი ახალი საგუშაგოს ჩამოყალიბებას ცდილობდა. ამაზე მეტყველებს მათ მიერ შვეულმფრენებიდან ჩამოტვირთული საკვების დიდი მარაგი და სხვა აღჭურვილობა, რომელიც საველე ბანაკის მოსაწყობადაა გათვალისწინებული.

რუს „ცისფერჩაფხუტიანებს“ კოდორის ხეობის ქვემო ზონაში, სოფ. ლათასა და ზემო ლათასთან ისედაც აქვთ მოწყობილი №106 და №107 საგუშაგოები. ეტყობა, მათი ახალი სარდლის გენერალ ევტეევის ბრძანებით, მორიგი საგუშაგო უკვე უშუალოდ ქართველების კონტროლირებად ტერიტორიაზე უნდა გახსნილიყო. ამით შეიძლება ახალი პლაცდარმი მომზადებულიყო სადაზვერვო-საბრძოლო ოპერაციისთვის, რომლის ჩატარება რუსულ მხარეს ასე სურს არა მარტო პანკისში, არამედ კოდორის ხეობის ზემო ზონაშიც. მოსკოვის აზრით, ამ ადგილებში ისევ იმალებიან ჩეჩენი „ბოევიკები“. თუკი რუსი „ცისფერჩაფხუტიანები“ მოასწრებდნენ დაფუძნებას ს. აჟარაში, შემდგომში მათი ახალი საგუშაგოს გაუქმება ძალზე გაჭირდებოდა.

კოდორის ხეობაში ოპერატიულად ჩაფრენილმა პრეზიდენტმა შევარდნაძემ 13 აპრილის დილისთვის სოფლის დატოვება მოსთხოვა რუსეთის „სამშვიდობო“ ძალების ხელმძღვანელობას, მაგრამ რუსი სამხედროები შაბათს, შუადღისასაც, მაინც ს. აჟარაში იყვნენ. ახალი პრობლემა მათი უკან გაყვანის ხერხმა გამოიწვია — „ცისფერჩაფხუტიანები“ ისევ შვეულმფრენებით აპირებდნენ უკან გაფრენას. ქართულმა მხარემ მათი ევაკუაციის ეს გზა კატეგორიულად უარყო და სატვირთო ავტომობილები შესთავაზა (სამ ათეულამდე სამხედრო სატვირთო ავტომობილი ხეობაში შარშან შემოდგომიდან არის. მას შემდეგ, რაც ხიდას უღელტეხილის ჩაკეტვამდე თავდაცვის სამინისტრომ ხეობის ქართული სოფლების დასაცავად ოპერატიულად გადაისროლა რამდენიმე საბრძოლო დანაყოფი). საინტერესოა, ყოველივე ამის შემდეგ გაიყვანს თუ არა საქართველოს თავდაცვის სამინისტრო თავის მცირერიცხოვან კონტინგენტს ხეობიდან (თუმცა ზოგიერთი ინფორმაციით, იქ ქართველი სამხედროები თითქმის აღარც იყვნენ დარჩენილნი)? ალბათ მაინც მოუწევს, რადგან დღევანდელ რთულ სიტუაციაში ქართულმა მხარემ არ უნდა დაარღვიოს 1994 წლის შეთანხმება, მიუხედავად მისი კაბალური მოთხოვნებისა, რათა აფხაზმა სეპარატისტებმა რუსი „ცისფერჩაფხუტიანების“ დახმარებით ამ მომენტით არ ისარგებლონ.

მათი ერთობლივი მოქმედების გეგმის წინასწარ განჭვრეტა არც ისე ძნელია — ტერორისტებთან ბრძოლის მიზეზით კოდორის ხეობის ქართულ სოფლებში შეიძლება აფხაზურ-რუსული ერთობლივი საჰაერო დესანტი გადაისხას. აღმოაჩენენ იქ რუსი „ცისფერჩაფხუტიანები“ გელაეცნენ თუ არა, ამას მნიშვნელობა აღარ ექნება — მთავარია ის, რომ რუსებით ზურგგამაგრებული სეპარატისტები თუკი ფეხს შედგამენ ამ ხეობის ქართულ სოფლებში, შემდეგ მათი განდევნა ძალზე გაჭირდება, რადგან გვერდში (თუ წინ არა) გაეროს სამშვიდობო მისიის მანდატით აღჭურვილი რუსული სამხედრო დანაყოფები ეყოლებათ. მათთვის ცეცხლის გახსნა და მით უმეტეს, განადგურება, ცხადია გაეროს უშიშროების საბჭოს მკაცრ პროტესტს და დაგმობას გამოიწვევს, რაც, რა თქმა უნდა, მკვეთრად შეულახავს სახელს საქართველოს მსოფლიო საზოგადოებრიობის თვალში.

სანამ კონფლიქტის ზონაში ძირითადად რუსი სამხედროებისგან დაკომპლექტებული, თუმცა კოლექტიურ სამშვიდობო ძალებად მონათლული „ცისფერჩაფხუტიანები“ იდგებიან, არ შეწყდება აფხაზი სეპარატისტების მცდელობა კოდორის ხეობის ქართული სოფლების დაპყრობისა. ეს ხეობა დღემდე არ კარგავს სტრატეგიულ მნიშვნელობას აფხაზეთში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ძალის გამოყენებით აღდგენის ოპერაციაში.

კოდორში ექსტრემალურ სიტუაციაში ჩასული პრეზიდენტი შევარდნაძე კიდევ ერთხელ იხსენებს რუსი „ცისფერჩაფხუტიანების“ კონფლიქტის ზონიდან საერთოდ გაყვანის პერსპექტივას. თუმცა, უცნობია, რა პოზიციას დაიკავებს იგი სამომავლოდ. რეალობა კი ამგვარია: საქართველოს ხელისუფლების მიერ განსაკუთრებით ბოლო პერიოდში გატარებული პოლიტიკა აღიზიანებს ოფიციალურ მოსკოვს, ხოლო რუსეთის გენერალიტეტში აღარ მალავენ ზიზღს პირადად საქართველოს პრეზიდენტის მიმართ. ასეთ პირობებში ლაპარაკი იმაზეა, რომ რუსი „ცისფერჩაფხუტიანები“ კონფლიქტის ზონებში, გინდ ცხინვალის რეგიონში და თუნდ აფხაზეთში — კონფლიქტის მონაწილე მხარეების მიმართ მიუკერძოებელნი იქნებიან, დაუჯერებელია, ანუ ისინი კარგავენ იმ მთავარ არგუმენტს, რის გამოც თავის დროზე ჩააყენეს საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარე შეიარაღებული კონფლიქტების ზონებში.

მაგრამ არ გვეგონოს, რომ საქართველოს პრეზიდენტის მოთხოვნას მალევე მოჰყვეს თუნდ მარტო აფხაზეთიდან რუსი „ცისფერჩაფხუტიანების“ გაყვანა. ეს პროცესი ძალზე გაჭიანურდება, რადგან რუსული ე.წ. სამშვიდობო ძალები აფხაზეთშიც და ცხინვალის რეგიონშიც ძირითადად კრემლის მიერ საქართველოზე ზეგავლენის სამხედრო-პოლიტიკურ ბერკეტს წარმოადგენენ. ასეთი მექანიზმის მოშლა კი არც ერთ, ზესახელმწიფოს სახელისთვის მებრძოლ ქვეყანას არ სურს.

ერთი კია, კოდორის ხეობის ზემო ზონაში ქართული სოფლების თავზე გამოჩენილი სამხედრო-სატრანსპორტო შვეულმფრენებისთვის ხეობის დამცველებს გადამღობი ცეცხლი უნდა გაეხსნათ და დაებრკოლებინათ მათი დაშვება. მაშინ შეიძლება ბევრი სხვა პრობლემა აღარც გაჩენილიყო.

საჰაერო თუ საზღვაო დესანტის მოგერიება მაშინ არის იოლი, როდესაც იგი ჯერ კიდევ სატრანსპორტო საშუალებაში იმყოფება. რასაკვირველია, ადგილობრივ მცხოვრებლებს თავიდან სულაც არ უნდოდათ მდგომარეობის გამწვავება რუს „ცისფერჩაფხუტიანებთან“, შესაძლოა, მინდორზე დასაჯდომად წამოსული შვეულმფრენები ქართული მხარისა ეგონათ. ამის მიზეზი კი ის არის, რომ კოდორის ხეობაში, ისევე როგორც საქართველოს საჰაერო სივრცის დიდ ნაწილში, ოპერატიულად ვერ ფიქსირდება და, რაც არანაკლებ ცუდია, ვერ დგინდება ამა თუ იმ საფრენი აპარატის სახელმწიფოებრივი კუთვნილება. ქვემო აჟარაში გადასხმულმა რუსულმა დესანტმა მოულოდნელობის ეფექტით ისარგებლა. არადა ხეობის დამცველებს ერთი-ორი კომპაქტური, მობილური რადიოლოკაციური სადგური (მის კოდორისა და პანკისის ხეობებში აუცილებელ განთავსებაზე „კვირის პალიტრა“ არაერთხელ წერდა) რომ ჰქონოდათ, მისი საშუალებით 25-30 კმ-ის მანძილზე დააფიქსირებდნენ მოახლოებულ უცხო შვეულმფრენებს.

13 აპრილს, საღამოს, დაიწყო რუსული დესანტის ევაკუირება მუდმივი დისლოკაციის ადგილას. მიუხედავად ქართული მხარის წინააღმდეგობისა, მათი ხეობიდან გაყვანა მაინც რუსული შვეულმფრენებით მოხდა. „ცისფერჩაფხუტიანების“ სარდალმა გენერალმა ევტეევმა იხტიბარი არ გაიტეხა მათი პროვოკაციული ოპერაციის ჩაფუშვის გამო და ტელევიზიით განაცხადა — ეს პატრულირების ოპერაცია გახლდათ, რომლის დროსაც დავრწმუნდით, რომ ქართულმა მხარემ დაარღვია 2 აპრილის დოკუმენტი და 10 აპრილამდე კოდორის ხეობის ზემო ზონიდან არ გაიყვანა თავისი რეგულარული სამხედრო დანაყოფები. ამ დარღვევის შესახებ ჩვენს პროტესტს გადავცემთ კონფლიქტის ზონაში გაეროს გენერალური მდივნის საგანგებო წარმომადგენელსო.

როგორც ამბობენ, „ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო“. როდის ყოფილა, რომ პატრულირებისას სანგრებს თხრიდნენ ან ორი კვირის საგზალი დასაკეცი საწოლები თან მიჰქონდეთ? უბრალოდ, რუს „ცისფერჩაფხუტიანთა“ დესანტს ქვემო აჟარაში №102 სათვალთვალო პუნქტის აღდგენა და იქ სამუდამოდ (სანამ ისინი საერთოდ აფხაზეთში იქნებიან) დარჩენა სურდათ.

საქართველოს პრეზიდენტი კოდორის ხეობაში ჩაფრინდა

საერთო ძალებით აღიკვეთა ეს აგრესიული ქმედება, მაგრამ დიდი ხნით? გენერალი ევტეევი დაგვემუქრა, — ამგვარ პატრულირებას ყოველ კვირას მოვაწყობთო. რუსი გენერლის ნათქვამს ეტყობა, ძალზე სერიოზულად უნდა მივუდგეთ, რადგან ზოგიერთი მონაცემით, წებელდაში აფხაზებს მოიერიშე დანაყოფი (ორი ტანკი, ამდენივე შეჯავშნული საბრძოლო მანქანა და ცოცხალი ძალით სავსე 15 სატვირთო ავტომობილი) ჰყავდა გამზადებული. თუკი მოსკოვს პროვოკაცია გამოუვიდოდა და ქვემო აჟარაში რუსი „ცისფერჩაფხუტიანების“ ახალი პოსტი გაიხსნებოდა, მას მალე ალბათ სეპარატისტების შეიარაღებული დანაყოფების იერიში მოჰყვებოდა ზემო ლათიდან ჩხალთა-ქვემო აჟარის მიმართულებით. ქვემო აჟარაში უკვე გამაგრებული რუსული პოსტი კი ხეობის დამცველთა ზურგიდან მხარს დაუჭერდა შეტევაზე გადასულ სეპარატისტებს. ბოლო ინფორმაციის თანახმად, 15 აპრილს გაეროს უშიშროების საბჭო მკაცრად იმსჯელებს რუსი „ცისფერჩაფხუტიანების“ თვითნებურ და პროვოკაციულ ქმედებებზე კოდორის ხეობაში.

12 აპრილს მოწინააღმდეგის დესანტი ქართულმა არმიამ გაანადგურა, ოღონდ არა კოდორში, არამედ ყულევში

ქართველი საზღვაო ქვეითები დესანტირებისთვის ემზადებიან

მართალია, ეს სწავლება კარგა ხნით ადრე დაიგეგმა, მაგრამ საოცრად აქტუალური გახდა ზუსტად იმ მომენტისთვის — სწავლების სცენარიც სწორედ მოწინააღმდეგის დესანტის ალყაში მოქცევას და განადგურებას ითვალისწინებდა, ოღონდ არა საჰაერო, არამედ საზღვაოსი.

წვრთნებში მონაწილეობდა ათასზე მეტი სამხედრო მოსამსახურე, მათ შორის იყვნენ შტაბის ოფიცრებიც. სცენარის მიხედვით მოწინააღმდეგემ ყულევში საზღვაო დესანტი გადასხა. მის გასანადგურებლად ამოქმედდა ქართული სამხედრო ავიაცია — ორი Су-25 მოიერიშე და ორიც L-29 თვითმფრინავის შემადგენლობით. მათ სარაკეტო-საბომბე დარტყმები მიაყენეს პირობით მოწინააღმდეგეს. მის გასანადგურებლად ჩამოყალიბდა საზღვაო ორდერი, რომელშიც იყო თავდაცვის სამინისტროს საზღვაო თავდაცვის ძალების საბრძოლო კატარღები და ორი საშუალო სადესანტო ხომალდი, აგრეთვე მესაზღვრეების კატარღები. საჰაერო საცეცხლე დამუშავების შემდეგ მოწინააღმდეგის მიერ დაკავებულ სანაპიროზე მათ უნდა გადაესხათ საზღვაო ქვეითთა დანაყოფები და ექვსი БМП-1. თუმცა, ქართველ სამხედროთა ჩანაფიქრი ტერიტორიულ წყლებში პირობითი მტრის შეიარაღებული მცურავი საშუალებების გამოჩენამ „შეცვალა“. დაზვერვის ინფორმაციით, მოწინააღმდეგე დამატებით ძალას გზავნიდა ალყაში მოქცეული თავისი საზღვაო დესანტის დასახმარებლად.

ქართული ხომალდების ორდერი ორად გაიყო — კატარღებით დაცული სადესანტო „ატია“ და „გურია“ სანაპიროსკენ საზღვაო ქვეითთა გადასასხმელად გაემართნენ, ხოლო სამი ქართული საბრძოლო კატარღა უკან გამობრუნდა მოწინააღმდეგის მცურავი საშუალებების შესახვედრად, რათა მათთვის ხელი შეეშალა ახალი დესანტის გადასხმაში.

„ბრძოლა“ პირველად ქართული სამხედრო კატარღების ფლაგმანმა, სარაკეტო ხომალდმა „თბილისმა“ დაიწყო. მან მთავარი საარტილერიო ქვემეხის რამდენიმე გასროლით დააზიანა პირობითი „მოწინააღმდეგე“ — მოტივტივე მართკუთხედები, რომელზეც გადაჭიმულ თეთრ ნაჭერზე კარგად ჩანდა, თუ რამდენი ჭურვი მოხვდა.

შეიძლება კოდორის ხეობის მოვლენების ფონზე ეს ოპერატიულ-ტაქტიკური სწავლება ვინმეს არადროულად მოეჩვენოს, მაგრამ ასე არ არის. ს. აჟარაში რუსული შვეულმფრენებით დესანტის გადასხმა მოულოდნელობის ფაქტორმაც განაპირობა. იგივე რომ არ განმეორდეს სუფსის ტერმინალთან თუ ფოთის სავაჭრო და სამხედრო პორტთან, საზღვაო თავდაცვის ძალები, სანაპირო და ჰაერსაწინააღმდეგო დაცვა, მესაზღვრეები, მოიერიშე თვითმფრინავების პილოტები მზად უნდა იყვნენ, ერთობლივი, შეთანხმებული ძალისხმევით მოიგერიონ მოწინააღმდეგის დესანტი. სწავლება კი ერთადერთი საშუალებაა სამხედრო ძალების მოსამზადებლად.

ფოთი-თბილისი

„ᲖᲔᲛᲚᲘᲐᲩᲔᲡᲢᲕᲝ“, ᲐᲜᲣ ᲙᲣᲗᲮᲕᲠᲝᲑᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲐᲠᲛᲘᲐᲨᲘ ᲐᲠ ᲨᲔᲓᲛᲐ ᲒᲕᲭᲝᲜᲓᲐ

ლამის ნახევარი მსოფლიო ქართული არმიისათვის ამერიკული სამხედრო დახმარებების დაწყებაზე ლაპარაკობს, მაგრამ საქართველოს სამხედრო ძალებში კვლავ რჩება უამრავი პრობლემა, რომელთა მოგვარებაში ვერც ერთი უცხოელი ვერ დაგვეხმარება. ისევე, როგორც მთელ ქვეყანაში, არმიაშიც არსებობს არც ისე მცირე მასშტაბის კორუფცია. ზოგჯერ უკვალოდ ქრება უცხოური სამხედრო დახმარებები, რომლის კვალსაც, შემდეგ სოკუებივით მომრავლებულ ბაზრობებზე თუღა წააწყდებით.

*ქართულ სამხედრო ძალებში არსებულ საჭირბოროტო საკითხებზე ვესაუბრებით საქართველოს პრეზიდენტის — უმაღლესი მთავარსარდლის მთავარი სამხედრო ინსპექციის უფროსს პოლკოვნიკ **ᲒᲘᲕᲘ ᲘᲣᲨᲙᲣᲠᲘᲫᲔᲡ**.*

— მიუხედავად იმისა, რომ უცხო ქვეყნების დახმარება ქართული არმიისადმი მუდმივად იზრდება, ჯარში პრობლემები, მათ შორის საყოფაცხოვრებო ხასიათისა, არ იკლებს. რატომ ხდება ასე?

— საქართველოს ბიუჯეტიდან სამხედრო საკითხებისათვის გამოყოფილ თანხებთან შედარებით, უცხოეთის დახმარებები პროცენტული თვალსაზრისით საკმაოდ შთამბეჭდავია. თუმცა, ისინი ძირითადად ერთჯერადია და ამიტომაც ვერ გამოასწორებენ სამხედრო მოსამსახურეთა საყოფაცხოვრებო პირობებს. გარდა ამისა, ხშირად ასეთი დახმარებები შემთხვევითი ხასიათისა გახლდათ, არ იყო გათვალისწინებული ის პრიორიტეტული მიმართულებები, სადაც ყველაზე მეტად სჭირდებოდა მხარში ამოდგომა ქართულ არმიას. ამიტომაც არ მოჰყოლია მათ სათანადო ეფექტი. ძირითადი დახმარებები მატერიალური ფასეულობის სახით შემოდიოდა, რომელსაც შემდგომ იყენებდნენ ჩვენი სამხედრო ძალები.

— ძირითადად რა სახის მატერიალურ ფასეულობებს უგზავნიან უცხოური ქვეყნები ჩვენს არმიას?

— იგი რამდენიმე სახისა იყო — გზავნიდნენ სამხედრო ფორმებს, კავშირგაბმულობის საშუალებებს, ფორმის შესაკერ მასალას, ძაფს, ბოლო პერიოდში თეთრეული და ჭურჭლეულიც გამოაგზავნეს. გარდა ამისა, გვაჩუქეს რამდენიმე ერთეული მცურავი საშუალება, შველუმფრენები, რამდენიმე ასეული საავტომობილო ტექნიკა, საწვავი და ფეხსაცმელები, მშრალი საკვების ერთჯერადი ულუფების გარკვეული პარტია და სამხედრო ჰოსპიტალი.

— თქვენს სამსახურს უშუალოდ ევალება სამხედრო ძალებში არსებული დარღვევებისა და სხვა დანაშაულის ფაქტების აღმოჩენა. იყო თუ არა უცხოური დახმარებების მოპარვისა და გაფლანგვის შემთხვევები?

— გაფლანგვის ფაქტები არ დაფიქსირებულა, მაგრამ არამიზნობრივი გამოყენების შემთხვევები გახლდათ. ასევე იყო ნაჩუქარი მასალების და ტექნიკის მიმართ გაუფრთხილებელი და არაპროფესიონალური მოპყრობის მაგალითებიც, რამაც ისინი უვარგისი გახადა. სხვათა შორის, თავად თავდაცვის სამინისტროში ჩატარდა რამდენიმე მოკვლევა, რომლებმაც ასეთი ფაქტები აღმოაჩინა. მათ საფუძველზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმეები.

— ხშირად საქართველოში მოღვაწე უცხოელი სამხედრო ატაშეები სინანულით აღნიშნავენ, რომ მათი ქვეყნების მიერ ნაჩუქარი სამხედრო ფორმები თუ ჭურჭელი ბაზარში იყიდება. შეეფერება ეს სიმართლეს თუ არა?

— ჩვენ ასეთი ფაქტები არ დაგვიფიქსირებია, თუმცა ზოგიერთ სამხედრო ნაწილში მეგობარი ქვეყნების ნაჩუქარი მატერიალური ფასეულობის ნაკლებობა და არასწორი მარკირება აღმოვაჩინეთ. სხვათა შორის, „კვირის პალიტრის“ წინა ნომერში წერდით, რომ ჩინეთის ნაჩუქარი თეთრეული სამხედრო ნაწილებიდან ქრება. ჩვენმა სამსახურმა რეაგირება მოახდინა ამ სტატიაზე, დავიწყეთ გამოკვლევა, თუ რამდენად მიზნობრივად გამოიყენებოდა ეს ჩინური ზეწრები. ჯერ არ დაგვიმთავრებია ძიება, მაგრამ უკვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ თავდაცვის სამინისტროს ცენტრალურ საწყობსა და რამდენიმე სამხედრო ნაწილში ამ ზეწრების მარკირება შესაბამისი დოკუმენტების მიხედვით არ არის გაკეთებული, რაც მათი „უგზო-უკვლოდ“ დაკარგვის შესანიშნავ საშუალებას იძლევა.

— ეს შეეშალათ თუ შეგნებულად არის გაკეთებული?

— შეუგნებლად ამას ვერ გააკეთებდნენ. ახლა ვიკვლევთ მათ დანაკლისს. საქმეს ის ართულებს, რომ თავდაცვის სამინისტროს გაურეცხავი თეთრეული აქვს დაგროვილი, ამიტომ ისედაც ყვითელი ფერის ჩინური ზეწრების გამოცალკევება და აღრიცხვა ჭირს.

— აშშ-ის მიერ დაგეგმილი „წვრთნისა და აღჭურვის“ 64-მილიონდოლარიანი დახმარების პროგრამა რამდენად ეფექტიანი იქნება ჩვენი არმიისათვის?

— ეს პროგრამა კომპლექსური სახის დახმარებას ითვალისწინებს და ცალკეულ დახმარებებზე ბევრად უფრო ეფექტიანი უნდა გახდეს, გინდ ფულადი და რაც მთავარია, მოსალოდნელი შედეგების მიხედვით. ქართული არმიის რიცხობრიობიდან გამომდინარე, ორი ათასამდე სამხედრო მოსამსახურის სრულად აღჭურვა და შესაბამისად მომზადება ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას მნიშვნელოვნად აამაღლებს და შეიძლება განხილულ იქნეს მომავალი მთლიანად პროფესიონალური ქართული არმიის ჩამოყალიბების დასაწყისად. თუ წარმატებით დასრულდება ეს პროგრამა, ის შემდგომშიც გაგრძელდება. მაგრამ ერთი უნდა გავითავისოთ — ჩვენს გასაკეთებელს სხვა არავინ გააკეთებს. ჩვენი შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობამ სრულყოფილად უნდა შეასრულოს ყველა პირობა, რათა პროგრამის დამთავრებისთანავე თვითონვე შეძლოთ ამ კონტინგენტთან მაქსიმალური ინტენსივობის მეცადინეობის გაგრძელება.

— რამდენად ეფექტიანად მიმდინარეობს საბრძოლო მომზადება მთელ სამხედრო ძალებში?

— მწირი სამხედრო ბიუჯეტის გამო სრულყოფილი საბრძოლო მომზადება დანაყოფებში, რა თქმა უნდა, არ მიმდინარეობს. თუკი ჯარისკაცი



ჩაუცმელი და ნახევრად მშიერი იქნება და არ ექნება საწვავი საბრძოლო ტექნიკის ასამუშავებლად (ელემენტარულად, ავტომატების გასაწმენდი ზეთი რომ მაინც იყოს იარაღის ოთახებში!), მაშინ არანაირ საბრძოლო მომზადებაზე ლაპარაკიც არ ღირს. თუმცა, მიმაჩნია, რომ დღეისათვის ამ მწირი დაფინანსებითაც შეიძლებოდა შენაერთების უკეთეს დონეზე საბრძოლო მომზადება.

— რა უჭირს ქართველ ჯარისკაცს ყველაზე მეტად?

— მიუხედავად იმისა, რომ შარშან, მაისიდან ჯარისკაცების კვება შედარებით გამოსწორდა, იგი მაინც არადამაკმაყოფილებელია. ყველაზე რთული ჯარის გამოზამთრება გახდა, რადგან ჯარისკაცების დიდ ნაწილს არ გააჩნია თბილი ქურთუკები. რამდენიმე საათი გარეთ, სიცივეში გაშვებული უქურთუკო ჯარისკაცი აბა, რომელ საბრძოლო მომზადებაზე იფიქრებს?

— დეზერტირების რიცხვი ხომ არ გაზრდილა?

— ჯერ კიდევ საკმაოდაა ნაწილების თვითნებურად მიტოვების ფაქტები.

— რამ განაპირობა გორის სასწავლო ცენტრის 41 ჯარისკაცის გაქცევა კრწანისის პოლიგონიდან? ნუთუ მათ ეს მხოლოდ დიდი ფიზიკური დატვირთვისთვის თავის ასარიდებლად გააკეთეს, როგორც ამას თავდაცვის სამინისტროში აცხადებენ?

— მარტო დამატებით ფიზიკურ დატვირთვას ნუ დავაბრალებთ ამ ჯარისკაცების პოლიგონიდან გაქცევას და საკუთარ ნაწილში დაბრუნებას. სწავლების ადგილზე ელემენტარული საყოფაცხოვრებო პირობებიც კი არ ჰქონდათ. თუმცა, მათი გამართლება მაინც არ შემიძლია. ნურც იმას დავივიწყებთ, რომ ქართველ ჯარისკაცს ნამდვილად არა აქვს ისეთი ფიზიკური და საბრძოლო მომზადების დატვირთვა, როგორც ეს ბევრ სხვა არმიაშია.

— რომელი უწყების სამხედრო დანაყოფებიდან უფრო გარბიან ჯარისკაცები — თავდაცვის სამინისტროს, შინაგანი თუ სასაზღვრო ჯარებიდან?

— სტატისტიკის თანახმად, თავდაცვის სამინისტროს დანაყოფებიდან.

— ხომ არ ყოფილა ქართული სამხედრო ძალების დანაყოფებიდან იარაღის გაყიდვის (თუნდაც პანკისში) ფაქტები?

— ჩვენს სამსახურს არ ევალება იარაღის გაყიდვის ფაქტების დაფიქსირება. ჩვენ უშუალოდ სამხედრო ნაწილებში აღვწერთ იარაღის რაოდენობასა და სახეობებს. თუკი დანაკლისი აღმოჩნდება, მაშინ საქმე კომპეტენტურ ორგანოებს გადაეცემა.

— რამდენად გავრცელებულია არასაწესდებო ურთიერთობები („დედოვშჩინა“, კუთხურობა და სხვ.) ქართულ ყაზარმებში?

— ჩვენდა სამწუხაროდ, ასეთი არასაწესდებო, უფრო სწორად, „ქუჩური ურთიერთობები“ ჯარში დღეისათვის ჯერ კიდევ არსებობს და არც მათი აღმოფხვრის დაწყების ტენდენცია შეინიშნება. სიტუაცია საკმაოდ რთულია, თუნდაც იმიტომ, რომ ჯარში საკმაოდ არიან მეთაურები, რომლებსაც არ გააჩნიათ აღმზრდელობითი მუშაობის არც გამოცდილება და არც შესაბამისი განათლება. მათ, ასე ვთქვათ, თავი აქვთ შეფარებული ჯარისთვის და იქიდან საზრდოობენ. ამ ტიპის ე.წ. მეთაურებს გარკვეულწილად, ხელს აძლევთ ყაზარმებში „ქუჩური ურთიერთობების“ დამყარება, რათა ნაკლები ძალა და ენერგია დახარჯონ თავისი ნამდვილი მოვალეობის შესასრულებლად. ჩვენდა სამარცხვინოდ, საბჭოთა არმიის გადმონაშთი „ზემლიაჩესტვო“, ანუ კუთხურობა ეროვნულ ჯარში არ უნდა გვქონოდა. ისე, ნებისმიერი ქვეყნის არმიაში არსებობს არასაწესდებო ურთიერთობები, მაგრამ მისი მართვა შეიძლება, თუ ყველა — დაწყებული ბრიგადის, ბატალიონის და, დამთავრებული ოცეულის მეთაურით, თავის სიმაღლეზე დადგება. თუმცა ჩვენს არმიაში თავი იჩინა დაუსჯელობის სინდრომმა, როდესაც დანაშაულის ჩამდენმა ამა თუ იმ მეთაურმა კარგად იცის, რომ დაუსჯელი დარჩება სამხედრო იერარქიის უმაღლეს ეშელონებში მყოფი მეგობრების ხელშეწყობით. ყოველდღიური სამოქალაქო ცხოვრების ელემენტების შეტანა არმიაში დამღუპველია. სამხედრო საქმეში მეთაურმა ერთნაირად უნდა მოსთხოვოს ყველა ხელქვეითს — მეგობარსაც და უცნობსაც.

— მთავარ ყურადღება ყოველთვის ჯარისკაცების გაჭირვებაზეა ხოლმე გადატანილი, თუმცა დალხინებული არც ქართველი ოფიცრები (იგულისხმება პატიოსნები) არიან.

— პარადოქსია და სატირალი ის მდგომარეობა, როდესაც ზოგ საბიუჯეტო სამოქალაქო დაწესებულებაში ხალხი იღებს ხელფასს 300-700 ლარის ოდენობით, ხოლო ბრიგადის მეთაური, რომელსაც ომის პერიოდში დაქვემდებარებაში უნდა ჰყავდეს 2000-2500 კაცი, 120-130 ლარზე მეტს ვერ იღებს. როგორ შეიძლება სახელმწიფომ ასეთი მწირი ხელფასის იმედად დატოვოს ის, ვისაც ასეულობით ადამიანის სიცოცხლე აბარია!

აქაც პრიორიტეტებია განსაზღვრული, თუ პირველ რიგში ვის უნდა მოემატოს ხელფასი.

ᲝᲛᲘ ᲐᲮᲚᲝ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲨᲘ: ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘ ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲛᲐ ᲩᲐᲣᲤᲨᲣᲨᲐ

ნახევარსაუკუნოვან სამხედრო-პოლიტიკურ მოკავშირეებს — აშშ-სა და ისრაელს შორის მალე შეიძლება შავმა კატამ გაირბინოს. ყველაფრის მიზეზი კი ებრაელების მიერ მდ. იორდანეს მარცხენა სანაპიროზე დაწყებული ფართომასშტაბიანი ანტიტერორისტული (უფრო სწორად, კი წმინდა საბრძოლო) ოპერაციაა.

ათწლეულების განმავლობაში ვაშინგტონის მიერ „ნაკვებმა“ იერუსალიმმა, ბოლოს და ბოლოს, აღარ დაუჯერა თეთრ სახლს და ტანკებით გაილაშქრა პალესტინელი ტერორისტი-კამიკაძეების სულიერ ლიდერებზე.

არადა აშშ-ის ხელმძღვანელობას სწორედ ახლა არაფრის დიდებით არ უნდოდა მდგომარეობა დაძაბულიყო ებრაელებსა და პალესტინელებს შორის, რადგან ოფიციალურ ვაშინგტონს სურდა თავისი, იმ სტრატეგიული გეგმის გაგრძელება, რომელიც ავღანეთში დაიწყო და შემდეგ რამდენიმე ქვეყნის ტერიტორიაზეც უნდა განხორციელებულიყო, პირველ რიგში კი ერაყის წინააღმდეგ.

ცნობილია, რომ სადამ ჰუსეინი, მამა ბუშისაგან დარიგებულ აშშ-ის დღევანდელ პრეზიდენტს გულზე არ ეხატება.

ბუში-უმცროსი თავად და თავისივე ადმინისტრაციის დახმარებით, ბოლო ორი თვე გულმოდგინედ ცდილობდა საერთაშორისო აზრის შექმნას და, რაც მთავარია, წამყვანი ქვეყნების თავის ჭკუაზე „გადაყვანას“, რათა დაწყებულიყო ოპერაცია ერაყში სადამ ჰუსეინის ხელისუფლების ძალისმიერი გზით შესაცვლელად.

ახლა კი, როდესაც ისრაელის სადამსჯელო ოპერაციების შემდეგ ევროპის ბევრ ქვეყანაში პალესტინელების მხარდასაჭერად სახალხო დემონსტრაციები იმართება, ამერიკას ნამდვილად გაუჭირდება ერაყის წინააღმდეგ ბრძოლაში დასავლეთ ევროპის ქვეყნების ხელისუფალთა ჩათრევა.

ერაყი კი თეთრ სახლს ნავთობის გამო ძვალივით ყელში აქვს გაჩხერილი. XX საუკუნის დასაწყისში, ისევე როგორც გასულ საუკუნეში, ენერგომატარებლების ქონას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. ერაყი კი მსოფლიოში საუკეთესო ხარისხის ნავთობის ერთ-ერთი მსხვილი მფლობელია. აშშ-ის დაჟინებით გაერომ დიდი ხანია გამოაცხადა ერაყიდან ნავთობის ექსპორტზე ემბარგო (მცირე რაოდენობით მსოფლიო ბაზარზე გატანილი ნავთობის საფასურად ბაღდადი მხოლოდ ჰუმანიტარულ ტვირთს იღებს). 12 წლის წინ ქუვეითში შეჭრის გამო ერაყი, მართალია, აგრესორად გამოაცხადეს, მაგრამ განვლილ პერიოდში და განსაკუთრებით ბოლო ხანს, ევროპის ზოგიერთი ქვეყანაც და რუსეთიც აქტიურად მოითხოვენ ერაყისათვის გაეროს სანქციების მოხსნას, რისი კატეგორიული წინააღმდეგიც არის თეთრი სახლი.

თავის მხრივ, სადამ ჰუსეინი სრულ მხარდაჭერას უცხადებს პალესტინელებს და მათ ლიდერს — არაფატს 10 მილიონი ევროს ერთჯერადი დახმარების გამოყოფას ჰპირდება, ხოლო ინტიფადის დროს დალუპული თითოეული პალესტინელის ოჯახს — 25 ათას დოლარს.

თუკი ისრაელმა კვლავ აქტიურად გააგრძელა სადამსჯელო ოპერაციები პალესტინელებით დასახლებულ პუნქტებში (თუმცა ებრაელები კარგად ხვდებიან, რომ მათ ქალაქებში პალესტინელები ტერორისტულ აფეთქებებს არც მას შემდეგ შეწყვეტენ, ისრაელმა თავისი ყველა ტანკიც რომ გაიყვანოს მდ. იორდანეს მარცხენა სანაპიროდან), თეთრი სახლი კვლავ დაგმობს ებრაელების საქციელს. არ არის გამორიცხული, ერთ მშვენიერ დღეს მეზობელი არაბული ქვეყნები (პირველ რიგში სირია და იორდანია) ჩაერთონ საბრძოლო მოქმედებებში პალესტინელების მხარეზე.

ახალი, ახლო აღმოსავლეთის ომი, ამერიკისა არ იყოს, არც საქართველოს უნდა აწყობდეს, რადგან დასავლეთის მთავარი ყურადღება ამ რეგიონში გადაინაცვლებს, ხოლო სამხრეთ კავკასიის ქვეყნების პოლიტიკური ორიენტაციის საბოლოო გამორკვევა კვლავ სახიფათოდ გაჭანჭყლდება.

არსენალი

«ᲑᲐᲠᲔᲢᲘ» ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲡᲞᲔᲪᲠᲐᲖᲛᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲘᲐᲠᲐᲦᲔᲑᲐᲨᲘ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲔᲡ

ამერიკული დახმარების, „წვრთნისა და აღჭურვის პროგრამის“ თანახმად, ქართული სპეცრაზმები მსუბუქ შეიარაღებასაც მიიღებენ. ჯერჯერობით, დაწვრილებით არ არის ცნობილი, თუ რა ტიპისა იქნება ის, თუმცა ლაპარაკი მხოლოდ ცეცხლსასროლ იარაღზე შეიძლება.

რუბრიკა „არსენალი“ ეცდება, მკითხველს ინფორმაცია მიაწოდოს გადმოცემული შეიარაღების შესახებ. ამჯერად კი იმ იარაღის ტიპზე მოგახსენებთ, რომელიც, სავარაუდოა, გამოჩნდეს ქართველი სპეცრაზმელების არსენალში.

„Barett M82A2“ მსხვილკალიბრიანი თვითდამტენი სნაიპერული შაშხანაა, რომლითაც სპეცრაზმელები მხოლოდ მოწინააღმდეგის სნაიპერებს როდი ებრძვიან. ამ მრისხანე შაშხანას შეუძლია თითქმის ორი კმ-ის დაშორებით მდგარი თვითმფრინავების მწყობრიდან გამოყვანა, ტაქტიკური რაკეტების დაზიანება, რადიოლოკაციური სადგურების ანტენების დამსხვრევა.

როგორც ხედავთ, იგი საუკეთესო საშუალებაა მოწინააღმდეგის ღრმა ზურგში გადასროლილი მცირერიცხოვანი დივერსიული ჯგუფის მიერ საბრძოლო ამოცანის შესასრულებლად. თუმცა ამ შაშხანას წმინდა თავდაცვითი ფუნქციებიც აქვს — აუფეთქებელ საავიაციო ბომბებთან ახლო მისვლა ძალზე სახიფათოა (ამგვარი ტრაგიკული შედეგი მოჰყვა აფხაზეთის ომში სოხუმში რუსული საავიაციო ბომბის აფეთქებას — მან შეიწირა მის გასაუვნებლად მისული 8 მენაღმის და 4 ჟურნალისტის სიცოცხლე). „ბარეტით“ კი კარგი მსროლელი ბომბს ერთი კმ-დან გაარტყამს და მის დეტონაციას გამოიწვევს.

„ბარეტის“ ახალი მოდიფიკაციის მიღებას შეიარაღებაში პენტაგონი დღეს დღეზე აპირებს. 50 კალიბრის ნახევრად ავტომატური სნაიპერული შაშხანის სახელით (ამერიკელების 50-ე კალიბრი დანარჩენ მსოფლიოში 12,7 მმ-ს შეესაბამება).

საგულისხმოა, რომ პენტაგონის მიერ მოწონებული მსხვილკალიბრიანი შაშხანა გამოიგონა ერთმა ჩვეულებრივმა ფოტოგრაფმა რონი ბარეტმა. მას თურმე

ნახაზებისა ბევრი არაფერი გაეგებოდა, მაგრამ მოცალეობისას ჩხირკედელაობა ეხალისებოდა. 1981 წელს ბარეტმა თავისი მრისხანე შაშხანის პირველი ნიმუში შექმნა. იარაღის თითოეული ეგზემპლარის დამზადება 6,5 ათასი დოლარი უჯდებოდა, მაშინ, როდესაც 3.700-ზე მეტად ვერ ყიდდა.

ბარეტის ბიზნესს კრახი ვერ ასცდებოდა, რომ მისი მსხვილკალიბრიანი შაშხანით — იმ დროისათვის უჩვეულო იარაღის სახეობით — თვით უცნობილესი ფირმა-გიგანტი „მაკდონელ დუგლასი“ არ დაინტერესებულიყო. შაშხანა ის იყო, სხვას უნდა ჩაეგდო ხელში, რომ მისმა კონსტრუქტორმა მოახერხა ცოტაოდენი ფულის შოვნა და საკუთარი ფირმა შექმნა შაშხანის სერიულად გამოსაშვებად.

პირველი ასი ეგზემპლარი 1989 წელს შვეიცარიაში გაიყიდა. ბარეტის იარაღმა ნამდვილი აღიარება პოვა სპარსეთის ყურეში მიმდინარე ოპერაციის, „უდაბნოს ქარიშხალი“, დროს. 125 შაშხანა წარმატებით გამოსცადეს საუდის არაბეთის უდაბნოში. ამის შემდეგ იგი შეიარაღებაში მიიღო აშშ-ის საზღვაო ქვეითთა კორპუსმა.

სულ ბარეტის შაშხანა ექვსი მოდიფიკაციისაა. ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან ძირითადად ლულის სისქითა და ვაზნების რაოდენობით. საპოლიციო ოპერაციების დროს სამართალდამცავებს ერთვაზნიანი მსუბუქლულიანი „ბარეტიც“ ხელს აძლევთ, რადგან მას შეუძლია ერთი გასროლით გააუვნებელყოს სამშალო სისქის კედლის უკან თავშეფარებული დამნაშავე. სამხედრო ოპერაციების დროს კი სპეცრაზმელებს ხუთვაზნიანი კოლოფის მქონე, სქელლულიანი, ნახევრად ავტომატური, მსხვილკალიბრიანი სნაიპერული შაშხანების გამოყენება ურჩევნიათ — თვითდატენვის მექანიზმი ზრდის შაშხანის სწრაფ სროლას, რასაც ორთაბრძოლის დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა.

ჩვენი თავდაცვის სამინისტროს სპეცრაზმელების შეიარაღებაში არანაკლებ 4 ჩეხური მსხვილკალიბრიანი (12,7მმ) „ფალკონის“ ტიპის სნაიპერული შაშხანა უნდა იყოს. თუკი მათ ანალოგიური კლასის ამერიკული „ბარეტებიც“ დაემატება, ეს მნიშვნელოვნად გაზრდის ქართული სპეცრაზმელების საცეცხლე შესაძლებლობებს, განსაკუთრებით 1-2 კმ-ის დისტანციაზე, როგორც ანტიტერორისტული, ისე დივერსიული საბრძოლო ამოცანების გადაწყვეტის თვალსაზრისით.

რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა

ჩახვალ თბილისში, მოძებნი მირიანს და შეგლარს და – დახოცავ...

გვიანი ღამე იყო და სახლის სახურავზე ისე ავიდა, არავის შეუნიშნავს. წინა დღეს ჩაიფიქრა ამ საქმის დასრულება, მაგრამ უცხო ქალაქში იყო და არ უნდოდა შეცდომა დაეშვა. გადაწყვეტილება მხოლოდ მას შემდეგ მიიღო, როცა საბოლოოდ დარწმუნდა მისამართის სისწორეში. ისიც საკუთარი თვალით ნახა, როგორ გაჩერდა სადარბაზოსთან შავი „ვოლგა“, რომლის ნომერიც აგერ ორი კვირაა სულ თავში უტრიალებდა. იქიდან კი სწორედ ის კაცი გადმოვიდა, ფოტოზე რომ ჰყავდა ნანახი. კაცი სადარბაზოში შევიდა და რამდენიმე წუთის შემდეგ ბინა მეხუთე სართულზე ერთბაშად განათდა.

— ყველაფერი რიგზეა, — ფიქრობდა თავისთვის, — ახლა მხოლოდ ისღა დაგვრჩენია, ისე შევიპარო, რომ ვერაფერი იყნოსოს. შესასვლელი კარიდან შელწევაზე ფიქრიც ზედმეტია. სამაგიეროდ, ფანჯრები მრავლადაა. საქმეს ცოტა ის ართულებს, რომ ყველას რკინის გისოსები აქვს. თუმცა რა პრობლემაა... ახლა ბინის პატრონის დაძინებას დაუცდის, შემდეგ კი მინიატურული შესადულებელი აპარატით, რომელიც სწორედ ამ შემთხვევისათვის ჩანთაში უდევს, ტუალეტის სარკმელს გისოსს ჩამოჭრის. მერე ბინაში შეაღწევს. იქ უკვე მდგომარეობის ბატონ-პატრონი თვითონ იქნება. კაცთან ერთი-ერთზე „საუბარი“ მას არასოდეს გასჭირვებია, თუმცა იცის, რომ ბინის პატრონი, აქაური ხილ-ბოსტნეულის ბაზის მმართველი გრიგორი ნიკოლაევიჩი თვითონაც ერთი ახვარი ვინმეა, გაურკვეველი წარსულისა და ასეთივე წარმომავლობის ქურდი და მამაძაღლი, რომელსაც ჭკუა ეყო და კვალიფიკაცია იმდენად აიმაღლა, რომ თავი დაანება კერძო პირების ძარცვას და ახლა სახელმწიფოს ჯიბეში აფათურებს ხელს. — მეტად ვერაგი და დაუნდობელი კაცია. გარეგნობითაც დათვს წააგავს, იცოდე, არ დაგზოგავსო, — გააფრთხილეს საქმეზე წასვლის წინ.

თვითონ ტოლია ერთი კაფანდარა, საშუალოზე დაბალი „კრასავჩიკი“ გახლდათ, რომელსაც საბალეტო სტუდიაში მუშაობა უფრო შეეფერებოდა, ვიდრე ყაჩაღობა ან ბანდიტობა. ასეც იყო, რუსული ბალეტის ამომავალი ვარსკვლავი გვეზრდებაო, — ამტკიცებდნენ მისი პედაგოგები, მაგრამ თხუთმეტი წლისაც არ იყო, მკვლელობისთვის ციხეში რომ მოხვდა და დიდ ბალეტზე ოცნებაც დასრულდა. სამაგიეროდ, იქ, კოლონიაში, ჩაიკოვსკის „მაკნატუნა“ დადგა და რაკი გოგონა არ ჰყავდათ, თვითონვე იცეკვა პრინცესას პარტია. პატიმრებს რომ არ სცოდნოდათ, უცხო თვალი ვერც შეამჩნევდა, რომ ჰაეროვანი გოგონას როლს ბიჭი ასრულებდა. მაშინ მას კიდევ სჯეროდა, რომ სასჯელის მოხდის შემდეგ გააგრძელებდა სრულყოფას, მაგრამ ციხიდან იმ ასაკისა გამოვიდა, როცა ბალეტის უკვე აღიარებული ოსტატები პენსიაში მიდიან და მანაც ხელი ჩაიქნია. ცხოვრება პირველი შეცდომის კვალდაკვალ გრძელდებოდა და დღესაც იმავეს იმეორებდა. ოღონდ ეს უკვე შეცდომა კი არა, ზრდასრული კაცის შეგნებული მოქმედება გახლდათ...

ფიქრში იმდენი დრო გავიდა, ბინის პატრონმა ალბათ დაიძინა კიდეც. მართალია, სახურავიდან არ ჩანს, შუქი გამორთო თუ არა, მაგრამ ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს, ტუალეტში შუქი ხომ გამორთული იქნება. თოკი სახურავზე ამოშვერილ სავენტილაციო მილს ჩააბა და როცა დარწმუნდა, რომ მოპირდაპირე სახლში ყველამ დაიძინა და ქუჩაშიც შეწყდა მოძრაობა, ნელ-ნელა დაეშვა. მეცხრე, მერვე, მეშვიდე, მეექვსე... და აი ისიც, მეხუთე სართულის ტუალეტის სარკმელი — ან მართლა დიდი სიმდიდრე ინახება ამ ბინაში, ანდა უბრალოდ მეტისმეტად მფრთხალია ეს ჩვენი გრიგორი ნიკოლაევიჩი. არც ერთ მობინადრეს გისოსი არ აქვს სარკმლებზე, რაღა ამან „ჩააწება“ — აქ ხომ ბავშვის მეტი ვერავინ შეეტევა. კი, მეც გავძვრები, მაგრამ მე ხომ ერთადერთი ვარ, ანატოლი ბეცი, მინიატურული სხეულის პატრონი, — გაიფიქრა და ლითონის საჭრელი მოიმარჯვა, მაგრამ... საჭრელი ლითონს ვერაფერს აკლებდა. რა გაეწყობა, მართალია, ცარიელი ხელებით მოუწევს უკან გაბრუნება, რასაც ნაჩვევი არაა, მაგრამ... მოთმინება, მოთმინება, გონება ერთბაშად გაუნათდა. გაახსენდა, რომ იქ, ციხეში, როცა პატიმრებმა გარეთმყოფების იმედით ბუნტი წამოიწყეს, გისოსებს ბაგირი გამოაბეს და სატვირთო ავტომანქანით გაქაჩეს. რატომ არ შეიძლება აქაც იგივე გავიმეოროთ. მართალია, ცოტა მაღალზეა და ამიტომ უფრო გრძელი ბაგირი დასჭირდება, მაგრამ თუ ის მართალია, რასაც ამ კაცის სიმდიდრეზე ჰყვებიან, მაშინ ჩიტი ბდღვნად ღირს.

როგორც თვითონ ეძახდა, თავის „ერთჯერად“ მანქანაში დაბრუნდა. ამ ჯაბანასით მეორედ აღარ წავიდოდა საქმეზე. საქმეს რომ მოითავებს, სადმე გზაში დააგდებს, გაეცლება, მილიციელები კი გაიხსენებენ — ჩვენი ოპერატიული და საზრიანი მოქმედებით, მილებული ოპერატიული ინფორმაციის შედეგად გატაცებული მანქანა აღმოვაჩინეთო...

მეორე დღეს საღამომდე ბაგირიც იშოვა და სატვირთო ავტომანქანის მძღოლსაც მოელაპარაკა — გამთენიისას მეზობელი რაიონიდან ახალდაკლული ღორები უნდა ჩამოვიტანო ბაზარში და თუ კაცი ხარ, ღამით ტაქსს ნუ მაძებინებ, ამა და ამ ადგილზე მოდი და ზუსტად სამ საათზე ქუჩაში დაგხვდებიო. ნდობა რომ მოეპოვებინა, ფულის ნაწილი წინასწარ გადაუხადა.

გრიგორი ნიკოლაევიჩი გუშინდელივით მარტო დაბრუნდა შინ. სხვა შემთხვევაში, თუ „მასპინძელს“ სტუმარიც მოჰყვებოდა, მოქმედების კორექტირება მოუწევდა. ახლა კი წუხანდელივით გვიან ავიდა სახურავზე. რა თქმა უნდა, ბაგირის თრევა უჭირდა, მაგრამ სახურავი ლიფტიდან ერთი ხელის გაწვდენაზე იყო. მას კი ბაგირი ორ ნაწილად — ცალ-ცალკე ჩანთებში ჰქონდა ჩადებული და ამან საქმე გაუიოლა. ღამის სამი საათისთვის, როცა უკვე ყველაფერი მზად ჰქონდა, სატვირთოც მოვიდა. ანატოლი ფაცხაფუცხით შეხტა კაბინაში. შოფერი პუნქტუალურობისთვის შეაქო და წავედითო, მაგრამ მაშინვე შეაჩერა — არა, არა, არ გაინძრე, საქონლის მისაღები მინდობილობა დამრჩაო და მანქანიდან ჩამოხტა. შოფრის დასანახავად ერთ სადარბაზოში შევიდა. მერე კი მალულად მეორიდან გამოძვრა, ბაგირი სატვირთოს გამოაბა და სახურავისკენ გასწია.

შოფერი დიდხანს ელოდა, მერე კი მოთმინება გამოელია, „კლიენტს“ გვარიანად შეუკურთხა, მანქანა ერთბაშად მოწყვიტა ადგილიდან. წამიც და ტუალეტის გისოსმა სადღაც ქუჩის მეორე მხარეს მოადინა ზღართანი. მაგრამ, რაკი ამას სატვირთოს მძლავრი მოტორის ხმაურიც ახლდა, ქუჩის მცხოვრებთაგან არავის მიუქცევია ყურადღება. ანატოლი კი წამში დაეშვა თოკით, ახლა უკვე უგისოსო სარკმელთან და რამდენიმე წამის შემდეგ ტუალეტში იყო. ცოტა შეისვენა, მიაყურადა. ბინაში ჩამიჩუმი არ ისმოდა. მაშასადამე, მასპინძელმა ვერაფერი გაიგო. საძინებლის მიგნება არ გასჭირვებია, — ის ოთახი იყო, კარის ღრიჭოდან შუქი რომ გამოკრთოდა. კარი ფრთხილად გააღო და შეცბა... მართლა დათვივით ბანჯგვლიან დედიშობილა მამაკაცს ასევე შიშველი აფროდიტე ეწვა გვერდით. ამას უფრთხოდა და მაინც ვერ ასცდა. თუ იარაღზე მიდგებოდა საქმე, ორივენი უნდა დახოცოს?

— კაცი, კი ბატონო, თუ იღორებს, ტყვიას მივაჭედებ შუბლში, მაგრამ ამ ქალის სასიკვდილოდ გამეტება გამიჭირდება, — გაიფიქრა თავისთვის და ისიც გაახსენდა, რომ ექვსივე მოკლული, რისთვისაც ის დღემდე იძებნება, მამაკაცი იყო. ქალის სისხლით მას, ჯერჯერობით, ხელი არ გაუსვრია. მაგრამ ამას თუ ცოცხალს დატოვებს, თვითონაც მეტი საფრთხის წინაშე დადგება. მარჯვენათი იარაღი იძრო. მარცხენა კი ქალს პირზე დააფარა და ანიშნა, ხმა არ ამოეღო. ქალი არც გატოკებულა. მის ნებას დაჰყვა, საწოლიდან უხმაუროდ წამოდგა და ხალათი მოიხურა. ტოლიამ საძინებელი შიგნიდან ჩაკეტა და გასაღები ჯიბეში ჩაიდო.

— შენ გეუბნები, ახვარო, გაიღვიძე! შენი აღსასრული მოვიდა, — ჩასძახა მძინარე გრიგორი ნიკოლაევიჩს და უკან დაიხია. მასპინძელმა თვალი გაახილა თუ არა, აფთარივით წამოვარდა ლოგინიდან. წამიც და ანატოლის მისწვდებოდა და ალბათ ერთიანად დაფშვნიდა წიწილასავით ძვალსუსტ თავდამსხმელს, მაგრამ ბეცის ხელში მაყუჩაინმა პისტოლეტმა გაიტკაცუნა და ბარძაყის ძვალგადმსხვრეული გრიგორი ნიკოლაევიჩი საწოლზე დავარდა მოსხლეტით. ცოტაც და საწოლი სისხლით გაივსო, ანატოლი არ ჩქარობდა, მშვიდად შესცქეროდა ქალს. მოეჩვენა, რომ ლამაზმანი სულაც არ გაწირწმატებულა ამ ამბის გამო. პირიქით, მის სახეზე მომხდარის გამო ერთგვარი კმაყოფილებაც კი ამოიკითხა და მასპინძელს მიუბრუნდა.

— ბიძაჩემო, ახლა თუ შენ იწილო-ბიწილოს დამიწყებ, იძულებული ვიქნები, საიქიოს გაგისტუმრო. ფული და ძვირფასეულობა... ერთი ბეჭედიც არ დააკლდეს, თორემ!.. — ეს სიტყვები ისეთი ტონით წარმოთქვა, რომ მასპინძელმა უმალვე ირწმუნა, სიტყვას საქმეს მოაყოლებსო.

— ფეხი გადამიხვიეთ, თორემ სისხლისგან დავიცლები. სეიფს კი კოდის გარეშე სატანაც ვერ გახსნის. უმჯობესია, ჩემი სიცოცხლისთვის იზრუნოთ, — რატომღაც ორივეს ერთად მიმართა ტკივილისგან დაღრეჯილი სახით და ანატოლი, პროფესიონალი ბანდიტი და ყაჩაღი, რომელიც სოლიდური გასამრჯელოს ფასად არც სხვების შეკვეთით ხალხის ხოცვას თაკილობდა, ლამაზმანთან ერთად მისთვის უჩვეულო საქმეს — ჭრილობის გადახვევას შეუდგა და საკუთარი თავი იმაშიც დაიჭირა, რომ ძალიან სიამოვნებდა ეს პროცედურა, ოღონდ ლამაზმანის კამპანიაში.

— დამასწრეს გველებმა, — როცა სისხლდენა შეუჩერდა, წაისისინა გრიგორი ნიკოლაევიჩმა, — გიცნობ, ანატოლი, და ნუ გაგიკვირდება თუ გეტყვი, რომ რამდენიმე თვეა გეძებ. მინდოდა, ის გარეწრები დაგეხოცა, ვისი მითითებითაც ჩემთან მოხვედი. თუმცა ჯერ ყველაფერი არ დამთავრებულა. შენ აწიც შეძლებ ჩემი შეკვეთის შესრულებას... მიდი, სეიფთან, კოდს მე გიკარნახებ. გაიღო ხომ, გეყოფა? როგორ გგონია, ვგავარ იმ კაცს, ვინც ასე იოლად იმეტებს ამდენ სიმდიდრეს? არა, ხომ?..

ანატოლი ბეცი თვალებს არ უჯერებდა: დიდძალი ფულის გარდა, სეიფში იმდენი ოქროული და ბრილიანტი იყო, ერთი ოჯახის რამდენიმე თაობას რომ შეინახავდა.

— კიდევ რა გინდა? ჩემი სიკვდილი? კი, ბატონო, მაგრამ მაშინ ანიაც უნდა მოკლა. შენ კი ის უკვე შეგიყვარდა და ამას ვერ იზამ. აი, რას გთავაზობ: მისამართებს მოგცემ. ჩახვალ თბილისში და მოძებნი მირიან აბუთიძეს და ბეგლარ სიაურს (გვარები შეცვლილია — ვ.გ), დახოცავ მათ. სამაგიეროდ, მილიონ მანეთს მიიღებ. ხოლო იმისათვის, რომ მენდო, აი, რა უნდა გააკეთო. შენ ხომ მაგ სეიფს დაცლი და ალბათ მეტს არც არაფერს მოითხოვ. კი ბატონო, თუ გინდა ეძებე, მაგრამ ამ ბინაში აბაზიანსაც ვერ იპოვი... მაგრამ ამ სეიფის მასიური კარი ფულითაა სავსე და შეგიძლია ამწუთას წაიღო. საამისოდ მხოლოდ სამზარეულოს დანა დაგჭირდება. მისი წვერით მოხსნი შიგნითა საფარს, თუმცა მას არ ეტყობა, რომ ორმაგია. ახლა გჯერა ჩემი?

ანატოლი ასეც მოიქცა, მერე „მასპინძლისაკენ“ შებრუნდა — „თბილისის მისამართები“ — გამოართვა და წასასვლელად მოემზადა.

— ესენი უნდა გავჩხრიკოთ, — მგზავრების გასაგონად უთხრა უფროსმა მის ხელქვეითს და მანქანიდან გადმოსვლას შეუცადა, მაგრამ ანატოლიმ ერთბაშად იარაღი იძრო და... აბა, აწი გამჩხრიკეთ, თქვენი დედაო და... ყველაფერი უცებ დამთავრდა: ორივე მილიციელი უსულოდ დაეცა ასფალტზე. ახლა ქალაქის სასწრაფოდ დატოვება იყო საჭირო. ანატოლიმ იცოდა, რომ მატარებლებში დაუწყებდნენ ძებნას. ქალს მისი ოდესელი მეგობრის მისამართი მისცა და რკინიგზის სადგურთან დატოვა. თვითონ კი ხან მანქანით იმგზავრა, ხან მოგზაურ ველოსიპედისტად ასაღებდა თავს და ასე მიაღწია ანკამდე. თბილისში რომ ჩამოვიდნენ, ტოლია უკვე მამა იყო, პატარა ვასიას მამა. საქართველოში რუსეთში მომხდარი მკვლელობის შესახებ კი იცოდნენ, მაგრამ ახალგაზრდა, ბავშვიან ოჯახზე ეჭვს როგორ აიღებდნენ. ცოლქმარმა სადღაც ზემო ვერაზე იქირავა ბინა და ანატოლი გრიგორი ნიკოლაევიჩის დავალების შესრულებას შეუდგა, თუმცა კარგა ხანს მოუწია ქართველების ძებნა. მოგვიანებით შეიტყო, რომ ერთიც და მეორეც გასულ წელს დაბრუნებულა — რუსეთიდან, სადაც ხილის წვენების დამამზადებელი საამქრო ჰქონიათ, დიდი ფულიც უშოვიათ, მათ შორის იმის ხარჯზეც, რომ იქაური კომპანიონები გადაუგდიათ და ახლა ისეთი შეშინებულები არიან, უცხოს დანახვაც არ უნდათ.

— კარგია! გრიგორი ნიკოლაევიჩის დედაც. ამათ თუ ამდენი ფული აქვთ, ალბათ მოურიგდება, ხოლო თუ არ დათანხმდებიან, მაშინ ორივეს დახოცავს და მილიონიც გარანტირებული აქვს. თავისთვის ფიქრობდა და დღედაღამ ქართველებთან მისასვლელ გზებს ეძებდა. როგორც იქნა, მათ საერთო მეგობარს დაუკავშირდა, მრგვალ ბაღში შეხვდა და რუსების მიერ წარმოგზავნილ პარლამენტარად წარუდგა.

— არ აპატიებენ მაგათ ამხელა საქმეში გადაგდებას. დამავალეს, გადმოგცეთ, რომ მკვლელები (სიტყვა ქილერი მაშინ თითქმის არ იხმარებოდა) უკვე ნაშოვნი ჰყავთ. ერთ-ორ კვირაში ალბათ მიაკითხავენ და მერე ყველაფერი გვიანი იქნება. უმჯობესია, რუსებს თავისი დაუბრუნონ, თორემ ძალიან ცუდად დამთავრდება ეს საქმე.

შეხვედრები და ვაჭრობა რამდენიმე კვირას გაგრძელდა. საქმეში ადგილობრივი „შავებიც“ გაერივნენ, მათი საშუალებით კი მილიციამდეც მიაღწია ამ ამბავმა. მალე დაადგინეს „პარლამენტარის“ ვინაობა, რომელსაც აქ სულ სხვა სახელითა და გვარით იხსენიებდნენ და იმ დღესვე გადაწყდა მისი დაკავება, მაგრამ ანატოლიმ დილიდანვე იყნოსა, რომ უთვალთვალებდნენ. ნაცადი ხერხით მათგან თავის დაღწევა სცადა და ის იყო იფიქრა, მდევარი გავაცურეო, მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ მოტყუვდა და მწარედ ინანა. შინ მისული მიხვდა, რომ სახლიდან გასვლას ვეღარ მოახერხებდა — მილიციამ სახლის ირგვლივ რკალი შეავიწროვა. უაზრო მსხვერპლის თავიდან აცილების მიზნით გადაწყდა, ქუჩაში დაეკავებინათ და შემდეგ გაეჩხრიკათ ბინა. დღის პირველი საათი იქნებოდა, უკვე იცოდნენ, რომ სამ საათზე ანატოლი ოპერის წინ უნდა შეხვედროდა ვილაცას. ორსაათიანი ლოდინით საქმეს არაფერი დაუშავებოდა. პირიქით.

ზაფხულის ცხელი, მზიანი დღე იდგა თბილისში. ქალაქელები სააგარაკოდ გაკრეფილიყვნენ. ისინი კი, ვისაც ჯერ არ დაეტოვებინა აქაურობა თბილისის ზღვას, კუსა და ლისის ტბებს, პარკებსა და სკვერებს ეტანებოდნენ. აი, ეს გოგონაც, მოზრდილი ჩანთით რომ ეშვება პეტრიაშვილის ქუჩაზე, ალბათ რომელიმე ტბაზე ან ზღვაზე მიიჩქარის. ფერიას ჰგავს — ისე ამაყად მიაბიჯებს, უეჭველად იცის თავის ფასი. ჩანთაში კი საბანაო კოსტიუმი, დიდი პირსახოცი და კოსმეტიკური ნაკრები უდევს, მზემ რომ არ დაუზიანოს სახე და სხეული.

— რა გოგოა, ბიჭო, კაცი ვარო, იმან უნდა თქვას, ვინც ახლა მაგას ელოდება. მე და შენ კი ვდგავართ ამ სიცხეში და ვიღაც ქალისსახიანი მკვლელის გამოჩენას ველოდებით. საქმეა ახლა ეს? — გადაულაპარაკა ჩასაფრებაში მდგომმა ერთმა მილიციელმა მეორეს.

ამასობაში კი გოგონამ ტაქსი გააჩერა და თვალს მიეფარა. მკითხველი რომ არ დავლალო, ფრჩხილებს აქვე გავხსნი — ეს „გოგონა“ ანკას კაბაში გადაცმული ქილერი, ანუ ანატოლი ბეცი გახლდათ, ჩანთაში კი საბანაო კოსტიუმი კი არა, პატარა ვასია იწვა.



— ესენი უნდა გავჩხრიკოთ, — მგზავრების გასაგონად უთხრა უფროსმა მის ხელქვეითს და მანქანიდან გადმოსვლას შეუცადა, მაგრამ ანატოლიმ ერთბაშად იარაღი იძრო და... აბა, აწი გამჩხრიკეთ, თქვენი დედაო და... ყველაფერი უცებ დამთავრდა: ორივე მილიციელი უსულოდ დაეცა ასფალტზე.

— ფეხი გადამიხვიეთ, თორემ სისხლისგან დავიცლები. სეიფს კი კოდის გარეშე სატანაც ვერ გახსნის. უმჯობესია, ჩემი სიცოცხლისთვის იზრუნოთ, — რატომღაც ორივეს ერთად მიმართა ტკივილისგან დაღრეჯილი სახით...

ქილერი თბილისში

ნადავლიანი ჩანთა მხარზე მოიგდო. ანკას, რომელსაც თავისი ბარგი-ბარხანა უკვე ჩაელაგებინა, ანიშნა — წინ გამიძეხიო და გასასვლელისაკენ გაემართა. იცოდა, — მისი მასპინძელი ხმის ამომღები არ იყო...

პირდაპირ რკინიგზის სადგურისაკენ გაუტიეს. ანატოლი მხოლოდ ახლა დაფიქრდა, რად უნდოდა ქალი მის მდგომარეობაში მყოფ კაცს. ქალთან ერთად ძებნილის დაკავება ხომ ბევრად უფრო იოლია, მაგრამ ლამპიონის შუქზე კიდევ ერთხელ რომ შეათვალიერა, მიხვდა — ამ სილამაზესთან სამუდამოდ გამოთხოვება გაუჭირდებოდა და ასეც მოხდა. მაგრამ ახლა მისი უპირველესი საზრუნავი ნადავლის ადგილამდე მიტანა იყო, ამდენი ფულითა და ძვირფასეულობით ქალაქში გამოჩენა საშიში იყო. მით უმეტეს, რომ აგერ, მოსახვევიდან მილიციის მანქანა გამოვიდა და შუქურის ციმციმით გეზი პირდაპირ მათკენ აიღო.

— სად გაგვიყვანდებათ, ასე ადრიანად რომ გამოსულხართ სახლიდან, — აგდებულად იკითხა მილიციის ახალგაზრდა ოფიცერმა, რომელიც საჭესთან იჯდა.

— მეგობრებთან ვიყავით დაბადების დღეზე და შემოგვაღამდა, — გაღიმება სცადა ანატოლიმ და ანკას გადახედა.

— ა ნუ, დიხნი, — დაუღრინა მგზავრებს მეორე, უფრო მაღალი ჩინის ოფიცერმა, რომელიც მძღოლის გვერდით იჯდა.

— იქნებ არ ღირდეს, ბიჭებო, ჩვენი გზით მივდივართ, არაფერს ვაშავებთ, — შეეცადა მათ მოთაფლვას, მაგრამ...

გგა დასასრულისაკენ, უფრო სწორად მისი ფინალი

მიუხედავად იმისა რომ „კვირის პალიტრამ“ რამდენიმე ხნის წინ დაბეჭდა ამ ისტორიის შესახებ, როგორც ოდესღაც ამ ამბებთან ახლო მყოფმა, თავი ვალდებულად ჩავთვალე უფრო დაწვრილებით მომეთხრო ანატოლი ბეცის თბილისური მოგზაურობის პერიპეტიებზე.

ამაოდ ელოდა საღამომდე მილიციის განაწესი ძებნილის ქუჩაში გამოჩენას. თუმცა მისი კვალი ბოლომდე არ დაუკარგავთ და ბინიდან გამოსულ ანკას წალენჯიხამდე სდიეს. იქ კი ეს ქალბატონი ისეთმა საეჭვო ოჯახმა მიიღო, ნათელი იყო, ანატოლიც მალე გამოჩნდებოდა და ასეც მოხდა. მეორე დღეს, საღამოს, იმავე ჩანთით, მაგრამ უკვე მამაკაცურად ჩაცმული ანატოლი თავისი ციხის მეგობრის ოჯახს მიადგა. თუმცა დიდხანს არ გაჩერებულა. რაკი ბავშვი და ანკა საიმედო ადგილას დაიგულა, გადაწყვიტა, თბილისს დაბრუნებულიყო — მაშასადამე, ჩაუშვეს არა? მილიციასთან „უბოზეს“ ხომ? ამის პატივება არ შეეძლო, ასეთ რამეს არ ითვალისწინებდა მისი ზნეობის კოდექსი. ქართველები უნდა დახოცოს და მერე სადღაც სხვაგან გადაიკარგოს...

(გაგრძელება იხ. გვ. 13)

ნათელაშვილს 3 წლის „დანჯღრეული ვოლგა“ მოსტაცეს

გასულ კვირას ლეიბორისტთა ლიდერს კუთვნილი ავტომანქანა მოსტაცეს. ნათელაშვილის თეთრი „ვოლგა“ სახელმწიფო ნომრით „GOG 676“ ყაჩაღებმა ჩოდრიშვილის ქუჩიდან დაახლოებით ღამის 10 საათზე აართქლეს. ახლობელთან შესულ მძღოლს 10 წუთში მანქანა ადგილზე აღარ დახვდა. ორი დღის შემდეგ პოლიციამ გატაცებული და „სიურპრიზით დამშვენებული“ „ვოლგა“ ისევ ჩოდრიშვილის ქუჩაზე აღმოაჩინა. შალვა ნათელაშვილის განცხადებით, მასზე თვალთვალი და ტერორი მას შემდეგ გაძლიერდა, რაც „კვირის პალიტრის“ 1-7 აპრილის ნომერში (№13) კრიმინალ-ოლიგარქთა გვარები დაამღერა.

— „კვირის პალიტრას“ მაღალი რეიტინგი რომ ჰქონდა, ვიცოდი, მაგრამ ასეთს მაინც არ მოველოდი. გამოქვეყნდა თუ არა თქვენს გაზეთში კრიმინალ-ოლიგარქთა სია, ჩვენი ოფისის გარშემო ისეთი გამოცოცხლება დაიწყო, პირდაპირ გაოცდებოდით. გაძლიერდა თვალთვალი ჩემს ავტომანქანაზე. ყოველ წუთს უკან დაგვდევდნენ. ამ ყველაფერს შეუიარაღებელი თვალითაც მშვენივრად შეამჩნევდით, აგერ უკვე მეორედ გაიტაცეს პარტიის კუთვნილი ავტომანქანა, რომელიც ამჯერად, როგორც პარტიის თავმჯდომარეს, მე მემსახურება.

— **მაინც რით მოსწონთ თქვენი ავტომანქანა, წელიწადში ორჯერ რომ იტაცებენ?**

— მეც ეგ მაინტერესებს, რით მოსწონთ. 3 წლის დანჯღრეული ვოლგაა. ბაზრობაზე რომ გაიტანო, ან გაიყიდება ან — არა. ქურდები ხომ, საერთოდ, ასეთ მანქანებზე ხელს აღარ ისვრიან. რა უნდა იფიქრო? უბრალოდ, გამაფრთხილეს და ეგ არის.

— **რა მდგომარეობაში იპოვეს ავტომანქანა, გაძარცული იყო?**

— არა, გაძარცული არ ყოფილა. უბრალოდ, წინა კაპოტზე ავტომატის ხიშტი ჰქონდა ჩარტყმული და ოთხ ადგილას სისხლი ეცხო. საერთოდ, ცნობილია, რომ როცა მეკობრეები ვინმეზე ტერაქტს განიზრახავდნენ, წინასწარ გაუგზავნიდნენ ხოლმე ბარათს, რომელზეც მხოლოდ შავი ისარი იყო გამოსახული. ეს ერთგვარი სიგნალი გახლდათ. ეტყობა, ჩვენმა ოლიგარქმა მეკობრეებმა ახალი პაროლი გამოიგონეს — მანქანას ჯერ ავტომატის ხიშტი ჩაარტყეს და მერე სისხლი წაუსვეს.

— **სისხლის ექსპერტიზა თუ ჩაატარებინეთ?**

— დიახ, ექსპერტიზა დაინიშნა, მაგრამ შედეგები ჯერ არ არის ცნობილი.

— **დარწმუნებული ხართ, რომ ავტომანქანაზე მაინცდამაინც ადამიანის სისხლი ეცხო?**

— არ ვიცი, შეიძლება ცხოველისაც იყო, რას გაიგებ. ბოლოს და ბოლოს, ქურდი თავის სისხლს ხომ არ წაუსვამდა. თანაც ქურდობის ვერსია თავიდანვე გამოირიცხა. სხვათა შორის, ის სია კიდევ უფრო გავამდიდრეთ კონკრეტული გვარებითა და მათ მიერ ჩადენილი „საგმირო საქმეებით“. ასე ვაპირებთ გაგრძელებას და კონკრეტულ ციფრებსა და პარამეტრებზე გასვლას. სანამ ამ ოლიგარქების ნეიტრალიზაცია არ მოხდება, საქართველოს ბედნიერება არ უწერია.

— **ავტომანქანის გატაცებამდე კიდევ რაიმე ინციდენტს ხომ არ ჰქონია ადგილი?**

— მანამდე ჩემს ავტომანქანას გამუდმებით დაჰყვებოდა უკან ჟიგულის მარკის ერთი და იგივე მანქანა, ოღონდ სხვადასხვა ნომრით. სიმართლე გითხრათ, თუ მაინცდამაინც თვალში არ შემეჩხირა, ასეთ რაღაცებს ყურადღებას არ ვაქცევ ხოლმე. შემდეგ დაცვის სამსახურმა შსს-ს შესაბამის განყოფილებაში დააყენა საკითხი ჩვენთვის ავტომატური იარაღის გამოყოფის თაობაზე, მაგრამ... თქვენც არ მომიკვდეთ, ყურიც არავინ შეიბერტყა. არადა, ისედაც გვეკუთვნის... ბაზრის დირექტორებსაც კი შეიარაღებული დაცვის თანამშრომლები დაჰყვებიან და ჩვენ ვითომ რატომ არ უნდა გვქონდეს იარაღი?

ერთი წლის წინ, როცა ასევე უმოტივოდ გაიტაცეს იგივე ავტომანქანა, რამდენიმე დღეში მოსასმენი აპარატურით „დამშვენებული“ დაგვიბრუნეს. მე მგონი ამ მანქანას უკვე ჩვენს პარტიაზე მაღალი რეიტინგი აქვს.

— **ახლაც ხომ არ გამოაყოლეს მოსასმენი?**

— არა, მოსასმენი აღარ ჩაუმონტაჟებიათ. ალბათ იფიქრეს, მაინც იპოვნიანო. თავისთავად ცხადია, რომელიმე ოლიგარქი ან თვითონ შევარდნაძე არ იჯდებოდა მანქანაში გატაცების დროს. ვინმე ქურდბაცაცა ლაწირაკს მისცეს ალბათ 100 დოლარი და უთხრეს — მიდი, მოიპარეო. იმ საცოდავს არც ეცოდინებოდა, ვისი მანქანა იყო.

— **კონკრეტულად რომელიმე ოლიგარქზე ხომ არ გაქვთ ეჭვი?**

— სიაში უკვე 30 გვარი გვაქვს შეტანილი. მათგან ნებისმიერს შეეძლო, ეს გაეკეთებინა. ფაქტია, ჩვენ მათ სერიოზულად ვუშლით ხელს, ასე რომ, ეს ყველას ინტერესში შედიოდა. ისე, სიმართლე გითხრათ, ჩვენ ისტერიკებს არ ვტეხთ — არიქა, გვიშველეთ, გვითვალთვალებენ ან გვისმენენო. გვისმენენ და გვისმინონ. ისე, სჯობს, რომ ეს ენერგია და ენთუზიაზმი იმის გაგებაში დახარჯონ, რას საუბრობენ არძინბა და საქართველოს სხვა მტრები. უთვალთვალონ, როგორ იყოფენ საღამოობით გრანტებს ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები, კაზინოებში ერთ ღამეში როგორ აგებენ საქართველოს ბიუჯეტს და ა.შ.

— **ბატონო შალვა, ისე, ცოტა ხომ არ შეშინდით კიდეც?**

— ჩემი შეშინება ვინმეს ასე ადვილი თუ ჰგონია, ძალიან ცდება. მე სიკვდილის შიშზეც კი იმუნიზირებული ვარ. ეს შეიძლება მთლად ნორმალური არც არის, მაგრამ ჩემი პრინციპების განხორციელებაში ნამდვილად მეხმარება.

— **კიდევ რამე სიურპრიზს ხომ არ ელოდებით თქვენი ოპონენტებისგან?**

— რა ვიცი, ოროთახიანი ბინა მაქვს თბილისში გირაოთი აღებული. თუ წამართმევენ და თავიანთ საირმის ვილებში გადამიცვლიან, კი ბატონო, უარს არ ვიტყვი.

ხათუნა ყვირალაშვილი

მაშინ, როცა ყველას ეძინა, მან ფანჯარაში ასაფეთქებელი მოწყობილობის შეგდება სცადა...

საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში გვირაბების გათხრა, ღობეზე გადაძრომა, ნარკოტიკების მოხმარება თუ „გლახა“ ქალების შეყვანა-გამოყვანა, დიდი ხანია, უცხო ხილი არ არის. მაგრამ გასულ კვირაში ავჭალის მე-9 საერთო და მკაცრი რეჟიმის კოლონიაში მომხდარი აფეთქებით ალბათ კიდევ ერთ ნოვაციურ მიღწევას ჩაეყრება საფუძველი — ეს ციხეში ასაფეთქებელი მოწყობილობებისა და ნივთიერებების დამზადება გახლავთ...

ზემოთ ნახსენები ავჭალის კოლონია ჩვეულებრივი, ანალოგიური დაწესებულებებისგან იმით განსხვავდება, რომ აქ სასჯელს მხოლოდ სამართალდამცავი სისტემის ყოფილი თანამშრომლები იხდიან. აფეთქების მსხვერპლი, მევლუდ ფერაძეც ყოფილი სამართალდამცავი იყო — შს სამმართველოს სპეცდანიშნულების განყოფილების უფროსი ინსპექტორი, 1996 წელს გაასამართლეს და 9 წელი მიუსაჯეს. 1999 წელს ხონის კოლონიიდან გაქცევის მცდელობისთვის კიდევ 4 წელი დაემატა და საბოლოოდ, მას 9 წელი რჩებოდა მკაცრი რეჟიმით მოსახდელი. რაც შეეხება მის მიერ ჩადენილ დანაშაულს: მსჯავრდებულმა თანამზრახველთა ჯგუფთან ერთად გაიტაცა ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა, მძევლად აიყვანა მოქალაქეები. მის საბრალდებო დასკვნაში მკვლელობაც ფიგურირებდა.

აფეთქების შედეგად მძიმედ დაშავდა მეორე მსჯავრდებული — კახა ბაბუნაშვილიც, რომელიც წარსულში ნარკომანიის წინააღმდეგ მებრძოლი ერთ-ერთი განყოფილების უფროსად მუშაობდა. გასამართლებულ იქნა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკების შენახვა-რეალიზაციისათვის.

აფეთქება 11 აპრილს, დილის 7 საათზე მოხდა პატიმართა საცხოვრებელი კორპუსის უკანა ეზოში. როგორც წინასწარი გამოძიებით გაირკვა, იგი თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობით იყო გამოწვეული.

***მიშიკო ფხაკაძე** გენერალური პროკურატურის გამომძიებელი:* როგორც ვიზუალური დათვალიერებიდან და შემთხვევის ადგილიდან ამოღებული მასალების მიხედვით ჩანს, აფეთქება თვითნაკეთმა მოწყობილობამ გამოიწვია. თუმცა, ასაფეთქებელი მასალის შემცველობა ჯერ კიდევ დგინდება — გამოსარკვევია, თუ რა ნივთიერებები იყო მისი დამზადებისას გამოყენებული.

— **შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეს ასაფეთქებელი მოწყობილობა კოლონიის ტერიტორიაზე დამზადდა? თუმცა, ასეც რომ არ ყოფილიყო, დამეთანხმებით, რომ კოლონიაში მისი შეტანაც დიდ პასუხისმგებლობასთან არის დაკავშირებული...**

— შეუძლებელი არაფერია. მით უმეტეს, თუ შემთხვევის შემდეგ კოლონიაში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, ამოღებული ნივთებისა და ნივთიერებების მიხედვით ვიმსჯელებთ. ასეც რომ არ იყოს, დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, ასაფეთქებელი მასალა სავსებით უწყინარი ნივთიერებებისგანაც შეიძლება გაკეთდეს...

— **„უწყინარ ნივთიერებებში“ რას გულისხმობთ?**

— შესაძლოა გაგეცინოთ, მაგრამ კარაქით, სანთლით, ყველით, ნათურით და ასანთით საკმაოდ მძლავრი ასაფეთქებელი ნივთიერების დამზადება შეიძლება. ასეთ ნივთიერებას მასიური რკინის კარი თავის ჩარჩოიანად შეაქვს სახლში... ციხეში კიდევ ბევრ რამეს სწავლობენ პატიმრები — ტუალეტის ქაღალდის რულონს ორი სანთელი ჰყოფნის, რომ ნალვენთით ზოლი გაუკეთონ. ესე იგი, დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში იწვის (ასეთ მოწყობილობაზე თურმე კერძის მომზადებაც არ ყოფილა პრობლემა. — დ.გ.).

— **როგორც ჩხრეკით დადგინდა, პატიმრები ნარკოტიკებს და მათ დასამზადებელ ნივთიერებებს ეკლესიაში მალავდნენ...**

— აბა, რა გითხრათ. კაცი რომ მკვლელობას ჩაიდენს, ან კილოგრამობით ნარკოტიკს შეინახავს და გაყიდის, როგორ გგონიათ, ამის ჩადენა მოერიდება და ეკლესიას გაუფრთხილდება?

— **ამბობენ, რომ კოლონიაში მომხდარი აფეთქება პატიმართა დაპირისპირების შედეგია...**

— არ გამოვრიცხავთ. წინასწარ, რაიმეს დაზუსტებით თქმა შეუძლებელია, მაგრამ როგორც პატიმართა დაკითხვამ გვიჩვენა, გარდაცვლილი წინა დღეებში ძალიან გაღიზიანებული იყო. ყველანაირ შეკითხვაზე აგრესიულად პასუხობდა და განსაკუთრებით იმ ფლიგელში მცხოვრებთა მიმართ გამოთქვამდა მუქარას, რომლის წინაც აფეთქება მოხდა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დილაუთენია, როდესაც ყველა თავის ოთახში იყო და ეძინა, მან ფანჯარაში ასაფეთქებელი მოწყობილობის შეგდება სცადა, მაგრამ ხელებში აუფეთქდა და თვითონვე დაიღუპა...

დაჩი გრძელიშვილი

„რაო, სიგუ, არ მოვალო არქიფომ?!“

(დასაწყისი იხ. გვ. 7)

როგორც გაირკვა, სიგუა გოძიაშვილს გულწრფელად ეპატიჟებოდა ფილარმონიაში, მაგრამ ამაოდ.

რაც შეეხება სიგუას ფორუმის სულისკვეთებას... მისი წევრები ფორუმზე ხელისუფლების ზომიერი კრიტიკით გამოვიდნენ, თუმცა არც ახალგაზრდული პრობლემები დაივიწყეს: „საქართველოს ხელისუფლების სახელმწიფო პირები არ არიან თანმიმდევრული ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის გატარებაში“ — ამბობდნენ ისინი.

ისე, ორივე ფორუმზე ახალგაზრდები ერთიანობას ქადაგებდნენ და ერთმანეთის მზეს იფიცებდნენ, თუმცა... ერთმანეთის მიმართ კონკრეტულ კითხვებზე არც კონკრეული სალანძღავი სიტყვები დაუშურებიათ.

ლირიკული გადახვევა: როგორც ზემოთ ვთქვით, პრეზიდენტმა სიგუა დააფასა და ფორუმზე ეწვია. თუმცა, დანიშნული ოთხი საათის ნაცვლად, უფრო გვიან მივიდა. შეფიქრიანებულ სიგუას კი მეგობრები ამხნევებდნენ (თუ ამასხარავებდნენ) — რაო, სიგუ, არ მოვალო, არქიფომ?! მაგრამ... მოვიდა და ასობით სტუდენტს კოდორის პრობლემის მოხსნას შეჰპირდა. მცირეოდენ დამოძღვრას ისიც დაამატა: ნოემბრის აქციებს ნუღარ გაიმეორებთ, მუშაობა გვაცალეთო, — თქვა და უშიშროების სხდომაზე გაემგზავრა.

მოკლედ, ორი სტუდენტური მოძრაობა გასულ კვირას ოფიციალურად გაფორმდა. რას მოიტანს ეს გახლეჩა, ძნელი გამოსაცნობი არ გახლავთ — კარგს არაფერს. საარჩევნო ამბიციები ძალას იკრებს და მალე სხვა სიბრტყეზე გადაინაცვლებს. ამბობენ, ახლა საბჭოთა მეანაბრეების ჯერი დადგაო. მათი რაოდენობა კი სტუდენტებისას არ ჩამორჩება.

P.S. ცნობისთვის: ისიც გაირკვა, რომ გოძიაშვილი და სიგუა 15 წლის მეგობრები (ე.ი. სკოლიდან) ყოფილან და განხეთქილების ვაშლი მათ შორის პოლიტიკას ჩამოუგდია.

ქეთი ბერეკაშვილი

„ახლა მოდაშია ჩურჩულები“...

„ყურში უთხრა, აბა, ცხვირში ხომ არ ეტყოდა...“

საქართველოს პარლამენტისთვის მუშტი-კრივი და ლანძღვა-გინება დიდი ხანია უცხო ხილი აღარ არის. უფრო მეტიც, დეპუტატები უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ურთიერთწაკინკლავების ახალ-ახალ ფორმებს და მეთოდებს თანდათან ამკვიდრებენ, გასულ კვირას ასეთი ხერხის მორიგი პრეზენტაცია შედგა. იდეის ავტორი ნაციონალური მოძრაობის ლიდერი მიშა სააკაშვილი გახლდათ. მან ეს მეთოდი თავის ერთ-ერთ უფროს კოლეგაზე „გამოსცადა“. გამოცდის ობიექტი 67 წლის მიხეილ ნანეიშვილი აღმოჩნდა, რომელიც პარლამენტის სხდომის მსვლელობის დროს მოულოდნელად აყვირდა — შემაგინა, დედა შემაგინა ამ ხულიგანმაო. შეგინება, თანაც პარლამენტში არავის გაუკვირდებოდა, რომ არა... გინების ფორმა (?!). როგორც ნანეიშვილი ირწმუნება, რეფორმების მამამთავარმა რეფორმატორულად ყურში წასჩურჩულა მას მამაპაპური სალანძღავი სიტყვები.

მიხეილ ნანეიშვილი: ეს იყო ჩვეულებრივი ხულიგნური გამოხდომა, რომელსაც არ მოველოდი-მეთქი რომ გითხრათ, არ იქნება მართალი. ვიცი, რა კულტურული მემკვიდრეობის მატარებელიც არის და ამიტომაც არ გამკვირვებია.

— **მიზეზი თუ იცით, რატომ შეგაგინათ?**

— ალბათ ემწარა ჩემი გამონათქვამები ნაციონალურ მოძრაობასთან დაკავშირებით.

— **მაინც რა თქვით ასეთი?**

— ვთქვი, რომ ეს მოძრაობა ჩემთვის აბსოლუტურად მიუღებელია-მეთქი.

— **სულ ეს იყო?**

— შეიძლება ადრინდელი წყენაც ახსოვს. ამას წინათ კანონპროექტი რომ შემოიტანა, გავაკრიტიკე და ეტყობა, ესეც არ მოეწონა.

— **შეგინებამდე რაზე კამათობდით?**

— არ გვიკამათია. უბრალოდ, მოვიდა, წამჩურჩულა და გაიქცა.

— **ძალიან ცუდი სიტყვები წაგჩურჩულათ?**

— სამსიტყვიანი დედის გინება რომ არის, თავიდან ბოლომდე მითხრა და გაქცევას აპირებდა, მაგრამ მოვასწარი და საყელოში ვწვდი. ვუთხარი, შე ხულიგანო, რას მიბედავ-მეთქი. მერე ხალხი შემოგვეხვია, ამით დრო იხელთა და ხელიდან დამისხლტა.

— **ბატონო მიხეილ, ნაციონალურ მოძრაობას ბევრი აკრიტიკებს, მაგრამ სააკაშვილს ასე პირდაპირ არავისთვის შეუგინებია.**

— არ ვიცი, შეიძლება ჩემი ნათქვამი განსაკუთრებით ხვდებათ გულზე. ერთი ვერსიაც შემომთავაზეს და გამორიცხული არ არის, მართლა ასე ყოფილიყო. ჩემი აზრით, როცა სააკაშვილი მომიახლოვდა და ჩურჩულით შემაგინა, სადმე ჟურნალისტი ეყოლებოდა ჩასაფრებული. ალბათ ეგონა, გინებითვე ვუპასუხებდი, ოღონდ ხმამაღლა. ასეთ შემთხვევაში მხოლოდ ჩემი გინება დაფიქსირდებოდა და სააკაშვილის ნათქვამს ვერავინ გაიგებდა. ისე, კარგი სანახავი იქნებოდა — ჩემი ასაკის კაცი დედას რომ შეაგინებდა ვინმეს და თანაც პარლამენტში. არადა, საერთოდ არ ვიგინები, არასოდეს არავისთვის დედა არ შემიგინებია.

— **თქვენი კოლეგების რეაქცია როგორი იყო?**

— ყველა აღშფოთდა. ახალგაზრდებს მისი გალახვა უნდოდათ, ძლივს დავაკავე, ვუთხარი, შვილებო, თავი არ მომჭრათ, აქ მუშტი-კრივი არ გამართოთ-მეთქი.

— **თვითონ სააკაშვილს ან მის თანაფრაქციელებს რამე ხომ არ უთქვამთ თქვენთვის?**

— არა, ხმას არ იღებდნენ, არც ბოდიში, არც არაფერი... თავს უხერხულად კი გრძნობდნენ, მაგრამ...

— **სააკაშვილისთვის სამაგიეროს გადახდას ხომ არ აპირებთ?**

— როგორ გეკადრებათ, მეტი საქმე არა მაქვს, მაგას სამაგიერო გადავუხადო.

როცა გაზეთი დასაბეჭდად მზადდებოდა, თავად შემგინებელს არ ეცალა. მიშა სააკაშვილი და მისი თანამებრძოლები საპროტესტო აქციებს მართავდნენ რუსეთის საელჩოსთან, რის გამოც მასთან დაკავშირება ვერ მოვახერხეთ. ამ საკითხზე კომენტარი ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთ წევრს **პეტრე ცისკარიშვილს** ვთხოვეთ:

— როცა ეს ინციდენტი მოხდა, იქ არ ვმჯდარვარ და, სიმართლე გითხრათ, არ ვიცი, მართლა შეაგინა თუ არა სააკაშვილმა ნანეიშვილს. რაც შეეხება ჩაჩურჩულებას, მგონი, ამაში ცუდი არაფერია. ყურში იმიტომ ეუბნებიან რაიმეს კაცს, რომ კარგად გააგებინონ. აქ ინტრიგის ძებნა სისულელეა. თუ ნანეიშვილი ფიქრობს, რომ წაჩურჩულებას ზურგს უკან ლაპარაკი სჯობს, ეგ მისი პრობლემაა.

— **ჩურჩულით შეგინებას რამე განსაკუთრებული დატვირთვა ჰქონდა?**

— არა, რა განსაკუთრებული დატვირთვა, ყურში წასჩურჩულა, აბა, ცხვირში ხომ არ ეტყოდა?! ჩემი აზრით, ეს პოზიციის გამოხატვის ყველაზე ვაჟკაცური ფორმაა. ყოველ შემთხვევაში, ზურგს უკან ჭორაობას ნამდვილად სჯობს.

— **ნანეიშვილი აცხადებს, მიშა სააკაშვილს შესაძლოა სადმე რომელიმე ჟურნალისტი ჰყავდა ჩასაფრებული და პროვოკაციაზე ჩემი წამოგება უნდოდაო.**

— ზღაპარია და მეტი არაფერი. რომელ ჩასაფრებულ ჟურნალისტებზეა ლაპარაკი? თვითონ მიხეილ ნანეიშვილს ბოლო ორი თვის მანძილზე ნაციონალური მოძრაობის გინების მეტი სხვა არაფერი გაუკეთებია — ხან გიჟებს გვიწოდებს, ხან გადარეულებს. ჩემი აზრით, სერიოზული პოლიტიკოსები უფრო სახელმწიფოებრივად უნდა აზროვნებდნენ და განცხადებებსაც ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე უნდა აკეთებდნენ.

— **თვითონ მიშა სააკაშვილი რას ამბობს, რატომ შეაგინეო?**

— სიმართლე გითხრათ, ამ თემაზე მიშასთან არ მისაუბრია იმიტომ, რომ რაღა დაგიმალოთ და, ცოტა სასაცილოა ეს ყველაფერი. სააკაშვილთან გაცილებით უფრო სერიოზულ საკითხებზე ვლაპარაკობ. ისიც არ ვიცი დანამდვილებით, მართლა შეაგინა თუ არა. თვითონ არ გამიგია და ნანეიშვილის განცხადებებზე დაყრდნობით ამ ფაქტს ვერც უარვყოფ და ვერც დავადასტურებ.

ხათუნა ყვირალაშვილი

ნოქალაქევის სენსაციური აღმოჩენა

ანუ ახალი ვერსიები საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების თარიღის შესახებ



ასულ ცოტა ხნის წინ „კვირის პალიტრამ“ ახალი სენსაციური აღმოჩენის შესახებ შეიტყო. დასავლეთ საქართველოში, მდინარე ტეხურის ხეობაში ეგრისის (ლაზიკის) სამეფოს ყოფილი დედაქალაქის ციხეგოჯი-ნოქალაქევის III-IV საუკუნის არქიტექტურულ კომპლექსში, რომელსაც ძველი ბიზანტიელი ისტორიკოსები არქეოპოლისს უწოდებდნენ, ქართულ-ინგლისურმა ექსპედიციამ არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად აღმოაჩინა ქვაჯვარის მარცხენა ფრთის ნატეხი ორსტრიქონიანი ბერძნული წარწერით. გაშიფვრის შედეგადაც გაჩნდა აზრი, რომ საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების თარიღი შეიძლება კიდევ უფრო „დაძველდეს“...

ამ ექსპედიციის შესახებ დაწვრილებითი ინფორმაციისათვის მივმართეთ მეცნიერებათა აკადემიის სიმონ ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორის მოადგილეს, ნოქალაქევის ქართულ-ინგლისური ერთობლივი ექსპედიციის საველე სამუშაოების დირექტორს ბატონ **დავით ლომიტაშვილს**...

— როდის დაინტერესდნენ ინგლისელები ნოქალაქევით?

— 1999 წლის შემოდგომაზე ნოქალაქევს ეწვია ვანის სიმპოზიუმის მონაწილეთა ჯგუფი. გერმანელმა, ინგლისელმა და ფრანგმა კოლეგებმა ნოქალაქევის ქვედა ტერასისა და არქეოლოგიური მუზეუმის დათვალიერების შემდეგ ციტადელის ნახვა ითხოვეს. ციტადელიდან დანახულმა კოლხეთის დაბლობმა სტუმრები აღაფრთოვანა, სეტყვასავით დაგვაყარეს კითხვები. განსაკუთრებით აქტიურობდა ერთი ახალგაზრდა კაცი ოქსფორდის უნივერსიტეტიდან. შესანიშნავად იცოდა ეგრისის სამეფოს ისტორია. როგორც გაირკვა, იგი ოქსფორდის უნივერსიტეტის დოქტორანტი იან ქოლვინი ყოფილა, რომლის დისერტაციის საკმაოდ დიდი ნაწილი ეგრისის სამეფოს IV-VI საუკუნეების ისტორიას მოიცავდა. მაშინ შევთავაზე ბატონ ქოლვინს ნოქალაქევის ექსპედიციაში ჩართვა და იგიც დამთანხმდა. ორ წელს გაგრძელდა ჩვენი მიწერ-მოწერა, — შედეგად, დღეს, ნოქალაქევში მუშაობს საკმაოდ წარმომადგენლობითი ექსპედიცია. ამ ექსპედიციაში საქართველოს მხარეს წარმოადგენს ჩვენი მუზეუმი, ხოლო დიდი ბრიტანეთის მხარეს — კემბრიჯის უნივერსიტეტი. ამ უნივერსიტეტიდან წელსაც (როგორც შარშან) ველით 15 სტუდენტს, რომლებიც სექტემბერში ქართველ მეცნიერებთან ერთად იმუშავებენ...

— ვინ აფინანსებს ამ ექსპედიციებს?

— მძიმე ეკონომიკური ვითარების გამო, სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს ისეთი პირველხარისხოვანი ძეგლის არქეოლოგიურ შესწავლას, როგორიც ნოქალაქევია. ამიტომ ფინანსური მხარე მთლიანად თავიანთ თავზე აიღეს ინგლისელებმა. შესაბამისად, შედეგიც თვალსაჩინოა. თუ წინა წლებში (1995-97წწ.) მწირი დაფინანსების გამო პატარა-პატარა უბნებს ვიკვლევდით, 2001 წელს საშუალება მოგვეცა დაახლოებით 100 კვმ-ზე ერთდროულად დაგვეწყო გათხრითი სამუშაოები...

— ახლა იმ სენსაციური აღმოჩენის შესახებ გვიამბეთ, რომელიც აქამდე ცნობილ ბევრ ისტორიულ ფაქტს ცვლის...

— აღმოვაჩინეთ ბერძნულწარწერიანი ქვაჯვარის ნატეხი — მარცხენა ფრთა. ამ აღმოჩენის ავტორები არიან ქართული მხარიდან გიორგი დგებუაძე, ბრიტანული მხარიდან გრემ ეპლბი...

ორსტრიქონიანი ბერძნული წარწერა შორს მიმავალი დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა. საყურადღებოა, რომ წარწერა თავისი შინაარსით სულის მოსახსენიებელი ხასიათისაა. ტექსტი მისი ფრაგმენტულობიდან გამომდინარე, ცხადია, სრულად ვერ იშიფრება, თუმცა აკადემიკოსმა თინათინ ყაუხჩიშვილმა მაინც შეძლო მისი სავარაუდო აღდგენა: „ავრელიუსმა მიანიჭა (ან პატივი სცა)... მონა (? ღვთისა)...“. მისივე ვარაუდით, წარწერის პალეოგრაფიული ნიშნებიდან გამომდინარე, იგი შესაძლოა ახალი წელთაღრიცხვის III ს-ის ბოლო წლებით ან IV ს-ის დასაწყისით დათარიღდეს... ეს ის პერიოდია, როცა საქართველო ორი პოლიტიკური ერთეულით არის წარმომდგენილი: აღმოსავლეთში — იბერიის სამეფოთი, რომლის დედაქალაქი მცხეთა გახლავთ, დასავლეთში კი ეგრისის სამეფოთი — დედაქალაქი არქეოპოლისი. ივანე ჯავახიშვილისეული თეორიის მიხედვით, თუ აღმოსავლეთ საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება მეფე მირიანისა და დედოფალ ნანას მონათვლას უკავშირდება და სავარაუდო თარიღად 337 წელია დასახელებული, დასავლეთ საქართველოში ეს პრობლემა ცოტა სხვაგვარად იდგა. მეცნიერთა ერთ ნაწილს მიაჩნდა, რომ ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად უალტერნატივოდ 523 წელს გამოცხადდა, მაშინ, როცა ეგრისის მეფე წათე მეორედ მოინათლა ქრისტიანად. მეცნიერთა მეორე ნაწილი კი (ს. ყაუხჩიშვილი და სხვანი) ფიქრობდა, რომ ქრისტიანობა ეგრისის სამეფოში სახელმწიფო რელიგიად IV საუკუნის შუახანებში გამოცხადდა. მატერიალურ მტკიცებულებად კი ბიჭვინთაში IV ს-ით დათარიღებული ეკლესიის აღმოჩენასა და 325 წლის ნიკეის მსოფლიო საეკლესიო კრებაზე ბიჭვინთის ეპისკოპოსის სტრატოფილოსის მონაწილეობას მიიჩნევდნენ. ცნობილია, რომ ბიჭვინთის საეპისკოპოსო ნეოკესარიის სამიტროპოლიტოში შედიოდა და მისი მეშვეობით კონსტანტინეპოლის პატრიარქს ემორჩილებოდა.

ამ მხრივ რამდენიმე წლის წინ ჩვენმა ექსპედიციამ გააკეთა პირველი განაცხადი, როცა ნოქალაქევში აღმოჩნდა ბიჭვინთის ნაქალაქარზე აღმოჩენილი ეკლესიის ტიპის ნაგებობა, რომლის თარიღიც IV საუკუნის 30-იანი წლებით განისაზღვრა. მაგრამ ამ ქვაჯვარის აღმოჩენის მნიშვნელობა იმდენად დიდია, რომ გადავწყვიტეთ მისი და IV ს-ის 30-იანი წლებით დათარიღებული ეკლესიის ქვათა იდენტიფიცირება — ანუ გვინდა გავარკვიოთ, ეს ერთსა და იმავე კარიერში ამოღებული თუ მოჭრილი მასალაა თუ არა. თუ მასალა ერთ კარიერშია ამოღებული, მაშინ შეიძლება ამ ქვაჯვარმა ეკლესიის გადმოთარიღების საკითხიც კი დააყენოს. ისე კი თითქმის ნათელია, რომ დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად III საუკუნის ბოლოს თუ IV საუკუნის პირველ წლებში უკვე გამოცხადებული იყო.

— როგორც თქვენ ბრძანეთ, ნაბოძნია ქვაჯვარის მარცხენა ფრთა. ხომ არ ფიქრობთ, რომ ერთ მშვენიერ დღეს სრულიად აღადგენთ ჯვარსაც და წარწერასაც?

— ვნახოთ, რას მოგვიტანს წლევანდელი სეზონი. ამ ჯვრის სრულ აღდგენას უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებთ. ქ-ნი თინათინ ყაუხჩიშვილი ფიქრობს, რომ ეს მარცხენა ფრთა უნდა წარმოადგენდეს ორხაზოვანი წარწერის ნაწილს, რომელიც მარჯვენა მხარეზეც ვრცელდებოდა. უმნიშვნელოვანესია ის ფაქტიც, რომ ეს არა მხოლოდ ყველაზე ადრინდელი ქრისტიანული წარწერაა, ყველაზე ადრინდელი ქვაჯვარიც გახლავთ, რომელიც ნოქალაქევის ნაქალაქარზე იქნა მოძიებული. ყურადღება პირველ ყოვლისა მისაქცევია იმ ფაქტზე, რომ ქრისტიანული საფლავის კვალი აღმოჩენილია არა სადღაც პროვინციულ ქრისტიანულ თემში, არამედ დასავლეთ საქართველოს დედაქალაქის ერთერთ ყველაზე სტრატეგიულ უბანზე — საპარადო ჭიშკრის ტერიტორიაზე. რომელიმე პერიფერიულ ნამოსახლარზე მისი გამოვლენა შესაძლოა ადრექრისტიანული თემის არსებობის სიმბოლოდ მიგვეჩნია, მაგრამ დედაქალაქში მისი აღმოჩენის ფაქტი სულ სხვა დატვირთვას იძენს — დაახლოებით ისეთს, როგორიც აღმოსავლეთ საქართველოში მეფე მირიანის და დედოფალ ნანას მონათვლას ენიჭება.

— ხომ არ ფიქრობთ, რომ დასავლეთ საქართველოს საეპისკოპოსო ცენტრი ნოქალაქევში იყო?

— არა. ნოქალაქევში საეპისკოპოსო ცენტრი არასდროს ყოფილა მიუხედავად იმისა, რომ აქ სხვადასხვა პერიოდის 6 ეკლესიაა აღმოჩენილი. ამას წმინდა პოლიტიკური მომენტებიდან გამომდინარე ეძებნება ახსნა: ერთი მხრივ, ადგილობრივი მეფე და მეორე მხრივ, კონსტანტინეპოლის თუ სხვა რომელიმე ქვეყნის პატრიარქისადმი დაქვემდებარებული ეპისკოპოსი — მეფეს ნამდვილად არ ექნებოდა სურვილი გვერდით ჰყოლოდა ბიზანტიური ორიენტაციის „ჯაშუში“ (ასე ვუწოდოთ პირობითად), რომელიც სახელმწიფოში მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმაციას ბიზანტიის იმპერიაში გაიტანდა...

— დასასრულ, მკითხველისთვის ალბათ საინტერესო იქნება სხვა მეცნიერებისა და საპატრიარქოს წარმომადგენლების აზრი ამ აღმოჩენის შესახებ...

— მალე არქეოლოგიური კვლევის ცენტრში საკმაოდ ვრცელი მოხსენებით წარვდგები მეცნიერებისა და საპატრიარქოს წარმომადგენლების წინაშე და მივაწვდი თქვენთვის და ჩვენი მკვითხველისთვის უკვე ცნობილ ინფორმაციას. რა თქმა უნდა, იქნება პოლემიკაც, რადგან ეს აღმოჩენა ნამდვილად არ განეკუთვნება ჩვეულებრივ აღმოჩენათა რიცხვს და მისი უყურადღებოდ დატოვება არ შეიძლება — ის ხომ ბევრ ისტორიულ ფაქტს საფუძვლიანად ცვლის.

ეკა მახარაშვილი

ამერიკული აკადემია თბილისში

ამერიკული აკადემია თბილისში აცხადებს კონკურსს აღმინისტრაციული თანაშემწის თანამდებობაზე. კანდიდატურა თავისუფლად უნდა ფლობდეს ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებს; უნდა წარმოადგინოს ინსტიტუციონალური TOEFL ტესტის ქულა; კარგად უნდა იცოდეს კომპიუტერული პროგრამების: Word-ის, Excel-ის, Internet-ისა და მონაცემთა ბაზის მოხმარება, უნდა ჰქონდეს აღმინისტრაციული მუშაობის გამოცდილება; შეეძლოს თანამშრომლებთან, მოსწავლეებთან, მშობლებთან და სკოლის სტუმრებთან ურთიერთობის დამყარება. უპირატესობა მიენიჭებათ სამუალო სკოლაში მუშაობის გამოცდილების მქონე კანდიდატურებს.

საბუთების მიღება 30 აპრილამდე. მოგვმართეთ ამერიკული აკადემიის ოფისში: ჭავჭავაძის 37ა (ახალი ეკლესიის უკან), ☎ 22 74 41; 22 78 89

რას გვეტყვი, მამაო?

— ჩემი მეგობრის დაოჯახებული ვაჟი ხშირად სვამს. უმუშევრობამ, ლტოლვილობამ (სამაჩაბლოდან გახლავთ) სასიათი შეუცვალა. სიმთვრალეში უხეში და აუტანელი გახდა. დალევის მეორე დღეს აღარაფერი ახსოვს და ბოდიშს იხდის. ძალიან ნანობს. ოჯახში ხატის წინ დაიფიცა, რომ ორ ჭიქაზე მეტს არ დალევდა. პირველ ხანებში ფიცის ერთგული იყო, მაგრამ მერე ნებისყოფამ უმტყუნა. ორ ჭიქას 3-4-ს მიაყოლებს ხოლმე და ღვთის წინაშე სცოდავს. ოჯახის წევრები შეშფოთებულები არიან — თუ რა სასჯელის მას უფლისგან და მეც მინდა დაგეკითხოთ, ეპატიება მას ფიცის დარღვევა თუ არა?

— ამ ადამიანის პირველი დანაშაული ის გახლავთ, რომ მან მისცა ფიცი უფალს, იმ კატეგორიული უძლურებისდა მიუხედავად, როდესაც ჩვენ, საკუთარი ნებით, თმის ერთი ღერის გათეთრებაც კი არ შეგვიძლია. ჩვენი სიტყვა ფიცის გარეშეც მტკიცე და დაურღვეველი უნდა იყოს. მეორე ცოდვა კი ის ჩაიდინა, რომ დაარღვია მიცემული ფიცი. თუ უფალს აძლევ აღთქმას, კიდეც უნდა შეასრულო. ამ ფიცის დარღვევა დიდი ცოდვაა. ალბათ დროულია მას შევახსენოთ მოვალეობანი, რომელიც ადამიანს აკისრია უფლის წინაშე — ეკლესიური ცხოვრება, ცოდვების აღიარება მოძღვრის წინაშე და ქრისტეს სისხლითა და ხორცით ზიარება. მოძღვარი წაუკითხავს საგანგებო ლოცვებს „ფიცის დარღვევის“ გამო. დაუწესებს ეპიტიმიას და მის პიროვნებას შეავედრებს ყოვლადმოწყალე უფალს.

— შეიძლება თუ არა, რომ მოვნათლო ჩემი დეიდაშვილის შვილი?

— აკრძალვის სახით თქვენ წინ არაფერი გეღობებათ. მაგრამ საქართველოში არსებული ტრადიციით, ჩვენი წინაპრები ცდილობდნენ ხოლმე ნათლობის გზით ისეთ ადამიანებთან დაემყარებინათ ნათელ-მირონით ნათესაობა, ვისთანაც სისხლისმიერი ნათესაობა არ აკავშირებდათ. შეგიძლიათ გაითვალისწინოთ ეს რჩევა.

— ჯვარი დაიწერე კომუნისტების დროს, ფარულად. ჯვრისწერის სანთლები დღესაც სახლში მაქვს, გთხოვთ, მიპასუხოთ, რა უნდა ვუყო ამ სანთლებს?

— ამ სანთლებთან დაკავშირებით არანაირი პრობლემა არ გექნებათ — შეგიძლიათ შეინახოთ, რამდენ ხანსაც გნებავთ, დაანთოთ ხატის წინ და ილოცოთ — როგორც გული გითხრობთ.

— სახლში მაქვს გადიდებული მიცვალებულების (ნათესავების) სურათები, რომლებიც უკვე აღარ კიდია კედელზე. რა მოუხერხოთ მათ? მათი შენახვა ცუდად მოქმედებს ჩემზე — მეშინია მათი. მაგრამ მითხრეს, რომ არც გადაყრა შეიძლებაო...

— შეგიძლიათ სადმე მოფარებულ ადგილას ფაქიზად შეინახოთ ისინი. საფიქრებელია, რომ თქვენში გამოიწვევს უხერხულ შეგრძნებას, თორემ მათი დაწვრითაც რაიმე კანონს არ დაარღვევდით. რაც შეეხება ამ სურათებისგან მოგვრილ შიშს — იგი უსაფუძვლოა, ამ სურათებს არავითარი უარყოფითი გავლენის მოხდენა არ შეუძლიათ!

— ითვლება თუ არა ცოდვად პლასტიკური ოპერაციის გაკეთება?

— გასაგები მიზეზების გამო, თავის დროზე არ უმსჯელიათ ამ თემაზე და კანონებში რაიმე აკრძალვები არ გვხვდება, მაგრამ ეკლესია ურჩევს ადამიანს, რომ მან შეინარჩუნოს ის იერსახე, რომლითაც მოავლინა ქვეყნად შემოქმედმა.

— დაბადებული ვარ 14 ოქტომბერს, მცხეთობის წმინდა დღესასწაულზე. მსურს დაგეკითხოთ, ამ მიზეზთან დაკავშირებით — გადმოდის თუ არა ჩემზე ღვთის განსაკუთრებული მადლი და აქვს თუ არა ამ რიცხვში დაბადებას ჩემთვის რაიმე მნიშვნელობა?

— ღვთის მადლი გადმოდის არა მარტო თქვენზე, არამედ ყველა ადამიანზე — მთავარია ეს ადამიანი მზად იყოს მადლის მისაღებად! რაც შეეხება 14 ოქტომბერს დაბადებით თქვენს შესაძლო გამორჩეულობას, ამის პასუხად მოგახსენებთ, რომ ჭეშმარიტი ქრისტიანი ადამიანი ერიდება თავისი პრივილეგირებულობის ძიებას და ამის საპირისპიროდ ცხოვრობს თავმდაბლურად და გულშემუსვრილებით. ხოლო, თუ მაინც გვახარებს ჩვენი ასეთ დიდ სადღესასწაულო დღეს ქვეყნად მოვლინება, ეს უწინარესად იმ დიდი პასუხისმგებლობის გრძნობას უნდა აღძრავდეს ჩვენში, რომელიც უნდა გავამართლოთ ქრისტიანული ზნეობრივი კანონების უმწიკვლოდ და განუხრელად დაცვით.

თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის“ ყუთუბის საშუალებით. მათი გაანლაგების შესახებ იხ. გვ. 36

მკითხველთა შეკითხვებზე პასუხებს სცემენ მართლმადიდებლური წიგნები და საკითხავები

ჩახვალ თბილისში, პოძებნი მირიანს და ბეგლარს და — დახოცავ...

(დასაწყისი იხ გვ. 10)

ის იყო, ეზოს გარეთ ფეხი გადმოდგა, რომ ტაქსიც გამოჩნდა. მასპინძლებს არც დამშვიდობებია, სალონის უკანა კარი გამოაღო და მძღოლს ვითომ სხვათა შორის გადაულაპარაკა: — თუ გინდა, თბილისში წავიდეთ. აი, სამასი მანეთი, ოღონდ იცოდე, არსად არ გაჩერდები — არც ავტოინსპექციის საგუშაგოებზე... როცა ადგილზე ჩავალთ, ერთი ამდენს კიდევ მიიღებო, — შეჰპირდა. მძღოლს მაინცდამაინც არ გახარებია ერთ ღამეში ამდენი ფულის შოვნის პერსპექტივა, მაგრამ მაინც დათანხმდა და გზა განაგრძეს. მძღოლმა მშვენივრად გაითამაშა თავისი როლი. საჭესთან მილიციის კაპიტანი იჯდა. ტაქსის კვალდაკვალ მილიციელთა რამდენიმე მანქანა მიჰყვებოდა. ოპერაციას იმ დროს თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებროს განყოფილების უფროსი რომან გვენცაძე ხელმძღვანელობდა. სამტრედიას რომ გამოსცდნენ, დაღამებული იყო. ტაქსის მგზავრი, რომელიც აქამდე შედარებით მშვიდად იჯდა, რატომღაც ანერვიულდა. უკვე აღარ მალავდა, რომ ძებნილი რეციდივისტი იყო, მძღოლს პისტოლეტით დაემუქრა, — ერთი არასწორი მოქმედება და შუბლს ტყვიით გაგიხვრეტო. მალე მანქანა გააჩერებინა და საბარგულში გადასახლდა. ამჯერადაც გააფრთხილა მძღოლი, — თუ რამე შეგნიშნე, იცოდე, ზურგში გესვრიო. ტაქსი მთელი სისწრაფით მიქროდა. უკან დარჩა ქუთაისი, ცოტაც და ზესტაფონსაც გაივლიან. მას შემდეგ, რაც ჩვენი „გმირი“ საბარგულში მოკალათდა, მდევრები გათამამდნენ, შედარებით მოკლე დისტანციაზე მიჰყვებოდნენ თვალთვალის ობიექტს. გეგმის თანახმად, ტაქსი პირდაპირ თბილისის მილიციის სამმართველოს ეზოში უნდა შესულიყო. იქ კი მას ჯავშანჟილეტიანი ხალხი ელოდება.

გვიანი ღამე იყო. ამ დროს საავტომობილო გზაზე მოძრაობა თითქმის არ არის და ამიტომ მანქანებმა სიჩქარეს უმატეს. ამის მიუხედავად, საბარგულიდან განუწყვეტლივ ისმოდა — ბისტრეე! ბისტრეე! უცებ ყველასათვის მოულოდნელად ტაქსი მკვეთრად შეჩანდა. მერე მანქანა ტროტუარზე ავარდა, ხეს შეასკდა და გაჩერდა. იმავდროულად, თითქოს აფეთქებისა თუ სროლის ხმაც მოესმათ მდევრებს. წამიც და ტაქსის საბარგული მილიციელთა რამდენიმე პისტოლეტმა ერთდროულად დაცხრილა. ანატოლი ბეცი ისე გარდაიცვალა, არ გაუგია, რომ მძღოლი არაფერ შუაში იყო, — ტაქსის წინა საბურავი გაუსკდა, და დანარჩენიც მისი გაგრძელება იყო. ქილერმა კი ბევრი საიდუმლო წაიღო თან.

ვაჟა გავაშელი

(დასაწყისი იხ. გვ. 6)

თუნდაც ის ფაქტი, რომ ესა თუ ის ლიმონათი 30 თეთრზე ნაკლები ღირს, მიანიშნებს, რომ ის დამზადებულია ისეთი შემადგენლობით და ისეთი კომპონენტებით, რომლებითაც სრულიად შეცვლილია მისი თვისობრიობა. ეტიკეტების გაყალბება ხომ უკვე ჩვეულებრივ ამბად იქცა. იგივე შემიძლია ვთქვა ე.წ. ვითომ ნატურალური ხილის წვენების შესახებ. კიდევ ერთი საიდუმლო უნდა გაგიმხილოთ (რადგან ლიმონათი უშუალოდ დაკავშირებულია შაქართან). ჩვენმა სამსახურმა შეამოწმა თურქეთიდან იმპორტირებული შაქრის ფხვნილი და მასში სტანდარტით გათვალისწინებული ე.წ. 99,6 პროცენტი საქაროზას ნაცვლად, თითოეულ 50 კგ-იან ტომარაში 30-40 პროცენტი გაურკვეველი წარმოშობის თეთრი ფხვნილი აღმოჩნდა. ბუნებრივია, მას არც დატკბობის თვისება არა აქვს“.

მიკრობებით დაბინძურებული ფალსიფიცირებული ლიმონათი

თბილისის სანიტარული ზედამხედველობის ინსპექციის უფროსს, ბატონ ჯუღული ახვლედიანს რამდენიმე ლიმონათის ნიმუშის მიკრობიოლოგიური შემოწმებაც ვთხოვეთ. მეოთხე დღეს კვების ჰიგიენის ლაბორატორიის გამგემ **ნუნუ ნათელაშვილმა** მიღებული შედეგები გაგვაცნო. მისი განცხადებით: „კარგი შედეგები ვერც ამჯერად მივიღეთ. სამწუხაროდ, თითქმის ყველა მათგანში მეტ-ნაკლებად მომატებული იყო მიკრობთა საერთო რაოდენობა. ზოგიერთ შემთხვევაში კი დასაშვებ ნორმას ოთხ-ხუთჯერ აჭარბებდა. ზოგიერთ ნიმუშში ნაწლავის ჩხირის ბაქტერიათა ჯგუფის რაოდენობა დასაშვებ ნორმაზე მეტი იყო. თუმცა სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ როგორც შაქრის შემცველზე, ასევე მიკრობებისა და ნაწლავის ჩხირის არსებობაზე უარყოფითი პასუხი მივიღეთ „ჯასტელის“, „ყაზბეგის“ და „გრაალის“ ფირმების ლიმონათებზე. როგორც ვიცი, ისინი სანამ ლიმონათში წყალს ჩაასხამენ, მანამდე სასმელ წყალს დამატებით ფილტრავენ“.

ცხინვალური წარმოშობის „რუსული“ მაიონეზი

ვალერი ტვილდიანი უკვე ოთხი წელიწადია, რაც საკუთარი „ვილისის“ მარკის ავტომობილით ერგნეთის ბაზრობიდან თბილისში სხვადასხვა სახის კვების პროდუქტებს ეზიდება და ბაზრობებზე ბითუმად აბარებს საწყობებში. ამ ბიზნესით ირჩენს თავს და არჩენს ოჯახსაც. ის ჩვენთან გულახდილად არ ისაუბრებდა, რომ არა ერთი შემთხვევა, რომელმაც დააფიქრა და ფალსიფიცირებული მაიონეზის შემოტანაზე ნებაყოფლობით უარი განაცხადა. მისი თქმით, „რუსეთის ტელეარხებზე სისტემატურად მიდის ამ ქვეყანაში წარმოებული მაიონეზის სხვადასხვა სახეობის (როგორებიცაა: „კალვე“, „ზეთისხილი“ და „პროვანსალი“) რეკლამები. რეკლამამ ძალაუნებურად ქართველ დიდიდე, ზედ მაიონეზი წავუსვი და მივირთვით. გორში ჩასულები არ ვიყავით, რომ ჩემს შვილს მუცლის არეში საშინელი ტკივილი დაეწყო. მადლობა მინდა ვუთხრა გორის საავადმყოფოს ექიმებს, რომლებმაც ჩემს შვილს სიცოცხლე აჩუქეს. იმ დღიდან, თუ დამიჯერებთ, ცხინვალურ-რუსული მაიონეზებისაკენ აღარ გამიხედავს“.

ტვილდიანის დახმარებით, თბილისის ერთ-ერთ ბაზრობაზე ფალსიფიცირებული მაიონეზის სახეობები ვიყიდეთ და ისევ სანიტარული ზედამხედველობის ინსპექციის უფროსს — ჯუღული ახვლედიანს ვთხოვეთ დახმარება. ამ პროდუქტების ლაბორატორიულმა შემოწმებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. **ჯუღული ახვლედიანს** განცხადებით: „კალვეს“, „პროვანსალის“, „ზეთისხილის“ მაიონეზების ყოველ მეასედ გრამში აღმოჩნდა ნაწლავის ჩხირის ჯგუფის ბაქტერიები. თუ წარმოვიდგენთ, რომ თითოეული პოლიეთილენის პაკეტი 250-გრამიანია, მაშინ ნაწლავის ჩხირის ჯგუფის ბაქტერიების რაოდენობა ათიათასობით იანგარიშება.“

რესპუბლიკური ინფექციური საავადმყოფოს განყოფილების გამგის **თემურ ძველიძის** განცხადებით: „ამ ჯგუფის ბაქტერიებს და არაპათოლოგიურ მიკრობებს (თუ ისინი განსაკუთრებით დიდი რაოდენობით არიან პროდუქტში) თუ ხელსაყრელი პირობები შეექმნებათ გამრავლებისათვის, ისინი რამდენიმე ხანში პათოლოგიურ მიკრობებად გადაიქცევიან და ისეთი მძიმე დაავადების გამოწვევა შეუძლიათ, როგორიც დიზენტერიაა“.

სანიტარული ინსპექციის უფროსი გვაფრთხილებს

ჯუღული ახვლედიანმა იმდენი არაკეთილსაიმედო კვების პროდუქტი ჩამოთვალა, ზოგი კონტრაბანდული, ზოგი არასერტიფიცირებული და ზოგიც ერთდროულად კონტრაბანდულიც და არასერტიფიცირებულიც, რომ ძალაუნებურად შევშინდი. მისი განცხადებით: „ზაფხული კარს მოგვადგა. აქედან გამომდინარე, კვების პროდუქტების, განსაკუთრებით მალფუჭებადი პროდუქტების სანიტარულ-ჰიგიენური წესების და ნორმების დაცვას დიდი მნიშვნელობა აქვს. თუ არ იქნა პროდუქციის წარმოების, შენახვის, ტრანსპორტირების ნორმები დაცული, გახშირდება ადამიანების კვებითი მოწამვლის ფაქტები. ჩვენმა სამსახურმა და დედაქალაქის ხელმძღვანელობამ უკვე დაიწყო მალფუჭებადი კვების პროდუქტებით გარევაჭრობისა და, საერთოდ, გარევაჭრობის აკრძალვის ღონისძიებების გატარება. ამის შესახებ თბილისის მერიამ შესაბამისი დადგენილებაც მიიღო. დღეისათვის გარევაჭრობა აკრძალულია თბილისის ცენტრალურ მაგისტრალებზე და თანდათან ამ ღონისძიების არეალი გაფართოვდება, რადგან გარემოვაჭრეები, ძირითადად, ფალსიფიცირებული პროდუქციის რეალიზატორები არიან. რაც შეეხება სტაციონარულ სავაჭრო ობიექტებში მალფუჭებადი პროდუქტებით ვაჭრობის საკითხს, უპირველესად მოსაგვარებელია ობიექტებში სამაცივრო დანადგარების გამართული მუშაობა და ტემპერატურული რეჟიმის დაცვა. ეს ძნელი მისაღწევია და მოითხოვს სისტემატურ კონტროლს, მაგრამ სამეწარმეო საქმიანობის შესახებ კანონი ობიექტების თუნდაც ამ მხრივ სისტემატურად შემოწმების საშუალებას არ იძლევა. რა თქმა უნდა, ამ კანონის ძალაში შესვლამ გარკვეული დადებითი შედეგი გამოიღო, მაგრამ იმისათვის, რომ ობიექტში მაცივრის გამართული მუშაობის შესამოწმებლად შეხვიდე, სასამართლოს დადგენილებაა საჭირო. ამან კი ოპერატიული ღონისძიებების გატარების ეფექტი დაკარგა. წელს უხარისხო, საეჭვო ობიექტების შემოწმების მიზნით, 350 შუამდგომლობით მივმართეთ სასამართლოს და 118 ობიექტს ავუკრძალეთ მუშაობა. ხშირია შემთხვევები, როცა მოსამართლე, კანონიდან გამომდინარე, ფალსიფიკაციაში ეჭვმიტანილი საწარმოს ხელმძღვანელსაც იწვევს გადაწყვეტილების გამოტანამდე. ფალსიფიკატორი ამას თავის სასარგებლოდ იყენებს და დროის იმ პერიოდში, როცა მისი შემოწმება უნდა მოხდეს, საერთოდ კეტავს ობიექტს და უგზო-უკვლოდ იკარგება.

უნდა განვაცხადო, რომ გარევაჭრობებზე, აგრეთვე ბაზრობებზე ნაყიდი კვების პროდუქტების ნახევარზე მეტი არის ფალსიფიცირებული და ადამიანის ჯანმრთელობისათვის საშიში. სწორედ აქ ირღვევა უმეტეს შემთხვევაში კვების პროდუქტის შენახვის და რეალიზაციის პირობები, ამიტომ გაფრთხილებთ, მოერიდეთ გარეთ მოვაჭრეებს.

როგორც ვთქვი, ზაფხული მოდის. ამიტომ მოერიდეთ მოხარშულ კრემიან ნამცხვრებსაც. მათი შენახვის ვადა 6 საათია, ისიც 4-8 გრადუს ტემპერატურაზე. შეუძლებელია 35-გრადუსიან სიცხეში გარეთ ნამცხვრის 8 გრადუსზე შენახვა.

ზაფხულში ასევე უნდა მოერიდოთ როგორც ნედლი, ასევე შებოლილი თევზის ყიდვას. ყოველდღიურად თბილისში 7 ტონამდე კონტრაბანდული სიგა შემოდის, მაგრამ გამკითხავი და პატრონი არავინ არის.

რაც შეეხება რძის პროდუქტებს და მაიონეზს, უნდა დაკვირდეთ ამ პროდუქტების შესყიდვისას რეალიზაციის ვადას. მოერიდეთ პოლიეთილენის პაკეტებში ჩასხმულ მაიონეზს. ის ხშირად ცხინვალში, იატაკქვეშა საამქროებშია დამზადებული. ქართული მაიონეზი თუნდაც იმით სჯობს ნამდვილ მოსკოვურ ნაწარმს, რომ მას თბილისამდე არ გამოუვლია ასეულობით კილომეტრი, ისიც 30-გრადუსიან სიცხეში.

დასასრულ, მოერიდეთ იაფფასიან ლიმონათს და ლუდის ბარების წინ ნუ იყიდით პოლიეთილენის ნახმარ ბოთლებს.

P.S. სტატია დასაბეჭდად მზად იყო, რომ ინტერნეტში მოსკოვის რძის კომბინატის სს „პრეობრაჟენსკოეს“ საიტზე მოსკოვის წარმოების მაიონეზ „პროვანსალზე“ ამოვიკითხე: „აღმოჩენილია ნაწლავის ჩხირი. უცნობია, რამდენი დაბინძურებული პაკეტი გავრცელდა რუსეთში“(!).

ზვიად ჩაკვეტაძე

კვების პროდუქტების ლაბორატორიული გამოკვლევის სავალალო შედეგები, ანუ ვინ აგებს პასუხს?

“მედი“ — ჭარბთმიანობის კომპლექსური მკურნალობა

ჭარბთმიანობის პრობლემაზე მსოფლიოში მრავალი ცნობილი კოსმეტოლოგიური და სამედიცინო ტექნოლოგიის ფირმა მუშაობს.

ყველასათვის ცნობილია, რომ არასასურველი თმების ტრადიციული გზებით მოშორება გამოსავალი არ არის, ხოლო ყოველი ჩარევის შემდეგ კი უფრო გაუხეშებული თმა იზრდება.

გარდა ამისა, საკმაოდ ხშირია სხვადასხვა სახის გართულება, რასაც კანის ხარისხის გაფუჭება მოსდევს. ელექტროეპილაციის და პრიმიტიული ლაზერული აპარატებით ჩატარებული ეპილაციის დროს კანის საფარის დაზიანების გამო, დიდია შიდსითა და ჰეპატიტით ინ-

ფიცირების შესაძლებლობა. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დღეს, როდესაც მსოფლიო შიდსის პანდემიის საშიშროების წინაშე დგას.

მსოფლიოს კოსმეტოლოგთა ოცნება, ეპილაციის ჩატარება უკონტაქტოდ, ჩხვლეტისა და კანის დაზიანებ-

ის გარეშე, – რეალობა გახდა მას შემდეგ, რაც 1999 წელს ამერიკელებმა შექმნეს ალექსანდრიტის დერმატოლოგიური ლაზერი. მის მიერ გამოსხივებული სხივი სავსებით უვნებელია ორგანიზმისათვის და დიდი ხანია გამოიყენება მედიცინაში გულის, სისხლძარღვებისა და თვალის სამკურნალოდ.

სხვა, ნებისმიერ ლაზერულ და სინათლის სპექტრზე (ფოტოეპილაცია) მომუშავე აპარატებთან შედარებით, ალექსანდრიტის ლაზერი უზრუნველყოფს ყველაზე სწრაფ და მაღალეფექტურ ეპილაციას კანის დაზიანებისა და მასზე პიგმენტური ლაქების განვითარების გარეშე.

რამდენადაც არ ზიანდება კანის საფარი, შიდსით ან ჰეპატიტით დაავადება ამ აპარატით ჩატარებული ეპილაციის დროს გამორიცხულია.

ეპილაციის დროს თმის ძირი ისე ნადგურდება, რომ არ ზიანდება ირგვლივ მყოფი ქსოვილები. ეპილაციას ალექსანდრიტის ლაზერით უმეტესად რამდენიმე წუთი სჭირდება. საბოლოო განკურნებისათვის საჭიროა რამდენიმე პროცედურის ჩატარება, რაც დამოკიდებულია საეპილაციო თმის ხარისხზე, პაციენტის ორგანიზმის ზოგად მდგომარეობაზე და ჰორმონალურ ფონზე.

მას შემდეგ, რაც ამერიკელი პარტნიორების მეშვეობით, სამედიცინო ცენტრში “მედი”, დამონტაჟებულ იქნა ალექსანდრიტის ლაზერის 2000 წლის მოდელი, იგი საქართველოს მოსახლეობისათვისაც გახდა ხელმისაწვდომი. მთელს კავკასიაში ეს აპარატი ერთადერთია, ხოლო ყოფილ საბჭოთა კავშირის სივრცეში სულ რამდენიმე ცალია.

სამედიცინო ცენტრი “მედი”, ალექსანდრიტის ლაზერით ეპილაციის

გარდა, გთავაზობთ სიახლეს – ჭარბთმიანობის მიზეზების გამოკვლევას. საჭიროების შემთხვევაში წარმოებს გინეკოლოგის კონსულტაცია.

უნდა აღინიშნოს, რომ ჭარბთმიანობის მედიკამენტოზური მკურნალობის კომბინაცია ალექსანდრიტის ლაზერით ეპილაციასთან, იძლევა საუკეთესო და სწრაფ ეფექტს.

ფირმა “მედი” და მისი მაღალკვალიფიციური სპეციალისტები ყოველთვის მზად არიან იზრუნონ თქვენს სილამაზეზე.

სამედიცინო ცენტრი “მედი”

25-02-02 93-89-75

ალ. ყაზბეგის გამზ. №1

შევარდნაძემ კოდორისთვის ომი მოიგო

ჯერ კიდევ წინა თვეში დაწყებული დაძაბულობა რუსულ-ქართულ ურთიერთობაში, პარასკევს მოულოდნელად გამძაფრდა. დილას, ქვემო აჟარასთან რვა შვეულმფრენმა რუსეთის მედესანტეების ასეული გადმოსხა და კოდორის ხეობის ზედა (ქართულ) ნაწილში გამაგრდა. მაგრამ ქართულმა ჯარებმა ისინი მაშინვე ალყაში მოაქციეს. პრეზიდენტი შევარდნაძე დაუყოვნებლივ გაფრინდა კოდორის ხეობაში, რათა საკუთარი თვალით ენახა, რა ხდებოდა.

საქართველოს პარლამენტმა რუსეთი აგრესიაში დაადანაშაულა და თანადგომა სთხოვა გაეროს, ეუთოს, დსთ-ს და მსოფლიო საზოგადოებრიობას. საქართველოს თავდაცვის მინისტრმა რუს ჯარისკაცებს უკან დაბრუნება მოსთხოვა. თანაც დაემუქრა, თუ დათქმულ დროს გადააცილებთ, ცეცხლს გაგიხსნითო.

საქართველოს დამოუკიდებლობის მანძილზე ჯერ არასოდეს ყოფილა ასეთი დაძაბული მდგომარეობა რუსეთსა და საქართველოს შორის. ქართულმა მხარემ მაშინვე შეატყობინა ეს ფაქტი მოსკოვს, აფხაზეთში მყოფ სამშვიდობოთა ხელმძღვანელობას და გაეროს მისიის ქართულ წარმომადგენლობას. ოფიციალურმა თბილისმა ვითარების გარკვევამდე შეწყვიტა მოლაპარაკება ახალ ჩარჩო-ხელშეკრულებაზე რუსეთ-საქართველოს შორის.

რუსი მოდის!..

მოსკოვმა ეს ამბავი შორს დაიჭირა — ჯერ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ და მერე თავდაცვის სამინისტრომ თავის განცხადებებში განმარტეს, რომ ცნობა, რუს მედესანტეთა „გადასხმაზე“, დეზინფორმაციას წარმოადგენს. საქმე ეხებოდა კოლექტიური ძალების ბლოკპოსტების გაშლას ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში. ამისთვის გუდაუთიდან მდინარეების — ჩხალთისა და კოდორის შესართავთან მართლაც გადაიყვანეს 78 სამხედრო მოსამსახურე შვეულმფრენებით, რადგან წლის ამ დროს სხვა ტრანსპორტი იქაურობას ვერ მიუდგებოდა. მოსკოვში ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ეს კონფლიქტის ზონაში მყოფ გაეროს მისიასთან იყო შეთანხმებული. მედესანტეების გადაყვანის ბრძანება კი გასცა კოლექტიური ძალების მეთაურის მოვალეობის შემსრულებელმა გენერალ-მაიორმა ალექსანდრ ევტეევმა და ეყრდნობოდა 2 აპრილის ხელშეკრულებას, რომელსაც ხელს აწერდნენ ქართველი და აფხაზი ოფიციალური პირები, გაეროს წარმომადგენლები. ეტყობა, ხელშეკრულებაში სიტყვა „პატრულირება“ მხარეებმა სხვადასხვაგვარად გაიგეს. ქართველები ვარაუდობდნენ, რომ რუსი მშვიდობისმყოფელები გაეროს წარმომადგენლებთან ერთად ხეობის გასწვრივ განლაგდებოდნენ, რუსეთის სამხედრო მეთაურებს კი გამიზნული ჰქონდათ, უპირველეს ყოვლისა, აღედგინათ სწორედ ის ბლოკპოსტი სოფელ აჟარასთან, საიდანაც რუსი მედესანტეები შარშან ოქტომბერში გელაევის შიშით გაიქცნენ.

Кавказ, штат Джорджия

ქართული მხარე არ დაეთანხმა ტერმინის, „პატრულირება“, ასეთ ინტერპრეტაციას და მას „ჯარების უკანონო გადაადგილება“ უწოდა.

ჰეფი ენდი ქართულად

როგორც მოსალოდნელი იყო, რუს მედესანტეთა კოდორის ხეობაში ჩასვლა აფხაზეთმა მოიწონა. სამაგიეროდ, რუსეთისთვის სრულიად მოულოდნელი განცხადება გააკეთა გაეროს მთავარმა სამხედრო მეთვალყურემ საქართველოში ანის ბაჯუამ. მან თქვა, რომ რუს მშვიდობისმყოფელთა მოქმედება მისთვის „სრულიად მოულოდნელი იყო“ და რუსეთს ხეობიდან ჯარების გაყვანა ურჩია. ისიც დაამატა, რომ ეს აზრი შეთანხმებულია დიტერ ბოდენთან. რუსეთი აღაშფოთა ამან, მაგრამ სხვა რა გზა ჰქონდა — მისი მედესანტეების დემარში გაეროს ჩინოვნიკების დიპლომატიური მხარდაჭერის გარეშე, ძლიერი მეზობლის უტიფრობას დაემსგავსებოდა, რომელსაც არ ეეჭვება, რომ სუსტი მეზობელი ვერაფერს გააწყობს მასთან.

გენერალ-მაიორმა ევტეევმა სახელის ღაფში ამოსვრას საქართველოს პრეზიდენტთან ხლება ამჯობინა. როგორ წარიმართა მოლაპარაკება, არავინ იცის. რფ-ის თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურის ცნობაში ნათქვამია: **შევარდნაძემ ცნო ის, რომ რუსი მშვიდობისმყოფელები 2 აპრილის ოქმით მოქმედებდნენ, მაგრამ საქართველოს პარლამენტის აღშფოთება მოიმიზეზა და მხოლოდ მათი ნერვების დასამშვიდებლად სთხოვა ევტეევს, სანამ დროა, თავი დაანებოს იმ ავადსახსენებელ პოსტს.** რუსეთმა კი ძალიან გაიკვირვა — ასეთივე მდგომარეობაა ტყვარჩელში და საქართველო ყურს არ აპარტყუნებს, ეს კოდორის ხეობა რა გახდა ასეთიო?.. მაგრამ მაინც გადაწყვიტა შევარდნაძის თხოვნის დაკმაყოფილება.

ასეა თუ ისე, ცხადია, რომ რუსეთის მხრიდან ძალის დემონსტრირების მორიგმა ცდამ ჩაილურის წყალი დალია. შევარდნაძემ, რომელმაც ამ ბოლო დროს რამდენიმე მოუქნელი ნაბიჯი გადადგა რუსულ-ქართულ ურთიერთობებში, სწრაფად მოაგროვა ქულები — პირადად აღუდგა წინ რუს მედესანტეთა ასეულს.

ვიპ.ლენტა რუ

ამერიკული აკადემია თბილისში

ამერიკული აკადემია თბილისში აცხადებს კონკურსს ისტორიის, რუსულის და ფიზკულტურის მასწავლებლების თანამდებობაზე მე-9-10 კლასებში სამუშაოდ. მსურველები თავისუფლად უნდა ფლობდნენ ინგლისურ ენას, უნდა ჩააბარონ ინსტიტუციონალური TOEFL ტესტი, უნდა ჰქონდეთ დიპლომი შესაბამის დარგში, შეეძლოთ კომპიუტერთან მუშაობა. უპირატესობა მიენიჭებათ სამუალო სკოლაში სწავლების გამოცდილების მქონე კანდიდატურებს.

საბუთების მიღება 30 აპრილამდე. მოგვმართეთ ამერიკული აკადემიის ოფისში: ჭავჭავაძის 37ა (ახალი ეკლესიის უკან), ☎ 22 74 41; 22 78 89

სპეცგაზრთხილება საქართველოს

რფ-ის პრეზიდენტის საგანგებო წარმომადგენლის პოსტი საქართველო-აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების საქმეში, საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ **ვალერი ლოშჩინმა** დაიკავა. ახალი რუსეთის ისტორიაში მოსკოვმა მხოლოდ სამჯერ დანიშნა პრეზიდენტის საგანგებო წარმომადგენელი ფეთქებადი რეგიონული კონფლიქტების მოსაგვარებლად — ახლო აღმოსავლეთში, იუგოსლავიასა და დნესტრისპირეთში. სპეცჩინოსნის მოვალეობა და უფლებები პრაქტიკულად განსაზღვრული არ არის, რადგან მისი უშუალო უფროსი პრეზიდენტია.

რფ-ის პრეზიდენტის საგანგებო წარმომადგენელი ვალერი ლოშჩინი კომენტარს უკეთებს შექმნილ ვითარებას:

— რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ოფიციალურ თბილისს ადანაშაულებდა ტერორისტების ხელის შეწყობაში...

— რუსეთის მშვიდობისმყოფელების მიმართ მოწყობილი ტერორისტული აქცია ვერ ჩატარდებოდა საქართველოს ოფიციალური ხელისუფლების უნებართვოდ. ჩვენ არაერთხელ ვთხოვეთ საქართველოს მთავრობას — საქმით და არა სიტყვით ებრძოლოს ტერორისტებს.

— თუ ასეთი აქციები არ შეწყდა, რუსეთმა რა შეიძლება მოიმოქმედოს?

— ყველანაირად ვეცდებით, ვიმოქმედოთ თბილისზე, მაგრამ თუ თქვენ ძალის გამოყენება გაქვთ მხედველობაში, ეს გამორიცხულია.

— ქართული მხარე ირწმუნება, რუსეთს აფხაზეთში ჯარი შეპყავსო.

— წარმოუდგენელია ასეთი რამ. მეტსაც გეტყვით — ეს შეუძლებელია.

— შესაძლებელია ახალი ომი საქართველოსა და აფხაზეთს შორის?

— მიუხედავად იმისა, რომ ამ ბოლო დროს დაპირისპირება გამძაფრდა, ჩვენ ყველა ღონეს ვხმარობთ ომის თავიდან ასაცილებლად. მით უმეტეს, რომ 2 აპრილს ხელმოწერილ იქნა ოქმი, რომელიც 1994 წლის ხელშეკრულების შესრულებას გულისხმობს — ქართული და აფხაზური ჯარის ნაწილების გამოყვანა კოდორის ხეობიდან. ხეობაში კი პატრულირებას განაგრძობენ რუსეთის მშვიდობისმყოფელები და გაეროს მეთვალყურეები. ეს უკვე პოზიტიური ნიშანია.

— საქართველოს თავდაცვის მინისტრმა განაცხადა, — თუ სოხუმი „ქკუით“ არ იქნება, შეიძლება აფხაზური საკითხი ძალითაც გადაწყდესო...

— ამ საკითხის ძალისმიერი გზით მოგვარება შეუძლებელია. ეს კარგად ესმის თბილისსაც და არც სხვას სურს ვითარების ამგვარი განვითარება. „საქართველოს მეგობრების ჯგუფი“ — აშშ, გერმანია, საფრანგეთი, ინგლისი და ასევე რუსეთიც ძალისმიერი მოქმედებების კატეგორიული წინააღმდეგი არიან. სიტუაცია არც ისე უიმედოა: შემუშავებულია სამოქმედო პროგრამა, რომელიც აფხაზეთის სტატუსს ეხება, მაგრამ ამ დოკუმენტის კომენტირება არ მინდა, რადგან ის ოფიციალურად ჯერ არ არის წარდგენილი. ვიტყვი მხოლოდ, რომ მასში გათვალისწინებულია საერთაშორისო პრაქტიკა (უპირველეს ყოვლისა, ქართულ-აფხაზური ურთიერთობების თავისებურება) და სტატუსის პარამეტრებიც რეგლამენტირებული იქნება. აფხაზეთის საბოლოო სტატუსი გამოიკვეთება თბილისისა და სოხუმის მოლაპარაკებებით.

— მაინც რა იქნება: ფედერაცია, კონფედერაცია, ორი სახელმწიფოს თანაარსებობა?

— ერთი რამ შემიძლია ვთქვა: ჩვენ, ისევე როგორც „საქართველოს მეგობართა ჯგუფი“, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მომხრეები ვართ...

— აფხაზეთის ლიდერებს რომ რუსეთთან ასოცირებული ურთიერთობის დამყარება სურთ?

— ხაზგასმით გიმეორებთ: რუსეთი იმოქმედებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპიდან გამომდინარე...

— მაშინ აფხაზეთში მცხოვრები რუსეთის მოქალაქეთა პრობლემა დადგება. რამდენი არიან ისინი?

— ზუსტი ცნობა არ არსებობს. ისე, დაახლოებით 50 ათასმა აფხაზეთის მკვიდრმა მიიღო რუსეთის მოქალაქეობა. ამაში რუსეთის არავითარი დაინტერესება არ არის. რუსეთის მოქალაქეობის მიღება მოქმედი კანონმდებლობით ხდება. ასეთივე პროცესი მიმდინარეობს დსთ-ის მთელ სივრცეზე — ეს ჩვეულებრივი საქმეა.

— თუ სიტუაცია აფხაზეთში გართულდა, აპირებს თუ არა რუსეთის ხელმძღვანელობა იქ მცხოვრები რფ-ის მოქალაქეების დაცვას?

— ყველა სახელმწიფოს წმიდათაწმიდა ვალია — დაიცვას თავის მოქალაქეთა უფლებები. ამიტომაც ჩვენ გადამწყვეტ და მკაცრ ზომებს ვღებულობთ ყოველგვარი პროვოკაციის აღსაკვეთად და თბილისს მოვუწოდებთ გამოიჩინოს აუცილებელი პასუხისმგებლობა და თავშეკავება.

იტოგი №14

თენგიზ კიტოვანი:
„რუსეთი წაგებული ქვეყნის როლშია“

ამონარიდი ინტერვიუდან



— 1992 წელს, როცა შევარდნაძემ აფხაზეთის ომი წააგო, პოსტის შესანარჩუნებლად ბრძოლა დაიწყო და მოიშორა ყველა, ვინაც ის ხელისუფლებაში მიიყვანა, თანაც მიხვდა, რომ მე არ ვიყავი მისი პროდასავლური ორიენტაციის მომხრე.

— ეი. ფსონს ყოველთვის ამერიკაზე ჩადიოდა?

— მას ჯერ კიდევ 1993 წელს უნდოდა ამერიკის ჯარების შემოყვანა, აფხაზეთის საკითხის მოსაგვარებლად... ელცინი და შევარდნაძე ჩუმჩუმად წყვეტდნენ ყველა საკითხს. ჯერ კიდევ 1992 წლის 3 სექტემბერს, როდესაც ვსაუბრობდით აფხაზეთის საკითხებზე, შექეიფიანებული ელცინი შემოვიდა და თქვა: „აბა, ამბროსევიჩ, როგორც შევთანხმდით, ვქმნით აფხაზეთთან კონფედერაციას?“ მე მაშინ არ დავეთანხმე მათ და დავტოვე თათბირი.

— და, მაინც რა თქვა ასეთი ცუდი ელცინმა?

— საქართველოს თვითონ უნდა ეწარმოებინა მოლაპარაკება აფხაზეთთან, რუსეთს საქართველოსთან ერთად მალულად კი არ უნდა გადაეწყვიტა პრობლემები!

— თუ ასეთი მეგობრები იყვნენ რუსეთი და საქართველო, საიდუმლო პოლიტიკასაც ერთად ატარებდნენ, მაშინ რატომ ვერ შეთანხმდნენ?

— ყველაფერი რუსეთის პოლიტიკოსების ბრალია. რუსეთმა, როგორც ყოველთვის, საქართველოზე ზეწოლა გადაწყვიტა, ეს უკანასკნელი კი იძულებული შეიქნა, სხვა მოკავშირე მოეძებნა დაკარგული მიწების — აფხაზეთის და ოსეთის დასაბრუნებლად, რომელთაც რუსეთი მფარველობდა. ახლა კი ქართველმა პოლიტიკოსებმა აჯობეს და რუსეთი აიძულეს, მოეწერა ხელი საქართველოდან ჯარის გაყვანის დოკუმენტზე.

— კი ბატონო, მაგრამ რუსეთს ეკონომიკური ბერკეტებიც გააჩნია, ხომ შეუძლია, მაგალითად, გადაკეტოს გაზი ან დენი გამორთოს...

— კარგი ერთი, 50 წელი არ იყო გაზი საქართველოში, მაგრამ მშვენივრად ვცხოვრობდით. ამით ქართველებს ვერ შეაშინებ. იმ პოლიტიკით, რომელსაც ძერების პატარა ჯგუფი ატარებს, საქართველოს დასაჩოქებლად, რუსეთი ყველაფერს წააგებს. ფაქტობრივად, იგი უკვე წაგებული ქვეყნის როლშია...

თქვენი სპეცსამსახურები ბევრ რამეში გაცუცურაკდნენ. ჯერ კიდევ სსრკ-ის საგარეო საქმეთა მინისტრობის დროს ედუარდ შევარდნაძე უფროს ბუშთან მეგობრობდა და მასთან ერთად ხელი მოაწერა ხელშეკრულებას ბერინგის სრუტის შესახებ, რითაც რუსებს დააკარგვინა თევზის რეწვის მარაგის 30% და უმდიდრესი ნავთობის საბადოები.

უვიციც მიხვდება, რომ კავკასიის დაკარგვა, ჯერ შუა აზიის დაკარგვას, მერე კი თავად რუსეთში სეპარატისტულ მოძრაობას გამოიწვევს. ამას მოყვება თათრეთი, ბაშკირეთი და ა.შ. ასე რომ, სანამ სხვა რესპუბლიკებს დაუწყებდეთ ჭკუის სწავლებას, როგორ იცხოვრონ — სჯობს, იმას მიხედოთ, რაც თქვენ ოჯახში ხდება.

— პუტინმა რაღა ქნას?

— ხშირად შეხვდეს როგორც რუსეთის, ასევე სხვა პოსტსაბჭოური ქვეყნების ოპოზიციას, მაგრამ მას სიმართლისა ეშინია. ბუში წარამარა ხვდება ჩვენს ოპოზიციას. ამას წინათ მათი წარმომადგენლები იყვნენ მასთან, სენატშიც ჰქონდათ საუბრები. დროა, რუსეთის პოლიტიკოსები ჭკუაზე მოვიდნენ. ამერიკელმა ბუშმა უკეთ იცის, რა ხდება ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში...

— რაში სჭირდება ამერიკელები შევარდნაძეს?

— ისინი საქართველოს დაუბრუნებენ აფხაზეთსაც და ოსეთსაც. რასაკვირველია, ამის შემდეგ საქართველო ამერიკის მოკავშირე გახდება, რუსეთი კი განზე დარჩება. თანაც, უცხოეთის ჯარები ამერიკულ-ქართულ საკუთრებას დაიცავენ.

პოსლედნიე ნოვოსტი №15

ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო! კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.

პატარები ჭკვიანობენ

5 წლის სალომე ჩახვაშვილი გაზეთ „კვირის პალიტრაში“ ეძებს მეთხუთმეტე განსხვავებას, დიდი ხნის ძებნის შემდეგ წამოიძახა:

— შეცდომა ვიპოვე, 15-ის ნაცვლად, 14 განსხვავება უნდა ეწეროსო.

***

5 წლის ირაკლი გველუკაშვილი ძია მამუკამ გააფრთხილა, — ნერვები არ მომიშალოო.

ირაკლი დედასთან მივიდა და ჰკითხა:

— დედიკო, მამუკა ძიას კბილის ექიმმა გუშინ არ ამოუღო ნერვები, რაღა უნდა მოეშალოს?

***

პატარა ირაკლი დედას ეკითხება:

— დედა, ირინა და მე ხომ შენ გაგვაჩინე, მამამ ვიღა გააჩინა?

***

4 წლის ავთო ლაბაძეს დედა ეკითხება:

— აბა, მითხარი, საქართველოს დედაქალაქი რომელია?

— ჯერ შენ მითხარი, საქართველოს მამაქალაქი რომელია? — შეეპასუხა ავთო დედას.

***

5 წლის ანანო ანდღულაძეს ბიძა ეუბნება:

— გინდა, შენი სათამაშო გავაქრო?

ანანომ სათამაშო რომ ვეღარ დაინახა, შეწუხდა და უყვირა:

— ახლავე ამოაქრინე ჩემი სათამაშო.

***

6 წლის ნიკა გორგიშელს დედა ეჩხუბება:

— თუ არ შეჭამ საჭმელს, წამალს დაგალევინებ.

— დედა, კალცი სახელია და გლუკონატი გვარი? — კითხულობს ნიკა.

***

ტელევიზორში რობოტებს აჩვენებდნენ, **დიანამ** დედას ჰკითხა:

— ეს რა არის?

დედამ აუხსნა, — რობოტები რკინის კაცები არიანო.

დიანამ უპასუხა:

— როგორი, კახა თარგამაძისნაირი კაცები?

შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელი ფერის ჰორიზონტალურ რიგში მიიღებთ შემდეგი გამოცანის პასუხს: ღამე ამომავალია, ხან სავსე, ხან ნამგალია.

II



იპოვეთ 15 განსხვავება

მოძებნე ილუზიონისტის ქუდი

რომელი ორი საგანი აკლია მარჯვენა სურათს?

გამოიცანი, რომელი მაიმუნი მოხვდება დინოზავრთან?



III

გამოიცანი, რომელი ნამცხვარი რომელ ლეკვს ეკუთვნის?

გამოიცანი, რომელი ფრაგმენტი აკლია სურათს?

I რებუსი



ქიავორდი

თქმულება, ლეგენდა	ალტაცების გამომხატველი შეძახილი	... მოტანილს ქარი წაიღებსო (ანდ.)	ტელეფონში სათქ. პირ. სიტყ.	წყლის ათფეხა, მარწუხებიანი არსება	ადამიანი, რომელიც ხშირად თვრება	სხეულის გარეთა საფარი

ნოტი	ხმელი ბალახი	მლაშე — მარილი, ტკბილი — ...	ხელის მეორე თითი	ფიცი მწამს ... მაკვირვებსო (ანდ.)	თხის ნაშიერი

ძვირფასო მშობლებო! გთხოვთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით გამოგვიგზავნოთ თქვენი პატარების ბრძნული გამონათქვამები და კურიოზული ამბები. ჩვენ კი მათ გამოქვეყნებას გპირდებით. გთხოვთ, მიუთითოთ რუბრიკა „საბალღო-სალაღო“

პასუხები იხილეთ 31-ე გვერდზე

გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა

ცხოვრებისეული კურიოზები

გამოუსწორებელი

რამდენიმე წლის წინ, ასე ვთქვათ, კარგ ხანაში, ქარელის ერთ-ერთი სკოლის პედაგოგებმა სათაფლიის ნახვა მოისურვეს და ავტობუსისთვის რაიონის ავტოსატრანსპორტო საწარმოს მიაშურეს. დირექტორმა მძღოლად პედაგოგებს მათივე ნამოწაფარი შეურჩია, რაც მაინცდამაინც არ ეჭაშნიკათ — ეგ სკოლაში გვიშრობდა სისხლს თავისი ოინებით და ახლაც არაფერი მოგვიწყოსო... მაგრამ თავისუფალი ავტობუსი სხვა არ იყო და აღმზრდელთაგან ათვალწუნებულ გოგიტას მოუწია ექსკურსანტების წაყვანა, თანაც საწარმოს ხელმძღვანელმა თავის მხრივ დაამშვიდა მასწავლებლები — არა უშავს, მაშინ ბავშვი იყო, ახლა დაკაცდა, მეტი ჭკუა მოეკითხებაო...

გოგიტა მართლაც დინჯად უჯდა საჭეს და თანდათან მასზე გულაყრილ პედაგოგთა ნდობაც მოიპოვა. ექსკურსანტებმა დიდად გაიხარეს სათაფლიის გამოქვაბულის სანახებით, დინოზავრის ნაკვალევსაც შეავლეს თვალი, გელათსაც ესტუმრნენ, სამახსოვრო სურათებიც გადაიღეს და ბუნების წიაღშიც გვარიანად წაუქეიფეს...

უკან მხიარულ ხასიათზე გამობრუნდნენ და ავტობუსში სიმღერაც შემოსძახეს. შუა გზაში მძღოლს მოკრძალებით სთხოვეს, იქნებ სადმე „მოხერხებულ“ ადგილას შეგვიჩერო მანქანაო... ავტობუსმა მალე გზიდან გადაუხვია და ერთ ხრიოკ ადგილას შედგა — აბა აქ რა უნდა მოვახერხოთო, აწრიალდნენ ექსკურსანტები, როცა გარშემო ერთი ბუჩქიც ვერ დაინახეს მოსაფარებლად.

— ავტობუსის ერთ მხარეს ქალები მოთავსდით, მეორე მხარეს კაცები, შებინდებულია, ვინ დაგინახავთ? — ეშმაკური ღიმილით ურჩია ნამოწაფარმა. მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ (გაჭირვებამ თავისი ქნა), საშველი რომ აღარ იყო, ასეც მოიქცნენ...

„სამოქმედო ობიექტზე“ განაწილება დამთავრდა თუ არა, გოგიტამ ავტობუსი მოულოდნელად დაძრა და „საქმით გართული“ სხვადასხვა სქესის პედაგოგები ერთმანეთს შეატოვა... ატყდა ერთი წივილ-კივილი, ვინ იწყევლებოდა, ვინ იცინოდა...

რაღას იზამდნენ?! გამოუსწორებელ ნამოწაფარს დირექტორთან (ამჯერად ავტოსაწარმოს) უჩივლეს და სამი თვით მძღოლის დამხმარედ ჩამოაქვეითეს...

შოთა ქელეხსაშვილი, ქარელი

დაკარგული ღორი

ოზურგეთის რაიონში, დაბა ანასეულში ცხოვრობს ერთი ხანში შესული ქალბატონი — ციალა გუჯაბიძე, ნამდვილი გურული ქალი. ერთხელ ციალას დაეკარგა დიდი, ნაპატივები საშობაო ღორი. დიდხანს ეძება, მაგრამ ამაოდ. შეგვებრალა მეზობლებს და გადავწყვიტეთ ღორის პოვნაში დავხმარებოდით. შედეგი არც ჩვენს მონდომებას გამოუღია. ამასობაში მეც დავკარგე კრუხი, რომელსაც ორი საცოდავი წიწილა ჰყავდა. მე-5 დღეს კი, დილით შევიკრიბეთ მეზობლები — ვაპირებთ რაღაც გამოსავალის მოძებნას... ამ დროს რას ვხედავთ, მოდის ციალა გაბადრული სახით, მოჰყავს ჩემი დაკარგული კრუხი ორი აწივლებული წიწილით, რომლებიც თავის საღორესთან უპოვია. ამათ იჭერდა თურმე და საღორიდან ღორის მისუსტებული ღრუტუნი გაუგონია. ჩაკეტილი საღორე გაუღია და... თავისი დაკარგული, ხუთი დღის შიმშილისგან დაოსებული ღორი უნახავს...

ციალას ხუთი დღის წინ ღორისთვის საკვები რომ მიუტანია, კარები გარედან დაუკეტავს, გამოშვება დავიწყებია. საღამოს კი ღორი რომ ჩვეულებრივ სახლში არ დაბრუნდა, იფიქრა, დაიკარგაო და ვაი-ვიში ატეხა.

პ. გობრონიძე, ოზურგეთი

რუსულ-ქართული, ქართულ-რუსული ლექსიკონი ასევე ზოგიერთი სიგყვის განმარგებანი

ბალიში — ეძებე ბალი
ბახალა — ალას დარტყმა (თავური)
ბაბილო — ილოს ქალები, ანუ ილო „ბაბნიკია“
ბიკინი — ინას ხარი
კუტი — შენ კუ ხარ, ანუ „უცნობი“
ომლეტი — ომი ზაფხულში კვერცხებით
სადისტი — დაჯექი შენ, ბოლოს და ბოლოს
სერიოჟა — რუხი ზღარბი
ნამუსი — ჩვენ ულვაში გვაქვს (ე.ი. ნამუსი)
ნევადა — წყალი არ არის, არც იქნება!

ციური ნებიერიძე, ქუთაისი

დუელანტის ბოლო გაბრძოლება მანდილის თანხლებით

ბატონ მახარე წიკლაურს

კვლავ ძველებური ტრაბახი
და შენი ტონი უცვლელი,
მე ვთარგმნე მგონი, თაბახი,
შენ კი — სულ ერთი ფურცელი!
ლუდსაც ვსვამ, არაყს „პოლლიტრას“,
მაქვს „პახმელიის“ უნარი,
ვარ ჩვენი „კვირის პალიტრის“
თითქმის მუდმივი სტუმარი.
ამის წინ ძმა რომ გიწოდე,
ხუთი მაქვს მე მაგ საგანში,
ისე კი უნდა იცოდე,
ვის ეჯიბრები თარგმანში.
მიყვარს მოძმესთან სტუმრობა,
ფულს მხოლოდ ბოთე ინახავს,
გაზეთში ჩემი ხუმრობა,
ალბათ მრავალჯერ გინახავს...
ისე, მსმელიც ვარ ქებული,
ხუთზე ვსვამ განა „სამზეო“,
ლექსების ექვსი კრებული
უკვე ვანახე სამზეოს...

ჯანო ონიანი, ქუთაისი

ჯანოს, ლადოს, რეზოს, მახარეს და სხვებს...

ახლა კი უნდა დაზავდეთ,
ჩემო ჯანო და მახარე...
კმარა, რაც ქართველთ დავაზე
მთელი დუნია ვახარეთ...

ერთმანეთს ვებრძვით, შვებას კი
ჯიუტად ვეძებთ სხვა მხარეს,
ერთ დროს ამაყად მავალმა,
ვაჟებმა თავი დახარეს...

შორს ჩვენგან ბრძოლა, დუელი,
შორს ჩვენგან ტრაბახ-ქადილი,
„ხმლები“ ჩააგეთ, ვოჟებო —
შუა ჩაგიგდეთ მანდილი.

ციური მანდილ-ოსანი

მუსტად ჩვენსავით არ ჰყვარებიათ პრეზიდენტი?!

სიღატაკის ზღვარს რომ მივუახლოვდით, საოჯახო ნივთების გაყიდვას მიჰყო ხელი მთელმა ქვეყანამ და მეც ხომ არ „ჩამოვრჩებოდი“. ასე აღმოვჩნდი თურქეთში, რიზეს რუსულ ბაზარში (აქ მხოლოდ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ხალხი ვაჭრობდა და რუსულიც ამიტომ ერქვა). ბაზარში უამრავ მყიდველთაგან ერთადერთი ქალი იყო, ხანდაზმული და ისიც ჩემთან მოვიდა, ფოტოაპარატი „კიევი“ მოეწონა და შაკიკივით შემიჩნდა. ასი ბინი დავუფასე (მაშინდელი კურსით 20 დოლარი), ის კი ოთხმოცს ერთ ლირასაც არ უმატებდა. სამი საათი მევაჭრა, ღამის თავის ქალა ამხადა, არც მოშივდა, არც მოსწყურდა, ავტომატივით იყო მომართული...

ბოლოს, ღიმილით გამომიწოდა ფული და აპარატი აიღო. დავითვალე, ოთხმოცდაათი ბინია. გაბრაზებულმა დახლზე დავუყარე და ფოტოაპარატის დაბრუნება მოვთხოვე. მოძალადე აყვირდა, მაგრამ რა აყვირდა, მთელი ბაზარი შეყარა! ყველას რაღაცას უხსნიდა და ჯერ ჩემკენ იშვერდა ხელს, შემდეგ ბინებზე დახატულ პრეზიდენტისკენ...

მივხვდი, საქმე ცუდად იყო, ეს ქალი ჩემს პროტესტს პოლიტიკურ სარჩულს უდებდა! სწრაფად ავიღე ბანკნოტები. მარცხენა ხელში ფული მიჭირავს, მარჯვენას საჩვენებელი თითი მასზე გამოსახულ პრეზიდენტს საფეთქელზე მივადე, შემდეგ ცერი მაღლა ავწიე და ხალხს გავუღიმე, ნახეთ რა მაგარი პრეზიდენტი გყავთ-მეთქი. ჩემმა „მეთოდმა“ გაჭრა, ხალხი დაშოშმინდა. ახლა ბანკნოტის პრეზიდენტს თითი თავზე დავადე, მერე ორივე ხელით ჟაზარმაზარი ბურთი გამოვსახე ჰაერში და თურქები „დავარწმუნე“ თავიანი პრეზიდენტის გენიოსობაში. მერე კი ორი თითით ასევე გამოვსახე რგოლი, ოღონდ ამჯერად ძალიან პატარა და თურქებს ვანიშნე, ჩემს კლიენტს თქვენი პრეზიდენტისგან განსხვავებით ამხელა ტვინი აქვს-მეთქი...

ყველაფერი გაირკვა, ჯიუტი მყიდველი თანამემამულეებმა აიძულეს ჩემთვის დაკლებული ათი ბინი დაემატებინა. უკვე უარზე ვიყავი, მაგრამ ის ფულიც მომცეს და რაც რამ საქონელი მქონდა გასაყიდი, სულ ერთიანად „აითვისეს“, თან იახში ეფენდი, იახში ეფენდის ძახილით გამომისტუმრეს...

თურქებს თუ ასე უყვარდათ თავიანთი პრეზიდენტი, სხვას რომ ეთქვა, ნამდვილად არ დავიჯერებდი!

დემურ ჭეიშვილი, ქუთაისი

ჩვენი სტუმარია საზირულ-იუმორისტული ქურნალი ფილტვები

ნოდარ დუმბაძისაგან გაგონილი ანეკდოტი

ვესტაფონის სადგურზე გაჩერებული მატარებლიდან მგზავრი რაღაც საქმეზე ჩამოვიდა. ამ დროს მატარებელი დაიძრა. მგზავრი გამოიქცა.

— ჩქარა, ჩქარა, არ დარჩე! — მატარებლიდან უძახდნენ მგზავრს.

ამაზე იქვე მდგომმა მოხუცმა თქვა:

— დარჩეს, ბატონო, რა მოხდა მერე! რავა, ჩვენ აქანე არ ვართ სულე?

ირი ნიკულინისგან გაგონილი ანეკდოტი

ორმა პატარა ბიჭმა აბანოში ღიპიანი კაცი ნახა. მივიდნენ და ჰკითხეს:

— ბიძია, მუცელში რა გაქვს?

— ბომბი! — უპასუხა კაცმა.

ბიჭები ერთმანეთში ლაპარაკობენ:

— მოდი, ცეცხლი მოვუკიდოთ და ავაფეთქოთ.

— გაქცევას ვერ მოვასწრებთ, ძალიან მოკლე პატრუქი აქვს!

მკითხველის საყვარელი ანეკდოტი

სვანს ავტოინსპექტორი ტუქსავს:

— ვერ ხედავ, რომ აქ მხოლოდ ცალმხრივი მოძრაობაა დაშვებული?

— მერე მე რა, ორი მიმართულებით ვმოძრაობ?! — უკვირს სვანს.

ტ. და ზ., რუსთავიდან

ბატონო მკითხველო, რედაქცია კურიოზებსა და ანეკდოტებთან ერთად ელის მხიარულ კარიკატურებს, მეგობრულ შარჟებს, რომელთაგან საუკეთესოებს სიამოვნებით გამოვაქვეყნებთ.

მასალები გამოგვგზავნეთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე.

C M Y K

DURA LEX
SED LEX

სასამართლო ქრონიკა

ყოველთვიური ჩანართი №10 15.04.2002

საბჭოური „ავტორიტეტებიდან“ ავტორიტეტულ სასამართლომდე

„ძალზედ მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტი, რომ დღესაც მოსამართლეთა დიდი ნაწილი დაგვიანებული ხელფასების გამო გაფიცვით დაიმუქრა. ამ საქციელით მათ თქვეს, რომ უნდათ კუთვნილი ფული და არა უკანონო შემოსავალი.“

ემზარ ჯგერენაია, სოციოლოგი

საბჭოთა პერიოდში ვითომ სამართლებრივ ინსტიტუტებს ალტერნატივა ქურდული ინსტიტუტების სახით გამოუჩნდა. საბჭოთა ადამიანისათვის სწორედ ამ სახით მოიძებნა სამართალი ისეთნაირად, რომ მას არ ჰქონოდა ურთიერთობა არანაკლებ გარყვნილ სახელმწიფო ორგანოებთან — აცხადებს ემზარ ჯგერენაია — მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირი დაინგრა, სამართლებრივი ვაკუუმი რაღაცას უნდა შეევსო და სამწუხაროდ, ეს სიჟრცე კვლავ საბჭოთა სასამართლო ტრადიციამ დაიკავა. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ მოსახლეობის დამოკიდებულება, ნდობა და პატივისცემა სასამართლოებისა და ზოგადად სამართალწარმოების მიმართ სახელმწიფოში თითქმის იგივე დონეზე დარჩა.

დიდი პატივისცემა სასამართლოების მიმართ დღესაც არ არის. ნდობის დამკვიდრებას დრო სჭირდება, მაგრამ შეიცვალა დამოკიდებულება, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობაში. სულ ორი-სამი წლის წინ, როდესაც ორ პიროვნებას შორის კონფლიქტური სიტუაცია წარმოიქმნებოდა, ისინი ერთმანეთს კანონიერი ქურდებით ემუქრებოდნენ, გაიგებდით შემდეგ ლაპარაკს — „ქურდთან გაირჩეს ეგ საქმე, „ავტორიტეტი“ სამართლიანად გადაწყვეტს ჩვენს დავას“ და ა.შ. უფრო მეტიც, რეფორმამდელ სასამართლოში იყო შემთხვევა, როდესაც რეფორმის მოწინააღმდეგე ერთ-ერთმა ცნობილმა მოსამართლემ მოსარჩელეს შემდეგი სიტყვებით მიმართა — ეგ საქმე სჯობს ჯერ ქურდებთან გაარჩიოთო.

დღეს კი არცთუ იშვიათად, სრულიად განსხვავებული დიალოგის მომსწრეებიც ვართ. ხშირად გამიგონია ყოფითი დავების დროს როგორ უთქვამთ: „სასამართლოში გიჩივლებ, აბა მოსამართლის წინაშე გაიმეორე ეგ სიტყვები“ და სხვა ამგვარი. ეს იმას ნიშნავს, რომ სასამართლოს მიმართ დამოკიდებულება რადიკალურად შეიცვალა. სასამართლო რეფორმამ, მიუხედავად იმისა, რომ მას კრიტიკა არ აკლია, სერიოზული ცვლილება მოახდინა ჩვენი მოქალაქეების ცნობიერებაში. სამწუხაროდ, არ შეცვლილა საზოგადოების დამოკიდებულება პოლიციისა და პროკურატურის მიმართ, სადაც რეფორმები არ განხორციელებულა. იქ, სადაც რაღაც ცვლილებები დაიწყო და შეეცადნენ გაეტარებინათ რეფორმა, გამოჩდნენ ადამიანები, რომლებმაც გამოიყენეს შესაძლებლობები, შეექმნათ ნორმალური და ცივილური სასამართლოს იმიჯი. ამან რასაკვირველია გავლენა იქონია. ხშირად ერთი პრეცედენტიც კი საკმარისია იმისთვის, რომ სახელმწიფო დაწესებულებამ გარკვეული ავტორიტეტი მოიპოვოს. ჩვენს სასამართლოში კი უკვე უამრავი ასეთი საქმე სამართლიანად წარიმართა და დასრულდა.

მე ჩემი სტუდენტების მეშვეობით ჩავატარე მცირე კვლევები და შემიძლია გითხრათ, რომ ეს არის სრულიად სხვა შედეგი, ვიდრე იყო რეფორმამდელ სასამართლოში.

(გაგრძელება მე-18 გვერდზე)

გამოცდაგავლილი მოსამართლეები „გამოუცდელ“ პროკურორებზე

ეკა მოდებაძე

დემოკრატიულ სახელმწიფოში სამართალწარმოებას, სხვა მრავალი ფაქტორის გარდა, ერთიანი და თანაბაბარი სამართლებრივი სივრცე ესაჭიროება. ასეთი სივრცის უზრუნველყოფა კი ყველა სამართალდამცავი სტრუქტურის, ცივილიზებულ სტანდარტებზე დაფუძნებულ, ინსტიტუციონალიზაციას საჭიროებს.

ამ მხრივ დისბალანსის არსებობაზე უკვე დიდი ხანია საუბრობენ, როგორც ექსპერტები, ისე მაღალი რანგის ოფიციალური პირები. თუმცა, სასამართლო რეფორმის პროცესი ჯერ-ჯერობით სასამართლო სისტემით შემოიფარგლა.

როდის დაიწყება რეალური რეფორმა პოლიციასა და პროკურატურაში?

როგორი იქნება ამ რეფორმების კონცეფცია?

— ეს ის კითხვებია, რომელთაც პასუხი უახლოეს მომავალში უნდა გაეცეს. ჯერ-ჯერობით კი სასამართლოს პრეტენზიები პროკურატურის მიმართ თანდათან მატულობს. როგორც მოსამართლეები აცხადებენ, მათ უხარისხოდ გამოძიებულ საქმეებზე გადაწყვეტილებათა გამოტანა უძნელდებათ. რეფორმის ამოქმედების შემდეგ დამატებით გამოძიებაში დაბრუნებულ საქმეთა რაოდენობაც იზრდება. თუმცა, ცუდად გამოძიებულ საქმეთა წინასწარ ძიებაში დაბრუნების გარდა, კანონი მოსამართლეებს საშუალებას აძლევს, კერძო განჩინება გამოიტანონ ამა თუ იმ გამომძიებლისა თუ პოლიციის თანამშრომელთა მიერ ჩადენილ დარღვევებზე. მოსამართლეთა კერძო განჩინებების „წყალობით“ პოლიციისა თუ პროკურატურის თანამშრომლები არც თუ იშვათად ისჯებიან. ამჯერად რამდენიმე კონკრეტულ შემთხვევას შემოგთავაზებთ:

ამ დარღვევების გარდა, მოსამართლეები პროკურორებს პროცესზე მოუმზადებლად გამოსვლაშიც ედავებიან. ხშირ შემთხვევაში მოუცლელობისა თუ გულგრილობის გამო პროკურორი სასამართლო პროცესზე ისე გამოდის, რომ საქმის მასალებზე თვალიც კი არ აქვს გადავლებული. მოსამართლეები სახელმწიფო ბრალმდებელთა სიმცირეზეც ჩივიან. მათი თქმით, უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის შვიდ მოსამართლეზე სულ სამი პროკურორი მოდის. ისინი პროცესებზე გადარბენას უნდებიან და ამის გამო არათუ საქმისთვის მომზადებას ასწრებენ, არამედ ზოგჯერ პროცესები მათი არყოფნის გამოც ჭიანურდება. უზენაეს სასამართლოში სახელმწიფო ბრალმდებლად გენპროკურატურის პროკურორი გამოდის.

როცა ასეთი მდგომარეობაა თავად გენპროკურატურაში, მაშინ ნათელია, რაიონულ ან საოლქო პროკურატურაში რა სურათს უნდა ველოდეთ. თავად გენერალური პროკურორი მოსამართლეთა ასეთ შეფასებას გაზვიადებულად მიიჩნევს და აცხადებს, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ ცალკეული შემთხვევებია.

(გაგრძელება მე-18 გვერდზე)

- 2000 წლის 14 თებერვალს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ალადაშვილმა პოლიციელ რაზმაძის მიერ სასამართლოსთვის ცრუ ჩვენების მიცემის ფაქტზე კერძო განჩინება გამოიტანა. შედეგად რაზმაძე სამსახურიდან გათავისუფლდა.
- 2000 წლის 19 ივნისს იმავე მოსამართლემ მოქალაქე ნათელაშვილის ბრალდების საქმეზე ვაკის რაიონის პროკურატურის გამომძიებელ ჩიქოვანისა და შს სამმართველოს თანამშრომლის მიერ საპროცესო კანონის მოთხოვნათა დარღვევის ფაქტზე კერძო განჩინება შესაბამის უწყებებს გაუგზავნა. ჩიქოვანს საყვედური გამოუცხადეს.
- 2001 წლის 11 იანვარს უზენაესი სასამართლოს მოსამართლემ გიორგი ქოიავამ ისმაილოვის მსჯავრდების საქმეზე საგარეჯოს რაიონის უდაბნოს ქვეგანყოფილების უფროსის მაისურაძის მიმართ კერძო განჩინება გამოიტანა. შედეგად მაისურაძე დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლდა.
- ამავე მოსამართლემ 2001 წლის 8 ნოემბერს გუჯარ ყურაშვილის და სხვათა მსჯავრდების საქმეზე პოლიციის თანამშრომელთა მიერ საპროცესო კანონის მოთხოვნათა დარღვევის ფაქტებზე კერძო განჩინება გამოიტანა. შსს-ს ოპერატიულ თათბირზე პოლიციელებს: ყურაშვილს, აგანიანს და გაფრინდაშვილს მკაცრი გაფრთხილება გამოუცხადეს.
- მოსამართლე ჯემალ ლეონიძის კერძო განჩინებებს პროკურატურის თანამშრომელთა დისციპლინური დასჯა მოჰყვა შედეგად. მოსამართლემ 2001 წლის 18 ივნისს გუჯეჯიანების მსჯავრდების საქმეზე გლდანი-ნაძალადევის რაიონის პროკურატურის გამომძიებლის მიერ დაშვებულ პროცესუალურ დარღვევებზე იმსჯელა. გენერალურმა პროკურატურამ გამომძიებელი ლოლუა მკაცრად გააფრთხილა. ამავე მოსამართლემ 2001 წლის 1 ოქტომბერს ხუხუნაის მსჯავრდების საქმეზე დიდუბე-ჩუღურეთის შს სამმართველოს სამძებროს თანამშრომლების მიმართ კერძო განჩინება გამოიტანა. შსს-ს სამძებროს მთავარი სამმართველოს ოპერატიულ თათბირზე ოპერატიული თანამშრომელი სიდამონიძე მკაცრად გააფრთხილეს. გენერალურმა პროკურატურამ კი უზენაესი სასამართლოს კერძო განჩინების საფუძველზე ვაკე-საბურთალოს პროკურატურის გამომძიებელი პატარქალიშვილი პროცესუალური დარღვევებისთვის მკაცრად გააფრთხილა.

დიდი პაპარა ადამიანი

სოფო გუკია

სხვისი ბინა, ღობეს ჩხირი?

საქართველოს გენერალურ პროკურატურას მოქალაქე დავით ქისტაურმა უჩივლა და საკუთარი ბინის ყადაღისაგან გათავისუფლება მოითხოვა.

1999 წელს პროკურატურამ მოქალაქეების: მელითაურისა და ჯიბრაშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრა. ამ საქმეში ეჭვმიტანილად ქისტაურის დეიდაშვილი გიორგი ლომაშვილიც ფიგურირებდა. საქმე ის იყო, რომ გიორგი ლომაშვილს პროკურატურა ფინანსურ მაქინაციებში დებდა ბრალს, ხოლო ქისტაურის ბინა ერთ-ერთი კრედიტის საგარანტიოდ იყო ჩადებული.

სულ მალე პროკურატურამ გიორგი ლომაშვილის ქმედებაში მართლსაწინააღმდეგო ვერაფერი აღმოაჩინა და საქმეც შეწყვიტა, თუმცა დავით ქისტაურის ბინაზე ყადაღის მოხსნა, როგორც ჩანს, გადააავიწყდა.

დავით ქისტაურს საკუთარი ბინის პროკურატურისგან დახსნა სასამართლოს მეშვეობით მოუხდა.

მოსამართლე პაატა ნოზაძემ მოსარჩელის პრეტენზია საფუძვლიანად მიიჩნია და საქმე მის სასარგებლოდ გადაწყვიტა.

გამოსახლება გადავადდა

სულხან საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიურმა უნივერსიტეტმა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოს მიმართა სარჩელით თბილისში ართვინის ქუჩა 53-ში მდებარე მე-5 პროფსასწავლებლის შენობიდან დევნილთა გამოსახლების შესახებ.

საქართველოს პარლამენტის ვიცესპიკერი ვახტანგ ყოლბაია და ინსტიტუტის რექტორი ვახტანგ სართანია მოლაპარაკების შედეგად დევნილთა გამოსახლების გადავადებაზე შეთანხმდენ.

სასამართლო სხდომაზე მხარეები მორიგდნენ იმის თაობაზეც, რომ ვიდრე საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო მათ არ გამოუყოფს სათანადო ფართს, დევნილებს არ გამოასახლებენ.

საბჭოური „ავტორიტეტებიდან“ ავტორიტეტულ სასამართლომდე

(დასასრული. დასაწყისი მე-18 გვერდზე)

— თქვენ თვლით, რომ სასიკეთო პროცესი უკვე შეუქცევადია და სამოქალაქო განვითარებას არაფერი ემუქრება?

— თავდაპირველად მეც სკეპტიკურად ვიყავი განწყობილი, რადგან ვთვლიდი, რომ კორუფციასთან მიმართებაში ბევრი არაფერი შეიცვლებოდა, მაგრამ მესმის, რომ ახლანდელი სირთულეები უფრო ინსტიტუციალური და არა მენტალური ხასიათისაა. მხედველობაში მაქვს ის, რომ სასამართლო გარდაიქმნა, მაგრამ რეფორმის პროცესი მთლიანობაში არ განვითარდა. სასამართლოს რეფორმას არ მოჰყვა პოლიციისა და პროკურატურის რეფორმა. ამან შეაფერხა ეს პროცესი და თავისი დაღი დაატყო სასამართლოსაც. ბუნებრივია, რომ თუ რეფორმა ამ უწყებების მიმართულებით არ წარიმართება, საქართველოს ცივილურ განვითარებას არანაირი შანსი არ ექნება.

მიუხედავად ამისა, ჩემი დამოკიდებულება დღევანდელი სასამართლოს მიმართ არის ბევრად უფრო პოზიტიური, თუნდაც იმიტომ, რომ „ქურდების“ ინსტიტუტი, რომელიც გარკვეული თვალსაზრისით, სამოქალაქო სასამართლოს ფორმა იყო, საზოგადოებაში ნაკლებ პოპულარული გახდა.

— თქვენი აზრი ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტთან დაკავშირებით.

— ადამიანი სოციალიზაციას გადის და ყალიბდება როგორც პიროვნება და მოქალაქე. ყველა ადამიანი ფიქრობს კარიერაზე, მომავალზე და პრობლემების გადაჭრაზე. ამ დროს ადამიანურ ურთიერთობაში წარმოიშვება სადაო საკითხები, რომლებიც აუცილებლად უნდა გადაწყდეს და კონკრეტული პასუხი გასცეს ჩვენს კითხვებს. ამიტომ თუ სასამართლო რეფორმის თვალსაზრისით წინ კიდევ ერთი ნაბიჯი გადაიდგმება და შემოვა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი, რომელიც თითოეული მოქალაქის პასუხისმგებლობას გაზრდის, რადგან მოქალაქეები ვიქნებით მონაწილეები ამ პროცესისა. ჩემი აზრით ეს საზოგადოების სამოქალაქო თვითშეგნებას აუცილებლად გაზრდის და თვითონ სასამართლოების მიმართ ნდობა კიდევ უფრო განმტკიცდება. თუმცა, ეს პროცესი ყველა ძალოვანი სტრუქტურის რეფორმის პარალელურად უნდა განხორციელდეს.

— ის ქვეყნები, სადაც ნამდვილად დამოუკიდებელი სასამართლო არსებობს, რამდენად არიან დაცული ისეთი მოვლენისაგან, როგორიცაა დიქტატურა?

— დისკუსია ანუ ასეთის არარსებობა, ჩვენი კულტურისთვის მნიშვნელოვანი პრობლემა იყო. სამწუხაროდ, ჩვენ ხშირად არ ვკამათობდით. დღეს ეს პროცესი ნელ-ნელა ადგილიდან დაიძრა. რა არის სასამართლო? ეს არის შეჯიბრი ორ მხარეს შორის, სადაც ერთი მხარე ადვოკატის მეშვეობით ეჯიბრება მეორეს. ეს დისკუსიის კიდევ ერთი დამატებითი ფორმაა. ამ დროს დიქტატურა გამორიცხულია, რადგან მას არ უყვარს კამათი, მით უმეტეს კანონის ენით. დიქტატურის დროს მხოლოდ ერთი მხარის არგუმენტების მოსმენა ხდება.

საბჭოთა საზოგადოება მიჩვეული იყო ცალსახა ჭეშმარიტებებს. სამწუხაროდ, ჩვენში ჯერ კიდევ აღიზიანებთ დისკუსია და კამათი. ხშირია შემთხვევები, როდესაც კამათობენ სრულიად უმნიშვნელო მოვლენებზე, მაგრამ ეს არ არის მთავარი. ამ აზრით ჩვენ ძველი საზოგადოება ვართ. თუმცა, ახალგაზრდა თაობაში ეს სიტუაცია იცვლება და გარკვეულწილად ეს სასამართლოს დამსახურებაც გახლავთ. უკვე არსებობს ისეთი პრეცედენტებიც, როდესაც თანამშრომლებმა თავიანთ უფროსებს სასამართლოში უჩივლეს და საქმეები მოიგეს. აქედან გამომდინარე, მაღალი თანამდებობის პირებს აღარ სურთ თავის თავს პრობლემები შეუქმნან და დიქტატურის საშიშროება ნაკლებ აქტუალური ხდება.

— კონკრეტულად რა შემთხვევებს დაასახელებთ, რომლებიც რეფორმის შემდგომ ახალ სასამართლოს ძველისგან განასხვავებს?

— ეს არის ის საქმეები, რომლებიც სიტყვის თავისუფლებას ეხება, სადაც მოსამართლეები მოიქცნენ ისე, როგორც ეკადრება ცივილური საზოგადოების მოხელეს, ანუ დაიცვეს სიტყვის და აზრის თავისუფლება.

ბიზნესმენებმა და რიგითმა ადამიანებმა საქმეები აღძრეს სახელმწიფო მოხელეების უკანონო ქმედებების გამო და საქმე მოიგეს. ეს უკვე ჩვეულებრივ პრაქტიკად იქცა.

ძალზედ მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტი, როდესაც მოსამართლეთა დიდი ნაწილი დაგვიანებული ხელფასების გამო გაფიცვით დაიმუქრა. ამ საქციელით მათ თქვეს, რომ უნდათ კუთვნილი ფული და არა უკანონო შემოსავალი.

ესაუბრა **ალექსანდრე სულავა**

გამოცდაგავლილი მოსამართლეები „გამოუცდელ“ პროკურორებზე

(დასასრული.
დასაწყისი მე-18 გვერდზე)

— ალბათ, ზოგჯერ არის შემთხვევა, როდესაც პროკურორებს ერთდროულად რამდენიმე პროცესზე უწევთ მისვლა, მაგრამ ზოგადი სურათი ასეთი არ არის, — აცხადებს **გენერალური პროკურორი ნუგზარ გაბრიჩიძე,** რომელსაც ამ საკითხების კომენტირება ვთხოვეთ.

— მოსამართლეები ხშირად გამოთქვამენ პრეტენზიას, რომ პროკურორები პროცესებზე მოუმზადებელნი მიდიან. დროის სიმცირის გამო ვერ ასწრებენ საქმის გაცნობას, თუ ეს გულგრილობის და საქმისადმი ზერელე დამოკიდებულების ბრალია?

— პროკურორი მონაწილეობს ერთ პროცესზე და ამ დროს მას სთავაზობენ მეორე პროცესში მონაწილეობის მიღებას. ასეთ დროს მან არ უნდა მიიღოს მონაწილეობა, სანამ კარგად არ მოემზადება. მაგრამ ზოგჯერ პროკურორი იმის იმედად არის, რომ შეიძლება მთლიანობაში თუ არა, საქმეს ნაწილობრივ გაეცნობა და ფიქრობს, რომ სასამართლოზე საქმის დანარენ მასალებსაც „აითვისებს“. ეს დაუშვებელია. იგი საქმეს მთლიანად უნდა გაეცნოს და სასამართლო პროცესზე მხოლოდ ამის შემდეგ გამოვიდეს, მაგრამ როდესაც ვადები ირღვევა და ვერ ასწრებენ, შეიძლება ამის გამო მოუმზადებლადაც მოუწიოთ მისვლა. ვიმეორებ, ასეთი რამ არ უნდა ხდებოდეს.

— თუ ამ მხრივ რაიმე ზომებს იღებთ?

— რა თქმა უნდა. ჩვენ ხომ კერძო განჩინებებს არ დაველოდებით. ყოველდღიური მუშაობის პროცესში, როდესაც ასეთ ფაქტებს ვავლენთ, შესაბამისი რეაგირებაც ხდება.

პრაქტიკულად მზად გვაქვს ახალი დებულება. საუბარია პროკურორთა სპეციალიზაციაზე. კასაციაში, საოლქოში გამომსვლელი პროკურორების სპეციალიზაცია მოხდება. ახალი დებულებით სწორედ ასეთი პროკურორების წრე და სტატუსი განისაზღვრა. სახელმწიფო ბრალმდებელთა რაოდენობაც გაიზრდება. ამ სამმართველოს პროკურორები ხელახლა დაინიშნებიან.

— პროკურატურის თანამშრომელთა მიერ ჩადენილ დარღვევებზე მოსამართლეების კერძო განჩინებების უმეტესობა ვერ სრულდება. ამ მხრივ თავად გენერალური პროკურატურა რა ზომებს ღებულობს?

— შრომის კანონთა კოდექსის შესაბამისად, არ შეიძლება თანამშრომელი დაისაჯოს, თუ დარღვევის ჩადენიდან 1 თვეზე მეტია გასული. სასამართლოში საქმე ზოგჯერ წელიწადი მოძრაობს, ეს ვადა გასულია და შესაბამისად თანამშრომელსაც დისციპლინარული წესით ვეღარ ვსჯით. ამიტომაც პარლამენტს კანონპროექტი წარვუდგინეთ, რომ ეს ვადა გაიზარდოს სამ წლამდე. სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიძლება თანამშრომლის მიერ ჩადენილი დარღვევის ფაქტმა ჩვენამდე ერთი ან ორი წლის შემდეგ მოაღწიოს. შრომის კოდექსში ამ ცვლილების შესვლის შემდეგ კი უკვე მოგვეცემა საშუალება, რომ ეს თანამშრომელი დაისაჯოს. ასე გააკეთა უზენაესმა სასამართლომაც.

— როდის ჩატარდება პროკურატურაში გამოცდები?

— ეს საკითხი მოგვარებულია. ჩვენს სისტემაში არის რეფორმების კომისია. ლადო ჭანტურიას თავმჯდომარეობით სახელმწიფო კომისიაც მუშაობს. ვფიქრობთ, ეს გამოცდები ძალიან მალე ჩატარდება..

— თავის დროზე პროკურატურაში გამოცდების „ჩაგდების“ ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ პროკურატურას არ სურდა გამოცდები იუსტიციის საბჭოს ჩაეტარებინა.

— ეს საკითხი ჯერჯერობით გადაწყვეტილი არ არის, თუმცა ამაში პრობლემას ვერ ვხედავთ. თუ იუსტიციის საბჭოში ჩატარდება, იქაც ჩვენი მონაწილეობით წარიმართება გამოცდები. თუ ჩვენვე ჩავატარებთ, იუსტიციის საბჭოც მიიღებს მონაწილეობას.

— პროკურატურა კონსტიტუციით სასამართლო ხელისუფლებაში შედის. დღესდღეობით საუბარია მის აღმასრულებელ ხელისუფლებაში გადაყვანაზე. როგორია გენპროკურორის პოზიცია?

— ეს საკითხი რეფორმების კომისიაზე განიხილება. შესაძლებელია, პროკურატურა ისეთ სტრუქტურად განისაზღვროს, რომელიც არც აღმასრულებელ ხელისუფლებაში იქნება და არც სასამართლო ხელისუფლებაში.

სასამართლო დარბაზებში

სოფო გუკია

ოდისეა სასამართლოში

ეროვნებით ბერძენი ირინა მარკელოვა მოლდოვაში ცხოვრობდა და მოქალაქეობაც იქაური ჰქონდა. მამამისი, შალვა ფიოდოროვი კი თბილისის მაცხოვრებელი იყო.

2000 წელს, როცა ქალბატონმა ირინამ შვილთან ერთად საცხოვრებლად საბერძნეთში წასვლა გადაწყვიტა, მამამისის წარმომავლობისა და სხვა საბუთების ლეგალიზაციისათვის თბილისში ჩამოსვლა მოუწია. ქართულიდან ბერძნულ ენაზე საბუთების თარგმნისა და ოფიციალური დადასტურებისათვის ირინა მარკელოვამ ნოტარიუსს მიმართა. საბუთები ფირმის თარჯიმანმა თარგმნა, ხოლო ნოტარიუსმა სანოტარო წესით დაამოწმა.

მას შემდეგ, რაც ყველა აუცილებელი საბუთი საქალალდეში დაიგულა, ქალბატონი ირინა ოდესას გაემგზავრა და იქიდან საბერძნეთისაკენ აიღო გეზი, თუმცა ოდესის აეროპორტში აღმოჩნდა, რომ საბუთები არასწორად იყო თარგმნილი და მას გამგზავრებაზე უარი უთხრეს.

ირინა მარკელოვას თბილისში მეორედ ჩამოსვლა და ნოტარიუსთან ურთიერთობის სასამართლოს წესით გარკვევა მოუწია.

სასამართლომ ირინა მარკელოვას სარჩელი საფუძვლიანდ მიიჩნია და თბილისელ ნოტარიუსს, აგრეთვე მის თარჯიმანს, მის სასარგებლოდ 757 დოლარის გადახდა დააკისრა.

ვიდრე კულტურის სამინისტრო გამდიდრდებოდეს

თინა დაუშვილსა და საქართველოს კულტურის სამინისტროს შორის შრომითი ხელშეკრულება 1997 წელს გაფორმდა.

ხელშეკრულება ქალბატონ თინას — სამინისტროსათვის მნიშვნელოვანი დოკუმენტაციის მომზადებას, სამინისტროს კი შესრულებული სამუშაოს ანაზღაურებისათვის 470 ლარის, იმ დროის კურსით 370 დოლარის, გადახდას ავალდებულებდა.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო ქალბატონმა დროზე ადრე შეასრულა, კულტურის სამინისტრომ კი გასამრჯელოს გადახდა, სულ რაღაც, ოთხი წელი დაუგვიანა.

კუთვნილი ჰონორარის „დასახსნელად“ თინა დაუშვილმა ყოფილ მინისტრს, ბატონ ვალერი ასათიანს არაერთხელ მიმართა, თუმცა უშედეგოდ. ძველისაგან განსხვავებით, სამინისტროს ამჟამინდელი ხელმძღვანელობა ქალბატონ თინას კუთვნილი ჰონორარის გადახდას დაპირდა, მაგრამ ეს „მაშინ მოხდება, როცა სამინისტროს საამისო ფული ექნებაო“.

ქალბატონი თინა კულტურის სამინისტროს გამდიდრებას არ დაელოდა, კრწანისი-მთაწმინდის სასამართლოს სარჩელით მიმართა და კუთვნილ თანხასთან ერთად, მორალური ზიანის ანაზღაურებაც მოითხოვა.

მოსამართლე ციცინო კვატაშიძემ სამინისტროს 970 ლარის გადახდა დააკისრა.

საქმე განსახილველად დაბრუნდა

„სასამართლო ქრონიკის“ 18-24 მარტის ნომერში მკითხველს ერთის შეხედვით უბრალო, თუმცა თავისი შინაარსით პრეცედენტული მნიშვნელობის საქმეზე მოვუთხრეთ. სასამართლო დავა მეზობლების — ტუხაშვილისა და ჭაბაშვილის ქონებრივ ურთიერთობებს შეეხებოდა და ისეთ რთულ იურიდიულ ნიუანსს უკავშირდებოდა, როგორიცაა ზიანის ანაზღაურება. ალბათ დაგვეთანხმებით, რომ თავისთავად მნიშვნელოვანია, როდესაც თუნდაც მეზობლების დავა სასამართლო გზით წყდება და პრობლემის მოგვარება სამართლებრივ სივრცეში ექცევა. ასევე მნიშვნელოვანია თუ როგორი სასამართლო პრაქტიკა დამკვიდრდება საქართველოში მატერიალური თუ მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხებთან მიმართებაში.

ამ კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით კი საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ დაადგინა, რომ საქმის სამოტივაციო ნაწილი დაზუსტებას საჭიროებს, გააუქმა საოლქო სასამართლოს განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის იმავე სასამართლოს დაუბრუნა.

ადვოკატი გვირჩევს



გასულ კვირას „სასამართლო ქრონიკის“ რედაქციაში იმატა მოქალაქეთა სატელეფონო ზარებმა. უმეტესად მკითხველები სატრანსპორტო პოლიციასთან დაკავშირებულ შემთხვევებზე გვთხოვდენ კონსულტაციას. ჩვენ ამოვარჩიეთ ყველაზე ტიპიური შეკითხვები და კონსულტაციისათვის ადვოკატ ირაკლი კორძახიას მივმართეთ.

„ჟურნალ მოედანზე მიწისქვეშა ცრემლის გვერდის ლირის ჩვენთვის გვსთხოვს, რომელიც გვმორთავს შემდგომ მძღოლობიდან გვმორჩა. ცვლილი პოლიციის ინსპექტორმა თვისუფლების მოედანზე გვმცირეს და გვმითხრა ცვლილმა ცვლილის გვსთხოვს (ე.წ. „ლირის“) ცრემლწორედ ცმცირების გვმო. თუმცა, ის ყოველთვის ლირს ორ ცვლზე მოდა. ინსპექტორს ოქმში ცვლი ცრემლ მოფითხოვს. რამდენად ცვლილი ცმცირდება ლიმეცნიერმა პოლიციამ?“

ლ. ცქანცაძე, თბილისი

საქართველოს კანონში საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ (28.05.1999 №2050) არ არსებობს რაიმე აკრძალვა იმის თაობაზე, ისარგებლოს თუ არა მძღოლმა დღე-ღამის ნათელ დროს ახლო განათების ფარებით. ამდენად, მნიშვნელოვანია ის, თუ როგორი განათების ფარები ჰქონდა ჩართული ამ მოქალაქეს. კანონის 38-ე მუხლის მე-6 პუნქტში ჩამოთვლილია შემთხვევები, როდესაც მძღოლი ვალდებულია, ჩართოს ახლო განათების ფარები. მაგალითად, სატრანსპორტო საშუალების ბუქსირებისას, საშიში ტვირთის გადატანისას და სხვა. იმავე მუხლის მე-2 პუნქტი ავალდებულებს მძღოლს შორი განათება გადართოს ახლოზე, თუ ეს აუცილებელია შემხვედრი ან თანმხვედრი სატრანსპორტო საშუალების მძღოლისთვის თვალის მოჭრის თავიდან აცილების მიზნით. ეს ვალდებულება მოქმედებს დღე-ღამის მთელ დროს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საგზაო პოლიციელის ქმედება კანონიერია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩართული იყო შორი განათება, რომელსაც განათების გარკვეულ პირობებში თვალი შეეძლო მოეჭრა სხვა მძღოლისთვის. დღე-ღამის ნათელ დროს ახლო განათებით სარგებლობა არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის (25.06.1999 №2181) 52-ე მუხლში მითითებულია ყოველი ადმინისტრაციული აქტის, მათ შორის, დაჯარიმების ოქმის რეკვიზიტები, შედგენის დრო და ადგილი, ასევე ორგანო, რომელშიც შეიძლება ადმინისტრაციული აქტის გასაჩივრება და საჩივრის (სარჩელის) წარდგენის ვადა. სამართალდარღვევის ოქმში შედგენის თარიღის, სამართალდარღვევის დროს და ადგილის აღნიშვნას ითვალისწინებს ასევე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის (15.12.1984) 240-ე მუხლი.

„ორი ყვირის მხმძილობი, ცვლილი პოლიციის ორყერ ცხმომცრითვა მცრითვის მოწმობა. ერთ შემთხვევაში მე ყატეგორიალურად ვარ ლიკვიდირების ინსპექტორის პრეტენზიას, მეგრეს მცხთან ყამთში ყერისთერის გვყლი. მხ მითხრა, რომ ოქმობი იკნიბოდა, ცდგილობ გვლემიცდა მის მიერ ლიდგენილი თვსა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ცხსთების ოყხ ლიბრუნებს ვრცერთი ლიც ლიკვიდირების ოქმ. გთხოვთ, ცმითხრათ, რა პრიორიტეტის მოკმედების ცქით შემთხვევაში?“

ყ. თოლორაია, თბილისი.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას. გარკვეული სახის დარღვევები (116-123, 125 მუხლები) შეიძლება განხილულ იქნას აგრეთვე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ამდენად მნიშვნელოვანია ის, თუ რა სახის დარღვევას ჰქონდა ადგილი ამ კონკრეტულ შემთხვევაში.

საგზაო უსაფრთხოების სფეროში, ადგილზე ოქმის შეუდგენლად ჯარიმის გადახდა ხდება 119(1), 125, 128 მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენისას, როდესაც დამრღვევი სადაოდ არ ხდის დარღვევის ფაქტს და გადასახდელ თანხას, ასევე თუ პოლიციელი მას გამოუწერს სათანადო ქვითარს.

სხვა შემთხვევაში, კოდექსის 262-ე მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციული განხილვის ვადა შეადგენს ოქმის მიღებიდან 15 დღეს. 209-ე მუხლის თანახმად, საქმეებს იხილავენ საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს, განყოფილების (ქვეგანყოფილების) უფროსები ან უფროსის მოადგილეები. სამართალდარღვევის ჩადენის ადგილას საქმეს იხილავენ საგზაო-საპატრულო სამსახურის ქვედანაყოფების მეთაურები და მათი მოადგილეები.

„ცვლილი პოლიციის თანამშრომლებმა გამცხრის მცყრის მერეზის ცხნაპირზე იმ მოტივით, რომ მე ვრ ლიკვიმორჩილი შუკნიშნს ლა წითელზე გვივრე. პოლიციელები გაფრთხილების ყუთილების მხნკნით ლამიდევნენ ლა შუკნიშნილან ლაცხრილებით ცმცხს მეცრეში გამცხრის. მე ვრ ლიკვითხმე მით პრეტენზიებს ლა მიფიდევილ ვმიცხ. პოლიციელებმა მცრითვის მოწმობა ცმომცრითვის. ჩკონლით თუ ვრც მით ვმის ფულებს?“

თ. ლობჟანიძე, გორი.

საქართველოში ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიღების შემდეგ 25.06.1999, ამ კოდექსის შესაბამისად მტკიცების ტვირთი ეკისრება ადმინისტრაციულ ორგანოს, რაც ნიშნავს, რომ საგზაო პოლიციამ უნდა დაგიმტკიცოთ, რომ თქვენ წითელზე გაიარეთ და არა პირიქით. ამისთვის კი აუცილებელია მოწმეების, ფოტომასალის ან სხვა რაიმე მტკიცებულებების არსებობა. გარდა ამისა, საჯარო სამართალში აღიარებული პრინციპის შესაბამისად ყოველი ეჭვი, რომლის დადასტურება ვერ ხერხდება, უნდა გადაწყდეს კერძო პირის სასარგებლოდ.

საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ კანონის მე-20 მუხლის მე-5 პუნქტი განსაზღვრავს მძღოლის ვალდებულებას საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევისას პოლიციის თანამშრომლის მოთხოვნით გააჩეროს სატრანსპორტო საშუალება. კანონის თანახმად, მხოლოდ საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისას ან საგზაო მოძრაობის დროებითი შეზღუდვისას შეიძლება სატრანსპორტო საშუალებების გაჩერება. ეს უკანასკნელი შესაძლებელია ცალკეული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების დროს — შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით, ან სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად (კანონის მე-8 მუხლი).

რაც შეეხება სატრანსპორტო საშუალების გაჩერების წესს, მას ადგენს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის (15.12.1984) 250-ე მუხლი, რომლის თანახმადაც, პოლიციის მუშაკის მოთხოვნა გაჩერების შესახებ გამოიხატება ხელის ჟესტით ან კვერთხით სიგნალის მიცემით, სასტვენთან ერთად, აგრეთვე ხმის გამაძლიერებელის მეშვეობით. სიგნალი უნდა მიეცეს ისეთ დროს, როცა მისი შესრულება არ შექმნის საავარიო ვითარებას.

თუ მძღოლი თვლის, რომ გაჩერებისას დარღვეულია რომელიმე მისი უფლება ან კანონის მოთხოვნა, საგზაო პოლიციელების ქმედებების გასაჩივრება შესაძლებელია კანონით დადგენილი წესით.

ჩვენი უფლებები გონება

„ყვავილების მეუფე“ — იურისტების სამსჯავროზე

ანდრო გიგაური

მიხეილ ჩირინაშვილის სიმღერა — „ყვავილების ქვეყანა“ („ყვავილების მეუფე“) 1945-46 წლებში ჯაზო ბაგრატიონის ჯაზ-ორკესტრისათვის დაიწერა. ახალ ნაწარმოებს 1963 წლის 31 ივნისს, გაზეთმა „საბჭოთა ოსეთი“ სტატიაც მიუძღვნა. შემდეგ სიმღერის გრამფირფიტა და სატელევიზიო ფილმი „რერო მასპინძლობს“ გამოვიდა. ორივე შემთხვევაში სიმღერების ავტორად მიხეილ ჩირინაშვილი იყო მითითებული. 1972 წლის 24 ივნისს, ანსამბლმა „რერომ“ შეასრულა სიმღერა და მის საკონცერტო პროგრამაში, სიმღერის ავტორად კვლავ კომპოზიტორი ჩირინაშვილი იყო მითითებული.

1982 წელს მუსიკალურმა ფონდმა გამოსცა ამ სიმღერის ნოტები და ავტორად კვლავ მიხეილ ჩირინაშვილი მოიხსენია.

1947-49 წლების განმავლობაში, სიმღერის ავტორობისათვის ბ-ნი ჩირინაშვილი შესაბამის ჰონორარებსაც იღებდა.

მაგრამ 1982 წლის სატელევიზიო გადაცემის შემდეგ ყველაფერი შეიცვალა. სწორედ ამ გადაცემაში, სიმღერის ავტორად არა ჩირინაშვილი, არამედ გიორგი ვასაძე გამოაცხადეს. საავტორო უფლებების დარღვევის შესახებ მიხეილ ჩირინაშვილის მეუღლემ შეიტყო და სასამართლოს მიმართა.

გიორგი ვასაძის მეუღლემ სარჩელი არ სცნო და შეგებებული სარჩელით თავად მიმართა სასამართლოს.

საქმემ ჯერ რეფორმამდელი, ხოლო შემდეგ კი უკვე რეფორმირებული სასამართლოების მრავალ ინსტანციაში 19 წლის განმავლობაში იარა. დავას საბოლოო წერტილი 2002 წლის 3 იანვრის გადაწყვეტილებით, უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ დაუსვა. უზენაესმა სასამართლომ ძალაში დატოვა თბილისის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის ძალითაც სიმღერის ავტორად მიხეილ ჩირინაშვილი გამოცხადდა.

სასამართლო დარბაზებში

ნორვეგიული გაკვეთილი

1999 წლის ივნისში დავით ბურდულმა „მრავალშვილიან დედათა და ბავშვთა დაცვის საერთაშორისო ფონდში“ ათასი დოლარი შეიტანა. მან ეს თანხა პირადად ფონდის პრეზიდენტს მარიამ ძაძამიძეს გადასცა. გაფორმდა ხელშეკრულებაც, რომელიც ნორვეგიაში დასაქმებას, საცხოვრებელი ფართითა და ორჯერადი კვებით უზრუნველყოფას ითვალისწინებდა.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში კი, ფონდს თანხის უკან დაბრუნება ევალებოდა.

როგორც ხშირად ხდება, ფონდმა პირობები არ შეასრულა და არც წინასწარ აღებული თანხა დაუბრუნა პატრონს. დავით ბურდულმა სასამართლოს სარჩელით მიმართა და კუთვნილ ათას დოლართან ერთად, მორალური და მატერიალური ზიანისათვის თანხის 50%-ის ანაზღაურებაც მოითხოვა.

კწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ, ზაურ მებონიამ დავით ბურდულის სარჩელი საფუძვლიანად ცნო და დააკმაყოფილა.

ხუთწლიანი ცდომილება

თეა მათეშვილი

2001 წლის 1 მარტს თბილისის ისანი-სამგორის რაიონულმა სასამართლომ ლევან ვალიევს ხუთი წლით და თერთმეტი თვით მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში მოხდით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა.

მას ბრალი ლილოს ბაზრობაზე, 2000 წლის 20 მარტს, 114 ლარის ღირებულების საქონლის ქურდობაში ედებოდა.

ვალიევის ადვოკატმა ა. ჩოფიკაშვილმა ეს გადაწყვეტილება თბილისის საოლქო სასამართლოში გაასაჩივრა.

საოლქო სასამართლომ (თავმჯდომარე — ნაზი დოთიაშვილი) ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს განაჩენი ლევან ვალიევის მიმართ გააუქმა — სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო.

ლევან ვალიევს განემარტა, რომ აქვს უფლება მოითხოვოს რეაბილიტაციისა და სისხლის სამართალწარმოების ორგანოს უკანონო და დაუსაბუთებელი მოქმედების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლება.

პროკურატურამ ეს განაჩენი უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა, მაგრამ ვალიევი აქაც უდანაშაულოდ ცნეს.

ერთხელ ამერიკაში

მოამზადა ანდრო გიგაურმა

ქვემოთ მოტანილი ანეკდოტური სიტუაციები წარმოადგენს ამერიკის სხვადასხვა შტატის სასამართლოების ოქმებიდან გაკეთებულ ამონაწერს.

ადვოკატი: შეგიძლიათ ეჭვმიტანილი აღგვიწეროთ?
მოწმე: დიახ, იგი იყო საშუალო სიმაღლის, წვერ-ულვაშიანი.
ადვოკატი: და მის სქესს ხომ არ დააკონკრეტებდით?

ადვოკატი: და ეს მიასთენია, მოქმედებს იგი თქვენს მახსოვრობაზე?
მოწმე: დიახ!
ადვოკატი: თუ შეიძლება უფრო კონკრეტულად გვითხარით, როგორ მოქმედებს?
მოწმე: რაღაცეები მავიწყდება!
ადვოკატი: აჰა, რაღაცეები გავიწყდებათ არა? — შეგიძლიათ მოგვიყვანოთ მაგალითი, თუ რა გავიწყდებათ?

ადვოკატი: და ბოლოს, რა გითხრათ ქმარმა მეორე დილას რომ გაიღვიძა?
მოწმე: მან თქვა — „სად ვარ ქეით?“
ადვოკატი: და ასე რამ აღგაშფოთათ?
მოწმე: მე ბეტი მქვია.

ადვოკატი: თუ შეიძლება გვითხარით, თუ სად მოხდა ეს ინციდენტი?
მოწმე: დაახლოებით 499 საზღვაო მილის დაშორებით!
ადვოკატი: და ხომ არ დააკონკრეტებდით, თუ სად მდებარეობს ეს 499-ე მილი?
მოწმე: დიახ, რა თქმა უნდა — იგი მდებარეობს 498-ე და მე-500 მილებს შორის!

ადვოკატი: ბატონო ექსპერტო, რა მოიტანა თქვენმა ცდებმა, ეჭვმიტანილი ნამდვილად ფეხმძიმედ არის?
ექსპერტი: დიახ ბატონო ადვოკატო, იგი ნამდვილად ფეხმძიმედ არის, მაგრამ არა ჩემი ცდების საფუძველზე!!!

ადვოკატი: და როდის ნახეთ ბოლოს დაზარალებული?
მოწმე: მის დასაფლავებაზე!
ადვოკატი: და ხომ არ უთქვამს მას რაიმე საქმესთან დაკავშირებით?

მაგიანე

...სტოლს არ მოშორდნენ!

ბათომიდან გვწერენ, რომ ჯერ-ჯერობით ახალი პოლიც-მეისტერის მოსვლის გამო შემდეგი ცვლილებები შემოუღიათ: განკარგულება მომხდარა, რომ პოლიციის მოხელენი თავიანთ სამწერლო სტოლს არ მოშორდნენ და ერთმანეთში არ „ილაზღანდარონ“, რომ ტუსაღებს თამბაქოსი და პაპიროსის მოწევის უფლება არ ჰქონდეთ და თავდებით ბრალდებულნი აღარ გაუშვან ხოლმე. რაც შეეხება ქალაქისა და ქუჩების სისუფთავეს, ალბათ ამ საქმესაც შეუდგებიან.

„დროება“ №14, 1884 წ.

კუდიანები გადაჰკიდებიან

შორაპნის მაზრის დაბა ზოდში ერთს გლეხს ცოლი ჭკუიდან შეშლია და თუ არა აღნიშნული გლეხის ექიმი, დაურწმუნებია ქმარი, შენს ცოლს კუდიანები გადაჰკიდებიანო. გლეხს მიუცია სრული ნება, რაც გენებოსო, ისა ჰქენი — ოღონდ მოარჩინეო. ექიმს თოკით შეუკრავს ჭკუა-შეშლილი დედაკაცი, დაუკიდია მაღლა, დაბლიდამ ცეცხლი შეუკეთებია და ისე დაუტანჯავს. „გამოტყდი, გამოტყდი — იძახდა თურმე ექიმი. დედაკაცს ბევრი უკივლია მაგრამ მაშველი ვინ ჰყავდა. ბოლოს ექიმის, რაკი ამით ვერას გამხდარა, საცოდავი დედაკაცი ძირს ჩამოუგდია, გაუხურვებია ცხენის ნალი და რამდენჯერმე კოჭის ზემოთ ძარღვებთან დაუკრავს. დედაკაცი სრკვდილამდე მიწურულა. ქმარი მისულა მღვდელთან და ზეთის კურთხევა უთხოვია. „ცოლი მიკვდება და მიშველეო!“ მღვდელს შეუსრულებია ამ გლეხის თხოვნა, მაგრამ მისვლისთანავე გამოუკითხავს მიზეზი დედაკაცის ავადმყოფობისა და, როდესაც გაუგია საბრალოს ტანჯვის მიზეზი, იმ საათშივე საგლეხო სასამართლოში განუცხადებია ეს გარემოება. მამასახლისს მოადგილე თავისს მწერლით გაქანებულან ნამდვილის შესატყობად გლეხისას და შეტყობინების შემდეგ შეუდგენიათ განჩინება და პოლიციის პრისტავისათვის წარუდგენიათ. რა თქმა უნდა, რომ ამისთანა ავკაცობას რიგიანი გამოძიება ეკადრება.

„დროება“ № . 1884 წელი

უკიდურესი სოციალისტის თავგადასავალი

პეტერბურღიდან იწერებიან დამნაშავე, რომელმაც ხელმწიფე იმპერატორის მოკვლა განიზრახა, გამოტყდა. იმას სახელად ქვიან დიმიტრი ვლადიმერის ძე კარაკოზოვი, არის სარატოვის გუბერნიიდან, სადაც იმის მამას მცირე ადგილ-მამული აქვს. ის იყო მოსკოვის უნივერსიტეტში თავისუფალი მსმენელი, სევდით და იპოხონდრიით შეპყრობილი, უჩიოდა სიცოცხლის სიმძიმეს და ამასთანავე უკიდურესის სოციალიზმის სწავლას ავრცელებდა. სასამართლო საქმის გარჩევას მთელის სიმკაცრით შეუდგება.

„დროება“ №8, 1866 წ.

ALPE
ჩანართი მომზადებულია სამართლებრივი განათლების ასოციაციის მიერ.
მისამართი: თბილისი, ინგოროყვას ქ. 14
ტელ.: 935841, 922914 ფაქსი: 920596, E-mail: alpeonline@gol.ge

7 მანეთი გაცარცული აჭარელისთვის

ამას წინად, ბათუმის მომრიგებელი მოსამართლის მთარგმნელს შეხვდება ერთი აჭარელი კაცი, რომლის შვილი საპატიმროში ზის. აჭარელი ეხვეწება, მიშველე რამე, ეგებ ჩემი შვილი გაუშვასო მოსამართლემ. მთარგმნელი გამოართმევს 7 მანეთს და შესჭამს. შემდეგ რამდენიმე დღისა ეს აჭარელი დაღუნავს თავს, შევა სასამართლოს დარბაზში, წარუდგება მოსამართლეს და საჯაროდ იტყვის: „თუ არ გამოუშვებდით ჩემს შვილს, ის შვიდი მანეთი რაზე ამართვი ცოდო ვარ.“ მოსამართლე გადიძრობს ჯაჭვს, გავა იქით ოთახში, და გამოჰკითხავს აჭარელს საქმეს. ბოლოს საქმე გამოაშკარავდება, რომ მთარგმნელს მოსამართლის სახელით აუღია ეს ფული. მოსამართლე, როგორც პატრიოსანი კაცი, მთარგმნელს სამსახურიდან გააგდებს და იმ შვიდ მანეთს თავისი ჯიბიდან მისცემს გაცარცულ აჭარელს.

„დროება“ №21, 1884 წ.

გაექანა და სთხლიშა

დასრულდა პროცესი კავკავის მასწავლებელ მაგენისა, რომელმაც სილა გაარტყა დირექტორ ვინოგრადოვს.

მაგენი 1881 წელს ჩამოვიდა კავკავში რათა გაეხსნა ახალი ენების კურსები და ამგვარი შრომით მოეპოვებინა ლუკმა-პური. მაგრამ სანამ კურსებს გახსნიდა მან აიღო მასწავლებლის ადგილი კავკავის კლასიკურ პროგიმნაზიაში. დირექტორ ვინოგრადოვს პირველად სწორედ ჭკვა მიზდიოდა მაგენისათვის, სულ მის ქებაში იყო; მაგენს უყურებდნენ როგორც პატიოსანს, ჰუმანურს კაცს, რომელიც წინააღმდეგი იყო ყოველი სასტიკი მოქმედებისა შეგირდებთან. ბოლოს ვინოგრადოვმა უცებ აიცრუნვა გული და ხმებიც გაავრცელა, ვითომ მაგენი გიჟი ყოფილიყოს. მაგენს ქუჩაშიც ერიდებოდნენ და ხმამაღლად გიჟიც დაუძახეს ერთხელ. მან იცოდა რომ ეს ბარბაროსული საქციელი კავკაველებისა სულ ვინოგრადოვის საქმე იყო. ერთ დღეს გაექანა მაგენი კლუბში და იქ ქაღალდის მოთამაშე ვინოგრადოვს სთხლიშა სილა, ოცი მოწმის თანდასწრებით. კავკავის ოლქის სასამართლომ მაგენის მხოლოდ ორი თვით დატუსაღება გადაწყვიტა, მაგრამ მანიფესტის ძალით, იმისაგანაც გაათავისუფლა. საზოგადოებამ აღტაცებით მიიღო სამართლის განაჩენი.

მამუკა ტყეშელაშვილის
ნახატები

სიყვარულმა შენჩემობა არ იცის.

— ჩვენი სიყვარული იმ მშვენიერ აპრილს დაიწყო, რომელიც ცოტა ხანში აღარ მშვენიერობდა, რადგან გოგო-ბიჭების სისხლით შეიღება იქაურობა... მერე კარგა ხანს მაღიზიანებდა აპრილის დადგომა, მაგრამ დრო ხომ ყველაფრის მკურნალია? ახლაც, 9 აპრილი ისე არ ჩაივლის, რომ ყვავილების თაიგული არ მივუძღვნა იმ დაფას, რომელსაც უკვე 13 წელია აწერია: აქ აღიმართება 9 აპრილს დაღუპულთა მემორიალი...

აქ ჩემმა მთხრობელმა მორიდებით მთხოვა, მხოლოდ ვაღეს მოვიხსენიებ ნამდვილი სახელით, დანარჩენებისას კი შევცვალე. მე კი ნუცკო დამიძახეთ, რადგან ამ სახელით მხოლოდ ძალიან შინაურები მიცნობენო და განაგრძო:

— მეცხრე კლასში ვიყავი, როცა რუსთაველის გამზირზე მიტინგები დაიწყო. ღამის საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოდიოდნენ მოშიმშილეთა გასამხნევებლად და მხარში დასადგომად.

ორი თვით ადრე, ჩემი მეგობრის დაბადების დღეზე, ჩემი სკოლელი ბიჭი, სხვებისგან ყველაფრით გამორჩეული გურამი გავიცანი. ძალიან განათლებული იყო და კარგადაც სწავლობდა. ვინ გაუბედავდა სანიმუშო ყოფაქცევისა და სწავლისათვის „დედიკოს ბიჭის“ დაძახებას. მაშინ (ახლაც ხომ ასეა!) ბევრ ბიჭს ერცხვინებოდა კარგად სწავლა. მათი აზრით, „მაგარი“ და „ძველი“ ის იყო, ვინც თავხედობდა და გამომწვევად იქცეოდა. გურამი სპორტსმენიც იყო. კარატესა და ცურვაზე დადიოდა. ერთი სიტყვით, სკოლის სული და გული გახლდათ და, რა თქმა უნდა, ბევრ გოგოს მოსწონდა. მისი რჩეული ვინ იყო, წარმოდგენაც არ გვქონდა. იმ დაბადების დღეზე საოცრება მოხდა (მე ასე ვიფიქრე) — გურამმა შემამჩნია და მთელი საღამო თავს დამტრიალებდა, საცეკვაოდაც გამიწვია და... მეორე დღეს მთელი სკოლა ჩვენზე ლაპარაკობდა... ხშირად გაკვეთილებიდან ვიპარებოდით და კინოში მივდიოდით ან ეთნოგრაფიული მუზეუმის ტერიტორიაზე ვსეირნობდით საათობით. ისეთი მორიდებული და წესიერი იყო, ხელიც კი არ გადაუხვევია ჩემთვის. რამდენიმე დღეში მივხვდი, რომ ძალიან მიყვარდა. ერთხელაც, სეირნობის დროს, ვერ მოვითმინე და სიყვარულში გამოვუტყდი. ჯერ გაოცდა, არ ელოდა ჩემგან ასეთ გულახდილობას, მერე გაეღიმა და მითხრა, — მეც მაგის თქმას ვაპირებდი, მაგრამ სიტყვებს ვერ ვუყრიდი თავსო.

8 მარტს, კლასში შესულს მერხზე იების კონა და ღამაზად შეფუთული სუნამო დამხვდა. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ვიჯექი მერხზე და ცრემლები მომდიოდა. იმ დღიდან სკოლაში გურამის საცოლედ გამომაცხადეს. ჩემი ოჯახის ყურამდეც მიაღწია ამ ამბავმა. მეგონა, მშობლები ერთ ვაი-უშველებელს ატეხდნენ, მაგრამ ჩემდა გასაკვირად, დედამ მითხრა: სიყვარული ღამაზი გრძნობაა, მეც სიყვარულით გავყევი მამაშენს, მაგრამ ზღვარს გადაცილებული არაფერი ვარგა, არ დაგავიწყდეს, რომ სკოლის დამთავრებამდე კიდევ ერთი წელი გაქვს წინ. არ აჩქარდე და სისულელე არ ჩაიდინოთ. ჯერ უნდა ისწავლოთ, ურთიერთობას კი არ დაგიშლითო.

ჩემი უფროსი და, ნანა ქორეოგრაფიულ სასწავლებელში სწავლობდა. საოცრად ღამაზი გოგო იყო და ახლაც მშვენიერი ქალია. გარეგნობით მეც ბევრს მოვწონდი, მაგრამ ნანას მაინც სხვანაირი ხიბლი ჰქონდა, რაღაც ქართულ-ევროპული. ამას ერთვოდა ბალერინასათვის დამახასიათებელი ჰაეროვნება და სინატიფე; მშობლები, საერთოდ, უმცროს შვილებს უფრო ანებივრებენ, მაგრამ ჩვენთან ასე არ იყო. ნანა გახლდათ ოჯახის კერპი. მისი სიტყვა კანონი იყო მშობლებისთვის.

აპრილის დღეებში, ბოლო გაკვეთილებიდან მივდიოდით მე, გურამი და ჩვენი საერთო მეგობრები მთავრობის სასახლესთან. დიდხანს ვრჩებოდით იქ და გვიან ღამით ფეხით ვბრუნდებოდით შინ. იმ საბედისწერო ღამეს (ბედისწერაა, აბა, რა. რაღა იმ ღამეს გადავწყვიტეთ გათენება?!) პირველ სკოლასთან ვიდექით. ათი საათი ჯერ არ იყო, როცა ნანა და მისი მეგობრები მოვიდნენ. ჩემმა დამ მკაცრი ტონით გადმომცა მამის დანაბარები: რამე არ მოხდეს, შინ დაბრუნდეს აუცილებლად. არ მინდოდა გურამის და ჩემი მეგობრების დატოვება, ამიტომაც უარი ვუთხარი. ამ დროს გურამი ქაშუეთის ეკლესიაში იყო წასული სანთლების მოსატანად. მალე მობრუნდა. „გურამ, გაიცანი, ეს ნანაა, ჩემი და“, — ვუთხარი და შევამჩნიე, ნანას დანახვაზე როგორ შეკრთა. ნანამ ვერაფერი გააწყო ჩემთან, ამიტომაც იძულებული გახდა, გურამისთვის ჩაებარებინა ჩემი თავი. გამომშვიდობებისას ისე შესცინა, ღამის მე წავიქეცი, უღმერთოდ ღამაზი იყო იმ წუთებში. ნანა წავიდა. გურამმა თვალი გააყოლა. ხომ მოგეწონა-მეთქი, ვკითხე. არ დამიმალა: ასეთი ღამაზი გოგო ცხოვრებაში არ მინახავსო. იმ ღამეს რაც მოხდა, ჩემზე უკეთ იცით. გურამს სახეზე ფერი აღარ ედო, ჩაგვკიდა მე და ჩემს კლასელს, ღიას ხელი და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მიგვარბენინებდა. ასე მეგონა, მიწაზე ფეხს არც ვადგამდი. უნივერსიტეტამდე ვირბინეთ. მერე ვარაზის ხევით ჩავედით ზოოპარკთან. ცოტა მოვითქვით სული. გურამი ხან მე და ხან ღიას გვეფერებოდა, გვამშვიდებდა, თითქოს ჩვენზე ბევრად უფროსი ყოფილიყო. მერე სახლამდე მიგვიყვანა. ჩემს მშობლებს უკვე გაეგოთ ის საზარელი ამბავი და ჩვენს საძებრად მოდიოდნენ. მამამ გურამი აღარ გაუშვა მარტო, მანქანაში ჩაისვა და შინ მიიყვანა. მე ცუდად ვგრძნობდი თავს, გული მერეოდა, თვალები მებინდებოდა. მეორე დღეს გავიგეთ, რომ მომწამვლელი გაზი გაეშვათ რუსებს. დედაჩემმა მაშინვე საავადმყოფოში გამაქანა, მაგრამ იქ ჩემზე უარესად მყოფი აურაცხელი ადამიანი დაგვხვდა. მკურნალობა დამინიშნეს და შინ გამომიშვეს. დედა დამშვიდეს, საშიში არაფერიაო. სამი თუ ოთხი დღე ვიწექი. გურამი გვერდიდან არ მომშორებია, მხოლოდ დასაძინებლად მიდიოდა შინ. ამ ხნის განმავლობაში ჩვენებს დაუახლოვდა. ვატყობდი, რომ ჩემს მშობლებს მოსწონდათ, ნანაც კარგად შეეწყო... იმ წელს გურამმა სკოლა დაამთავრა. იოლად მოხვდა უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. ჩემებმა შემიძახეს: აი, ხომ ხედავ, რა ნიჭიერი და ჭკვიანი ბიჭია, მის ახლობლებს არ ათქმევინო, რომ ჩვენს შვილს მისთვის შეუფერებელი გოგო უყვარსო. კარგად უნდა იმეცადინო, რომ შენც პირველსავე წელს ჩაირიცხო ინსტიტუტშიო. ჩემებს ძალიან უნდოდათ, სამედიცინოზე ჩამებარებინა, მე კი თეატრი მიტაცებდა...

ბედნიერად შევუდექი მეცადინეობას, მაგრამ მერე სიტუაციები ისე განვითარდა, ღამის სულელური და საბედისწერო ნაბიჯი გადავდგი... გურამი ხშირად მოდიოდა ჩვენთან, მაგრამ ზოგჯერ იმ დროს მხვდებოდა, როცა სკოლიდან ვბრუნდებოდი. ცოტა ხანს გაჩერდებოდა და მერე მალევე მიდიოდა. ვატყობდი, ნანას დანახვაზე ელეთმელეთი მოსდიოდა, მის ერთ სიტყვაზე ალბათ თავდაყირა დადგებოდა. ცოტა ხანში ნანა ღრუბლების მომთვინიერებელს დაემსგავსა. საკმარისი იყო წარბი შეეთამაშებინა, გურამი ფინიასავით შესცინცინებდა. ერთი სიტყვით, „ღრუბელი“ ცუდად იქცა (დაე, მაპატიოს ამ შედარებისთვის, მაგრამ ახლა, როცა ყველაფერი ჩავლილია, ის უფრო საღად და ზუსტად შეაფასებს ყველაფერს).

მეორე წელს, 9 აპრილის წლისთავზე, სამივე ერთად წავედით მთავრობის სასახლესთან. ღამით ჩემს ნათესავთან ერთად შინ ძალით დამაბრუნეს, თვითონ კი ღამე გაათენეს. ნერვები ამეშალა, მთელი ღამე ვტიროდი, მაგრამ პატარა იმედს მაინც ვებღაუჭებოდი: იქნებ არ უნდათ, რომ მოვცდე. იქნებ, იმ საშინელი ღამის განცდებს მარიდებენ და ამიტომ მირჩიეს შინ დაბრუნებამეთქი.

რამდენიმე დღის შემდეგ, სკოლიდან მობრუნებულს ნანა და გურამი სამზარეულოში დამხვდნენ. ყავას სვამდნენ. მშობლები, ჩვეულებრივ, სამსახურში იყვნენ. გუგულებივით ისხდნენ და ერთმანეთს თვალს არ აშორებდნენ. ჩემს დანახვაზე დაიბნენ. „უი, უკვე ორი საათი ყოფილა, რა დრო გასულა. სასწავლებელში უნდა წავიდე“, — თქვა ნანამ და სასწრაფოდ დაიწყო მომზადება. კარი რომ გაიხურა, გურამმა მთხოვა, მისთვის ყურადღებით მომესმინა. სმენად ვიქეცი. ხმას ვერ ვიღებდი, მხოლოდ თვალებში მივჩერებოდი და ველოდი მის „ბოლო სიტყვას“. ვგრძნობდი, კარგი არაფერი უნდა მომესმინა და ღამის გული ამომვარდნოდა საგულედან.

გურამმა გაბზარული ხმით დაიწყო: მე შენ არასოდეს მომიტყუებიხარ, არ შემიძლია ვიცრუო, ამიტომ, რაც არ უნდა მკაცრად მოგეჩვენოს, სიმართლე უნდა გითხრა, რადგან ასე გაგრძელება აღარ შეიძლებაო.

ყურებზე ხელი ავიფარე, მაგრამ გურამს, ეტყობა, საბოლოოდ გადაეწყვიტა ყველაფრის თქმა (ალბათ ნანამ უბრძანა ასე) და თითებს შორისაც კარგად აღწევდა ჩემთვის შემზარავი სიტყვები: ნანა მიყვარს, ერთი დღეც არ შემიძლია უიმისოდ. უნდა გაგვიგო, შენზეა დამოკიდებული ყველაფერი. ნანა ცოლად იმ შემთხვევაში გამომყვება, თუკი შენ იქნები ამაზე თანახმა. შენს ხელშია ჩემი ბედი, იცოდე, ნანას გარეშე ვერ გავძლებო.

19.00 სამ.ფილმი "პოლიციის კაპიტანი" 20.30 ვიცი 21.00 "მშვიდობით XX საუკუნევ" 21.45 ვარსკვლავები გვაცნობენ 22.00 მეოცეული 23.00 მხ.ფილმი "კლეოპატრა"

08.00 მუსიკა 09.00 კურიერი 09.15 მულტსერიალი 10.45 "პირველი ვარდის შემოქმედნი" 11.15 დოკ. 11.25 სერიალი "ნიკიტა" 12.25 მხ.ფილმი 14.20 სიმპსონები 14.50 სერიალი "კაპიტოლის წყალქვეშა ოფისები" 15.40 მხ.ფილმი 18.00, 23.40 კურიერი 18.20 ქართული ფილმი 19.50 დოკ. ფილმი "ველური ბუნება" 21.00 კურიერი 21.20 ჩვენი ეზო 21.40 "ვარსკვლავური კინოკლუბი". "დონი ბრასკო", "მეგოლი" 23.50 მხ.ფ. "სატყუარა". მთ. როლებში ჯეიმს ვუდსი 02.00 კლასიკა

იბერია მიმდინარეობს არხის რეორგანიზაცია 08.00, 20.00 ანონსი, მულტფილმი 08.15, 20.15 ალსავალი 08.15, 09.55, 11.50, 20.20, 21.55, 23.35 მუსიკა 08.25 მხ.ფ. "თაიის აღდგმა" 10.20 მხ.ფ. "შეუნდობელი" 20.25 მხ.ფ. "მატიანის ჯაშუში" 22.05 მხ.ფ. "3000 მილი გრეისლენდამდე"

12.00 ინგ. მხ.ფილმი 14.30 მხ.ფ. "მატრიცა" 16.50 დოკ. ფილმი "როგორ იქმნებოდა მატრიცა" 19.20 ჯამ-ბარი 19.30 მხ.ფ. "ჯერი მაგუაიერი" 21.30 მხ.ფ. "გლადიატორი" 00.20 მხ.ფ. "ცდუნება"

1ST 07.30 "მორწმუნის ძლევამოსილი ხმა" 09.00 მუსიკალურ-გასართობი პროგრამა "ტოროლა" 12.00 მხ. ფილმი 14.00 "Co.მედია" მხ.ფ. "უკანასკნელი ფანტაზია" 19.00 ლოტო-მაესტრო 19.30 მუსიკა 20.00 ვიდეო-რადიო 22.00 მაქს-20 00.00 "ბრავო" მხ.ფ. "ძაი-ალაი". მთ. როლში კევინ სპეისი 01.55 "ღამურა" "ჯოჯოხეთის აფეთქება". მთ. როლში ჯეიმს კაანი 03.15 წინ-სტოპი

09.00 დღის ამბები 09.20 მულტფილმი "ტომი და ჯერი" 09.35 ბელისიმო 10.00, 15.00 საინფორმაციო შემეცნებითი მუსიკალური გადაცემა "დილა" 11.20 ჭკუის კოლოფი 11.55 ევროპის სტადიონებზე 12.30 საუბრები სტუდიაში 13.20 მხ.ფ. "ჯადოქარი ოზიდან". მთ. როლში ჯუდი გარლანდი. 16.20 მხ.ფ. "ინდიანა ჯონსი - უკანასკნელი ჯვაროსნული ლაშქრობა". მთ. როლში ჰარისონ ფორდი. 18.25, 19.10, 20.50, 22.00, 23.55 მუსიკა 18.35 დისქავერი. 19.00 მაცაცერა 19.30 მსოფლიო ფეხბურთი 20.00 ინტელექტკლუბი "რა? სად? როდის?" 21.10 მხ.სერიალი "ვი. აი. პი. ველერი აირონსის დაცვის სამსახური" 22.20 მხ.ფ. "მუზა". მთ. როლში ალბერტ ბრუქსი. 00.10 მხ.ფ. "ამერიკელი ჟიგოლო". მთ. როლში რიჩარდ გირი.

09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტები 09.40 სათავგადასავლო ფილმი "თავზეხელაღებულთა კუნძული" 12.00, 16.00, 19.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება 12.20 ბავშვთა მუსიკალური თეატრ-სტუდია "ბრავო" სპექტაკლი "რომეო და ჯულიეტა" 13.45 მხატვრული ფილმი "სამოქალაქო სარჩელი" 16.20 მულტფილმების პროგრამა 17.25 კომედია "ოლგლიანი ჯენტლმენები" 19.30 მელოდრამა "ვასვირნების დრუზლებში" 21.10 დოკუმენტური ფილმი 22.00 "ეს კვირა" 22.40 კვირის ახალი ამბები 23.00 დოკუმენტური ფილმი 01.00 თრილერი "ღამის ლეგიონი" ფანტასტიკური 03.30 დრამა "მისისიპი იწვის"

ОРТ 07.45 Фильм "СЕРДЦЕ НЕ КАМЕНЬ" 09.00, 11.00, 16.00, Новости. 09.10 Армейский магазин. 09.40 Мультфильм 10.05 Утренняя звезда 10.50 Библиомания. 11.10 Непутевые заметки 11.30 Пока все дома 12.10 КВН 2002 14.15 Сами с усами 14.45 Умницы и умники 15.10 Сокровища Кремля 15.30 Дисней-клуб 16.15 Ералаш 16.20 КОМЕДИЯ "ИНСПЕКТОР РАЗИНЯ" 18.05 Живая природа 19.20 Новый Ералаш. 19.30 Комедия "КОРОЛЕВА БЕНЗОКОЛОНКИ" 21.00 Боевик "ВОДНЫЙ МИР" 23.30 Времена 00.45 Фильм "ТЕЛЕЦ"

РТР 07.30 Фильм "РОЗЫГРЫШ" 09.05 Папа, мама, я - спортивная семья 09.50 Русское лото 10.40, 17.50 "ТВ-Бинго шоу" 11.20 Доброе утро, страна 11.55 Сам себе режиссер 12.50 Городок 13.25 Фильм "У ФАНТОЦЦИ ОПЯТЬ НЕПРИЯТНОСТИ" 15.00, 21.00 Вести. 15.20 Парламентский час 16.05 Диалоги о животных 17.00 Вокруг света 17.55 Аншлаг 19.00 Фильм "ФАНТОМ" 22.10 "Комната смеха" 23.10 Фильм "МЭВЕРИК" 01.35 Спорт за неделю 02.35 Сериал "ТВИН ПИКС"

შეკითხვა ექიმს

ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოგახსენებთ — ჩვენი რუბრიკის და მთლიანად გაზეთის მასულდგმულებელი ხომ თქვენი გამოხმაურება და თანადგომაა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვებს, გვერწმუნეთ, თითოეულ მათგანს დიდი გულისყურით ვკითხულობთ და მათზე პასუხს აუცილებლად მიიღებთ, მაგრამ რადგან შეკითხვების რიცხვი საკმაოდ დიდია, ნუ დაგვემდურებით, თუ პასუხის ლოდინი ხანგრძლივად გიწევთ.

რა არის მენინგიომა? ოპერაციის შემდეგ შეიძლება თუ არა ხელახლა წარმოიქმნას? იქნებ შესაძლებელია მისი მედიკამენტური და არა ქირურგიული მკურნალობა?

მკითხველი

მენინგიომა ტვინის გარსების სიმსივნეა. რა იწვევს მის წარმოქმნას — უცნობია. წამლებით მისი განკურნება შეუძლებელია. ამიტომ მკურნალობა მხოლოდ და მხოლოდ ოპერაციულია. სამწუხაროდ, სულ უფრო ხშირდება შემთხვევები, როცა მენინგიომა რეციდივირდება (ხელახლა ვითარდება) და ავთვისებიან სიმსივნედ გარდაიქმნება. ამიტომ, როგორც წესი, ქირურგიული ჩარევისას ხდება მისი სრული ამოკვეთა.

ჩემს გოგონას სარძევე კბილები მეჩხრად აქვს განლაგებული. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ძირითადი კბილებიც ასეთი ექნება?

დალი ბერიძე

სარძევე კბილები თავდაპირველად მჭიდროდაა განლაგებული, ხოლო 4-5 წლის ასაკიდან თითქოს გაიშლებიან, ერთმანეთს შორდებიან და მათ შორის წარმოიქმნება შუალედები — ე.წ. ტრემები. ეს ხდება ყბის ზრდის გამო და ასეთ ტრემებს სპეციალისტები ფიზიოლოგიურად, ბუნებრივად მიიჩნევენ.

თუ 5-6 წლის ბავშვს ტრემები არ აქვს, ძირითადი კბილები არასწორად ამოიჭრება — მობრუნდებიან ღრძის ირგვლივ და დადგებიან გვერდიგვერდ. სწორად დასადგომად მათ ადგილი არ ეყოფათ. ასე რომ, ამ ასაკში კბილებს შორის არსებული შუალედები საშიშროებას არ წარმოადგენს, პირიქით — ისინი აუცილებელია. მაგრამ თუ სარძევე კბილები ამოჭრიდანვე არ არიან მჭიდროდ განლაგებული, ეს ნიშნავს, რომ ან კბილებია პატარა, ან ყბა — დიდი. ასეთი შეუსაბამობის მიზეზი სხვადასხვა რამ შეიძლება იყოს. ზოგჯერ ბავშვს ერთი მშობლისგან მემკვიდრეობით გადაეცემა პატარა კბილები, ხოლო მეორისგან — დიდი ყბა. ყბის ზომაში მატებას ხელს უწყობს მატყუარა საწოვარას ხანგრძლივი ხმარება, თითის პირში წოვა, ტუჩების კვნეტის ჩვევა. კიდევ ერთი მიზეზია — არასწორი სუნთქვა. სარძევე კბილები მეჩხრად განლაგდება ხოლმე მაშინაც, როცა ამოღებულია ერთი ან რამდენიმე კბილი.

მყავს 3 წლის შვილიშვილი, რომელიც ერთი თვის წინ წაიქცა, თავი დაარტყა და განუვითარდა სიელმე. ნევროპათოლოგმა ტვინის შერყევა არ დაგვიდასტურა. თვალის ექიმმა კი გვირჩია მხოლოდ ოპერაცია. ჩვენ მისგან თავს ვიკავებთ. აუცილებელია თუ არა ოპერაციის გაკეთება?

ნათელა კოპლატაძე

თვალის ტრავმის შემდეგ განვითარებული სიელმის გამო თქვენს შვილიშვილს უნდა გაუკეთდეს ოპერაცია 5 წლის ასაკის შემდეგ. ამჯერად კი, ძალიან კარგია ფიზიოთერაპიული მკურნალობა, თვალის მოძრაობის გამაუმჯობესებელი ვარჯიშების შესრულება. ოპერაციის მომენტამდე აუცილებლად უნდა მიმართოთ ბავშვთა ოფთალმოლოგს და ნევროპათოლოგს შესაბამისი მკურნალობის დანიშვნის მიზნით.

მაქვს ძალიან მგრძნობიარე კანი. ყოველგვარი მიზეზის გარეშე ხშირად მიჩნდება ჩალურჯებები. ისე რომ, არც არსად წავქცეულვარ, არც არავის დაურტყამს, აღმოვაჩენ ხოლმე უმტკივნეულო სილურჯეს. მირჩიეთ, როგორ მოვიქცე.

თქვენი ერთგული მკითხველი

უპირველეს ყოვლისა, უნდა გაიკეთოთ სისხლის საერთო ანალიზი. თუ მასში ცვლილებები არ აღინიშნება, მაშინ ჩალურჯებების მიზეზი თქვენი ძალიან ნაზი სისხლძარღვებია. ეს კი, გამოწვეულია C და P ვიტამინების, თუთიისა და სპილენძის ნაკლებობით. ამიტომ თქვენს რაციონში უნდა ჩართოთ ამ ნივთიერებათა შემცველი პროდუქტები. C ვიტამინს შეიცავს თითქმის ყველა ხილი და ბოსტნეული, მაგრამ განსაკუთრებით დიდი რაოდენობითაა იგი ასკილში, ციტრუსში, შავ მოცხარში. P ვიტამინი ბევრია წიწიბურაში, ყურძენში. თუთიას შეიცავს მზესუმზირა და გოგრის თესლი, ხოლო სპილენძს — ბატკნისა და ხბოს ღვიძლი და საფუარი.

როდის მატულობს სისხლში აზოტი და რა უნდა მივიღო ასეთ დროს?

ლევან დ.

სისხლში აზოტი მატულობს მაშინ, როცა ცილოვანი ცვლის აზოტოვანი პროდუქტების (შარდოვანას, შარდმჟავას, კრეატინინის, ინდიკანის და სხვა) რაოდენობის მომატება ხდება. ეს პროცესი თირკმლების ღრმა პათოლოგიების ან გულ-სისხლძარღვთა უკმარისობის დროს ვითარდება. მიზეზი შეიძლება ქსოვილთა ცილების გაძლიერებული დაშლაც იყოს.

ეს საკმაოდ სერიოზული მდგომარეობაა ორგანიზმისთვის და თვითმკურნალობა ყოვლად დაუშვებელია. გირჩევთ, ნუ დაკარგავთ დროს — დროულად მიაკითხეთ სპეციალისტს.

თამარ მამაცაშვილი



ვუმკურნალოთ გაციებას აბებით გარეშე

გაზაფხულზე ორგანიზმი ადვილად ცივდება. თუ ტანში გამტვრევთ, აგიწიათ ტემპერატურამ და გტკივათ თავი, ჩაწექით საწოლში და ექიმის მოსვლამდე მიიღეთ ჩაი ლიმონითა და თაფლით. ლიმონი ხომ C ვიტამინითაა სავსე, რომელიც აძლიერებს ორგანიზმის დამცველ ძალებს, თაფლი კი ბრწყინვალე შარდმდენია და ტემპერატურას დაბლა სწევს.

ზოგიერთი ცდილობს გაციებას ებრძოლოს აბებით, რაც ყოვლად დაუშვებელია. ტემპერატურა ხომ იმას მოწმობს, რომ თქვენი ორგანიზმი ებრძვის დაავადებას. ხოლო თუ ტემპერატურამ 38 გრადუს ცელსიუსს გადააჭარბა, მაშინ მიიღეთ შტოშის მორსი, რომელიც ტემპერატურას დაბლა სწევს და თავის ტკივილსაც შველის.

ოტდოხნი! №13

მზის მოყვარული წითელი მოცვი

ადრეულ გაზაფხულზე, როგორც კი თოვლი იწყებს დნობას, შეგიძლიათ დაკრიფოთ წითელი მოცვის ფოთოლი. ეს მარადმწვანე ბუჩქი ზამთარშიც კი არ იშორებს ფოთოლს და დაბალი ტემპერატურის დროსაც ინარჩუნებს არა მხოლოდ სინორჩეს, არამედ სამკურნალო თვისებებსაც. სწორედ ამ დროს, სანამ არ აყვავილებულა მოცვი, უნდა მოიკრიფოს მისი ფასდაუდებელი, სამკურნალო ფოთოლი. წითელი მოცვი ყვავის მაის-ივნისში, ნაყოფი კი მწიფდება — ივლის-აგვისტოში. ნაყოფი მომჟავო-მოტკბილოა.

წითელი მოცვი ძირითადად ხარობს ფიჭვნარში, ნაძვნარსა და არყნარში. საქართველოში კი იგი გვხვდება სუბალპურ ტყეებში.

დიდი ხანია ცნობილია წითელი მოცვის ფოთლების სამკურნალო თვისებები. სამკურნალოდ გამოიყენება მისი როგორც ნაყენი, ისე ნახარში. გარდა იმისა, რომ წითელ მოცვს გააჩნია ანტისეპტიკური თვისებები, იგი არის შარდმდენი, კუჭში შემკვრელი, ანთებსაწინააღმდეგო და ოფლმდენი საშუალება. მისი ნაყენის მოსამზადებლად საჭიროა დაიცვათ ნედლეულისა და წყლის შემდეგი პროპორცია: 1:10, და მიიღეთ 1-2 ს/კ 3-4-ჯერ დღეში. წითელი მოცვის ფოთლების ნახარში და ნაყენი მიიღება ასევე შარდკენჭოვანი და ნაღველკენჭოვანი დაავადებების, ნიკრისის ქარის, ცისტიტის, პიელონეფრიტის, თირკმლების და გულის მიზეზით გამოწვეული შეშუპების, რევმატიზმის, გაციების, გრიპისა და მაღალი ტემპერატურის დროს.

ლიზა №14

ბავშვი ენაბლუა?..

სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ ენაბლუობა (ენაბორძიკობა) მეტყველების ერთ-ერთი ყველაზე ამოუცნობი და ძნელად გამოსასწორებელი დარღვევაა. სწორედ ამიტომაა აუცილებელი, თავიდანვე მიექცეს ყურადღება ენებლუობის პირველ სიმპტომებს და აღიკვეთოს მისი გამომწვევი მიზეზები. ეს გაცილებით ადვილია, ვიდრე შემდგომი მკურნალობა.

ენაბლუობა არის მეტყველების ტემპისა და რიტმის სიმწყობრის დარღვევა, რაც გამოწვეულია მეტყველების აპარატის სხვადასხვა ნაწილის კრუნჩხვით.

ყველაზე ხშირად ეს ემართებათ 2-დან 7 წლამდე ასაკის ბავშვებს და იმისათვის, რომ დროულად დავეხმაროთ მათ, ძალზე მნიშვნელოვანია, არ გამოგვეპაროს ენაბორძიკობის პირველი ნიშნები:

— ბავშვი მოულოდნელად ჩუმდება, უარს ამბობს ლაპარაკზე (რაც შეიძლება გაგრძელდეს 2 საათიდან ერთ დღე-ღამემდე, რის შემდეგაც იწყებს ლაპარაკს, მაგრამ უკვე ბორძიკით);

— ცალკეული სიტყვების წარმოთქმამდე ზედმეტი ბგერების გამოყენება (ა, ი, ე და ა.შ.);

— პირველი მარცვლების ან მთელი სიტყვის გამეორება ფრაზის დასაწყისში;

— შეფერხება (შეყოვნება) მეტყველების დაწყებისას.

ენაბლუობის გამომწვევი მიზეზია ცენტრალური ნერვული სისტემის დასუსტება, მისი მიზეზი შეიძლება სხვადასხვა იყოს. ზოგჯერ იგი თავს იჩენს ინფექციური დაავადების შემდეგ, როცა ორგანიზმი დასუსტებულია. ხშირად ენაბლუობის მიზეზია შიში (ნერვიულობა — როცა ბავშვს უსამართლოდ ექცევიან). ენაბლუობა შეიძლება გამოიწვიოს ცხოვრების პირობების უეცარმა გაუარესებამ. არცთუ იშვიათად ენაბლუობა ეწყებათ ბავშვებს, რომლებმაც ძალიან ადრე ამოიდგეს ენა, მშობლები კი ასწავლიან ლექსებს და აიძულებენ („აი, როგორი ნიჭიერია ჩვენი ბავშვი“) სტუმრების წინაშე გამოიჩინონ თავი. მაგრამ ენაბლუობის ყველაზე გავრცელებული მიზეზია — ჩხუბი ოჯახში და ავი ძაღლები ქუჩაში.

არავინ იცის, როდის იწყება ენაბლუობა. ცნობილია მხოლოდ ის, რომ ეს ხდება არა უადრეს 2-3 წლისა და არა უგვიანეს 6-7 წლის ასაკში. ზოგიერთ ბავშვს ეს ნაკლი უკვალოდ გაუვლის, ზოგიერთს შეიძლება დასჭირდეს ჰიპნოზის სეანსებით ხანგრძლივი მკურნალობა, სხვას — არაფერი შველის. ენაბლუობას კიდევ ერთი უცნაური თვისება ახასიათებს — იგი გადამდებია. ბავშვი ხომ მიმბაძველია — განსაკუთრებით მეტყველებაში. ზოგჯერ გვეჩვენება, რომ გვაჯავრებს, სინამდვილეში კი გვბაძავს ლაპარაკში და შეიძლება ეს უნებლიე მიბაძვა ისე გაუჯდეს, რომ ლოგოპედის ჩარევა გახდეს საჭირო.

„რისკის ჯგუფში“ შედიან ნერვიული და მგრძნობიარე ბავშვები, მათ შორის 3-ჯერ მეტი ენაბლუ ბიჭია, ვიდრე გოგონა. მაგრამ თუ ამ ტიპის ბავშვი დროზე მოხვდება ფსიქოლოგთან, ის აუცილებლად განიკურნება, თუკი გავითვალისწინებთ მათ ზოგიერთ რეკომენდაციას. მათ სჭირდებათ მშვიდი გარემო, მსუბუქი რეჟიმი, არ შეიძლება ენაბლუ ბავშვებს უკითხოთ ბევრი და ისიც არა ასაკის შესაფერისი.

განსაკუთრებით მავნებელია ღამით საშიში ზღაპრების კითხვა, რადგან შეიძლება მიღებულმა შთაბეჭდილებამ მთელი ღამე კოშმარულ სიზმრებში გაატარებინოს ბავშვს.

არ შეიძლება ხანგრძლივად უყუროს ბავშვმა ტელევიზორს. მით უმეტეს, თუ ეს საშინელებათა ფილმია და ისიც ძილის წინ.

არ შეიძლება, მეტისმეტად გაანებივროთ ბავშვი, შეუსრულოთ ნებისმიერი სურვილი, რადგან სულ პატარა წინააღმდეგობაც კი შეიძლება იქცეს მისთვის ფსიქიკურ ტრავმად. ბავშვისადმი წაყენებული მოთხოვნები უნდა იყოს ასაკის შესაფერისი (როგორც ოჯახში, ისე ბაღსა და სკოლაში).

მკურნალობის პროცესში არ გადატვირთოთ ბავშვი შთაბეჭდილებებით (კინო, კითხვა, ტელევიზია და ა.შ.), რადგან რეჟიმის დარღვევამ შეიძლება მკურნალობას არანაირი შედეგი არ მისცეს.

არ დატოვოთ ბავშვი დასჯის მიზნით მარტო ბნელ ოთახში. ის შეიძლება შეშინდეს და ენაბლუობა განუვითარდეს. ენაბლუ ბავშვებთან უნდა ვილაპარაკოთ მშვიდად, გარკვევით, მწყობრად, აუჩქარებლად და არავითარ შემთხვევაში დანაწევრებითა და დამარცვლით. შეეცადეთ, დააახლოოთ ენაბლუ ბავშვი გაწონასწორებულ, გამართულად მეტყველ ბავშვებს, რათა მიბაძოს და ისწავლოს მათგან მწყობრად ლაპარაკი. არ ჩააბათ ბავშვი ისეთ თამაშში, რომელიც გააღიზიანებს და დაძაბავს. სასარგებლოა მონაწილეობდეს გუნდურ თამაშში, რომელიც ითვალისწინებს გუნდურ პასუხს.

ენაბლუ ბავშვი მასწავლებელმა არ შეიძლება პირველი გამოიძახოს გაკვეთილის მოსაყოლად. უმჯობესია, გამოიძახოს იმ ბავშვის შემდეგ, რომელიც კარგად პასუხობს. თუ ბავშვი ვერ იწყებს ლაპარაკს ან დაიწყო და შეყოვნდა, მასწავლებელი უნდა დაეხმაროს პირველი სიტყვის წარმოთქმაში ან შეკითხვით გადაიტანოს მისი ყურადღება სხვა რამეზე. დღესასწაულის დროს, საჭიროა ბავშვმა სხვა ბავშვებთან ერთად იმღეროს, იცეკვოს, რათა განუვითარდეს თვითდაჯერებისა და სრულფასოვნების შეგრძნება.

ენაბლუ ბავშვისთვის მეტად მნიშვნელოვანია მუსიკა და ცეკვა, რაც უვითარებს მწყობრ მეტყველებას, სუნთქვას, რიტმს, ტემპს, განსაკუთრებით სასარგებლოა სიმღერაში მეცადინეობა.

რაც მთავარია, თუკი ბავშვს შეამჩნევთ ენაბლუობას, სასწრაფოდ მიმართეთ ფსიქონევროლოგსა და ლოგოპედს.

დომოვოი №2

განვედი ჩემგან, ზამთარო!

ინგლისის ზოგიერთ რაიონში არსებობს ერთგვარი საგაზაფხულო რიტუალი ანუ ჩვენებურად — „ზამთრის გაცილება“. საამისოდ, პირველი მარტიდან მოყოლებული, აპრილის შუა რიცხვებამდე (ნასესხებამდე) ყოველდღე სვამენ ე.წ. საგაზაფხულო კოქტეილს.

კოქტეილისათვის საჭიროა: თითო სირჩა სტაფილოს, ჭარხლის და ნიახურის წვენი. სტაფილო იმუნიტეტს აძლიერებს, ჭარხალი და ნიახური კი, დიდი რაოდენობით შეიცავს C და B ჯგუფის ვიტამინებს, რაც უძილობისა და მოთენთილობისაგან იცავს ადამიანს.

სობესედნიკი №12

ვიტამინები საჭმელ ზეთთან ერთად



გაზაფხულის დადგომასთან ერთად საჭიროა შეიძინოთ ვიტამინები. ძალიან გონივრულად შერჩეული პროდუქტებიც, ვერ უზრუნველყოფს ორგანიზმს აუცილებელი ვიტამინებითა და მიკროელემენტებით. ხილი გამოფიტულია, რძეც ისეთი არ არის, როგორიც ზაფხულში, ამიტომ საჭმელთან ერთად უნდა მივიღოთ ვიტამინების აბები და დრაჟე, ისე საკვებს ნაკლები სარგებლობა მოაქვს. მაგალითად, A ვიტამინი ცხიმთან ერთად უფრო კარგად აითვისება. უკეთესია მცენარეული ზეთით შეზავებული სტაფილოს სალათი მიირთვათ. როგორც ცნობილია C ვიტამინით მდიდარია ლიმონი, ამიტომ მიიღეთ ის ყოველდღე, როგორც ჩაისთან ერთად, ისე ვიტამინი დრაჟეს სახით. გარდა ამისა, შეგიძლიათ გახეხილ ლიმონს დაამატოთ გემოვნებით თაფლი და სასიამოვნო, ვიტამინებით მდიდარი დესერტიც მზად არის. გაციების შემთხვევაში ის არაჩვეულებრივი წამალია...

ჯენტი

სამედიცინო მოზაიკა... სამედიცინო მოზაიკა

ყავა კბილების პასტის ნაცვლად. ყავის მოყვარულები უნდა უმადლოდნენ იტალიელ მეცნიერებს, რომლებმაც უარყვეს გავრცელებული მოსაზრება, რომ ყავა აფუჭებს და ფერს უცვლის კბილის მინანქარს და რომ იგი აჩქარებს კარიესს. თურმე, ყავის ორ ძირითად ჯიშს — „არაბიკას“ და „რობუსტას“ გააჩნია ბაქტერიციდული თვისებურებანი, რაც ხელს უშლის კარიესის წარმოქმნას. უფრო მეტიც, საუკეთესო შედეგის მისაღწევად მედიკოსები გვირჩევენ, ნაცვლად ფინჯანი ყავისა, დავღეჭოთ ყავის რამდენიმე მარცვალი და სტომატოლოგის მონახულება გაცილებით გვიან მოგვიწევს

ნუ იქნები კუჭის მონა... „ზომიერად ჭამე, ნაკლები ღვინო სვი“ — ამბობდა ავიცენა. ამიტომ, როდესაც საღამოს ჭამა მოგინდებათ, გირჩევთ: თქვენს თავს უთხრათ... „მე ვჭამ იმისათვის, რომ ვიცოცხლო, და არა ვცოცხლობ იმისთვის, რომ ვჭამო!“ შეეცადეთ, მიიღოთ საკვები ერთსა და იმავე დროს და არ ჭამოთ 6 საათის შემდეგ. რა თქმა უნდა, ეს ეხება მათ, ვისაც არ აწუხებს კუჭის დაავადებანი. და კიდევ ერთი რჩევა: არასოდეს ჭამოთ ტელევიზორის ყურების დროს. ასევე უნდა გაგაფრთხილოთ, რომ თუ დიდხანს იცავთ მაღალცილოვან დიეტას, შეიძლება დაიზიანოთ ორგანიზმი. უსარგებლო კვებამ შეიძლება გამოიწვიოს გულ-სისხლძარღვოვანი დაავადებანი.

სტიმულატორი ტვინში. გულის რიტმის შესანარჩუნებლად სტიმულატორის გამოყენება დიდი ხანია ჩვეულებრივი მოვლენაა მედიცინაში. კლივლენდის კლინიკის მეცნიერებმა ეს მოწყობილობა დაუდეს საფუძვლად უნიკალურ აპარატს, რომელიც შეძლებს ტვინის სტიმულირებას. საგრძნობლად შეუმცირებს კანკალს და არაკოორდინირებულ მოძრაობას პარკინსონით დაავადებულებს. პაციენტის გულში ჩადგმული პატარა მონიტორი მინი-ელექტროდებით დაუკავშირდება თავის ტვინში მოთავსებულ აპარატურას.

[illegible]

[illegible]

ანანასი შეიცავს ბრომელინს, რომელიც ხელს უწყობს ცილების დანაწევრებას ორგანიზმში. ეს ტროპიკული ნაყოფი აუმჯობესებს საჭმლის მონელებას და ძალიან სასარგებლოა გულ-სისხლძარღვთა დაავადებების დროს. სისხლნაკლებობის დროს უნდა მიიღოთ ანანასი თაფლთან ერთად. ნახევარ ჭიქა წვენს უმატებენ ერთ სუფრის კოვზ თაფლს.

ფორთოხალი არის C ვიტამინის წყარო. მჟავე გემოს წყალობით C ვიტამინი ააქტიურებს კუჭის წვენის ფერმენტების მუშაობას, აუმჯობესებს ცილების, რკინის, კალციუმის ათვისებას.

მწარე შოკოლადი სასარგებლოა, თუ ზომიერად მივიღებთ. კაკაოს მაღალი შემცველობის წყალობით (70%) მწარე შოკოლადში ბევრია თეობრომინი — ალკალოიდი, რომელიც აუმჯობესებს გულის მოქმედებას. ფენამინი ეფექტური წამალია ცუდი განწყობის წინააღმდეგ.

მსხალი მდიდარია ვიტამინებითა და მინერალური ნივთიერებებით. ის აუმჯობესებს საჭმლის მონელებას და ორგანიზმიდან გამოაქვს ზედმეტი სითხე.

მწვანე ჩაი არა მხოლოდ აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლასა და საჭმლის მონელებას, არამედ მას მატონიზირებელი ეფექტიც აქვს. ეს გახლავთ სასმელი, რომელიც ხელს უწყობს სხეულის ფორმის შენარჩუნებას. მწვანე ჩაი ყოველდღე უნდა მიიღოთ. ის შეიცავს ნატრიუმს, მაგნიუმს და კალიუმს, რომელიც ხელს უწყობს ნივთიერებათა ცვლის გაუმჯობესებას.

კოჭა (იმბირი) ხელს უწყობს კუჭის წვენის წარმოქმნას და მადის მომატებას. კოჭას ჩაი დაგეხმარებათ წონის დაკლებაში. ის შესანიშნავი ანთებსაწინააღმდეგო საშუალებაა, ამცირებს ქოლესტერინის დონეს. კოჭას ფესვი შესანიშნავია ბრონქიტის, მუცლის შებერვის, რევმატიზმისა და ართრიტის დროს.

კივი მდიდარია C ვიტამინით, რომელიც აუმჯობესებს ნახშირწყლების შეთვისებას და ნივთიერებათა ცვლას. გარდა ამისა, კივი შეიცავს იოდს.

მანგო ეგზოტიკური ნაყოფია, რომელიც შეიცავს დიდი რაოდენობით A, C და B ჯგუფის ვიტამინებს.

მანგო შესანიშნავი საშუალებაა სწორი ნაწლავის ფუნქციის მოსაგვარებლად.

ვაშლი აჯანსაღებს ნაწლავებს, იგი შესანიშნავი საშუალებაა ჭარბი წონის დასაგდებად.

ლიზა №12



სისხლში შაქრის საზომი აპარატები

სერტიფიცირებულია **კომპლექტი 95ლ**

შარდის საერთო ანალიზის ტესტები, 100ც. — 50 ლ.

შპს „კონტრასტი", ბორჯომის ქ. №4

☎ 35-44-05; 899-19-60-55

ვმკურნალობთ

ქრონიკულ პროსტატიტს

— ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წუთში;

— ექოსკოპია, თანამედროვე იაპონური აპარატურით;

— კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით და აპარატურით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის მეთოდით, რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.

მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №20 (სპორტის სასახლის უკან). 10-14 სთ.

მიოზიტი, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი (მარილები), სქოლიოზი, კიფოზი (ხერხემლის გამრუდება, კისერმრუდობა), თავის ტკივილი, თავბრუსხვევა, მეწაღისებური და ქათმისებური გულმკერდი, სიმაღლეში ზრდა.



ამ დაავადებებს მრავალი წლის განმავლობაში დიდი წარმატებით მკურნალობს ცნობილი მანუალური თერაპევტი, ექიმი სოსო ფირცხალაიშვილი, რუსეთსა და საზღვარგარეთ დამუშავებული მეთოდით: მანუალური თერაპია, ტრენაჟორები, მექანოთერაპია, აერობიკა.

მობრძანდით 11სთ-დან 20 სთ-მდე ალმაშენებლის 60-ში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის კლინიკური საავადმყოფო (ყოფ. მიხაილოვის), I სართ, მანუალური თერაპიის კაბინეტი. ტელ: 75-06-14; 877-44-01-08

ისრაელი-საქართველოს სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „მიკროგენი"

გთავაზობთ შემდეგ მომსახურებას ისრაელის უახლესი მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით: გინეკოლოგია, ანდროლოგია, ოსტეოპოროზი, ულტრასონოგრაფია, ლაბორატორიული ტესტები, კოსმეტოლოგია, სამკურნალო მასაჟი და მკვდარი ზღვის ტალახისა და მარილების აბაზანები.

მისამართი: ვაჟა ფშაველას გამზ. 32ა

☎ 94 07 08; 94 07 09; 98 39 76

SGS - მსოფლიო სექსოლოგთა ასოციაციის და ევროპის სექსოლოგთა ფედერაციის წევრი

SGS - თანამედროვე ტექნიკური ბაზა

SGS - მაღალკვალიფიციური ექიმი-სექსოლოგები და ფსიქოლოგები

SGS - განკურნების მაქსიმალური გარანტია

SGS - აბსოლუტური ანონიმურობა

ჩვენი პროფესიონალიზმი თქვენი თვითდაჯერების გარანტიაა!!!

ექიმი-სექსოლოგები, ფსიქოლოგები და ფსიქოთერაპევტები მზად არიან დაგეხმარონ ყველა სახის სექსუალური დარღვევის, ნევროზული სიმპტომების დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში.

1. სქესობრივი აქტის ჩატარების გაძნელება ან შეუძლებლობა, მათ შორის:

„პირველი საქორწინო ღამის" პრობლემები.

2. სქესობრივი აქტის გახანგრძლივება ან ნაადრევი დამთავრება.
3. იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს ზომების მომატება.
4. კონფლიქტები ოჯახში და მის გარეთ.
5. დეპრესია, ძილის დარღვევა, აკვიატება და ენერგეტიკული დაქვეითება.
6. კონტაქტის შიში და ურთიერთობის პრობლემები.

ფსიქოლოგიური და სექსოლოგიური სამსახური SGS

თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №5 (ყოფილი „ლეჩკომბინატი"), მე-2 სართ. კაბ. 21-22-23-24. ტელ: 29-34-39. მიღება 10-19 სთ-მდე

ალკოჰოლისადმი დამოკიდებულება და დეპრესია

დღეს უამრავი ადამიანი საკმაოდ ხშირად მოიხმარს ალკოჰოლს, მათგან მხოლოდ გარკვეულ ნაწილს უყალიბდება ალკოჰოლური დამოკიდებულება. მაშ, რა განაპირობებს ამ დაავადების განვითარებას?

თანამედროვე გაგებით, ლოთობა, ისევე როგორც მრავალი სხვა დაავადება, შეიძლება გამოწვეული იყოს მემკვიდრეობითი და სხვა, გარეშე ფაქტორების ზეგავლენით. ამასთან, ზოგიერთი ინდივიდისთვის წამყვანია თანდაყოლილი მიდრეკილება, ზოგიერთისთვის — აღზრდა-განვითარებით ჩამოყალიბებული პი როვნული თავისებურებები ან გარემოს უარყოფითი გავლენაა.

მრავალრიცხოვანმა კვლევამ აჩვენა, რომ ალკოჰოლიზმით დაავადებულ პირთა შვილები, ჯანმრთელ ადამიანთა შვილებთან შედარებით, 3-4-ჯერ უფრო ხშირად ავადდებიან ალკოჰოლიზმით.

თუკი ადამიანი სისტემატურად სვამს, მის ხასიათში ყოველთვის შეინიშნება ცვლილება, რაც ოპტიმიზმის თანდათანობით შემცირებით, დადებითი ემოციების სიმწირით გამოიხატება. ზოგჯერ, დროთა განმავლობაში, ადამიანი იმდენად იცვლება, რომ ახლობლები სინანულით აღნიშნავენ მისი პიროვნების გამოუცნობ თვისებას.

მისი ახალი თვისებებია — სიცრუე, უპასუხისმგებლობა, სრულიად გაუცხოება ოჯახის წევრების მიმართ, რომელთანაც ადრე ძალიან იყო მიჯაჭვული. მცირდება შრომისუნარიანობა, ქრება კარგი გუნება-განწყობა, ნებისმიერი უმნიშვნელო მოვლენა ზოგჯერ წონასწორობიდან გამოყვანის მიზეზი ხდება. ის აგრესიულია და გაბოროტებული, ან დათრგუნვილი და უღონო.

ქრონიკული ალკოჰოლური მოწამვლა მეხსიერებისა და ყურადღების შემცირებასაც განაპირობებს. სამსახურში ადვილად იღლება, საქმეს ვერ ამთავრებს...

მართალია, სანამ მისი პიროვნული დეგრადაცია საბოლოოდ არ მომხდარა, აცნობიერებს, რომ ხელი მოეცარა, მაგრამ ლოთს ნებისყოფის დაძაბვა და სისტემატური, გეგმაზომიერი მუშაობა აღარ შეუძლია.

ის არ აღიარებს, რომ ყველაფერში დამნაშავე სასმელია, პირიქით, უსიამოვნებების დროს, კვლავაც მისკენ მიილტვის. ნაბახუსევსაც სასმლისკენ მიუწევს გული.

ალკოჰოლზე დამოკიდებული ადამიანის ქმედება სრულიად გაუთვალისწინებელია. არავინ იცის, მისი შემდეგი ნაბიჯი. ამ პერიოდში აღინიშნება სუიციდისკენ (თვითმკვლელობა) მიდრეკილება. რაც შესაძლებელია სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდეს ახლობლებისთვის.

მსმელ ადამიანს თითქმის მუდმივად აღენიშნება სისუსტე, ოფლიანობა, ხელების კანკალი,

უსიამოვნო სიმძიმის შეგრძნება გულის არეში, მადის შემცირება. ასეთი ადამიანები თავს ძლიერ ავადმყოფებად თვლიან, მათ უყვართ ყველას დასანახად წამლების მიღება, ითხოვენ გაძლიერებულ ყურადღებას. ალკოჰოლისადმი მიდრეკილებას და დალევის სურვილს ამ ტანჯვა-წამებისაგან განთავისუფლების საშუალებად ნათლავენ. მათი მუდმივი წუწუნი ახლობლებს გულს უკლავს და ნაცვლად იმისა, აიძულონ არ დალიოს, ზოგჯერ უბიძგებენ კიდევაც მისკენ.

უნდა ითქვას, რომ ალკოჰოლური დეპრესია შესაძლოა განვითარდეს ზომიერი სმის ფონზეც, თუკი მას სისტემატური ხასიათი აქვს. ალკოჰოლის მუდმივი გამოყენება ასუსტებს ნერვულ სისტემას და ქმნის საფუძველს ნერვულ-ფსიქიკური დარღვევებისთვის.

უფრო ხშირად დეპრესია ნაბახუსევზე იწყება. მისთვის დამახასიათებელია გულის უკმარისობის უეცარი განვითარება, ღვიძლის ფუნქციის მოშლა, სისხლის მიმოქცევის მოშლა. ფსიქიკური ცვლილებებია: სისუსტე, უღონობა, განურჩევლობა ახლობლების მიმართ.

ალკოჰოლური დეპრესია შესაძლოა უჩვეულოდ ბევრ ლაპარაკშიც გამოიხატოს, რაც ამაღლებული გუნება-განწყობილების შთაბეჭდილებას ახდენს.

თავისი აგრესიული ქცევით და უხეშობით მსმელი თანდათანობით სცილდება საზოგადოებას, ახლობლებს, ოჯახის წევრებს და ზუსტად კრიტიკულ მომენტში სრულიად მარტო რჩება.

ალკოჰოლური დეპრესიის საწყის ეტაპზე მკურნალობის ხანგრძლივობა რამდენიმე დღეა. მაგრამ თუკი ადამიანი განაახლებს სმას, არ არსებობს არანაირი გარანტია, რომ ის კვლავ არ აღმოჩნდება ასეთ მდგომარეობაში...

ალკოჰოლური ფსიქოზი: ყველაზე გავრცელებული ფორმაა დელირიუმი. მას ახასიათებს ცნობიერების დაბინდვა, მხედველობითი, სმენითი, შეხებითი ჰალუცინაციები, ილუზიები, ბოდვა, აფექტი, აგზნება, ორიენტაციის დარღვევა.

მისი სიხშირე ასაკთან ერთად მატულობს, განვითარების ვადები კი ალკოჰოლიზმის ჩამოყალიბებიდან 1-2-იდან 20 წლამდე ფარგლებში მერყეობს. ვითარდება თეთრი ცხელება.

დელირიუმი ახალგაზრდებში უფრო ხანმოკლეა, ვიდრე შუახნის ან ხანდაზმულ ადამიანებში. თითქმის ყველა შემთხვევაში იგი მიმდინარეობს უწყვეტად. როგორც წესი, გამოჯანმრთელება იწყება ღრმა, ხანგრძლივი ძილის შემდეგ.

დელირიუმის დროს სიკვდილის მიზეზია პნევმონია (ფილტვების ანთება) ან გულ-სისხლძარღვთა სისტემის მწვავე უკმარისობა, ზოგჯერ კი, ტვინის შეშუპება.

ალკოჰოლური დელირიუმი მოითხოვს გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას სტაციონარულ პირობებში.

მაია მუხიგული

რატომ გვახველებს გაცივებისას?

ზედა სასუნთქი გზების ანთებას, როგორც წესი, თან სდევს ხველება და ეს იმდენად უსიამოვნოა, რომ ვცდილობთ, სასწრაფოდ, ნებისმიერი საშუალებით მოვიშოროთ თავიდან ეს „სატანჯველი".

მაგრამ სწორად ვიქცევით კი?

ხველა ორგანიზმის დამცველი რეაქციაა, რომლის დახმარებითაც ბრონქებიდან გამოიდევნება იქ დაგროვილი სეკრეტი. გაგახსენებთ, რომ ტრაქეისა და ბრონქების შიდაგარსი დაფარულია ეპითელიუმით, რომელიც შედგება სხვადასხვა სახის უჯრედებისგან. ერთნი გამოყოფენ ლორწოს, რომელიც იცავს ეპითელიუმს გამოშრობისა და გარეგანი აგრესიული ფაქტორებისგან, მეორენი — დაფარულია წამწამებით, რომელიც ხელს უშლის მიკროორგანიზმების ეპითელიუმში მოხვედრას და გამოდევნის მათ ბრონქებიდან. ამ მექანიზმების წყალობით იწმინდება სასუნთქი გზები. დღე-ღამეში ბრონქები გამოყოფს თითქმის 1ჭიქა ლორწოს, რომელიც წამწამებისა და ბრონქიალური ღრუ ორგანოთა კედლების ტალღისებური რიტმული შეკუმშვა-გაფართოების მეშვეობით მაღლა ამოდის. ჯანმრთელი ადამიანისთვის ეს პროცესი რჩება შეუმჩნეველი, მაგრამ, როგორც კი ავად გახდება, სურათი მკვეთრად იცვლება. ბრონქებში ანთებითი პროცესი მიმდინარეობს ლორწოს წარმოქმნითა და სანათურში დაგროვებით. სწორედ აქ მოდის დასახმარებლად ხველება, რომელიც დიდი სისწრაფით გამოდევნის დაგროვილ სეკრეტს. აქედან გამომდინარე, ვთრგუნავთ რა ხველების რეფლექსს, ვამუხრუჭებთ გამოჯანმრთელებას, ეს იმ დროს, როდესაც შეგვიძლია დავეხმაროთ ბრონქებს. ბრონქებში ლორწოს დაგროვებაზე მოქმედებს ჰიპოდინამია. ამიტომ, ხველების დროს ეცადეთ, არ იწვეთ. განსაკუთრებით ბევრი ლორწო გროვდება ძილის დროს, დილით, გაღვიძებისას აუცილებლად ამოახველეთ (ამ დროს წინ უნდა დაიხაროთ. მსუბუქი დარტყმებით გაიკეთოთ გულმკერდის მასაჟი). ნახველის გასათხელებლად აუცილებელია მიიღოთ ნებისმიერი სითხე (დღე-ღამეში არანაკლებ 2ლ), ამოსახველებელი

ბალახების ნაყენები. ამ თვისებებით ხასიათდება: ბეგქონდარა, მრავალძარღვა, სამფერა ია, ყანის ია, ვირისტერფა, მზიურა (კულმუხო) და ევკალიპტის ფოთლები. ცნობილი საშუალებებია ნიშადურისა და ანისულის წვეთები, პექტუსინი, მუკალტინი და სხვ. გირჩევთ, ხველების დროს ნუ გაგიტაცებთ ინჰალაცია. ის შეიძლება ჩაიტაროთ დაავადების პირველ დღეს.

გარდიანი

უკონტაქტო ეპილაცია ალექსანდრიტის ლაზერით

ტუჩების, მკერდის, ყურების ფორმის კორექცია

კონტურული მაკიაჟი

თვალებზე, ტუჩებზე, წარბებზე

სახის კანის გაახალგაზრდავება,ნაოჭების გასწორება

ოქროს ძაფებით, ბოცოქსის ინექციებით

ალ. ყაზბეგის გამზ №1 25-02-02 93 89 75

პუტინია თანამემამულეთა ველიკოდერჟავული ამბიციების დამაოკებელი?!

გერმანიაში ვლადიმირ პუტინის ვიზიტის შემდეგ გერმანელებს ისეთი შთაბეჭდილება შეექმნათ, რომ რუსეთი არ იჩემებს თავის გავლენას იქ, სადაც იგი არ არსებობს. არც ახლო აღმოსავლეთში არავის ახვევს თავს „თავის შუაკაცობას“. ნატოს გაფართოებას აღმოსავლეთის მიმართულებით რუსეთი აშკარად შეეგუა, რადგან მიხვდა, რომ ამ პროცესზე გავლენის მოხდენა არ შეეძლო. ერაყზე ანტიტერორისტული შეტევის განხორციელებაში აშშ-ისთვის კვერი არ დაუკრავს, მაგრამ ცხადია, რომ თუ ამერიკა ერაყს შეუტევს, მოსკოვი ხმას არ ამოიღებს.

ბრეჟნევისა და ნაწილობრივ, გორბაჩოვისაგან განსხვავებით, პუტინი უცხოელთა კრიტიკას არ მიიჩნევს რუსეთის შინაურ საქმეებში ჩარევად და ზოგჯერ ყურადაც იღებს. ამას ორი მიზეზი აქვს. ერთი ის, რომ რუსეთი არ არის ისეთი ძლიერი, როგორიც საბჭოთა კავშირი იყო და მეორე — პუტინს მაგარი ნერვები აქვს. კრიტიკის მოსმენა სულაც არ უშლის ხელს იმის გაკეთებაში, რაც მას სურს. ეს ცხადი გახდა, როცა საუბარი ჩეჩნეთსა და სიტყვის თავისუფლებას შეეხო. პუტინს ამ საკითხთან დაკავშირებით გერმანიაში არაფერი უთქვამს, რადგან კარგად ესმის, რომ დღეს ევროპაში, კერძოდ, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ამის გამო განგაშს არავინ ატეხს.

მოსკოვის საგარეო პოლიტიკური ამბიციების შესუსტების ფონზე გერმანიის პრესას აოცებს პუტინის რეიტინგი რუსეთში (72%), სადაც ველიკოდერჟავული თემა ახლაც ზენიტშია. პუტინის ამ ფენომენს გერმანული პრესა ვერ ხსნის. სხვათა შორის, მისი ახსნა „ნოვიე იზვესტიამაც“ სცადა. გაზეთის აზრით, რუსებს გულის სიღრმეში აღარ აწუხებთ ველიკოდერჟავული ამბიციები, მაგრამ ელოდნენ, რომ ვიღაც მკაცრი ტონით ეტყოდა, — გეყოფათ, მოეშვით ამ ველიკოდერჟავულ ამბიციებსო... ასე არ მოხდა...

ჩანს, საჭიროა გამოჩნდეს ფენომენ-გამომფხიზლებელი...

ნოვიე იზვესტია №71

დაუჭერენ კი მხარს მუშარაფს?

პაკისტანის პრეზიდენტმა, პერვეზ მუშარაფმა მას შემდეგ, რაც ანტიტერორისტულ კამპანიაში აქტიურად ჩაება, უამრავი მეგობარი შეიძინა დასავლეთში, მაგრამ საკუთარ სამშობლოში დიდი პრობლემის წინაშე დგას. მუშარაფი და მისი სამხედრო დაჯგუფება ორწელიწად-ნახევარია, რაც პაკისტანს მართავენ და დღემდე ვერ მოაგვარეს ის საკითხები, რაც ადრეც აწუხებდა ქვეყანას. საქმე ძალაუფლების ლეგიტიმიზაციას ეხება, რაც საყოველთაო ფარული არჩევნებით უნდა მოხდეს. თუმცა დღევანდელ პაკისტანში ის შესაძლოა „მუშარაფისა და მისი რაზმის“ სრული კრახით დამთავრდეს. პირველ რიგში, ამის მთავარი მიზეზი ის იქნება, რომ არც ერთ გავლენიან პარტიას არ სურს თავის სიებში ჩაწეროს მუშარაფი. პაკისტანში კი მხოლოდ პროპორციული, პარტიული სიებით ტარდება არჩევნები. მართალია, არის რამდენიმე მცირერიცხოვანი, მემარჯვენე პარტია, რომლებიც დიდი ხანია მუშარაფს თავის სამსახურს სთავაზობენ, მაგრამ მათი გავლენა მოსახლეობაზე იმდენად მცირეა, რომ არათუ გამარჯვების, არამედ საარჩევნო ბარიერის (ის კი პაკისტანში 55%-იანია) გადალახვის საშუალებას არ იძლევა.

საინტერესოა ისიც, რომ ის საქმიანობა, რომელმაც პრეზიდენტი მუშარაფი დასავლეთისთვის მისაღებ ლიდერად აქცია, (კერძოდ კი მუსლიმან ექსტრემისტებთან ბრძოლა), პრეზიდენტის სამშობლოში მისი რეიტინგის დაცემის მთავარ პირობად იქცა. სულ უფრო მეტი პაკისტანელი უწოდებს მას „ამერიკის ნების უსიტყვო შემსრულებელსა“ და „პაკისტანელთა ჯალათს“. ამიტომ არჩევნები

ის ჩატარება მუშარაფისთვის შესაძლოა ძალაუფლების დაკარგვის ტოლფასი გახდეს. თავისი ძალაუფლების ლეგიტიმიზაციისათვის პერვეზ მუშარაფის გუნდმა კანონიერი და ამასთანავე, ორიგინალური გადაწყვეტილება მიიღო. მაისის დასაწყისში დაიგეგმა რეფერენდუმის ჩატარება, რომელზეც მხოლოდ ერთი კითხვა იქნება — „გსურთ თუ არა, რომ მომავალ ხუთ წელიწადს პერვეზ მუშარაფი იყოს ქვეყნის პრეზიდენტი?“ ასეთი რეფერენდუმი, ექსპერტთა შეფასებით, მუშარაფის ხელისუფლებას 5-წლიან ლეგიტიმიზაციას გაუნაღდებს.

ნიუზუიქი

ბუშმა შეცდომით ალიარა ტაივანის დამოუკიდებლობა

ამერიკის შეერთებულ შტატებში უკვე შეეჩვივნენ, რომ პრეზიდენტი ყოველთვის იმას არ ამბობს, რისი თქმაც სურს. ბოროტი ენები ამბობენ, პრეზიდენტის გარემოცვა ყოველთვის მზად არის, ხალხისათვის იმის ასახსნელად, რას გულისხმობდა ბუშიო.

იაპონიაში ვიზიტის დროს ბუშმა ადგილობრივი ეკონომიკა კინაღამ კრიზისში ჩააგდო. პრესკონფერენციაზე განაცხადა, — პრემიერ-მინისტრ კოიძუმისთან ერთად განვიხილეთ იენის დევალვაციის პერსპექტივებიო. ბირჟაზე პანიკა დაიწყო — ეროვნული ვალუტის კურსი დაეცა. მოგვიანებით ბროკერებმა იეჭვეს, რომ საუბარი იყო დეფლაციაზე, რომელიც იაპონელებისათვის სიახლე არ გახლავთ.

ამჯერად ბუშმა უნებურად საერთაშორისო სკანდალი გამოიწვია. ვაშინგტონში, დიპლომატებისა და ბიზნესმენების წინაშე გამოსულმა პრეზიდენტმა ტაივანს რამდენჯერმე რესპუბლიკა უწოდა. ამგვარი ფორმულირება ძირფესვიანად ეწინააღმდეგება ამერიკის ოფიციალურ პოზიციას, რომლის თანახმად, ტაივანი დამოუკიდებელი სახელმწიფო კი არ არის, არამედ ჩინეთის ნაწილი. პეკინმა ახსნა-განმარტება მოითხოვა და დაუყოვნებლივ მიიღო კიდეც. სახელმწიფო დეპარტამენტმა განაცხადა, — ამერიკის შეერთებული შტატების აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით უცვლელია, „ამბოხებული კუნძული“ ვაშინგტონის თვალში კვლავაც ჩინეთის პროვინციად რჩებაო.

იზვესტია №68

ამინისტიას არ ექვემდებარება

„არაფატმა შექმნა ტერორისტული რეჟიმი. მკვლელების ბანდას, რომელიც ცდილობს გაგვყაროს ამ მიწიდან, სწორედ ის უდგას სათავეში და პალესტინელთა ლიდერი ამიტომ არანაირად არ ექვემდებარება ამნისტიას. ჩვენ „ტერიტორიიდან“ მაშინ გავალთ, როცა დავანგრევთ ტერორის ინფრასტრუქტურას“, — განაცხადა არიელ შარონმა.

შარონის სასტიკმა პოზიციამ შედეგი გამოიღო — მმართველ კოალიციას ორი პარტია შეუერთდა. ახლა შარონის მთავრობა 90 ხმას ფლობს 120-ადგილიან ქნესეთში. სამხედრო ოპერაციამდე შარონის რეიტინგი ეცემოდა, ახლა კი მნიშვნელოვნად ამაღლდა. „ჩვენ იზოლაციაში მოვექეცით, მაგრამ მსოფლიო საზოგადოებრიობისთვის მთავარია, ისრაელმა სასწრაფოდ დაამთავროს ოპერაცია. თუმცა ეს ადვილი არ არის, რადგან პალესტინელებს ჰუმანური საშუალებებით ვეომებით“, — განაცხადა ისრაელის ვიცე-პრემიერის ნათან შჩარანსკის პრესმდივანმა.

თელ-ავივი ქვეყნის გარეთ დიდ პოლიტიკურ ზეწოლას განიცდის. აშშ-ისა და რუსეთის მოწოდებას, დაუყოვნებლივ შეწყდეს სამხედრო ოპერაცია იორდანეს დასავლეთ სანაპიროზეო, შეუერთდნენ ევროკავშირი და გაეროს გენერალური მდივანი კოფი ანანი. ერაყმა განაცხადა, რომ გაყინავს ნავთობის ექსპორტს ისრაელის მოქმედებების მიმართ პროტესტის ნიშნად.

P.S. იერუსალიმში ახალი ტერაქტი მოხდა. ცენტრალურ ბაზართან, ავტობუსის გაჩერებაზე, პალესტინელმა ქალმა ააფეთქა ასაფეთქებელი მოწყობილობა. დაიღუპა 6 ადამიანი, დაჭრილია 50-ზე მეტი.

ტერაქტი დაემთხვა ისრაელში აშშ-ის სახელმწიფო მდივნის კოლინ პაუელის ვიზიტს.

ინტერფაქსი

ავღანეთის მომავალი საფრთხეშია

საერთაშორისო სამართალდამცავი ორგანიზაცია Human Rights Watch-ის წევრები აცხადებენ, რომ თუ ავღანეთის ხელისუფლება ან მსოფლიოს საზოგადოებრიობა სასწრაფო ზომებს არ მიიღებს, ქვეყნის პოლიტიკური მოწყობა საფრთხეში აღმოჩნდება. ტაჯიკებსა და უზბეკებს

მძევლებად მიჰყავთ პუშტუნები და მხოლოდ დიდი გამოსასყიდის ფასად ათავისუფლებენ, უმეტესწილად კი, კლავენ. ეს ყველაფერი ძირითადად ჩრდილოეთ ავღანეთში ხდება, სადაც პუშტუნები ეროვნულ უმცირესობას წარმოადგენენ და ხელისუფლებაში ყოფნისას ასევე არ ინდობდნენ ტაჯიკებსა და უზბეკებს. თალიბ პუშტუნებს მიაჩნდათ, რომ ისინი უფრო ახლოს იყვნენ ალაჰთან, დანარჩენი მუსლიმები კი მეორეხარისხოვანი ადამიანები იყვნენ.

ავღანეთში, საუკუნეების განმავლობაში, დავობდნენ იმაზე, ვინ არის „ჭეშმარიტი ავღანელი“. პუშტუნები ქვეყანაში რიცხობრივად ჭარბობენ, ავღანეთის ყველა ლიდერი ბოლო საუკუნეების განმავლობაში პუშტუნები იყვნენ. დღეს აღარ არსებობს თალიბთა რეგულარული არმია, მოძრაობის ლიდერთაგან ზოგი გაიქცა, ზოგიც მოკლეს ან დააპატიმრეს. ამერიკელ კომანდოსებთან ერთად თავს გამარჯვებულად არცთუ უსაფუძვლოდ მიიჩნევენ ჩრდილოეთ ალიანსის მებრძოლები — ტაჯიკები, უზბეკები, ხაზარები. თალიბთა რეჟიმის დამხობა იმდენად მოულოდნელი იყო, რომ „ჩრდილოელებმა“ თითქმის არ იციან, როგორ მოიხმარონ ეს გამარჯვება. თალიბმა პუშტუნებმა 5 წლის განმავლობაში იმდენი დანაშაული ჩაიდინეს, რომ ადრინდელი მტრებისაგან შენდობის იმედი ნაკლებად უნდა ჰქონდეთ.

ცენტრალური ხელისუფლება, პუშტუნ ჰამიდ ყარზაის მეთაურობით, ჯერ ძალიან სუსტია და ვერ ახერხებს ქვეყნის მთელი ტერიტორიის ხელში მოქცევას, პროვინციებს საველე მეთაურები მართავენ, ჩრდილოეთში ტაჯიკები და უზბეკები მბრძანებლობენ, ცენტრში — ხაზარები, სამხრეთსა და აღმოსავლეთში — პუშტუნები...

ასე რომ, ავღანეთის ერთობა ძალიან საეჭვოა.

ნოვაია გაზეტა №12

ირა-ს განიარაღებამ შეიძლება აზრი დაკარგოს

ჩრდილოეთ ირლანდიაში არ ცხრება კონფლიქტი კათოლიკეებსა და პროტესტანტებს შორის. ბელფასტის სხვადასხვა რაიონში ყოველ ღამე ხდება შეტაკებები, რომელთა სცენარი წლიდან წლამდე არ იცვლება. შექეიფიანებუღი ახალგაზრდები (პროტესტანტები ან კათოლიკეები) მეზობელ კვარტალში მიდიან მოწინააღმდეგეთა დასარბევად. პოლიციელები რეზინის ხელკეტებით და ჰაერში სროლით ძლივს შლიან მეამბოხეებს. მეორე დღეს კი შეხლა-შემოხლა თავიდან იწყება. ამჯერადაც ასე მოხდა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ პოლიციამ კონფლიქტის ესკალაციაში დაადანაშაულა პროტესტანტები, კერძოდ, ოლსტერის დაცვის რადიკალურად განწყობილი ასოციაცია — ირა-ს მთავარი მოწინააღმდეგე. ბელფასტის მთავარი კონსტებლის მოადგილემ ალან მაკუილანმა განაცხადა, — ასეთი გააფთრებული შეტაკება კარგა ხანია აღარ ყოფილაო. სამართალდამცავ ორგანოებს ხალხის დაშოშმინებაში ჯარის ნაწილები დაეხმარნენ. შეტაკებისას 13 პოლიციელი დაიჭრა.

საინტერესოა, რომ ბოლო დროს, მოვლენების მასშტაბურობის მიუხედავად, ისეთ დიდ ორგანიზაციებს, როგორიცაა ოლსტერის თავდაცვის ასოციაცია და ირლანდიის რესპუბლიკური არმია, ოფიციალურად არანაირი რეაგირება არ მოუხდენია. ირა-მ, როგორც ჩანს, მტკიცედ გადაწყვიტა განიარაღება, ამიტომაც არ სურს ურთიერთობის გამწვავება არც ხელისუფლებასთან და არც პროტესტანტებთან. ოლსტერის თავდაცვის ასოციაცია კი პარტიზანული ომის დაწყებას ფიქრობს. ამან ჩრდილოეთ ირლანდიის კონფლიქტის მოწესრიგების ყველა მცდელობა შეიძლება წყალში ჩაყაროს და ირა-ს განიარაღებაც ამაო გახდეს.

კომსომოლსკაია პრავდა №65

მძლავინისტრი პასუხს აგებს



არგენტინაში დააპატიმრეს დომინგო კაველო, ადამიანი, რომელსაც სულ რაღაც ერთი წლის წინ „ეკონომიკური სასწაულის მამას“ უწოდებდნენ. ფორმალურად, ფინანსთა ყოფილ მინისტრს ბრალი ედება 1991-1995 წლებში იარაღის კონტრაბანდაში. მაშინ არგენტინამ ეკვადორსა და ხორვატიას ნახევრად ლეგალური გზებით 100 მლნ დოლარის იარაღი მიჰყიდა. მაგრამ ამ საიდუმლო საბუთებზე ხელი მაშინდელ პრეზიდენტს კარლოს მენემსა და თავდაცვის მინისტრ ერმან გონსალესს აქვთ მოწერილი. კაველომ მხოლოდ ვიზა დაადო მათ ბრძანებულებას საბაჟოს გასავლელად. შარშან ამ საკითხთან დაკავშირებით მენემს 5-თვიანი შინაპატიმრობა მიუსაჯეს, კაველო კი მხოლოდ დაჰკითხეს.

ახლა მას პასუხის გაცემა მოუწევს ყველაფერზე, უპირველეს ყოვლისა, იმ ეკონომიკურ კრიზისზე, რომელშიც აღმოჩნდა არგენტინა. ყოფილი მინისტრის დასაპატიმრებლად მარჯვე დრო შეირჩა: არგენტინელთა მთავარ საკვებ პროდუქტზე — ხორცზე — ფასი გაორმაგდა, ეროვნული ვალუტა — პესო, დოლართან მიმართებით სამჯერ გაუფასურდა, უმუშევართა რიცხვმა 20%-ს გადააჭარბა. ამ დღეებში არგენტინელები კვლავ ლეწავდნენ სუპერმარკეტებს, საერთაშორისო სავალუტო ფონდი მაინცდამაინც არ ჩქარობს არგენტინისათვის 20 მლრდ დოლარის კრედიტის მიცემას. თუ ეკონომიკური მდგომარეობა შემდგომშიც ასე დრამატულად განვითარდა (საგარეო ვალი 140 მლრდ დოლარია), მაშინ ქვეყანას კაველოს გარდა, სხვა განტევების ვაცების ძებნაც მოუწევს.

იტოგი №14

სუსტი რგოლის ძლიერება

უკრაინის ახალარჩეული პარლამენტის დღის წესრიგის ერთ-ერთ უპირველეს პუნქტად შეიძლება იქცეს პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნა. ეს მოთხოვნა უკვე წამოაყენა ქვეყნის კომპარტიის ლიდერმა პ. სიმონენკომ. კუჩმას მიმართ კომუნისტებს ბევრი პრეტენზია აქვთ. მას კარგა ხანია ადანაშაულებენ რეფორმების ანტიხალხურ კურსში, ახლა ამას დაერთო საპარლამენტო არჩევნების გაყალბებაც. კომპარტიის ლიდერის თქმით, საპრეზიდენტო ბლოკი „ერთიანი უკრაინისთვის“ რადაში „ბანდიტური გზით“ მოხვდა. კუჩმას მოწინააღმდეგეებთან ბრძოლის დიდი გამოცდილება აქვს. ასე რომ, მის წინააღმდეგ აზვირთებული მორიგი ტალღა ისევე დაცხრება, როგორც წინა.

საარჩევნო კამპანიის დროს მთავრობას აკრიტიკებდა ყველა, ვისაც არ ეზარებოდა, მაგრამ ერთია პოლემიკური ბრძოლა, მეორე — რეალური პოლიტიკა. ნაციონალისტურად განწყობილ დასავლეთსა და რუსეთისაკენ თვალმიპყრობილ აღმოსავლეთ უკრაინას შორის გამწვავებულ ურთიერთობას კუჩმა მეტ-ნაკლებად აშოშმინებს, ასე რომ, იგი უკრაინის საზოგადოების სუსტი, მაგრამ აუცილებელი დამაკავშირებელი რგოლია.

კუჩმას გადადგომას მორიგეობით ითხოვენ ხან მემარცხენეები და ხან — მემარჯვენეები, ეს უკვე თავისებურ ტრადიციადაც კი იქცა, მაგრამ პოლიტიკური სპექტრი არასდროს ერთიანდება თითქოსდა საერთო მტრის წინააღმდეგ. ჟურნალისტ გ. ღონღაძის დაღუპვასთან დაკავშირებულ „საკასეტო“ სკანდალში კომუნისტებმა ფაქტობრივად მხარი დაუჭირეს პრეზიდენტს, ახლა იმგვარივე სამსახური ლეონიდ კუჩმას მემარჯვენეებმა უნდა გაუწიონ. ხელს არავის აძლევს ისედაც მყიფე პოლიტიკური სისტემის დამსხვრევა მაშინ, როცა საპრეზიდენტო არჩევნებამდე ორ წელიწადზე ცოტა მეტია დარჩენილი.

მოსკოვსკი კომსომოლეცი №64

სამხედრო გადატრიალება ვენესუელაში

უგო ჩავესის მთავრობა დამხობილია, ქვეყანას აკონტროლებს არმია, დაახლოებით 15 ტანკი პრეზიდენტის სასახლესთან დგას. სამხედროებმა პრეზიდენტ ჩავესს მოუწოდეს, მოიხსნას უფლებამოსილება და გადადგეს. სამხედრო-საზღვაო ფლოტის სარდალმა ექტორ რამირეს პერესმა განაცხადა, რომ სამხედროების ჯგუფი თავად უხელმძღვანელებს არმიას, რადგან ჩავესმა დაარღვია დემოკრატიის ნორმები. პრეზიდენტს ეკისრება პასუხისმგებლობა საპროტესტო აქციის ჩახშობის დროს დაღვრილი სისხლისთვის. პოლიციასთან შეტაკების დროს 10 ადამიანი დაიღუპა, 80 — დაიჭრა. მანიფესტაცია თავიდან მშვიდობიანი ხასიათისა იყო. 3-დღიანი ამბოხის კულმინაციად იქცა მიტინგი, რომელშიც ნახევარ მილიონზე მეტი ადამიანი მონაწილეობდა. ვენესუელის დედაქალაქ კარაკასიდან მიღებული ინფორმაციით, გადატრიალების სათავეში 40 სამხედრო პირი დგას, მათ შორის 10 გენერალი და ადმირალი. „ამიერიდან ჩვენ აღარ ვენდობით ჩავესს, რომელიც ლახავს ადამიანის უფლებებს“, — განაცხადა სარდალმა ექტორ რამირეს პერესმა. როცა დედაქალაქში არეულობა დაიწყო, უგო ჩავესმა ერს ტელევიზიით მიმართა — მრავალრიცხოვანი მოთხოვნის მიუხედავად არ გადავდგებიო. მისი გამოსვლის დამთავრებისთანავე ჩავესის ბრძანებით დაიხურა ყველა რადიო და ტელეარხი. ამჟამად არავინ იცის, სად იმყოფება უგო ჩავესი.

ევრონიუსი

ვცადოთ, ეს ჩვენ შეგვიძლია

ბევრი, დღეს საქვეყნოდ აღიარებული ცნობილი მილიონერი თავის პირველ ნაბიჯებს ისეთი მცირე და უმნიშვნელო საქმით იწყებდა, ბიზნესსაც რომ ძნელად უწოდებს კაცი.

მათ კი ასეთი ფინალისთვის იქნებ არც დაუწყიათ საქმე — ყოველდღიურობას აუწყვეს ფეხი. სხვათა შორის, ალბათ არც ჩვენსავით უწუწუნიათ და მთავრობის ლანძღვაში გართულთ გულ-ხელი არ დაუკრეფავთ.

ჩვენც ჩვენი ყოველდღიურობა დაგვდევს თან, რომელიც ითხოვს — გაანძრიე ტვინი და ხელი... იაზროვნეთ, იქნებ ვცადოთ...

დილის ბაზარში ვოგრძანდით...

თბილისში ბინების მშენებლობის ფონზე ალბათ შესწრებიხართ სახლის დანგრევას, როცა გაშიშვლებული კედლები, აქა-იქ შპალერზე შემორჩენილი სურათების ადრეული ანაბეჭდები თუ ბავშვთა ფანტაზიით შექმნილი გულუბრყვილო ნახატები ბინადართა ყოფასა და გემოვნებაზე მიგვანიშნებენ. ბევრჯერ შევუყურივარ კაეშანს ამ სცენის ცქერის დროს.

სწორედ ასეთი ძველი სახლის დანგრევისას გავიცანი კაცი, რომელიც დანანებით იგონებდა ამ სახლში გატარებულ წლებს... მიამბო, რომ ამ სახლში განიცადა მშობლების დაკარგვის ტკივილი, ოჯახის შექმნის სიხარული, ამ სახლში გაზარდა შვილები... მერე დრო გავიდა... ბიჭი აფხაზეთში დაიღუპა, ქალიშვილი უცხოეთში გათხოვდა და დარჩა მარტო ბიჭის მოყვანილი ძაღლი... ახლა ხშირად აგონდება, როგორ დატუქსა შვილი ლეკვის მოყვანისთვის, მან კი გადმოიღო წიგნი და სიცილ-სიცილით წაუკითხა, რას წერდა იაკობ გოგებაშვილი ძაღლზე.

— შვილის სიკვდილის შემდეგ ბევრჯერ გადავიკითხე ეს წიგნი. ზეპირად მახსოვს სიტყვები: „არც ერთ შინაურ პირუტყვს არ უყვარს ადამიანი ისე, როგორც ძაღლს... ბევრ ძაღლს თავისი პატრონი ისე ჰყვარებია, რომ მის საფლავზე თავი მოუკლავს...“ ამ სიტყვებმა და ჩემმა შვილმა განსაზღვრეს ჩემი დარჩენილი ცხოვრების მიმართულება... თუ გნებავთ იცოდეთ რას ვაკეთებ, ყოველ კვირას დიღმის ბაზარზე მობრძანდითო — მითხრა. თქვა ეს და თვალებზე ცრემლი მოადგა — მივხვდი, რომ ჩემდა უნებურად, მისი სულის ყველაზე ფაქიზ ადგილს შევეხე.

კვირას დიღმის ბაზარში შევხვდი. ხელში ორი ლეკვი ეჭირა. პირველად მყიდველი ვეგონე. ვერ მიცნო. მერე თავიც გავახსენე და საუბარიც დავიწყეთ. — ლეკვები ჩემი შვილის მოყვანილი ძაღლის შვილიშვილები არიანო, მითხრა... ამათი დედა წელიწადში ორჯერ აჩენს 7-8 ლეკვს... გაზაფხულსა და შემოდგომაზე — პირველად ღამეებსაც კი ვუთევ, თვენახევრისა უკვე გასაყიდად გამომყავსო...

შემოდგომაზე გაჩენილი ლეკვები შედარებით იაფად იყიდებიან — დედაღი 200 ლარი ღირს, მამალი — 400, გაზახულზე კი პირიქით — დედაღი 400 ლარი ღირს, მამალი — 600-700... ამ თანხიდან დედა ძაღლის კვებასა და მოვლას მხოლოდ ასი ლარი სჭირდება... დანარჩენით კი ეს წუთისოფელი გამაქვსო. რომ დავემშვიდობე, ისევ ცრემლი მოადგა თვალებზე. მითხრა: ცხოვრებაში მეგობარი აღარ დამრჩა, ახლა ამ ლეკვების დედაა ჩემი მარჩენალიც და მეგობარიცო... ამ ვაჭრობაში ყოველი თეთრის აღებისას მგონია, ჩემი შვილის მოტანილ ფულს ვხარჯავ, ის მპატრონობსო...

ცრემლის დანახვაზე მეც გული მომეწურა... სიმართლე გითხრათ, ხშირად მახსენდება ეს ტრაგიკული კაცი, რომელსაც დიდი უბედურება ეწვია, მაგრამ უფალმა დაინდო და ნუგეში მისცა...

ნიკო გორგი

P.S. ბატონო მოაზროვნეებო, ვისაც საკუთარი მცირე ბიზნესისთვის მიგიგნიათ ან სხვათა წამოწყებას შესწრებიხართ, შეგვეხმიანეთ.

მკითხველს ბევრი რამ აინგერესებს...

გათხოვილი რძალი წილს ვერ მიიღებს...

— ჩემს ვაჟთან ერთად ვცხოვრობდი ოროთახიან ბინაში (რომელიც ჩემი საკუთრებაა). იგი დაქორწინდა და შეეძინა სამი შვილი. 1986 წელს ვაჟი გარდამეცვალა. რძალი 2 წლის შემდეგ გათხოვდა (თავისი მშობლები თან წაიღო). ჩემი შვილის სურვილი იყო ოროთახიანი ბინა დარჩენოდა მის ქალიშვილს, ხოლო სოფელში ჩვენი კუთვნილი ორსართულიანი სახლი თავისი შემოგარენით — მის ორ ვაჟს. მეც ჩემს საპატრონოდ ჩემს შვილიშვილს (გოგონას) გავუფორმე აღნიშნული ოროთახიანი ბინა ანდერძით ნოტარიუსში. გათხოვილი რძალი მედავება წილს ქალაქის ბინიდან — აქ ჩაწერილი ვარო. გთხოვთ მიპასუხოთ, აქვს თუ არა უფლება რძალს მომთხოვოს წილი ქალაქის ბინიდან?

ვ. ფურცხვანიძე, ქუთაისი

— თუ თქვენს შვილს ანდერძი არ დაუტოვებია, გარდაცვალების შემდეგ მის წილ ქონებაზე მაშინ მოქმედი ძველი კანონმდებლობის თანახმად მემკვიდრეებად ითვლებოდნენ შვილები, მეუღლე და მშობლები. ხოლო თუ ის სახლი, რომელზედაც გედავებათ დღეს ყოფილი რძალი, წარმოადგენს თქვენს საკუთრებას და პრივატიზებულია მხოლოდ თქვენს სახელზე, მის ჩაწერის ფაქტს არავითარი მნიშვნელობა არ აქვს და ის ვერ განაცხადებს პრეტენზიას თქვენს საკუთრებაზე. გარდა ამისა, თქვენი ყოფილი რძალი 14 წელია იმყოფება მეორე ქორწინებაში, რის გამოც მას შეუწყდა სამართლებრივი უფლება გარდაცვლილი მეუღლის ქონებაზე.

იურიდიული ფირმის დირექტორი მედეა დემეტრაშვილი

როდის გადავაგდოთ ძველი პასპორტი?

— ყოფილ სსრკ-ის პასპორტს აქვს თუ არა მოქმედების ვადა? თუ აქვს, როდემდე? აზრი აქვს თუ არა ახალი პირადობის მოწმობის აღებას, მალე შემოიღებენ ამ მოწმობის ახალ ფორმას?

მკითხველთა ჯგუფი

— სსრკ-ის პასპორტების მოქმედების ვადა განსაზღვრული იყო 2001 წლის დეკემბრამდე. საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 13 დეკემბრის ბრძანებულებით — შიდა, მიმოქცევის მიზნით ძველი პასპორტის ვადა გაგრძელდა 2003 წლის დეკემბრამდე. ხოლო რაც შეეხება პირადობის მოწმობის შეცვლას ახალი ფორმით, ეს უახლოეს მომავალში არ არის მოსალოდნელი.

არის თუ არა თბილისში მამაშვილობის დამდგენი ლაბორატორია?

— გთხოვთ გვიპასუხოთ, არის თუ არა თბილისში ისეთი ლაბორატორია, სადაც სისხლის ანალიზით დგინდება მამაშვილობა და რა ღირს აღნიშნული მომსახურება?

გ. ერისთავი, თბილისი

— საქართველოში მართლაც არსებობს მეთოდიკა და ტექნიკური საშუალება იმისა, რომ პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქციის გზით (დნმ) ლაბორატორიულად დადგინდეს მამაშვილობა. თუმცა, სამწუხაროდ, ი. ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი უარს აცხადებს ამ საქმიანობაზე. ინსტიტუტში თვლიან, რომ საზოგადოება სადღეისოდ მზად არ არის და ეჭვის თვალით უცქერს მეცნიერთა მიუკერძოებლობას ქვეყანაში არსებული საერთო კორუფციული ფონის გამო.

კვლევისათვის აუცილებელია სამივე ინდივიდის (დედის, მამის, ბავშვის) სისხლის შედარება და ამიტომაც ეს პროცესი დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული. თუმცა ყველაფრის მიუხედავად, საქართველოში და კერძოდ თბილისში არსებობს არაერთი სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია, რომლებიც ახორციელებენ მამაშვილობის დადგენას შესაბამისი ანალიზების უცხოეთში გადაგზავნის გზით.

ნავთობის დიდი თამაში ჯაშუშობის თანხლებით

მწერლებს ჯერ არ მოუცლიათ კასპიურ ნავთობზე ჯაშუშური თრილერების დასაწერად. „დიდი თამაში“, რომელიც კასპიის სიმდიდრეებზე კონტროლისთვის რამდენიმე წელიწადია მიმდინარეობს და თანდათან ახალ და სახიფათო ფაზაში შედის, — ალბათ რამდენიმე თვეში არამხოლოდ პოლიტიკოსთა და ეკონომისტთა განხილვის საგნად იქცევა.



კასპიის ნავთობით მე-19 საუკუნის ბოლოს დაინტერესდნენ და რეგიონში მალევე შეეჯახა ერთმანეთს რუსულ-ბრიტანული ინტერესები. მაშინდელი დიპლომატიური ინტრიგები დღესაც გრძელდება, ოღონდ უფრო თანამედროვე ტექნოლოგიებითა და ჯაშუშობით დაიტვირთა და ეს არც არის გასაკვირი. ბოლოდროინდელი შეფასებებით, კასპიის აუზი 70 მლრდ ბარელ ნავთობს შეიცავს. ასე რომ, იგი მსოფლიოში, შუა აღმოსავლეთის შემდეგ, ნავთობით ერთ-ერთ ყველაზე მდიდარ რეგიონად ითვლება. აქ დაწყებულმა „დიდმა თამაშმა“ უნდა გაარკვიოს, თუ ვის ეკუთვნის ეს ნავთობსაბადოები და ვისი კონტროლის ქვეშ არის გლობალური ბაზრებისკენ ნავთობის გადამტანი ნავთობსადენები. ამავე დროს, ნათლად გამოიკვეთა, რომელმა ქვეყნებმა და კომპანიებმა მოიგეს (ან მოიგებენ) კასპიის ნავთობით. ქვეყნებს შორის ყაზახეთი უპირობო ლიდერია, — მას ხომ კასპიის რეზერვების 75% უპყრია ხელთ. კომპანიებს შორის კი სამს გამოყოფენ — „ბრიტიშ პეტროლეუმს“, იტალიურ — „ნის“ და ამერიკულ „შევრონ-ტექსაკოს“. თუმცა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ „დიდი თამაშით“ ყველაზე მოგებული ამერიკის შეერთებული შტატები დარჩა. მან შეძლო აღეკვეთა რუსეთის მიერ კასპიის ნავთობის საკუთარი ნავთობსადენებით გატანა და, შესაბამისად, ამ ნავთობის მომპოვებელ ქვეყნებზე კონტროლის დაწესება.

აშშ-ს დიდი ხანია ეშინია არაბული ნავთობის ამარა დარჩენისა. ეს შიში უფრო გაამძაფრა 11-მა სექტემბერმა. ამიტომაც იოლი ასახსნელია კასპიისპირული ნავთობით ასეთი დაინტერესება. ამასთანავე, ვაშინგტონმა ამ რეგიონში პოზიციებიც განიმტკიცა და შეძლო კიდეც ნავთობსადენის ახალი პროექტის დამტკიცებაც ამ პროექტის მიხედვით კასპიურ ნავთობს საქართველოზე გაატარებს და თურქეთში, ხმელთაშუა ზღვის პორტ ჯეიჰანში ჩაიტანს. ამით კი რუსეთის ოდინდელი გავლენა რეგიონში მნიშვნელოვნად შესუსტდება. საინტერესოა ისიც, რომ ორ რესპუბლიკას — აზერბაიჯანსა და საქართველოს ბრწყინვალე ადგილმდებარეობა აქვთ. ამ ქვეყნებზე გამავალი ნავთობსადენი, ერთი მხრივ, რუსეთს „აგდებს“ დიდი ნავთობის პოლიტიკიდან და მეორე მხრივ, სამხრეთით მდებარე ირანსაც „თამაშგარე მდგომარეობაში“ აყენებს. მიუხედავად დიდი, ფარული და აშკარა წინააღმდეგობისა, ახალი ნავთობსადენის გაყვანა გადაწყვეტილია. ეს სამმილიარდიანი პროექტი, წლეულს, ივნისში დაიწყება და 2005 წლის დამდეგს მასში ნავთობის პირველი ნაკადი გაივლის. ეს კი, უპირველესად „კეთილ მეზობლებს“ (რა თქმა უნდა, რუსეთს!) მოუკლავს გულს. თვალნათლივ ჩანს, თუ როგორ თვალსა და ხელს შუა ქრება ის ზეგავლენა, რომელიც რუსეთს თავის სამხრეთ მეზობლებზე ჰქონდა. ყოფილი პრეზიდენტის, ბორის ელცინის მმართველობის დროს, რეგიონში დასავლური ნავთობინტერესების შეჭრას კრემლი მინი-ომების სპონსორობით ეღობებოდა წინ. მისი მემკვიდრე, ვლადიმირ პუტინი მიხვდა ასეთი წინააღმდეგობის უაზრობას და შეეგუა რეგიონში დასავლური ზეგავლენის გაძლიერებას. ამასთან, სწორედ მისი პოლიტიკის შედეგია, რომ ამ მინი-ომების „ტრადიცია“ აღარ არსებობს. რუსეთის პრეზიდენტს კასპიის აუზისადმი ახალი პოლიტიკური მიდგომა აქვს, — ხშირად მოგზაურობს კასპიის რეგიონის ქვეყნებში და ცდილობს რეგიონალური ხელმძღვანელების დაყოლიებას, რათა მოსკოვის ლიდერობით შეიქმნას „მინი-ოპეკი“, თანაც რუსეთი კასპიის ზღვაში თავის ისედაც ძლიერ სამხედრო ფლოტს სულ უფრო მეტად აძლიერებს. ამის საწინააღმდეგოდ, ზეგავლენის გასაძლიერებლად და ნავთობსარეწებისა და ნავთობსადენების მქონე ქვეყანათა სტაბილურობისათვის, შეერთებული შტატები სამხედრო დახმარების მთელ პროგრამას იწყებს — უზბეკეთში უკვე შეიყვანა ჯარები. საქართველო კი, თავისი ჯარების ტერორისტებთან ბრძოლისათვის მოსამზადებლად, ამერიკელ მრჩეველთა ჩამოსვლას ელოდება. ნავთობის „დიდი თამაში“ რეგიონში გადამწყვეტ ფაზაში შედის. მას თავისი წესები, პრიორიტეტები და წყალქვეშა დინებები აქვს. ამიტომ, როდესაც მთელი მსოფლიო უსამა ბინ ლადენზე „ნადირობს“, — აშშ კასპიის რეგიონში უმთავრეს ინტერესს საქართველოსადმი იჩენს. ასეთი ინტერესი კი, რა თქმა უნდა, სადაზვერვო სამსახურების გააქტიურებასაც გულისხმობს, რაც, თავისთავად, მწერალ-დეტექტივისტებს — კასპიის რეგიონისკენ თვალის მიპყრობას აიძულებს.

ნიუზუიკი, 15 აპრილი

იბეგრება თუ არა მატერიალური დახმარება?

— იბეგრება თუ არა სოციალური გადასახადით საწარმოს მიერ, სხვადასხვა ზემდგომი ინსტანციის თხოვნის საფუძველზე, არამომუშავე ფიზიკურ პირებზე მკურნალობისა და სხვადასხვა სახის მატერიალური დახმარებისთვის გაცემული თანხები?

ა. ყიფშიძე, ქუთაისი

— არ იბეგრება. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 185-ე მუხლის **ა** და **ბ** პუნქტებისა და 186-ე მუხლის თანახმად, იურიდიული პირებისთვის სოციალური გადასახადით დაბეგვრის ობიექტია ხელფასი, ანუ შრომის ანაზღაურება. არამომუშავე ფიზიკურ პირებზე მკურნალობის ან სხვა საქველმოქმედო მიზნით გაცემული თანხები არ წარმოადგენს ამ პირებისათვის ხელფასს (დაქირავებით მუშაობის შედეგად მიღებულ შემოსავალს). ამდენად, ეს თანხები სოციალური გადასახადით არ იბეგრება იმისდა მიუხედავად, ისინი გაიცა საწარმოს ინიციატივით თუ ზემდგომი ინსტანციების თხოვნის საფუძველზე.

ცნობისათვის: საქველმოქმედო საქმიანობად არ ჩაითვლება პირისთვის გაწეული დახმარება თუ 1. ამ დახმარების მიმღებ პირს წარმოექმნება ქონებრივი ან არაქონებრივი ხასიათის ვალდებულება იმ პირის (საწარმოს) მიმართ, რომელმაც გაუწია მას ასეთი დახმარება (აღნიშნული კოდექსის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტი); 2. დახმარების გამცემი და მიმღები პირები წარმოადგენენ ურთიერთდამოკიდებულ პირებს (24-ე მუხლის მიხედვით); 3. თუ ასეთ დახმარებას აქვს პოლიტიკური ხასიათი.

მკითხველთა შეკითხვების მიხედვით პასუხები მოიძია რუსუდან ფორფოლიანმა

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა
13 აპრილიდან დაადგინა ლარის მიმართ
უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

აშშ დოლარი	2,2300
ევრო	1,9635
ინგლ. ფუნტი	3,2023
რუსული რუბლი	0,0714
თურქული ლირა (1.000.000)	1,7327

ბეჭდები, შტამპები, ფლექსოგრაფიული ფორმა, სავიზიტო ბარათები, წებოვანი ეტიკეტები
გამსახურდიას 17ა (შესასვლელი საბურთალოს ქუჩიდან)
☎ 23 26 25; 38 34 17

„ევროსტროის“ ფირმის მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები ძალიან იაფად
ფერები: თეთრი, წაბლის ტექსტურით, მუქი მუხა...
ჩვენი პროფილი — 3 კამერიანია
მის: წერეთლის 141 მ. „დიდუბის“ გვერდით
☎ 966-779; 61-32-37 (საღამოს); 899-51-51-09; 899-902-091

სს „გეოკორი“ აწარმოებს ბურღვით სამუშაოებს სასმელი და ტექნიკური წყლის მისაღებად
მის: აკაკის ქ. №8 (საორგის სასახლის უკანა), ოთ. 118
ტ: 33-26-75; 38-24-02

ლაზერული პრინტერის კარტრიჯები
HP LJ 5L/6L, 5P/6P, 1100, 1200, 2000, 4000...
მაღალი ხარისხი, დიდი რესურსი, დაბალი ფასები
C3906A - 41$ C4092A - 41$
C7115A - 41$ C4127X - 80$
ქენონ CANNON E30 - 80$
ანგარიშსწორება ლარებში
მაღაზიები:
იპოტელი — გამსახურდიას 4 ☎ 33 14 25
გიგანი - პუშკინის 10 ☎ 92 30 83



თარაზულად:

5

უდიდესი ძუძუმწოვარი დედამიწაზე

6

სოკოს სახეობა

9

შექსპირის ტრაგედიაში იგი მახინჯია, როგორც სულიერად, ასევე ფიზიკურად (კუზით და მიმხმარი ხელით), თუმც სინამდვილეში ასე არ ყოფილა (სახელი)

10

ასპარეზობის საწყისი ეტაპი

11

დედამიწის თანამგზავრი

15

ძაფით სამართავი თეატრალური თოჯინა

17

ბუნებრივი ყავისფერი პიგმენტი

18

ყველაზე პოპულარული სათამაშო

19

ელექტრო და სითბოგაუმტარი ბოჭკოვანი მინერალი

20

სამკურნალო თვისებების მქონე სპირტიანი სასმელი

24
სწავლით მიღებული შემეცნება

25

დადებითი ელექტროდი

26

აღჭურვილობა

29

„ძლევენი“

32

კიბერნეტიკის ფუძემდებელი

33

XV ს-ის გერმანელი ფერმწერი და გრაფიკოსი, რომლის ერთ-ერთი ქმნილება რამდენიმე წლის წინ აღმოაჩინეს ბაქოს მუზეუმში

34
მუსიკალური საკონცერტო ნაწარმოები გუნდის, სოლისტი-მომღერლებისა და ორკესტრისათვის

35

აპკის ანთება

შვეულად:

1

(ხელოვნება)

2

რუსულად – „ლაპშა“, ქართულად – ?

3

მცენარე

4

წუმწუმა

5

(სამოსი)

7

(1934-89წ.წ. მახარაძე)

8

საქმიანობა

12

ჭურვების მოძრაობის შემსწავლელი მეცნიერება

13

ფულის ერთეული, რომლის 240 ვერცხლის მონეტა ძველად 1 გირვანქას იწონიდა

14

ბზიკი

16

სამხრეთ და აღმოსავლეთ აფრიკის ძირითადი მოსახლე

21

მექსიკური ქუდი

22

სათავსი

23

სამხედრო-საზღვაო „წოდების“ მქონე პეპელა

27

ფქვილსა და რძეში ათქვეფილი კვერცხისაგან მომზადებული კერძი

28

თამბაქოს ნაწარმი

30

მეცნიერება

31

ხარისხიანი მინა

კროსვორდი შეადგინა რამაზ ალანიამ

„კვირის პალიტრა“ №14 კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 5. წისქვილი; 6. აერობიკა; 9. ადამოვი; 10. სალონი; 11. პითონი; 15. ჯარისკაცი; 17. ფრაკი; 18. ჰოუნი; 19. რეკორდი; 20. ლაილაში; 24. გალია; 25. „ორერა“; 26. აკორდეონი; 29. რომანი; 32. საუზმე; 33. მოწმობა; 34. იოვოვიჩი; 35. ფლემინგი.

შვეულად: 1. ექთანი; 2. ვლადი; 3. ფესვი; 4. „იბერია“; 5. წინამური; 7. ავინიონი; 8. ემულსია; 12. ხაბურზაკი; 13. აცეტილენი; 14. ეკლესია; 16. ტორშერი; 21. მანგოლდი; 22. პოდიუმი; 23. არტემონი; 27. ანალოე; 28. ვარძია; 30. „გონჩე“; 31. აბელი.

№1 ფლეიბოი ჰარამხანაში წავიდა

ჟურნალ „ფლეიბოის“ დამაარსებელი ჰიუ ჰეფნერი „XX საუკუნის ყველაზე სკანდალურ ადამიანადაა“ მიჩნეული. ის არ ხვდება სკანდალურ სიტუაციებში, ის მათ ქმნის, რადგან იცის, რომ სკანდალი — საუკეთესო რეკლამაა. ჰეფნერი რეკლამის დიდოსტატია.

მოხდენილად ჩაცმულ-დახურული 75 წლის ჰიუ ყოველთვის ლამაზი ქალების გარემოცვაშია და დაუღალავად იმეორებს, რომ ცხოვრებაში მთავარია სექსი. მაგრამ სექსის გიგანტი ნურავის ეგონება, პირიქით, ჭორაობენ, იმპოტენტიაო. მისი პირველი ცოლიც, რომელმაც ჰიუ 1957 წელს მიატოვა, ამბობდა, რომ ჰიუ მარტო სექსუალური გურუ კი არა, აუტანელი მოწუწუნე ადამიანიცაა. შეიძლება ეს ასეც არის. მაგრამ ჰეფნერი მაინც გენიოსია, რადგან სექსისგან შეძლო შეექმნა კომერციული იმპერია „ფლეიბოი“, რომელსაც მსოფლიო ბაზარზე მესამე ადგილი უკავია.



ჰიუ ჰეფნერი მორწმუნე ოჯახში დაიბადა. მშობლები შვილებს უკრძალავდნენ არა მარტო მოწევას და გოგონებთან შეხვედრას, არამედ ფილმის ყურებასაც, რადგან იქ კოცნის სცენები იყო. მაგრამ 16 წლის ჰიუს უკვე იზიდავდა გოგონები, ხოლო ორი წლის შემდეგ ძირფესვიანად შეისწავლა ზიგმუნდ ფროიდის შრომები. ჯარიც მოიარა, შემდეგ ჩიკაგოს უნივერსიტეტის ფილოსოფიის ბაკალავრის ხარისხიც მიიღო და დაქორწინდა. მალე ქალიშვილიც შეეძინა. რამდენიმე პროფესია გამოიცვალა და წიგნების ფაბრიკაში მენეჯერის ასისტენტად დაიწყო მუშაობა. თან ჟურნალ „ესკვაირისთვის“ სარეკლამო ტექსტებს თხზავდა.

„ფლეიბოის“ შექმნის იდეა ჰიუს გაუჩნდა მაშინ, როცა მერილინ მონროს ვარსკვლავი ამობრწყინდა. მას ხელში ჩაუვარდა კალენდარი შიშველი ქალების ფოტოებით, მათ შორის იყო ცნობილი ფოტო — შიშველი მერილინი წითელ ზეწარზე. ამ ფოტომ ჰიუს გულიც მოინადირა და ჯონ კენედისაც. მაგრამ აშშ-ის მომავალ პრეზიდენტს წლები დასჭირდა, რომ მერილინის სიახლოვით დამტკბარიყო, ჰიუმ კი ქალი მაშინვე და სარფიანადაც გამოიყენა — ნასესხები 500 დოლარით მონროს ფოტოს გამოყენების უფლება შეიძინა და 1953 წლის დეკემბერში გამოუშვა „ფლეიბოის“ პირველი ნომერი, რომლის გარეკანსაც შიშველი მერილინ მონროს ფოტოები ამშვენებდა. მთელი ტირაჟი ერთ საათში გაიყიდა და ახალგამომცემლის გამომცემელმა შემდეგი ნომრების დაკვეთა მიიღო. ჰიუ ჰეფნერმა განჭვრიტა, რომ „ფლეიბოი“ უნდა ყოფილიყო სერიოზული ჟურნალი ეროტიკული მიზიდულობით, რომელიც ყველა ასაკის მამაკაცს დააინტერესებდა.

ჰეფნერმა შექმნა კორპორაცია, სადაც შედის კინო-ტელე-რადიოკომპანიები და გამომცემლობა „ფლეიბოი-პრესი“, კურორტი იამაიკაში, ატლანტიკ-სიტიში და სხვა ქალაქებში, კაზინოები და გასართობი ცენტრები, რამდენიმე მაღალი კლასის სასტუმრო, მაღაზიების ქსელი და მთელ მსოფლიოში მიმოფანტული „ფლეიბოის“ კლუბები. საბანაო კოსტიუმებში გამოწყობილი ლამაზი გოგონებისთვის, რომლებიც სექსუალურ „ბაჭიებს“ განასახიერებენ, ჰეფნერმა იაპონიის გეიშების ინსტიტუტი გამოიყენა. „ფლეიბოისთვის“ საუკეთესო რეკლამა თავად ჰიუა. იგი მთელ მსოფლიოში ეძებს სექსუალურ ქალიშვილებს და ქმნის თავის ჰარამხანას. ის საგანგებოდ არჩევს მერილინ მონროს ტიპს. ჰეფნერმა ლოს-ანჯელესში არჩეულებრივი სასახლე შეიძინა და იქ თავის ლამაზმანებთან ერთად ცხოვრობს და ტრაბახობს, ორი ათას ქალთან მქონდა ინტიმური ურთიერთობა და მათ დღესაც უგონოდ ჟუჟუვარვარო. ჰეფნერს არაერთხელ მოუწია გამოსვლა სასამართლოზე ალვირახსნილობის გამო, მაგრამ ამ სასამართლოებზე სარეკლამო შოუს აწყობდა და ყოველთვის იმარჯვებდა. ყველაზე გახმაურებული სკანდალი მოხდა 1964 წელს, როცა ჰეფნერმა დაბეჭდა მცირეწლოვან ჯეინ მენსფილდის შიშველი ფოტო. მთელი ტირაჟი დააპატიმრეს, მაგრამ ჰიუმ, როგორც ყოველთვის, ეს პროცესიც მოიგო, ჯეინი კი მისი წყალობით ჰოლივუდის ვარსკვლავი გახდა. პირველ ცოლთან დაშორების შემდეგ ჰიუ დიდხანს ერთობოდა თავის ჰარამხანაში. მერე ცოლად შეირთო „ფლეიბოის“ ერთ-ერთი გოგონა კიმბერლი კონრადი, თავის ქალიშვილზე ოთხი წლით უმცროსი. კიმბერლიმ ჰიუს ორი ვაჟი გაუჩინა, მაგრამ ათი წლის შემდეგ, მანაც მიატოვა №1 ფლეიბოი.

მიუხედავად ასაკისა და გადატანილი ინფარქტისა, ჰიუ ჰეფნერი ახლაც ყოჩაღად გამოიყურება, თუმცა საქმეები მაინცდამაინც კარგად არ მიუდის. ინტერნეტის მეშვეობით გავრცელებულმა სექსუალურმა ფოტოებმა „ფლეიბოის“ ტირაჟზე ცუდად იმოქმედა, „ბაჭიების“ კლუბები ერთიმეორის მიყოლებით იხურება, ტელებიზნესიც ჩაკვდა. ჰიუმ კარგა ხანია მმართველობის უფლება გადასცა თავის ქალიშვილს კრისტინას. ახლა ლოს-ანჯელესის სასახლესაც ყიდის. სასაფლაოზე მერილინ მონროს გვერდით აღგილიც შეიძინა, თუმცა ჯერ სიკვდილს არ აპირებს...

ინტერპოლ-ექსპრესი №11



ბრაზილიური სერიალების სამფლობელოში

ჰოლივუდისა არ იყოს, „ოცნებათა ფაბრიკა“ ბრაზილიაში, რიო-დე-ჟანეიროს გარეუბანშიც არის — გიგანტური სტუდია „გლობო“. სწორედ ის ამარაგებს მთელ მსოფლიოს „საბნის ოპერებით“, ანუ გაჭიანურებული ტელესერიალებით, რომლებსაც მაყურებელი არ აკლდება.

თავად ბრაზილიაში სერიალებს „ტელენოველებს“ უწოდებენ და ძალიან უკვირთ, როცა ვინმე მათ სერიალებად იხსენიებს. ყოველდღე ბრაზილიაში, კვირის გარდა, სამ ტელენოველას უჭვენებენ — 6 საათზე ახალგაზრდებისთვის მხიარულ ნოველებს, 7 საათზე სიუჟეტი ოდნავ მძაფრდება, 8-ზე კი ნამდვილი დრამა იწყება.

ბრაზილია ამ ნოველებს ხალხის სურვილის გათვალისწინებით იღებს. ყოველკვირა ტარდება სოციალური გამოკითხვა და ნოველაც მზად არის! თუ ხალხს პერსონაჟი მოსწონს, მისი ეკრანული სიცოცხლე გრძელდება, თუ არა, ან ციხეში გაუშვებენ, ან სხვა რამეს მოიფიქრებენ, რომ ეკრანზე აღარ გამოაჩინონ.

ყოველთვის იღებენ ფინალური სერიის ორ ვარიანტს და სეიფში ინახავენ. თუ გადასაღებ მოედანზე შემთხვევით ვინმე მოხვდა, ვინც ამბავს გაიტანს და პრესას მიჰყიდის, თუ როგორია ფინალი, რეჟისორი სეიფიდან მყისვე მეორე ვარიანტს ამოიღებს.

„გლობოში“ ასობით კონსულტანტი მუშაობს — სხვადასხვა ეპოქის კოსტიუმების, ჭურჭლის, დიზაინის სპეციალისტი. თუ, ვთქვათ, საჭიროა რიო-დე-ჟანეიროს რომელიმე კვარტალის დეკორაციის აგება, ჯერ დეტალურად გადაუღებენ ფოტოებს, მერე კი „გლობოს“ ტერიტორიაზე ზუსტად ისეთს ააგებენ. თუმცა ბევრად მცირე ზომისას, სპეციალური კამერები კი ზუსტად ისე გადაიღებენ, როგორიც სჭირდებათ. კოსტიუმს, ჭურჭელს, ავეჯს ყველა სერიალისთვის ახალს აკეთებენ. რადგან თითქმის ყველა ტელენოველაში ვინმეს ბავშვი უჭირდება, „გლობოში“ ხელოვნურ ბავშვებსაც ამზადებენ, რაც საკმაოდ ძნელი და ძვირად ღირებული საქმეა. მათ ლატექსიდან ძერწავენ. ისე მშვენივრად აკეთებენ, რომ ნამდვილისგან ძნელი გასარჩევია.

გადაღება 13.00-ზე იწყება. მსახიობებს ორი უქმე დღე აქვთ. თითქმის ნახევარ ფილმს ღია ცისქვეშ იღებენ. ბრაზილიაში კი წლის უმეტეს დროს 40°-იანი სიცხეა, ამიტომ მსახიობები ცუდ დღეში არიან, თანაც რამდენიმე დუბლს იღებენ.

მსახიობების უმეტესობა „გლობოში“ ბავშვობიდან ხვდება. ხელფასს მათ ყველა შემთხვევაში უხდიან — მაშინაც, როცა იღებენ და როცა არ იღებენ. სამაგიეროდ, როლზე უარის თქმის ნება არა აქვთ. უფრო სწორად, მესამე უარზე დაითხოვენ. კაპრიზებისა და ლოთობისთვისაც აგდებენ მსახიობს. ასეთი ამბავი შეემთხვა ვერა ფიშერს (ქართველი ტელემაყურებელი მას კვირაში რამდენჯერმე უყურებს სერიალში „ოჯახური ურთიერთობები“). ორი წლის წინ ფიშერმა სმა დაიწყო, ნარკოტიკებს მიეძალა, გადაღებებზე იგვიანებდა. „გლობომ“ გაწყვიტა მასთან კონტრაქტი. პრესის ფურცლებზე დროდადრო ჩნდებოდა გასუქებული, დამახინჯებული ვერას ფოტოები. მსახიობი გონს მიეგო, პლასტიკური ოპერაცია გაიკეთა და ახლა ისევ პირველხარისხოვანი ვარსკვლავია.

კარგა ხანია აღარსად ჩანს იზაურას როლის შემსრულებელი ლუსელია სანტოსი. მას პოლიტიკური კარიერის გაკეთება ნდომებია, მაგრამ არაფერი გამოსვლია და ისევ „გლობოში“ დაბრუნდა, თუმცა ახლა უკვე მხოლოდ მეორეხარისხოვან როლებს აძლევენ, ისიც იმ ნოველებში, რომლებიც 6 საათზე გადის.

კონტრაქტის თანახმად, ყველა მსახიობი დაახლოებით 10 ათას დოლარს იღებს. ბრაზილიური ცხოვრების წესის მიხედვით ეს ცოტაა, ამიტომაც ტელევარსკვლავები სხვა გზითად შოულობენ ფულს. ერთ-ერთი ასეთი გზაა: ბრაზილიური ტრადიციით, გოგონას, რომელსაც 15 წელი შეუსრულდა. მშობლები მეჯლისს უწყობენ. რაკი ყველა გოგონას ნოველების მსახიობები ელანდება ძილშიც და ცხადშიც, ერთ-ერთ მათგანს იწვევენ, რომ მედღეობე პირველ ცეკვაზე მიიწვიოს. ამაში მსახიობს 5-დან 10 ათას დოლარამდე უხდიან. ზოგიერთი „მაგარი“ მაჩო თვეში რამდენიმე მეჯლისის მოვლას ახერხებს. ფულის შოვნის მეორე გზაა — რეკლამაში მონაწილეობა.

ერთი ბრაზილიური ნოველა დაახლოებით 200 ათასი დოლარი ჯდება.

ვოკრუგ სვეტა №14

მადლობა

ჩვენს ქობულეთის [illegible] დავით გუგუშიძეს და მთელ მის ოჯახს, ხლოვა შავიშვილს [illegible] ბოდიშს გიხდით [illegible].

ბატონიშვილები მარინა ხუციძე

ბინები

ვყიდულობ კარგ გარემონტებულ ბინას (სულ 120 კვ.მ), [illegible] — რეგორც ქირაობ, [illegible] 50 კვ.მ [illegible]. ტელ: 38-89-71; 877 72-39-06

კომფორტული ბინისთვის 120 კვ.მ ფართის ბინა, [illegible]. ტელ: 38-89-71; 877 72-39-06

იყიდება ბინა [illegible] 2-სართულიანი სახლი [illegible] ფასი $ 16000. მის: [illegible] ქ. №30. ტ: 96-71-53

Продается 3-х комнатная квартира на Воронцова (бывшая Кл. Цеткина) №34. Тел: 96-64-70

იყიდება ბინა [illegible] №34-ში. ტელ: 96-64-70

[illegible] 10 კვ.მ [illegible] I სართული [illegible] II სართული [illegible] — 800 კვ.მ მიწის ფასი 1500$. ტელ: 23-07-65

ქირავდება

[illegible] ფართის ნაწილი, [illegible] (მ. „რუსთაველის"), [illegible]. ტელ: 93-50-66 (10-19 სთ)

მოიწვევთ სამუშაოდ

18-25 წლამდე გოგონებს [illegible] გაგზავნის გერმანიასა და საფრანგეთში — 1 წლით, [illegible], AU-PAIR პროგრამით, [illegible]. ტელ: 95-64-18

[illegible] 4 პარტნიორი. [illegible] ტ: 96-07-92; 96-03-45 (11-24 სთ)

[illegible] 5 ვაკანსია [illegible] 17-50 წლამდე [illegible] 200-300 ლარი. [illegible] „რუსთაველი", [illegible] ქ. №2, IV სართ. №13. ტელ: 93-18-84; 899 50-68-25. [illegible]

[illegible] 4 ვაკანსია [illegible] 200-400$ [illegible] „დელისი", [illegible] I სართ. ოთახი 6. ტელ: 34-02-38; 899 90-54-78; [illegible]

მომსახურება

[illegible] — 1 სთ — 10 ლარი. [illegible] VI სად. III სართ. ბინა 109. ტელ: 79-50-12; 899 90-44-93. [illegible]

[illegible] 1 სთ — 6 ლარი [illegible] „300 არაგველი", [illegible] ქ. №15. [illegible] ტ: 77-86-27

[illegible] 1 სთ — 12 ლარი [illegible] — 200$ [illegible] 53, I სად. I სართ. ბინა 3. ტ: 37-71-66; 93-19-52; 899 168-168. [illegible]

[illegible] ქ. №66. მ-2 სად. მ-8 სართ. ბინა 46. ტელ: 37-74-22. [illegible]

[illegible] — 5 ლარი; [illegible] — 15-20 ლარი, [illegible] №115, კ. №20 (ეზოში). ტელ: 94-01-82; 95-83-18 (სამს); 96-22-89 (ბინა)

[illegible] ტ: 57-50-49; 899 91-46-36

[illegible] ტელ: 899 55-97-89; 69-54-35

[illegible] ქ. №53. ტელ: 37-38-13; [illegible] გამზ. №20. ტელ: 29-19-73. [illegible] 10-19 სთ

[illegible] ტელ: 94-08-10. [illegible]

[illegible] ტელ: 69-45-18. [illegible]

[illegible] ტელ: 72-40-90. [illegible]

[illegible] ფასი 40 თეთრი. ტელ: 37-28-97; 893 32-04-89

[illegible] ტელ: 95-05-56; 39-44-61; 899 58-98-51

KNAUF — [illegible] „AMF-Armstrong", [illegible] ტელ: 96-71-53; 877 71-09-89

KNAUF — Монтаж подвесных потолков, перегородок из гипсокардона а также „AMF-Armstrong": любой дизайн; Лучшие специалисты города. Т: 96-71-53; 877 71-09-89; 877 71-47-43

[illegible] 1 კვ — 70 თეთრი. [illegible] Windows, Word, E-mail, Internet, Photoshop. ტელ: 32-72-95

მკურნალობა

[illegible] 23-[illegible] ტელ: 899 55-05-75

[illegible] ტელ: 96-62-58

[illegible] ლიცენზია და მკურნალი, ჰიპერტონიის (წნევა), ლეიკემიის [illegible] 16, [illegible] 10-16 სთ. ტ: 899 97-58-77

[illegible] №11, [illegible] კაბ. 23, 13-16 სთ. ტ: 39-47-28

[illegible] — [illegible] „რიონ" [illegible]. ტელ: 899 92-44-33; 899 56-97-05

[illegible] 113, კაბ. 17. [illegible] ტ: 95-74-29 (სამს)

[illegible] 23 [illegible], VI სად. [illegible] 1. [illegible] 12-16 სთ. [illegible] ტ: 35-20-06; 92-36-67

[illegible] ტელ: 95-83-54 (სამს); 39-00-70; 39-25-57 (ბინა); 899 56-96-61

[illegible] №10 (მ. „წერეთელი"), [illegible] ტ: 34-47-24 (დილით); 33-45-54 (საღამოს)

ვასწავლი

[illegible] ტელ: 41-08-88; 41-59-26 (საღამოს)

[illegible] „[illegible] კომპიუტერი", [illegible] ქ. 1 („[illegible]" უკან). ტ: 98-44-20; 899 14-03-31

[illegible] 1. [illegible]; 2. [illegible]; 3. [illegible]; 4. [illegible]; 5. [illegible] გამზ. №115, კ. №20 (ეზოში). ტ: 94-01-82 (სამს); 96-22-89 (ბინა). [illegible]

[illegible] მ. „[illegible]". ტ: 95-32-12

[illegible] TOEFL, GMAT+[illegible]. ტელ: 95-51-96; 893 32-09-64

[illegible] 1) [illegible] 2) [illegible] 3) [illegible] 4) [illegible] ქ. №17. ტელ: 98-73-31

[illegible] ქ. №17. ტელ: 98-73-31

იყიდება

[illegible] 75 კვ.მ [illegible] 1 [illegible] 100 კვ.მ. ტელ: 899 17-81-82

ა/მ SKODE-FABIA, 2002 [illegible] ფასი $6500. ტელ: 25-25-72; 877 76-06-76

ა/მ ROVER-827, 1990 [illegible] „[illegible]", [illegible] ფასი $2200. ტელ: 25-25-72; 877 76-06-76

Super VHS, Hi-F, STEREO, COMPAST PRO-TECH, MASTER GR-S 707. ტელ: 96-94-26. [illegible]

[illegible] ტელ: 95-95-22 (15-19 სთ); 93-46-74 (20 საათის შემდეგ)

სხვადასხვა

[illegible] „[illegible]" [illegible] ქ. №14, II სართ. ოთახი №210. [illegible] ტელ: 93-49-72; 899 56-32-59

ხსოვნა

გიო ჯიბლაძის ხსოვნას!

[illegible] შენ — ჩვენი ნათელი და კეთილი ბიჭი [illegible] — იქნებ მოგეხმაროთ ამით.

[illegible]

ღმერთმა ნათელში გამყოფოს!

კვირის პალიტრელები

ალექსი სიმონიშვილის ხსოვნას!

მამა, [illegible] — 12 აპრილს [illegible] — 9 აპრილს (საკუთარ დაბადების დღეს) [illegible] — 9 აპრილი შენი [illegible] — 12 აპრილი [illegible]

შენი შვილები რუსუდან (დოდონა) და თამარ (თამუნა) სიმონიშვილები

დალი ფსუტურის ხსოვნას!

[illegible] 8 აპრილს [illegible] — როგორც შენს ოჯახს, [illegible] ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული.

შენი მეზობლები

საშკას!

ჩვენო საშკა! ერთი უბედური წელი გავიდა, [illegible]

[illegible]

ჩვენო საშკა! ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული. ჩვენ კი ვილოცებთ შენი ლამაზი სულისთვის.

შენი უახლოესი მეზობლები

კოტე ქანდარიას ხსოვნას!

20 აპრილს 39 წლის გახდებოდი, ჩვენო [illegible]

შენი [illegible] და ნინო

რეზო შელეგიას ხსოვნას!

[illegible] ღმერთმა ნათელში გამყოფოს!

თსუ-ს მომავალი მენეჯერები

თინა ნაკაიძის გახსენება

მამა და გულსაკლისი იყო 40 დღე უშენოდ, ჩვენო [illegible] 22 წლის [illegible]

[illegible]

[illegible] ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული და დაგიმკვიდროს სასუფეველი.

შენი გულმოკლული შვილები: რამაზი, ჯემალი, ნათია

სიმონის (ძიკოს) გახსენება



მოდის 17 აპრილი — შენი დაბადების დღე, ძიკო. [illegible] 3 წელია უშენოდ [illegible] ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული, ძიკო.

შვილი ირაკა, დისშვილები

ციცინო ჩოჩიას მონატრება

ჩვენო ციცო, [illegible] 14 აპრილს 19 წელი [illegible] რომელიც გულში ჩაგვრჩა.

თამთა, თეა

შოთა დიდბარიძის ხსოვნას!



უკვე ხუთი წელი გავიდა [illegible] 5 წელი, [illegible] ღმერთმა გაგანათლოს ზეციურ სასუფეველში.

შენი ოჯახი

გალინა ჩიტაიას მონატრება

მხოლოდ 17 წლის, [illegible] 20 აპრილი, შენი დაბადების დღე, 18 წელი შეგისრულდებოდა. [illegible]

შენი ოჯახი

გურამ ყვანიას გახსენება

მონატრება, ტკივილი, სიბრაზე!! — არ ვიცი, მამა, მთელი 40 დღეა, [illegible]

[illegible]

...მი ოჯახი

[illegible] ამათ ალბათ ყველაფერი ითქვა...

შენი თამო!

გელა ასათიანის მონატრება

ისევ მოვიდა 13 აპრილი... შენი დაბადების დღე, ჩვენო საყვარელო შვილო გელა. [illegible] ჩვენო 41 წლის ვაჟკაცო, [illegible] წმინდა სულს.

[illegible]

დედ-მამა

ნინა დათუნაშვილის გახსენება

კიდევ უშენოდ ვხვდებით შენს დაბადების დღეს, 18 აპრილს, [illegible] ნათელში გამყოფოს უფალმა.

დამწუხრებულნი შენი და ეთერი, დისშვილი თინა ჯაბუაკა

ჯუმბერ ჩახოიანცის ხსოვნას!

6 თვეა, რაც აღარ ხარ. შენი დაბადების დღე უშენოდ [illegible] ნათელში გამყოფოს უფალმა.

ოჯახი

სტეფანე ყირიმლიშვილის მონატრება

[illegible]

19 აპრილს მოვალთ შენს საფლავზე, ისევ მოვიხრით ქედს შენი ხსოვნის წინაშე.

მარინა

ავთო (ავთანდილ) ტეტიაშვილის მონატრება



დაიბადე 1949 წლის 29 დეკემბერს სოფელ ხოშარაში. [illegible]

2001 წლის 7 აპრილს ჩვენს თავზე მეხმა დაიგრიალა, [illegible]

[illegible]

2002 წლის 7 აპრილს ერთი წელი გახდება [illegible]

ძალიან მონატრე შენი დედა: მაკალე, ეთერი, თეო, ელი

„კვირის პალიტრის" რედაქცია უთვლის ჟურნალისტ იჩო რიკაძის მამის

სერგო რიკაძის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს ოჯახს.

პანაშვიდი: 14, 15 აპრილს;

დაკრძალვა: სამშაბათს, 16 აპრილს, 14 საათზე.

მისამართი: ქ. რუსთავი, [illegible] ქ. №5/121.

[illegible] შვილი თამარ კიღურაძე [illegible]

თამაზ კიღურაძის

გარდაცვალებას.

პანაშვიდი: 14, 15 აპრილს, 17 საათზე;

გასვენება: 16 აპრილს, 15 საათზე.

მისამართი: თბილისი, [illegible] ქ. №15.

[illegible] — ქალბატონ

ზინა ტარასის ასული ტყეშელაშვილის

გარდაცვალებას.

პანაშვიდი: ორშაბათს, სამშაბათს, 17 საათზე.

მისამართი: თბილისი, [illegible] გამზ. №8ა, მ-2 მიკრორაიონი, IV სართ. ბინა №67.

დაკრძალვა: ხუთშაბათს, 18 აპრილს, 14 საათზე.

მისამართი: [illegible]

[illegible] „[illegible]" [illegible] „[illegible]" [illegible]

იაშა ჯიქიას

გარდაცვალების გამო.

[illegible] რომ გარდაიცვალა

მარლენ კონსტანტინეს ძე ტონია

პანაშვიდი: 14, 15 აპრილს, 17 საათზე;

გასვენება: 16 აპრილს, 15 საათზე.

მისამართი: თბილისი, [illegible] №2ა, ბინა №7

ღრმა მწუხარებით [illegible] და [illegible]

მარგალიტა სულაქველიძე-ჯაოშვილის

გარდაცვალების გამო.

რუსიკო ჯაოშვილი ოჯახით; ირაკლი ჯაოშვილი ოჯახით

გორკი დროდადრო ბრუნდება თავისი ყმაწვილკაცობის ქალაქში...

ნიჟნი ნოვგოროდში, მაქსიმ გორკის სახლ-მუზეუმში უცნაური ამბები ხდება. თანამშრომლები დარწმუნებულნი არიან, რომ სახლში მოჩვენება გაჩნდა და ეს ამ სახლის ყოფილი პატრონი, მწერალი მაქსიმ გორკია. ისინი ამბობენ, რომ ღამღამობით ისმის მძიმე ჩექმების ბრახუნი, მწერალი დადის ოთახებში, ავეჯს და ნივთებს ადგილს უცვლის და ადგილიდან ადგილზე გადააქვს მინდვრის ყვავილების თაიგული, რომელიც ოდესღაც თავის მეუღლეს, ეკატერინა პავლოვნას მიართვა.

თანამშრომლები შიშმა აიტანა, მათ ამ სახლში გორკისთან ერთად ყოფნა აღარ უნდათ. ანომალიური მოვლენების სპეციალისტი ედუარდ ერმილოვი დარწმუნებულია, რომ ეს მოჩვენება ნამდვილი პოლტერგეისტია.

სხვათა შორის, ის მხოლოდ მაშინ გამოჩნდება ხოლმე, როცა სახლ-მუზეუმში გორკისადმი მიძღვნილი რაიმე ღონისძიება მზადდება ან ტარდება. ერთ-ერთი ღონისძიების წინა ღამეს გულგახეთქილმა მორიგემ დირექტორს დაურეკა და უთხრა, რომ მუზეუმში თითქოს ვიღაც დადის, ისმის ნაბიჯების ხმა, ჩახველება... გორკის სამუშაო კაბინეტში ვიღაც უჯრებს აღებდა და კეტავდა, თაროებიდან წიგნები გადმოცვივდა, გადმოვარდა აგრეთვე მალვიძარაც.

ერმილოვის აზრით, ასეთ ადგილებში პოლტერგეისტის გამოჩენა სრულიად ჩვეულებრივი მოვლენაა. უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ მუზეუმში უამრავი მნახველი მოდის, უსმენენ ექსკურსიამძღოლს, იხსენებენ ყველაფერს, რაც გორკის შესახებ იციან და ამით ენერგიით კვებავენ მის სულს. პატრონს, სხვათა შორის, თავისი პირადი ნივთებიც იზიდავს.

ადამიანის სიკვდილის შემდეგ მისი ფიზიკური სხეული სწრაფად იშლება, ხოლო პიროვნულობა ათეულწლობით ძლებს. პიროვნების ნებისმიერი გახსენება მის არსებობას სასიცოცხლო ენერგიით ავსებს. გორკის სიცოცხლეშიც შეეძლო უძლიერესი ემოციების იმდენად განცდა, რომ ის მატერიალიზებული ხდებოდა.

ერთხელ, როცა ის მოქმედი პირის მკვლელობის სცენას აღწერდა, უცბად საშინლად გაფითრდა და იატაკზე უგონოდ დაეცა. როცა ძლივს მოასულიერეს, ნახეს, რომ გულთან სისხლის ნაკვალევი ემჩნეოდა. გონს მოსულმა წაიჩურჩულა: „ოჰ, რა მტკივნეულია, როცა დანას გულში გარტყამენ“. გორკი აღწერდა სცენას, როცა ეჭვიანმა ქმარმა ცოლს დანა გულში დაარტყა. ეს სისხლიანი ლაქა გორკის კარგა ხანს ემჩნეოდა. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ ასეთი ძლიერი სულის პატრონი დროდადრო ბრუნდება თავისი ბავშვობისა და ყმაწვილკაცობის ქალაქში და არა მარტო თავის მშობლიურ სახლში, არამედ იქაც, სადაც მისი ახლობლები ცხოვრობდნენ.

გორკის მოჩვენებამ ისე შეაშფოთა მუზეუმის თანამშრომლები, რომ ისინი სამსახურს ტოვებენ და მიდიან.

სახლი რადიომეტრის საშუალებით შეამოწმეს. ამ მგრძნობიარე ხელსაწყომ დაადასტურა პოლტერგეისტის სტრუქტურის არსებობა.

მიუხედავად უწყინარობისა, „ხმაურიანი სული“ შეიძლება საკმაოდ საშიში და აგრესიულიც იყოს, ამიტომ უმჯობესია, თუ გორკის ხელს არ ახლებენ. დე, ისეირნოს და დატკბეს თავისი სახლით.

ნლო №13

სული მკვრივ ენერგიად იქცა...

საავადმყოფოში ღამით რამდენიმე მძიმე ავადმყოფი მოიყვანეს. ექთანი ირინა ისე დაიქანცა, რომ სამორიგეოში მაგიდასთან ჩაეძინა. უცებ რაღაც ძალამ გააღვიძა და დაინახა ბაბუა გრიშა, რომელიც ორი დღეა სიკვდილს ებრძოდა. თითქმის გამჭვირვალე მოხუცი ეშმაკურად იღიმებოდა. ეს ჩვენება 20 წამი გაგრძელდა. შემდეგ ბაბუა ღრუბლად გადაიქცა, კვერცხის მსგავს მანათობელ მასად შეიკრა, დაიგრიხა და სავენტილაციო ხვრელიდან გაძვრა.

ირინა სასწრაფოდ შევარდა პალატაში. ნამდვილი გრიგორი მკვდარი ესვენა.

შეშფოთებულმა ექთანმა ყველაფერი უამბო ექიმს. ალბათ ეს ავადმყოფის სული იყოო, — უთხრა მან.

ეს ამბავი ამით არ დასრულებულა. გარდაცვლილი მოხუცის აჩრდილი პალატაში რამდენიმე ღამე მოდიოდა. გარს უვლიდა თავისეულ საწოლს, რომელიც უკვე სხვა ავადმყოფს ეკავა და ყველანაირად მიანიშნებდა, რომ უნდოდა იქ დაწოლა. მხოლოდ მეცხრე დღეს გაუჩინარდა.

ნათელმხილველმა, აკადემიკოსმა ილია კუხტინმა დაადასტურა, რომ ადამიანისაგან გამოყოფილი კვერცხისებური ენერგია მართლაც მისი სულია. ეტყობა, ავადმყოფი ძალიან უკმაყოფილო იყო, მისი გარდაცვალება მორიგე ექთანმა რომ ვერ შენიშნა და სწორედ ამიტომ ცდილობდა ყურადღების მიქცევას.

გამოცალკევებული სული არის სუბსტანცია და მისი რეალური წონა 2-6 გრამია, მას შეუძლია ცოცხალი ადამიანების დანახვა, მათი აზრების წაკითხვა და გაგება, თუ რა ხდება, ცდილობს, მიიპყროს ყურადღება, მაგრამ უმეტესად მას ვერ ხედავენ და არ ესმით მისი.

ილია კუხტინმა ურჩია ირინას, სანთელი დაენთო ბაბუა გრიგორის სულის საოხად.

მეგაპოლის-ექსპრესი №11

ჩვენ გვწერენ

აიაზმამ მიშველა...

ჩემი მეუღლე შახტში მუშაობდა მარკშაიდერად. ოთხი სული ვიწროდ ვცხოვრობდით. მალე ახალგარდაცვლილი მოხუცი რუსი ქალის სამოთახიანი ბინა მოგვცეს. ზოია პოტაპოვნა ყოფილი პარტიული მუშაკი იყო, ცოტა ავი დედაკაცი ყოფილა, მეზობლები არ ემადლიერებოდნენ. გავარემონტეთ ბინა და გადავედით საცხოვრებლად.

...იმ ღამეს ჩემი ქმარი შახტში მორიგეობდა. ბავშვებს მეორე ოთახში ეძინათ. მე მივალაგე იქაურობა და დავწექი. უცებ თითქოს მთელ სხეულში დენმა დამიარა. გული ამოვარდნაზე მქონდა. მომეჩვენა, რომ კედლის საათზე იჯდა გოგონა და ისრებს ხან გააჩერებდა, ხან გაუშვებდა. განძრევის თავი არ მქონდა. მერე ოდნავ მომეშვა. მისუსტებული ხმით ქალიშვილს დავუძახე, — ნინი, სინათლე აამინთემეთქი. ნამძინარევმა გოგონამ ვერაფრით მოახერხა შუქის ჩართვა, თითქოს რაღაც უშლიდა ხელს. წადი, დაიძინე-მეთქი, — ვუთხარი ნინის. ძლივძლივობით ავდექი და ავანთე სინათლე. დავინახე, ჩემს ახლოს უცნაური ქარბორბალა ტრიალებდა. კვლავ ვიგრძენი სხეულში დენის დავლა. ალბათ ზოია პოტაპოვნას სული არ მასვენებს-მეთქი, გამიელვა ფიქრმა. რაღაც ძალა ამწევდა და საწოლზე მახეთქებდა. ამ ვაი-უშველებელში გამახსენდა, რომ სამზარეულოში ნაკურთხი წყალი მქონდა. გავლასლასდი, კარადიდან ბოთლი გამოვიღე, მაგრამ უმალ უკან შევდგი. ასე განმეორდა რამდენჯერმე. ეტყობა, შავი ძალა გონებას მითიშავდა და ვერ ვხვდებოდი, რატომ ვიღებდი ბოთლს. როგორღაც მოვახერხე, ბოთლი მოვიყუდე და წყალი მოვსვი. თითქოს ახლად ვიშვი. გულიც საგულეში ჩამიდგა, მოვმაგრდი, გონება გამინათდა. ქარბორბალა მაინც არ მშორდებოდა, ჩემ ირგვლივ ბრუნავდა. აიაზმა სახეზე ვისხურე, მოვაპკურე გარშემო, ქარბორბალა გაქრა, უფრო სწორად, გარეთ გაიჭრა და ახლა სახლის გარშემო წრიალებდა, მაგრამ ჩემამდე მოღწევა აღარ შეეძლო.

დილით ნაკურთხი წყალი სახლის ყველა კუთხე-კუნჭულში ვასხურე. შემდეგ მღვდელს ვაკურთხებინე ბინა.

იმ დღიდან ბნელ ძალას აღარ შევუწუხებივარ.

ნელი ჭიღლაძე

ყველაზე საშიში მესამე ცისფერთვალა იქნება

პუტინის პოლიტიკური კარიერა და უახლოეს ხუთ წელიწადში რუსეთის მომავალი ოპტიმისტებსაც კი აფიქრებთ, რომ აღარაფერი ვთქვათ პესიმისტებზე. მათ არც პროფესიონალი მკითხავები, ნათელმხილველები, ნუმეროლოგები და ოკულტისტური ლიტერატურის მცოდნენი ჩამორჩებიან. ისინი კრემლს სერიოზულ პრობლემებს უწინასწარმეტყველებენ, რუსეთს კი საგრძნობ რყევას. მათ სოლიდარობას უცხადებენ სოციოლოგები და რელიგიის მცოდნენი — პუტინს ყველაფერი იმდენად კარგად აქვს აწყობილი, რომ რუსეთისთვის ეს უჩვეულო და დამაფიქრებელიაო.

პირველნი კაზაკები აფორიაქდნენ. მათ დაცდილი აქვთ, რომ ყოველ სერიოზულ მოვლენას წინ უსწრებს დიდი წყალდიდობა — ჩვეულებრივ მშვიდი ყუბანი ნაპირებიდან გადმოდის. ყველაზე დიდი წყალდიდობა მოხდა 1881 წელს. სწორედ მაშინ მოკლეს რუსეთის ყველაზე ლიბერალური მეფე ალექსანდრე . ასევე „მოიქცა“ მდინარე 1917, 1941 წლებში და 1985 წელს, როცა რუსეთში მთავრობა შეიცვალა და გარდაქმნა დაიწყო. კაზაკები ახლაც შეშფოთებულნი არიან, ლოცულობენ და პუტინს ღმერთს ავედრებენ. ამ ამბავმა პრეზიდენტის ყურამდეც მიაღწია, მაგრამ მას ცრურწმენისა არ სჯერა და როგორც ჭეშმარიტ ქრისტიანს, მხოლოდ ღმერთის სწამს.

განსაკუთრებით ოპტიმისტ ასტროლოგებს ამ წლის პირველი ნახევარი პუტინისთვის სასიამოვნოდ მიაჩნიათ. „მეფეების ვარსკვლავი“ — იუპიტერი 1 აგვისტომდე კირჩხიბის ზოდიაქოში იმყოფება და მფარველობს წყლის ნიშნებს, აგრეთვე ქალწულს, სასწორს (პუტინი) და კუროს. ხოლო 1 აგვისტოდან უკვე ცეცხლის ნიშნების მხარეზე გადადის და მფარველობს ვერძს, ლომს, მშვილდოსანს.

პუტინს საშიშროება ელის ოქტომბერ-ნოემბერში, როდესაც ხალხის მასობრივი გამოსვლებია მოსალოდნელი. გავიხსენოთ ნოსტრადამუსი, რომელმაც იწინასწარმეტყველა, რომ ახალი ათასწლეულის მიჯნაზე დაიწყება უდიდესი ომი ორ რელიგიას შორისო. პროგნოზი დასტურდება. ძნელია იმის თქმა, ყოველივე არმაგედონით დასრულდება თუ არა, მაგრამ საშინელების მეფე, რომელიც არაბებს „მთელი“ საქრისტიანოს წინააღმდეგ ამხედრებს, რაც ასევე ნოსტრადამუსმაც იწინასწარმეტყველა, თითქოს გაცხადდა უსამა ბინ ლადენის სახით. აპოკალიფსში აღწერილია ამოუცნობი „მხეცი, რომელიც ზღვიდან ამოდის“ და ადამიანების ცოდვების გამო სიკვდილი და ნგრევა მოაქვს. ამ მხეცს დათვის ფეხები აქვს ანუ ეყრდნობა დათვურ საწყისს. სხვათა შორის, ძველსლავური კალენდრის თანახმად, ვლადიმირ პუტინის მფარველია დათვი, რომელიც მფარველობს ოქტომბერში დაბადებულებს.

თავი დავანებოთ წარსულს და გავიხსენოთ ახლახან მომხდარი. მათ შორის მთავარი კი ის არის, რომ ბუნებამ პუტინი ათონის წმინდა მთაზე „არ შეუშვა“. საბერძნეთში ვიზიტის დროს მას ათონის მთის მონასტრების მონახულება ჰქონდა განზრახული, მაგრამ მოულოდნელად ამოჭრილი ქარიშხლის გამო შვეულმფრენმა ძირს დაშვება ვერ მოახერხა. როგორც ამბობენ, პუტინი ძალიან შეაშფოთა ამ ამბავმა, თუმცა არ შეიმჩნია.

ერთ-ერთმა ნათელმხილველმა კაზოტიმ 1767 წელს იწინასწარმეტყველა „აღმოსავლეთის უდიდესი ქვეყნის“ შესახებ: „ამ სახელმწიფოსთვის მეტად საშიშია ცისფერთვალა მმართველები. პირველი ცისფერთვალა ხალხს ჯერ დააიმედებს, მერე გააცუცურაკებს, მეორე — იმედის ჩასახვასაც ვერ შეძლებს, მაგრამ ყველაზე საშინელი მესამე იქნება, რომელიც ხალხს დააიმედებს, მაგრამ ყოვლად უსინდისოდ მოატყუებს“.

რუსეთის პირველი ცისფერთვალა მმართველი 1767 წლიდან იყო ალექსანდრე I, მეორე — ალექსანდრე , მესამეა ვლადიმირ პუტინი. ლენინსა და გორბაჩოვს თაფლისფერი თვალები ჰქონდათ, სტალინს — მწვანე. ნიკოლოზ -ს და ანდროპოვს — ფოლადისფერი.

რუსეთში სოციოლოგიის დამფუძნებელი პიტირიმ სოროკინი გვაფრთხილებდა, რომ სწრაფად მოპოვებული და ირაციონალური, აუხსნელი პოპულარობა ასევე სწრაფად და აუხსნელად მთავრდება. ამის ნათელი მაგალითია მიხაილ გორბაჩოვი.

პუტინს არ აწყენს შეხსენება, რომ მას არ აპატიებენ მცირეოდენ შეცდომასაც კი, რომელსაც ადვილად შეუნდობენ იმ პოლიტიკოსებს, ვისიც ნაკლები იმედი აქვთ.

სობესედნიკი №8

სიახლე საქართველოში!

„კონიკა დიჯითალი“ თქვენი ფოტოფანტაზიის სამსახურში

კონიკა დიჯითალი

Konica Digital

"კონიკა დიჯითალი" ფოტომომსახურების სრულიად ახალი პროგრამა, რომელსაც გთავაზობთ იაპონური კორპორაცია "**კონიკა**"

"კონიკა დიჯითალი" – ციფრული ფოტობეჭდვის უახლესი რევოლუციური ტექნოლოგია, დახვეწილ პროგრამულ უზრუნველყოფასთან ერთად საშუალებას გვაძლევს დავაკმაყოფილოთ თქვენი განუსაზღვრელი ფოტოფანტაზია

- ბეჭდვა ტრადიციული 35 მმ-იანი შავთეთრი და ფერადი ფირიდან, სლაიდიდან, APS და ფართოფორმატიანი ნეგატივიდან წინასწარი კომპიუტერული დამუშავებით.
- ბეჭდვა ციფრული ფოტოკამერიდან.
- ფოტო ნებისმიერი ციფრული მატარებლიდან **(CD, ZIP, MO, CF, MS, MMC, SM, LAPTOP** და ა.შ.**)**
- ნეგატივის არქონის შემთხვევაში ბეჭდვა ფოტოსურათიდან (გადიდება, მონტაჟი, რეტუში)
- ფოტო ინტერნეტიდან, **CD** ალბომის შექმნა.
- სურათის შეკვეთა ინტერნეტის მეშვეობით.
- სავიზიტო ბარათები, კალენდრები, მისალოცი ბარათები, ფეიჯ ბარათები და ა.შ.
- ბეჭდვის ფორმატის ფართო არჩევანი **A3+** ფორმატამდე

და ეს ყველაფერი ჩვეულებრივ ფოტოქაღალდზე და რა თქმა უნდა, უამრავი საჩუქარი

"კონიკა"-ს ციფრული ტექნოლოგია მოგცემთ საშუალებას შეასრულოთ პოლიგრაფიული ბეჭდვის მცირე ტირაჟები; მხატვრულად გაფორმებული რესტორნის მენიუ, საპრეზენტაციო მასალები, ბარათები, ელექტრონული ფოტოალბომები კომპაქტდისკებზე. ამიერიდან თქვენ აღარ მოგიწევთ ძველ ზღვა ნეგატივებში დაკარგვა თან ციფრული ფოტოასლი განუსაზღვრელი დროით შეინარჩუნებს ფოტოსურათის ფერთა მთელ სიღრმეს და სილამაზეს.

წლიდან წლამდე იზრდება ციფრული ფოტოკამერების პოპულარობა.

მათი ფოტოგამოსახულების ხარისხი უდავოდ მაღალია, რაც კიდევ უფრო ზრდის მათი მომხმარებლის რიცხვს. ციფრულ კამერებზე ფასი დღითი დღე მცირდება, რაც მისაწვდომს ხდის მას საშუალო მომხმარებლისათვის.

ციფრული აპარატების მოხმარების პრივილეგია ტრადიციული ფირის ფოტოაპარატებთან შედარებით დღეს უდავოა, მაგრამ როგორ დავბეჭდოთ ციფრული კამერით გადაღებული და სკანირებით მიღებული ფოტოსურათები?

სწორედ აქ დაგეხმარებათ **"კონიკა დიჯითალი"**-ის მიერ შემოთავაზებული მომსახურება. ციფრული ფოტოლაბორატორია გთავაზობთ უმაღლესი ხარისხის ციფრულ ფოტოსურათს დაბალი ფასით.

„კონიკა“

რუსთაველის გამზ.№36

ტელ: 93 26 29

„საზალოო-სალაღო“ გვერდის პასუხები

I. რებუსი

ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია;

II. მთვარე;

III. 1— გ, 2 — ე; 3 — ბ, 4 — ა, 5 — დ.

კვლავ გერმანულ-ესპანური ფინალი?

ჩემპიონთა ლიგა. მეოთხედფინალი. განმეორებითი შეხვედრები

მანჩესტერი – დეპორტივო 3:2	ბარსელონა – პანათინაიკოსი 3:1
რეალი – ბაიერნი 2:0	ლევერკუზენი – ლივერპული 4:2

„კლასიკო“ — ასე ეძახიან ესპანეთსა და მთელ მსოფლიოში „რეალისა“ და „ბარსელონას“ თითოეულ შეხვედრას. არა აქვს მნიშვნელობა, ვინ როგორ ფორმაშია და ვის სჭირდება ქულები მეტად. როცა „რეალი“-„ბარსელონაა“, იმ დღეს უფრო დიდი ფეხბურთი არ არსებობს, ვინც არ უნდა ხვდებოდეს და რომელ ქვეყანაშიც არ უნდა თამაშობდნენ. რამდენიმე კვირის წინ იყო, „ბარსამ“ და „რეალმა“ „კამპ ნოუზე“ ფრედ რომ ითამაშეს, იმ დიდებული მატჩის მნახველ მილიონობით მაყურებელს წარმოდგენაც არ ჰქონდა, რომ ბედი უფრო დიდ საჩუქარს უმზადებდა — „რეალი“-„ბარსელონა“ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში! აქეთ — ფიგუ, ზიდანი, რობერტო კარლოსი, რაული... იქით — რივალდო, სავიოლა... იქნებ გაგრძელება აღარც ღირდეს. არა იმიტომ, რომ „ბარსას“ მეტი ვარსკვლავი არ ჰყავს, ის ორიც რომ არ ჰყავდეს, „რეალი“-„ბარსელონას“ მაინც თავისი ეშხი ექნებოდა. ამ ორი გუნდის ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში „დაჯახება“ კი ფეხბურთის დღესასწაულია, რომლის დასრულების შემდეგაც, ესპანეთის ორი უდიდესი ქალაქიდან ერთ-ერთი, საყვარელი გუნდის ფინალში გასვლას იზეიმებს. გულშემატკივრთა მეხსიერებაში კი ორი ზღაპრული სანახაობა დარჩება — სადაც „რეალი“-„ბარსელონაა“, იქ სხვანაირად არ შეიძლება. ჩემპიონთა ლიგის შარშანდელ ფინალში გერმანულ-ესპანური დუელი ვიხილეთ. თუ „მანჩესტერმა“ „ლევერკუზენს“ ვერ მოუგო, ფინალი ამჯერადაც გერმანულ-ესპანური იქნება.

ბაიერი — ლივერპული 4:2

ლევერკუზენის „ბაიერმა“ თავის ისტორიაში უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა. ხუმრობა ხომ არ არის, ოთხი გოლი გაუტანო გუნდს, რომელიც უძლიერესი დაცვით არის ცნობილი. კლაუს ტომპიოლერის გუნდი ამჟამად ბრწყინვალე ფორმაშია და სენსაცია არ იქნება, ჟერარ ულიეს „ლივერპულის“ ძლევის შემდეგ, ალექს ფერგიუსონის „მანჩესტერ იუნაიტედიც“ ფინალის მიღმა რომ დატოვოს. თუმცა ამაზე ლაპარაკი ადრეა — „ბაიერ არენაზე“ გამართულ მატჩს მივუბრუნდეთ. მას შემდეგ, რაც „ლივერპულის“ პორტუგალიელმა მცველმა აბელ შავიერმა პირველი ტაიმის მიწურულს ბალაკის გატანილი გოლი გაქვითა, ნაკლებად თუ იფიქრებდა ვინმე, რომ „ბაიერი“ ნახევარფინალში გავიდოდა. მეორე ტაიმის დაწყებასთან ერთად, „ლივერპულის“ კართან შტურმიც დაიწყო. ჯერ იმავე ბალაკმა დააწინაურა გერმანელები, შემდეგ ბერბატოვმა მესამეც გაიტანა, თუმცა ამით ყველაფერი არ დასრულებულა. შეცვლაზე შესულმა ლიტმანენმა ანგარიში შეამცირა, ამ შედეგით ნახევარფინალში მერსისაიდელები გადიოდნენ, მატჩის მიწურულს იჩინა თავი გერმანულმა შეუპოვრობამ — 85-ე წუთზე ლუსიომ მეოთხედ აიღო დუდეკის კარი

ეფუნბერგმა ცდა არ დააკლო, მაგრამ...

„ლივერპულმა“ 2 გოლი კი გაიტანა, მაგრამ 4 გაუშვა!

და „ბაიერ არენას“ საზეიმო განწყობა დაუბრუნა — ნახევარფინალში ღირსეული გავიდა.

ბარსელონა — პანათინაიკოსი 3:1

ბარსელონაში გამართული მატჩის მერვე წუთზე ბერძენმა კონსტანტინემ „ბარსას“ მეკარეს — ბონანოს 22-23 მეტრიდან ზუსტად დაურტყა, შედეგად „ნოუ კამპის“ 100.000-იან პუბლიკას კინაღამ ინფარქტმა „დაარტყა“. „ბარსა“ ორი მატჩის ჯამში უკვე 2:0-ს აგებდა, თანაც შინ ჰქონდა გოლი გაშვებული. ბერძნები მათივე გატანილმა გოლმა შეაშინა ან დააბნია. სანამ სტუმრები აზრზე მოვიდოდნენ, „ბარსელონამ“ მთლიანად ჩაიგდო ხელში თამაშის სადავეები, თუმცა პირველ ტაიმში ანგარიშის გათანაბრებაზე მეტი ვერ შეძლო — 23-ე წუთზე ლუის ენრიკემ სავიოლას დიდებული გადაცემა გამოიყენა. მეორე ტაიმის დაწყებიდან ხუთიოდე წუთში კვლავ ლუის ენრიკემ ივაჟკაცა — რივალდოს ჯარიმიდან ჩაწოდებულს თავი დაუხვედრა და მეორე გოლიც გაიტანა. კიდევ ათ წუთში, ხავიმ დატოვა მეკარესთან პირისპირ სავიოლა, არგენტინელს მესამე გოლის გატანა არ გასჭირვებია. ამით თითქოს ყველაფერი უნდა დამთავრებულიყო, თუმცა, „ბარსელონა“ მოდუნდა. მიუხედავად იმისა, რომ ერთი გაშვებული გოლი — რექსაჩის გუნდს ნახევარფინალის მიღმა ტოვებდა, ბერძნებმა ისეთი მომენტები შექმნეს, „ბარსელონა“ ბედს უნდა უმადლოდეს, გოლი რომ არ გაუშვა — ჯერ პუიოლმა გამოიტანა ცარიელი კარიდან სტუმართა თავდამსხმელის მიერ ხუთიოდე მეტრიდან დარტყმული ბურთი, შემდეგ კი ტრავმამიღებული ბონანოს მაგივრად შეცვლაზე შემოსული რეინას კარის ძელს ჩაუქროლა ბურთმა სანტიმეტრებში. „ბარსა“ გადარჩა, ალბათ საფეხბურთო სამართალმა გაიმარჯვა — არ ივარგებდა, ლიგის ნახევარფინალში „ბარსელონას“ ნაცვლად, „რეალს“ „პანათინაიკოსი“ რომ შეხვედროდა.

რეალი — ბაიერნი 2:0

კოკისპირულმა წვიმამ ვერაფერი დააკლო მადრიდის „სანტიაგო ბერნაბეუზე“ გამართულ დიდებულ მატჩს. ცხადზე ცხადი იყო, „რეალი“ პირველივე წუთებიდან შეუტევდა, „ბაიერნი“ თავს დაიცავდა. ამჯერად არ გაუმართლა ოტმარ ჰიტცფელდს, თითქმის წარმოუდგენელი იყო, „ბაიერნს“ 90 წუთი გაეძლო ისეთი შტურმისათვის, როგორიც „რეალმა“ ოლივერ კანის კართან მოაწყო. „გერმანულმა მანქანამ“ პირველ ტაიმს გაუძლო, მეორისათვის ძალა აღარ ეყო. გოლები 69-ე და 85-ე წუთებზე ელგუერამ და გუტიმ გაიტანეს. მანამდე მორიენტესმა ვერ გამოიყენა ორი საგოლე მომენტი, ერთხელ ზიდანის დიდებული დარტყმა მოიგერია გერმანელთა კარის ძელმა. თავის მხრივ სტუმრებსაც ჰქონდათ გატანის შანსი, ორჯერვე ელბერს არ გაუმართლა — პირველად ლუიშ ფიგუმ აიცილა ფეხიდან საგოლედ „გამზადებული“ ბურთი, მეორედ მეკარე სეზარმა ივაჟკაცა. „სანტიაგო ბერნაბეუზე“ „ბაიერნის“ წაუგებელი სერია შეწყდა. თამაშიდან მეორე დღეს „ბაიერნის“ პრეზიდენტმა ფრანც ბეკენბაუერმა ჩემპიონთა თასი გლაზგოში ჩაიტანა, სადაც 15 მაისს ევროპის უძვირფასეს საფეხბურთო ჯილდოს ახალი პატრონი დაეუფლება...

მანჩესტერი — დეპორტივო 3:2

ლა კორუნიაში, ორი ბურთის სხვაობით მოგების შემდეგ „მანჩესტერ იუნაიტედს“ ფაქტობრივად განაღდებული ჰქონდა ნახევარფინალში გასვლა. „ოლდ ტრეფორდზე“ სენსაცია არ მომხდარა. ალექს ფერგიუსონის გუნდმა ლა კორუნიაში დაწყებული საქმე მშვიდად მიიყვანა ბოლომდე. ინგლისელთაგან ორი გოლი სოლსკიაერმა გაიტანა, ერთიც — რაიან გიგზმა. მასპინძელთა კარი ჯერ ბლანმა „დალაშქრა“ ავტოგოლით, თამაშის მიწურულს ჯალმინიამაც გამოიჩინა თავი და „დეპორი“ საპატიო ანგარიშით დამარცხდა. ყველაზე მნიშვნელოვანი რამ კი თამაშის დასაწყისში მოხდა. სტუმართა არგენტინელმა მცველმა ალდუ დუშერმა უმძიმესი ტრავმა მიაყენა დევიდ ბექჰემს. ინგლისის ნაკრების კაპიტანს ტერფის ძვალი აქვს გატეხილი, მთელი ინგლისი შოკშია — შესაძლოა ბექჰემმა მსოფლიო ჩემპიონატზეც ვერ ითამაშოს. ბექჰემის ტრავმას დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ტონი ბლერიც კი გამოეხმაურა. ინგლისელი ექიმების მტკიცებით, ბექჰემი 5-6 კვირა ვერ გაეკარება ბურთს. 7 კვირაში კი მსოფლიო ჩემპიონატი იწყება. შეძლებენ კი ექიმები სასწაულის მოხდენას?

ნახევარფინალი

23 აპრილი-1 მაისი, რეალი-ბარსელონა.
24 აპრილი-30 აპრილი, მანჩესტერი-ლევერკუზენი

ფინალი

15 მაისი, გლაზგო

ალდუ დუშერმა მთელი ინგლისის ცოდვა დაიდო

21 წლის შემდეგ...

უეფას თასი. ნახევარფინალი. განმეორებითი შეხვედრები

მილანი – დორტმუნდი 3:1 (0:4)	ფეინოორდი – ინტერი 2:2 (1:0)

8 მაისს, ანუ ჩემპიონთა ლიგის ფინალამდე ზუსტად ერთი კვირით ადრე, ჰოლანდიის ქალაქ როტერდამში, „დე კუიპის“ სტადიონზე იქაური „ფეინოორდი“ და დორტმუნდის „ბორუსია“ უეფას თასის მფლობელის ვინაობას გაარკვევენ. მოხდა ის, რაც მოსალოდნელი იყო საპასუხო ნახევარფინალური მატჩების წინ. „მილანმა“ ერთი კვირის წინ დორტმუნდში სამარცხვინო წაგების შემდეგ, ბევრი იწვალა საკუთარ „სან სიროზე“, მე-20 წუთისათვის „როსონერო“ 2:0-ს იგებდა და ორმატჩიანი დუელის თავის სასარგებლოდ დასრულების შანსიც გაუჩნდა. მეორე ტაიმის დასასრულს სერჟინიომ მესამე გოლიც გაიტანა პენალტით, არბიტრმა 4 წუთიც დაამატა და თითქოს „დორტმუნდის“ კართან შტურმიც უნდა დაწყებულიყო, როცა შეცვლაზე შესულმა ლარს რიკენმა გაუტანა მასპინძელთა მეკარეს — აბიატის და „სან სიროს“ პუბლიკაც დაამშვიდა და საკუთარი გუნდის მწვრთნელი, მათიას ზამერიც. კახა კალაძემ სრული 90 წუთი ითამაშა და ერთ-ერთი საუკეთესოც იყო მილანელთაგან. სამწუხაროა, რომ პირველი ქართველი, რომელმაც უეფას თასის ნახევარფინალში გააღწია, ფინალს მიღმა დარჩა.

მეორე ფინალისტი იმ სტადიონზე გაირკვა, სადაც მაისში თავად ფინალი უნდა გაიმართოს. სტუმრად გამარჯვების შემდეგ, როტერდამის „ფეინოორდმა“ თამაშის დებიუტში გაუტანა ორი გოლი მილანის „ინტერს“, თამაშის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე იტალიელებმა ერთი გოლი გაქვითეს, ბოლო წუთზე მეორეც გაიტანეს, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. ორი მატჩის ჯამში ჰოლანდიელებმა 3:2 მოიგეს და ფინალში გავიდნენ. ზუსტად 21 წლის წინ, თასების თასის ნახევარფინალის საპასუხო მატჩიც შინ გამართა „ფეინოორდმა“, მაგრამ მაშინდელისაგან განსხვავებით, ფინალს მიღმა დარჩა. ეს კი იმიტომ გავიხსენეთ, რომ მაშინ როტერდამელთა მეტოქე თბილისის „დინამო“ იყო...

რომიდან მადრიდისაკენ

მეტად საინტერესო ინფორმაცია გააჟრცელეს ესპანურმა სააგენტოებმა. მათ თუ დაეჯერებათ, რომის „ლაციოს“ ოთხი წამყვანი ფეხბურთელი — გაისკა მენდიეტა, კლაუდიო ლოპესი, დიეგო სიმეონე და ჯუზეპე ფავალი, მომავალი სეზონიდან მადრიდის „ატლეტიკოს“ ღირსებას დაიცავენ. შეგახსენებთ, რომ „ატლეტიკო“ ამჟამად ესპანეთის სეგუნდა დივიზიონს ლიდერობს და თითქმის განაღდებული აქვს პრიმერადივიზიონის საგზური. გასაგებია, რომ მადრიდელებს ესპანეთის უმაღლეს ლიგაში მაღალი კლასის ფეხბურთელები სჭირდებათ, მაგრამ საინტერესოა, „ლაციოში“ ვინღა დარჩება?

მიოლერსაც მწვრთნელობა სურს

გერმანიის ნაკრების ყოფილმა ლიდერმა, 34 წლის ანდრეას მიოლერმა, რომელიც ამჟამად გელზენკირხენის „შალკეს“ ღირსებას იცავს, განაცხადა, რომ მომავალი სეზონის დასრულებისას საბოლოოდ ჩამოკიდებს ბუცებს. მიოლერი, რომელმაც ბუნდესნაკრების რიგებში 1990 წელს მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვა და ექვსი წლის შემდეგ ევროპის ჩემპიონატიც მოიგო, მწვრთნელობას აპირებს. მიოლერს სურს თავისი ყოფილი თანაგუნდელების მათიას ზამერის, ანდრეას ბრემეს და რუდი ფიოლერის კვალს გაჰყვეს. შეგახსენებთ, რომ ზამერი დორტმუნდის „ბორუსიას“ თავკაცობს, ბრემე — „კაიზერსლაუტერნს“ ხელმძღვანელობს, რუდი ფიოლერი კი გერმანიის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელია.

საჭადრაკო კლუბი

„კვირის პალიტრა“ აქვეყნებს საჭადრაკო ამოცანებს, მათი ამოხსნისათვის საჭადრაკო დაფა არ არის აუცილებელი.

შავების დაშამათება არ უნდა გაგიჭირდეთ (თუ, რა თქმა უნდა, მოიხდომებთ). წინა ამოცანის ამოხსნა: 1. ლa4-a1!

თეთრები იწყებენ და აკეთებენ შამათს სამ სვლაში.





მოდით, ვითამაშოთ!

ანუ დღესასწაული დანგრეულ ქალაქში

„და, აი, დადგა – დღე პირველი, დღე შეხვედრისა, დღე ურთიერთგაცნობისა, დღე ზიარებისა, ძალზე მნიშვნელოვანი დღე – 1967 წლის 1 სექტემბერი.

ან იქნებ, 1971 წლისა?

ისინი შემოვიდნენ დაძაბულნი, ცნობისმოყვარენი, დამყოლნი, ჯერჯერობით, ყველაფრის შემსრულებლები. ღმერთო, რა არაჩვეულებრივად ლამაზები არიან! ან, იქნებ, ეს მხოლოდ მე მეჩვენება?..

...მინდა ყველა წავიყვანო არაჩვეულებრივ სამყაროში, სადაც ცხოვრება – თამაშია, ჩავსვა ნავში, ამ ნავით მოსაწყენი ყოველდღიურობა გადავცუროთ და მათთან ერთად აღმოვჩნდე თეატრალურ სამყაროში. ვასწავლო... არა, არა, კი არ ვასწავლო – ცუდი სიტყვაა – მორალი კი არ ვუკითხო, არამედ მოვხიბლო თამაშით, თან გავიტაცო. ღმერთმა ნუ ქნას, რომ მათ მოსწყინდეთ.

რატომ ვღელავ ასე? მე ხომ მრავალი წელია ვმასწავლებლობ?

პაუზა.

ვუკიდებ სიგარეტს, მაშინ ბევრს ვეწეოდი.
პაუზა.

მერე ვთქვი: მოდით, ვითამაშოთ!“

მიხეილ თუმანიშვილი

ერთ უღიმღამო, გაცრეცილ დღეს ლევან უჩანეიშვილი და მე კინოსტუდიის სასადილოში ფინჯან ყავას ვუსხედით და უაზროდ გავყურებდით დაორთქლილ ფანჯრებს.

— გინდა, ბატონი მიშას ერთი პატარა „ხრიკი“ გასწავლო და თვალის დახამხამებაში ხასიათზე მოგიყვანო? — თვალები აენთო უცებ ლევანს...

— რა უნდა მასწავლო ასეთი? — ვკითხე უინტერესოდ...

— ცოტა ხნით წარმოიდგინე, რომ ფსიქიატრი ხარ, ის ადამიანები კი, რომლებიც სასადილოში ირევიან, შენი პაციენტები არიან. ისინი შენ ვერ გამჩნევენ, შენ კი ჩუმად აკვირდები მათ.

...ერთბაშად სასწაული მოხდა — ჩემ წინ მთელი სანახაობა გადაიშალა — მთელი თეატრი. თითქოს ყველას ხასიათი და განწყობა დავინახე... შემოდიოდნენ და გადიოდნენ — თავდაჯერებულები, სევდიანები, დაფიქრებულები, როხროხები, ამაყები, თავმდაბლები...

მერე ხშირად მინდოდა ხოლმე „თეატრობანას“ თამაში... სხვა თვალით ვუყურებდი ბატონი მიშას სპექტაკლებს და მივხვდი — თითოეული პერსონაჟი (შექსპირიდან იქნებოდა ეს, უაილდერიდან, მოლიერიდან თუ კლდიაშვილიდან), მისი ნაცნობების თუ უბრალოდ, გამვლელების მის მიერ აღმოჩენილი თუ დაჭერილი ხასიათის, თვისებების შტრიხებისაგან იქმნებოდა... მეგონა დიდი საიდუმლო ამოვხსენი. ერთ მშვენიერ დღეს კი ბატონი მიშას ჩანაწერებში წავაწყდი ასეთ აბზაცს:

„ქუჩაში მივდივარ და გამვლელებს ვათვალიერებ. ზოგს ყურადღებით ვაცქერდები, ზოგს – არა. რატომ? აი, ჩემ წინ მსუქანი ქალი მიდის. ფეხსაცმლის ქუსლები მობრეცილი აქვს, მაგრამ ცდილობს სპორტულად გაიაროს. მეეზოვე ქალი ქუჩას გვის, თან თავის თავს ელაპარაკება, ჩხუბობს. პურის გამყიდველი შეშუპებული სახით, ფართოდ გახელილი თვალებით იყურება სადღაც შორს, დახლს მიღმა, კარს მიღმა, ქუჩის, ქალაქის მიღმა, ვინ იცის, სად! პური რაღაცნაირად თავისით აღმოჩნდება ხელთ (გამყიდველი ხურდას არ მიბრუნებს). აი, იქ, კუთხეში ნასვამი კაცი ჩასციებია მეზობელს: გურგენ, თუ კაცი ხარ მითხარი, რატომ ხარ სომეხი? მითხარი ერთი, რატომ? პირდაპირ ავქსენტი ცაგარელის მონოლოგივითაა. გულმოსული გურგენი კარგა ხანს უყურებს ნასვამ მოსაუბრეს თვალებში, მერე უხმოდ განზე გასწევს და გზას გააგრძელებს. ასე გაივლიან ათიოდე მეტრს. ნასვამი დაეწევა: არა, თუ კაცი ხარ, მითხარი ერთი, რატომ...?... ყველა ეს შთაბეჭდილება როდისმე შეიძლება გამომადგეს. სწორედ ასეთი შთაბეჭდილებებით ვძერწავთ სპექტაკლებს, ვთამაშობთ როლებს. რამდენი რამაა ირგვლივ საინტერესო!..“

1992 წელი... დეკემბერი... თოვლიანი, უსიცოცხლო დღე. გარშემო ომია, ტკივილი, ცრემლი, დანგრეული სახლები, ჩაჟამული სახეები. თოვლი თეთრი არ არის — რაღაცნაირი ნაცრისფერია, რუხი. სწორედ ეს ფერია ქალაქიც — შიშისმომგვრელი... ის დღე არასდროს დამავიწყდება. დარბაზის კარს ვაღებ და განსხვავებულ, ჯადოსნურ სამყაროში ვხვდები. სცენაზე ზღაპრული ცხოვრება დუღს მთელი თავისი სილამაზით და სირთულეებით, სიკეთის და ბოროტების მარადიული ჭიდილით, ღალატით და სიყვარულით, ცრემლით და გულწრფელი ღიმილით... რამდენი ხანია მსგავსი დღესასწაული არ ყოფილა ქალაქში — თითქოს გარეთ არც ომია, არც ბიჭები იღუპებიან, თითქოს ასე ადვილად არ იმეტებენ ერთმანეთის სიცოცხლეს ჩვენი თანაქალაქელები, თითქოს ხელჩაკიდებულები დააბიჯებენ ქუჩებში. ეს არის დღესასწაული ლამაზი დეკორაციით, ლამაზი კოსტიუმებით, უმშვენიერესი მუსიკით, სიმღერით და ცეკვებით. ეს არის თავდავიწყების, იმედის ჩასახვის ცდა, რომელმაც მიზანს მიაღწია — პირველ დღესვე, პრემიერაზევე ისე დამუხტა დარბაზში მყოფი მაყურებელი, თითქოს ისინიც ზღაპრის გმირები იყვნენ. სცენა და დარბაზი ერთმანეთს შეერწყა, ერთ რიტმში დაიწყო სუნთქვა... ტაში არ ცხრებოდა. კულისებიდან ბატონი მიშა თუმანიშვილი გამოიყვანეს — ბრავო! ბრავო! — გრგვინავდა დარბაზი. ბატონი მიშა, თითქოს აბუზული, იხდიდა მადლობას და ცდილობდა, სწრაფად გასცლოდა მაყურებელთა აღფრთოვანებულ მზერას... გარეთ გამოსულმა ვეღარსად ვნახე ნაცრისფერი თოვლი. თეთრად გადაპენტილი ქუჩები ლამპიონების შუქზე ათასფრად ელვარებდნენ. „ზაფხულის ღამის სიზმარი“ დანგრეული ქალაქის დღესასწაულად, ჯადოსნურ სიზმრად გადაიქცა...

მანამდე კი... მანამდე ბევრი რამ იყო — ომი, ტყვეობა... შემდეგ, როგორც ბატონი მიშა წერდა:

„იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. შორეულ 1944 წელს იყო ოთხი ახალგაზრდა: გიგა, ასიკო, კაკო და მე. გულგაუტეხელი, მუდამ აღფრთოვანებული, არაჩვეულებრივი მეხსიერების მქონე ასიკო გამსახურდია, პროფესიულ საიდუმლოებათა ღრმად ჩაწვდომას მოწადინებული, ჩვენ შორის მსახიობური მონაცემებით ყველაზე მეტად დაჯილდოებული კაკო დვალიშვილი, მე, რომელიც ვგრძნობდი, რომ ომის წლებში ჩამოვრჩი სწავლას და მთელი ძალით ვცდილობდი დაუღალავი შრომით დავწეოდი ამხანაგებს და ბოლოს ჩვენი საზოგადოების სული და გული, ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა, გულღია, მხიარული, მუდამ მეგობრებით გარშემორტყმული, ყოველივე ახლის იოლად ამთვისებელი გიგა ლორთქიფანიძე. ჩვენ ოთხნი ვიყავით და ყოველი ჩვენგანი გზის დასაწყისში იყო. ადამიანისათვის კი ყველაზე ძვირფასი და განუმეორებელი დასაწყისია. ყოველ ჩვენგანს აერთიანებდა თეატრის უზომო სიყვარული და ტოვსტონოგოვის სკოლა. სკოლა კი საძირკველია, რწმენაა, რომლის გარეშე არსებობა არ შეიძლება“.

...შემდეგ იყო ცნობილი „შვიდკაცა“... რუსთაველის თეატრი... იყო სპექტაკლები... „მარად მწვანე ქედები“, „ადამიანებო, იყავით ფხიზლად“, „ესპანელი მღვდელი“, „როცა ასეთი სიყვარულია“, „სასტუმროს დიასახლისი“, „ზაფხულის ღამის სიზმარი“, „ამბავი სიყვარულისა“, „ჭინჭრაქა“, „გვადი ბიგვა“, „ანტიგონე“...

შემდეგ იყო ტკივილი... ბატონი მიშა რუსთაველის თეატრიდან წავიდა, იჯდა და სასოწარკვეთილი წერდა: *„კარი მოვიჯახუნე და ქუჩაში გამოვედი. მზიანი დღე იდგა. პროსპექტზე ხალხის ტევა არ იყო. ყველას საითკენღაც მიეჩქარებოდა – თითქოს არც არაფერი მომხდარიყოს... აქამდე ეს მშვენიერი შენობა ჩემი მშობლიური სახლი იყო, ახლა იგი უკვე უცხო გახდა ჩემთვის, მე წამოვედი თეატრიდან, სადაც თითქმის 25 წელი ვიმუშავე. ეს კი ცოტა როდია... ცუდადა ვარ, გაცილებით უარესად, ვიდრე წარმომედგინა. თითქოს ნავში ვზივარ და ვშორდები ნაპირს. თეატრიდან არავინ მნახულობს. სად არიან ახლა ჩემი თანამებრძოლები, ამხანაგები, სადაა „შვიდკაცა“, როგორც მათ მოსწრებულად შეარქვა ვიღაცამ? ყველაფერი წარსულში დაიძრა, ყველაფერი უკვალოდ წაიშალა, უკუნში დაინთქა. ჩემს არსებაში რაღაც გატყდა, დაიმსხვრა და მას ვერაფრით გაამთელებ. თეატრი კი, თეატრი, რომელსაც 25 წელი შევწირე, შორეთში იბინდება...“*

რატომ წავიდა ბატონი მიშა თეატრიდან?

ეს კითხვა ექოსავით მოედო მთელ ქალაქს. ნაცნობი თუ უცნობი, პროფესიონალი თუ მოყვარული, ყველა ამას კითხულობდა, ყველას საკუთარი ვერსია ჰქონდა. ზოგი მართლაც განიცდიდა და თანაუგრძნობდა რეჟისორს, ზოგი კი უბრალოდ, ცხოვრებას რომ არ ჩამორჩენოდა, მრავალმნიშვნელოვნად აქნევდა თავს... მთავარი კი იყო ადამიანის გადარჩენა, იმ ძალის პოვნა, რომელიც ბატონ მიშას ცხოვრებისკენ მოაბრუნებდა. ასეთ ძალად კი დიდ რეჟისორს მისი მოწაფეები, მისი სტუდენტები მოევლინნენ...

„1974-75 სასწავლო წელს მიხეილ თუმანიშვილის ხელმძღვანელობით არსებულმა სამსახიობო-სარეჟისორო ფაკულტეტის ექსპერიმენტულმა ჯგუფმა თეატრალური ინსტიტუტის სცენაზე დიდი წარმატებით წარმოადგინა დავით კლდიაშვილის „მსხვერპლი“. შემდეგ ეს სპექტაკლი ფილარმონიის მცირე დარბაზშიც ითამაშეს უფრო ფართო მაყურებლის წინაშე. შთაბეჭდილება იმდენად ძლიერი იყო, რომ ჩემს წინა რიგში მჯდომი ცნობილი კინორეჟისორი რეზო ჩხეიძე, რომელიც ღია ემოციურობით არ გამოირჩევა, უცებ ფეხზე წამოდგა და ძალზე აღელვებულს აღმოხდა — შეიძლება ამისთანა რეჟისორი არსებობდეს და მას თეატრი არ ჰქონდეს?! რეზო ჩხეიძე კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ხელმძღვანელიც იყო და კინომსახიობთა თეატრის შექმნის იდეაც მას დაებადა. შემდეგ რეზო ჩხეიძეს მხარში ამოუდგა კინოკომიტეტის მაშინდელი თავმჯდომარე აკაკი დვალიშვილი და დაიწყო ამ ჩანაფიქრის განხორციელებაზე ზრუნვა...“ — იგონებს ქალბატონი **ნათელა ურუშაძე.**

ზაზა მიქაშავიძე:

— ჩვენ და რეჟისორებს ერთად გვიტარდებოდა ლექციები. საოცრად მოწადინებული ვიყავით, წავედით, სადღაც უამრავი მუყაო ვიშოვეთ, გავაკეთეთ მოძრავი კედლები, ავაშენეთ თეატრი, დავნიშნეთ დირექტორი, მთავარი რეჟისორი, დასის გამგე და ასე შემდეგ... მოკლედ, პირველივე კურსზე თეატრალურ ინსტიტუტში დავიწყეთ თეატრობანას თამაში. ამას დაემთხვა ისიც, რომ დავდგით „ახალგაზრდა გვარდიის სახელით“, რომელიც ძალიან კარგი სპექტაკლი გამოვიდა. გაჩნდა იდეა, არ დავშლილიყავით, ჩამოვყალიბებულიყავით ერთ დასად. ასე შეიქმნა კინომსახიობთა თეატრი აქ, ამ ძველ კინოდარბაზში, რომელსაც ხის იატაკი ჰქონდა და ძალიან პატარა სცენა. პირველი გასტროლები, მახსოვს, ცხინვალში გვქონდა.

სპექტაკლს სპექტაკლი მოსდევდა, წარმატება წარმატებას, იზრდებოდა დასი და კინომსახიობთა თეატრი ნელ-ნელა მსოფლიოს თეატრალური სამყაროს უმშვენიერეს ოაზისად გადაიქცა. აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ ცნობილი მოღვაწეები. „დონ ჟუანის“ ნახვის შემდეგ მსოფლიოში სახელგანთქმულ რეჟისორს პიტერ ბრუკს წამოუძახია. „თბილისში უნდა წახვიდეთ მოლიერის აღმოსაჩენად? რატომაც არა! აი, ეს არის თეატრი, თუმანიშვილის „დონ ჟუანი“ საუკეთესოა მათ შორის, რაც კი მინახავს. დინამიური, თავხედური, თანამედროვე, ბრწყინვალედ გათამაშებული ქართველი მსახიობების მიერ, რომელთა ენერგიაც მათი სხეულის ყოველი ნაკვთიდან იფრქვევა“.

გია როინიშვილი:

— ბატონ მიშას საშინლად აღიზიანებდა თავხედობა და უხამსობა. თუ მის გვერდით აღმოჩნდებოდა მსგავსი ადამიანი, ეს კლავდა. და საერთოდ, მგონი ამის გამო გარდაიცვალა ბატონი მიშა. ასეთი ტერმინი ჰქონდა — გაგაგდებ თეატრიდან! მის გაგდებულ კაცზე არაფერი მსმენია, გულიდან ამოღებული კი მინახავს.

ზაზა მიქაშავიძე:

— თეატრი მისთვის ყველაფერი იყო. მის მეუღლეს, ქალბატონ ლეილას რომ ჰკითხოთ, გეტყვით, რომ პირველ რიგში არსებობდა თეატრი, ხოლო შემდეგ — ოჯახი. წყობიდან გამოჰყავდა უპასუხისმგებლობას, არაპროფესიონალიზმს, საქმისადმი არასერიოზულ დამოკიდებულებას და ღალატს...

გია აბესალაშვილი:

— თვითონ ამბობდა, მთელი ცხოვრება მეშინოდაო — ჯერ სკოლის დირექტორისო, შემდეგ, ომი დაიწყო და — ჰიტლერისო, მერე — სტალინისო, მერე სუსლოვისო, თეატრალურ ინსტიტუტში — ხორავასი მეშინოდა. სულ ასე შიშით მოვდივარ, აი, თქვენი კი, ნადვილად აღარ მეშინიაო... რეპეტიციებზე ნელ-ნელა სხვა თემებზე გადავატანინებდით ხოლმე საუბარს. ომზე გვიყვებოდა ხშირად. ერთხელ გაიხსენა, როგორ ჩავარდა ტყვედ. ნუ გგონიათ, ეს რაღაც საშინლად ხდებაო — გვითხრა. თურმე, ერთ დღესაც, როცა სროლა ჩაწყნარდა, ამოყო თავი სანგრიდან და ულამაზესი გვირილებით გადაჭედილი მინდორი დაინახა. ირგვლივ ვერავინ შენიშნა, ამოძვრა და ყვავილების კრეფა დაიწყო. მოზრდილი თაიგული რომ შეკრა, მხოლოდ მაშინ შენიშნა ორი გერმანელი, რომლებიც სიცილ-სიცილით თავისკენ იხმობდნენ. ბატონი მიშაც მიახლოებია. სიგარეტი მოაწევინეს თურმე და წამოგვყევიო, უთხრეს. პირდაპირ საკონცენტრაციო ბანაკში ამოაყოფინეს თავი თავისი ყვავილებით. ამას ისე ჰყვებოდა, თითქოს ბანკეტზე დაპატიჟესო.

გია როინიშვილი:

— ერთ ისეთ წინადადებას იტყოდა ხოლმე, რომ მთელი მისი ცხოვრება თვალწინ წარმოგიდგებოდა. ძალიან საინტერესო და რთული ცხოვრება ჰქონდა გამოვლილი. რაც მთავარია, ამ სირთულეებს დიდი ირონიით უყურებდა. მე ბატონი მიშა ავტომატით ხელში ვერ წარმომიდგენია. ომი და თუმანიშვილი ჩემთვის შეუსაბამოა.

ზაზა მიქაშავიძე:

— ბატონი ეროსი ნატრობდა, ეხუმრებოდა ხოლმე — ერთი შენი თავი მანახა ხმლით ხელში, ცხენზე ამხედრებული, შეტევაზე რომ გადადიხარ და მერე მომკლაო...

„გოგი ლევაშოვ-თუმანიშვილი:

— გეშინოდა სიკვდილის?

მიშა თუმანიშვილი — არა.

გ.ლ.-თ. — ე.ი. შენ არ იცი, რას ნიშნავს შიშის გრძნობა?

მ.თ. — როგორ არ ვიცი, მთელი ომის განმავლობაში მეშინოდა, რომ მომკლავდნენ. პირიქით, მე არასდროს ვყოფილვარ მამაცი ჯარისკაცი — გმირი. ყოველთვის მეშინოდა, მაგრამ რაღაც მომენტში, მახსოვს, ვერაფერს ვგრძნობდი. ალბათ ეს იმხელა შოკი იყო, რომ მისი შეგრძნება შეუძლებელი გახლდათ.

გ.ლ.-თ. — ახლა გეშინია სიკვდილის?

მ.თ. — ახლა, რა თქმა უნდა, მეშინია!

გ.ლ.-თ. — ოპტიმისტი ხარ?

მ.თ. — ოპტიმისტი? ალბათ, სევდიანი ოპტიმისტი.

გ.ლ.-თ. — ბევრი ამბობს, რომ მძიმე და ჭირვეული ხასიათი გაქვს, შენ როგორ ფიქრობ, როგორი ხასიათი გაქვს?

მ.თ. — მძიმე და ჭირვეული!“

ნაწყვეტი ფილმიდან „გამქრალი მოქმედება“

ვაკიდან ფეხით მოუყვებოდა ქუჩებს, გადმოჭრიდა ჩელუსკინელების ხიდს და თეატრის კარს მიადგებოდა ყოველ დილით. ჩვენ გვერდით ცხოვრობდა, ჩვენს დანგრეულ ქალაქში დადიოდა კაცი, რომელმაც უამრავი სასწაული, უამრავი ლამაზი საღამო და ზღაპარი გვაჩუქა. კაცი, რომელიც დიდი ტკივილების მიუხედავად, სიხარულს და სიკეთეს აფრქვევდა გარშემო. ბოლო წუთამდე ერთი გზა ჰქონდა — გზა საკუთარი თეატრისკენ. აკი წერდა კიდეც:

„გადავდივარ დიდ ხიდზე. მალე მივადგები ძველი კინოსტუდიის ჭიშკარს და ტერიტორიას, რომელზეც დგას ჩვენი თეატრი. ახლა დავინახავ მსახიობთა ნაცნობ სახეებს, გავაღებ კარს, ჩვენ ერთად შევალთ შენობაში, სცენაზე ავალთ და დავიწყებთ რეპეტიციას. მე თეატრში მივდივარ. სხვაგან სად უნდა მივდიოდე?“

„დონ ჟუანი“

ყველაფრის მიუხედავად, მგონია დღესაც ასე გრძელდება. მისი უამრავი თაყვანისმცემელი ვერაფრით შეგუებია თუმანიშვილის თეატრს ბატონი მიშას გარეშე. მისი სული მის სპექტაკლებში, მის მოწაფეებში, მის წიგნებში ცოცხლობს. ბოლო წიგნს კი, რომელიც მისი ამ ქვეყნიდან წასვლის შემდეგ გამოვიდა, მისივე ნაწინასწარმეტყველები სიტყვები აქვს სათაურად. იმ დღეს, როცა ბატონი მიშას სული მარადიულობას შეუერთდა, მის მაგიდაზე იპოვეს პატარა ფურცელი წარწერით: „ახლა კი, ფარდა!“

ეკა მახარაშვილი

ამწვანებული სახურავი

სადმე თუ ხავსმოდებულ სახურავიან სახლს დაინახავთ, არ იფიქროთ, რომ მისი პატრონი არხეინი ვინმეა. ამერიკასა და იაპონიაში მოდაშია მწვანე ბალახაბიბინებული სახურავი. ეს ახლა სწორედაც რომ სიმდიდრის ნიშანია. ბალახი ახლა შეიძლება ნახოთ სახელმწიფო დაწესებულებების, სასახლეების და სპორტული ნაგებობების თავზეც.

„მწვანე“ ბუმი მშენებლობაში გრინპისის მორიგი პროექტი არ გახლავთ. უკანასკნელი გამოკვლევების თანახმად, ბალახეული საფარი უკეთ იცავს საცხოვრებელ შენობებს სიცივისა და სიცხისაგან. ისინი პლასტიკატზე დიდხანს ძლებს და დამანგრეველ ქარბუქსა და წვიმაშიც არ სძვრება ადგილად. რაც მთავარია, ბალახის საფარს ძლიერი ბუნებრივი ენერგეტიკა შეაქვს სახლში. დრენაჟორული სისტემის წყალობით ბალახის სახურავი წყალს არ ისრუტავს, ამიტომაც იმის საშიშროება, რომ სახურავი ოდესღაც ჩამოემხობა მცხოვრებთ — გამორიცხულია.

ამერიკული პორტ-ლენდის ხელისუფალნი პირველები დათანხმდნენ ამ ახალი ტექნოლოგიების მასშტაბურ გამოყენებას და არც ნანობენ — მთელი ქვეყნიდან მოედინებიან მათკენ ტურისტები და ბუნების დამცველები ვრცელი მწვანე მინდვრის სანახავად.

კომსომოლსკაია პრავდა №15

„ოქროს ჟოლო“ — ანტიპრემია

საინფორმაციო სამსახურებმა მსოფლიოს გააცნეს 2001 წლის „ოქროს ჟოლოს“ ლაურეატების წოდება. მათი სახელები გამოაცხადეს კალიფორნიის ქალაქ სანტა-მონიკაში — „დომხალი თეატრში“.

ყველაფერი კი 1980 წელს დაიწყო, როცა კალიფორნიის კინოსკოლის კურსდამთავრებულმა ჟოლსონმა ნახა მიუზიკლი: „მუსიკის შეჩერება არ შემიძლია, ბილეთში სულ 99 ცენტი გადავიხადე, მაგრამ ეს მცირე თანხაც დამენანა ამ სისულელეში. სწორედ ამან მიბიძგა „ოქროს ჟოლოს“ პრემიის დაარსებისაკენ“. მართალია, კარგა ხნის მანძილზე ამ პრემიას საკუთარ სახლში არიგებდა, მაგრამ თანდათანობით პოპულარობა მოიპოვა. ახლა უკვე უოლსონის გარდა ყველაზე ცუდი ფილმის შერჩევაში 9 ქვეყნის წარმომადგენელი მონაწილეობს, ჟიური საკმაოდ მრავალრიცხოვანია — 535 წევრისაგან შედგება. ჯილდო — ოქროსფერი საღებავით შეღებილი პლასტიკატის ჟოლო 4 დოლარი ღირს. სხვათა შორის, „ოქროს ჟოლო“ სხვადასხვა დროს დაიმსახურეს ფილმებმა: „ბრძოლის შემდეგ — დედამიწა“, „ბეტმენი და რობინი“, „ვარსკვლავური ომების“ პირველი ეპიზოდი, „არმაგედონი“; მსახიობებმა: ბრუს უილისმა, დემი მურმა, მარლონ ბრანდომ, რომელიც არც თავისი „ოსკარის“ წასაღებად გამოცხადდა და არც „ჟოლოსი“.

არსებობის მანძილზე ლაურეატთა შორის არავინ გამოჩნდა გაბედული, რომელიც „ჟოლოს“ შოუდ აქცევდა. პრიზების უმეტესობა ცუდი ფილმების საზოგადოებაში ინახება და აღბათ, აღარც არავინ მოითხოვს. მაგრამ ამ ცოტა ხნის წინ „ჟოლოს“ წლევანდელმა ნომინანტმა, ფილმის „წადი შენ, ... ფრედ“, ავტორმა ტომ გრინმა განაცხადა, რომ სურს დაესწროს ცერემონიას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მან გადაწყვიტა „ჟოლოში“ მონაწილეობით გაუწიოს თავის ფილმს რეკლამა. ნეგატიური ინფორმაცია ზოგჯერ ისევე ზრდის ადამიანის პოპულარობას, როგორც დადებითი. ასე რომ, მომავალში შესაძლოა „ჟოლოს“ ლაურეატებიც რიგში ჩადგნენ პრიზის მისაღებად, როგორც ეს ხდება ხოლმე „ოსკარის“ ტრიბუნაზე.

ჯენტი

თუ გინდათ ამერიკაში ცხოვრება, გადით ჰენდიასზე

როგორ უნდა აიძულონ საპრეზიდენტო სავარძლებს სამკვდრო-სასიცოცხლოდ ჩაბღაუჭებული აფრიკელი ლიდერები, რომ პოსტიდან გადადგნენ?

ბოსტონის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა პრობლემის გადაწყვეტას ამერიკულად — სწრაფად და იოლად აპირებს. შავი კონტინენტის მეთაურებს, იოლად რომ დათმონ ხელისუფლება, პენსიაზე გასვლის შემდეგ აშშ-ში უზრუნველ ცხოვრებას ჰპირდებიან. პროგრამა სექტემბრიდან დაიწყება. მაღალჩინოსანი პენსიონერები ბოსტონში ერთ წელს გაატარებენ და სოლიდურ „სტიპენდიასთან“ ერთად, ლექციების წაკითხვაში მიიღებენ გასამრჯელოს: მაგრამ სახაზინო ამერიკულ ოცნებასთან ზიარება ყველა ლიდერს არ შეუძლია. აკადემიური „სიუხვის რქა“ მხოლოდ მათ ერგებათ, ვინც დემოკრატიული გზით აირჩიეს და დემოკრატიულადვე გადადგება პოსტიდან. თუ ბოსტონელი აკადემიკოსების პირობა ზედმიწევნით და ურყევად შესრულდა, ამერიკელებს დიდი ხარჯის გაწევა არ მოუწევთ — აფრიკაში ძნელად თუ მოიპოვება ათზე მეტი ექსპრეზიდენტი, წამოყენებულ კრიტერიუმებს რომ აკმაყოფილებდეს.

ეხო პლანეტი №13



ახ შეიხთო ცოლად!

სანკტ-პეტერბურგის ერთ-ერთ ქორწინების სალონში გაიხსნა უჩვეულო და ძალზე სასარგებლო კურსები საპატარძლოებისთვის. სკოლის მესვეურები ცდილობენ, ასწავლონ თანამედროვე ქალიშვილს, როგორ მოხიბლოს ნებისმიერი მამაკაცი.

აი, რა საგნები ისწავლება კურსებზე:

1. მეტყველების კულტურა და ლექსიკა;
2. სამსახიობო ოსტატობა;
3. მაკიაჟის ხელოვნება;
4. საკუთარი თავის წარმოჩენის ოსტატობა;
5. გემოვნებით ჩაცმის ოსტატობა;
6. ეროტიკული მასაჟის საფუძვლები;
7. თანამედროვე ევროპული სექსის კურსი (იგულისხმება, რომ საკუთარს, სხვის დაუხმარებლად გაეცნობიან).

ამ ცოდნით აღჭურვილი ქალიშვილები აშკარად მოაკაკვინებენ თითს მამაკაცებს.

მაგრამ ყველას როდი მოსწონს ეს სიახლე. ისინი ჩივიან: იცოცხლეთ, ეროტიკული მასაჟი კარგი რამ შეიძლება იყოს, მაგრამ როცა ქმარი ფეხბურთს უყურებს, მაშინ რა მოგახსენოთ... საცა სამართალია, საპატარძლოებს უნდა ასწავლონ არა მარტო გემოვნებით, არამედ ოჯახის შესაძლებლობის მიხედვით ჩაცმა.

ისიც საკითხავია, კურსების მსმენელებს ვინ ჩაუტარებს ევროპული სექსის პრაქტიკულ გაკვეთილებს! ასე რომ, კაცებო, დაფიქრდით, ვიდრე ცოლად ითხოვთ ამ კურსებდამთავრებულებს!

რუსსკაია ხრონიკა №8

მწეველი ძაღლი

ძაღლის ეს უცნაური თვისება სამი წლის წინ შენიშნა პატრონმა. ვალოდია სიგარეტს აივანზე ეწეოდა ხოლმე. ერთხელ ანთებული ნამწვავი შემთხვევით ძაღლის ფეხებთან დაუვარდა. მოხდა დაუჯერებელი ამბავი. ცნობილია, რომ ძაღლები ვერ იტანენ სიგარეტის ბოლს, დეკამ კი დაყნოსა სიგარეტი, გალოკა და მერე დაიწყო განცხრომა ბოლით. ვალოდიამ სახალისოდ ძაღლს სიგარეტი კბილებში გაურჭო, დეკამ უფრო მაგრად დაიჭირა და სიამოვნებით მოქაჩა. ვალოდია ძაღლის საქციელით სტუმრებს ართობდა ხოლმე... დაბადების დღეზე ეგზოტიკური ყალიონიც კი აჩუქა, ულვაშები რომ არ შეტრუსვოდა. ერთი წლის შემდეგ დეკა ნამდვილი ნიკოტინის ნარკომანი გახდა. ღამით მოწევის გარეშე ვეღარ იძინებდა. დღეში ორ-სამ სიგარეტს ითხოვდა, იმის მიხედვით, როგორ გუნებაზე იყო. როცა ვალოდია მივლინებაში მიდიოდა, დარდისგან ნახევარი ყუთი არ ჰყოფნიდა. კარგად გაერკვა სიგარეტის ხარისხშიც. უარს ამბობდა „პრიმაზე“, „ბელომორზე“, — მოსწონდა ნახშირისფილტრიანი სიგარეტი.

ერთხელ დეკა ავად გახდა, ექიმმა მოწევა აუკრძალა, როგორც კი გამოჯანმრთელდა, თავისი ყალიონი მოითხოვა. ვალოდიამ, რომელმაც იცის, რა ძნელია მოწევისთვის თავის დანებება, ძაღლს სიგარეტი აუნთო. არც ძაღლი და არც პატრონი არ აპირებენ ამ სიამოვნებაზე უარის თქმას.

მეგაპოლის-ექსპრესი №12

კუდიანი კრიმინალები

ტაილანდში ქოქოსის კაკლის საკრეფად უძველესი დროიდან წვრთნიან მაკაკებს. სეზონის ბოლოს, ტრადიციისამებრ, ყველაზე მოხერხებულ მაკაკას ანიჭებენ „კაკალთა მეფის“ ტიტულს.

უკანასკნელ წლებში ამ ტიტულს არავის უთმობდნენ მწვრთნელის, სამოფო საქჰოუს აღზრდილები. წელს ტიტული ერგო მაკაკა კაის, რომელიც დღეში პალმიდან რვაასამდე კაკალს კრეფდა, თუმცა ნორმა 600 კაკალი იყო.

საზეიმო ცერემონიალის და ტიტულის მინიჭების შემდეგ, რეკორდსმენი მაკაკა მოულოდნელად გაუჩინარდა. რამდენიმე ხნის შემდეგ გაწვრთნილი მაკაკა აღმოაჩინეს პოლიციელებმა, რომლებმაც ქურდების ბანდა დააკავეს. ქურდები, ძირითადად, სასტუმროს ნომრებიდან და ტურისტული ცენტრებიდან იპარავდნენ ძვირფას ნივთებს. გამოირკვა, რომ ამ საქმიანობისთვის გაწვრთნილ მაკაკებს იყენებდნენ — მათ სამოფო საქჰოუს გაწვრთნილი რამდენიმე მაკაკა ჰყავდათ. მათ შორის იყო ტიტულოვანი კაი. მაკაკები სასტუმროს ნომრებში სარკმლიდან ძვრებოდნენ და იპარავდნენ მდიდარი ტურისტების ნივთებს.

ინტერპოლ-ექსპრესი №11

ჩიტის მოტანილი ამბები

ვინ აჭმევს პურს პრეზიდენტს? მთავარი პრიზი ელისეს სასახლეში საფრანგეთის



პრეზიდენტის სუფრაზე მისართმევი საუკეთესო პურის გამოსავლენად, სასტიკ ბრძოლაში 29 წლის მეფუნთუშემ, ვინმე რაულ მედერმა დაისაკუთრა.

საუკეთესო ბაგეტის გამოსავლენი კონკურსი (ბაგეტი ფრანგული ტრადიციული თეთრი პურის გრძელი ბატონია) საფრანგეთში ყოველ წელს ტარდება. ამჯერად 102 მეფუნთუშე ეჯიბრებოდა ერთმანეთს. დილაობით საუზმისთვის ბაგეტის ყიდვა თითოეული ფრანგის აუცილებელი რიტუალია. ამასთან, ბაგეტს გულმოდგინედ არჩევენ. იდეალური ბაგეტი სიგრძით 70 სმ უნდა იყოს, 250-280 გ-ს უნდა იწონიდეს და დაბრაწული ქერქი ჰქონდეს.

„საპრეზიდენტო“ კონკურსში გამარჯვება სარფიანი საქმეა: გამარჯვებული მეფუნთუშე მყიდველებს ვეღარ აუდის — ყველას სურს ის პური, რომელსაც ქვეყნის მეთაური მიირთმევს.

ბაგეტის პოპულარობას ისიც მიუთითებს, რომ ყოველწლიურად საფრანგეთში 10 მლრდ ბაგეტი იჭმება.

იტალიელის ტკბილი ცხოვრება. 600 დღე, ანუ 20 თვე — ამდენ დროს უთმობს ვნებიანი იტალიელი თურმე სექსს სიცოცხლის მანძილზე. ერთ დღეზე გადაანგარიშებით 15 წუთი გამოდის.

როგორ ატარებს იტალიელი თავისუფალ დროს, ამ თემაზე გამოკითხვა ჩაატარეს 300 კაცს შორის (17-დან 70 წლამდე). როგორც გაირკვა, იტალიელები ტელევიზორს მიჯაჭვული ხალხი ყოფილა: ეკრანთან 12 წელს ატარებენ, ბარს დღეში 1 საათს უთმობენ და ისე, როგორც ყველას, 22-25 წელი სძინავთ.

პიცერიებსა და კაფეებში წელიწადსა და 8 თვეს ხარჯავენ. შხაპს და აბაზანას 10 თვესა და 28 დღეს ანდომებენ, საპარიკმახეროებში მოთმინებით ატარებენ 5 თვეს და 15 დღეს. კითხვა არც ისე ჰყვარებიათ — სიცოცხლეში საამისოდ 3 თვეს იმეტებენ. სამაგიეროდ, გაზეთებს 5 თვეს უთმობენ.

ჰამბურგერის ნაცვლად — დოლარები. შუაღამე იყო. ყმაწვილმა მძღოლების სასაუზმესთან გააჩერა მანქანა. ძილმორეული გამყიდველი ძლივს მოძრაობდა, ყმაწვილი აუხირდა კიდეც ამის გამო, მაგრამ სიბრაზემ წუთში გაუარა, როცა ჰამბურგერის ნაცვლად დოლარებით სავსე ტომარა გაუწოდა... შავი ჯიპი 12 ათას დოლართან ერთად სიბნელეში გაუჩინარდა.



აგერ უკვე სამი კვირაა, პოლიცია ეძებს ბედნიერს, მაგრამ ეტყობა, ამაოდ: ცნობილია მხოლოდ, რომ ეს იყო 20 წლის თეთრკანიანი ამერიკელი, რომელიც რომელიღაც მოდელის შავ ჯიპში იჯდა.

ეხო პლანეტი №13

ჟურნალ „კარუსელის“ საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის“



შევსების წესი: უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის უჯრებში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში არისტოტელეს ფრაზას ამოიკითხავთ.

დ	ა	ი	ს	ვ	ე	ნ	ე	ჰ	ა	ლ	ი	ტ	რ	ი	ს	შ	ე	რ	ე	ბ	შ	ი
ე	დ	ს	ი	ნ	ა	ი	ი	ა	ა	ა	ი	რ	ნ	ი	ა	ა	ს	დ	ი	ლ	რ	ბ

დ. მოსკოვის საფეხბურთო კლუბ „სპარტაკის“ ყოფილი მეკარე; **ა.** ქალის სახელი, რომელმაც თეზევსს ძაფის გორგალი მისცა და ლაბირინთიდან თავის დაღწევაში დაეხმარა; **ი.** სისხლის აღრევა; **ს.** კრის ნორმანის მიერ ჩამოყალიბებული ანსამბლი; **ვ.** კომედიური ჟანრის რუსი მსახიობი; **ე.** „მთვარის მოტაცების“ მთავარი პერსონაჟის გვარი; **ნ.** ყაბარდო-ბალყარეთის დედაქალაქი; **ე.** სევდიანი ლირიკული ლექსი; **ჰ.** რაიმე ადგილის საერთო ხედი; **ა.** დაავადება, რომელსაც სულის ხუთვა ახასიათებს; **ლ.** გრძელტარიანი, ბასრწვერა იარაღი; **ი.** სუფთა მოგება ძიუდოში; **ტ.** ტრაქტირი, სამიკიტნო იტალიასა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში; **რ.** იტალიელი კომპოზიტორი; **ი.** დაცინვითი შინაარსის ლექსი; **ს.** ის, რითაც მრავლდება სოკო; **შ.** მოქმედი ვულკანი კუნძულ ჰონსიუზე, იაპონიის უმაღლესი წერტილი; **ე.** უძველესი ქართული სახელმწიფო; **რ.** სახელმწიფო აფრიკაში; **ე.** ადამიანის გრძნობა, განცდა, სულიერი მღელვარება; **ბ.** რა ჰქვია თოვლის ბებოს; **შ.** გემბანის საწმენდი ჯოხი; **ი.** ბიბლიური პერსონაჟი, რომელიც საკუთარმა ძმებმა ეგვიპტეში მონად გაყიდეს.

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

დ. დრეზდენი; **ა.** აკვარელი; **ი.** იორდანია; **ს.** სმოკინგი; **ვ.** ვაპორეტო; **ე.** ეპიდემია; **ნ.** ნესესერი; **ე.** ელდორადო; **თ.** თიაქარი; **ჩ.** ჩაუშესკუ; **ვ.** ვიცინი; **ე.** ეუვანი; **ნ.** ნოემბერი; **თ.** თილისმა; **ა.** ამირანი; **ნ.** ნამქერი; **ე.** ერუდიცია; **რ.** რაციონი; **თ.** თხევადი; **ა.** ატლანტა; **დ.** დრიბლერი.

გამუქებულ უჯრებში იკითხება: **ევროპის დაუცველი მუცელი.**

№14 (288) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

რეიტინგს 825 მკითხველი გამოეხმაურა. 6 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 308-მა ქალმა და 511-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„რა ჟანრის ფილმები გიყვართ ყველაზე მეტად?“**

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, იუმორს მონატრებული ჩვენი მკითხველები უპირატესობას კომედიური ჟანრის ფილმებს ანიჭებენ. რესპონდენტთა 46-მა შეაფასა ეს ჟანრი მაქსიმალური — 8 ქულით, მინიმალური კი მხოლოდ 5-მა მკითხველმა (0,62) დაუწერა. **7,01** საშუალო ქულით „კომედია“ პირველ ადგილზეა.

შემდეგ ადგილზე ისტორიული ჟანრია, საშუალო ქულაა 6,10. ისტორიული ფილმები რესპონდენტთა 22-ს ყველაზე მეტად მოსწონს. მინიმალური ქულით იგი მხოლოდ 6-მა მკითხველმა შეაფასა.

„მელოდრამა“ მესამე ადგილზეა საშუალო ქულით 5,55. მაქსიმალური ქულა მას რესპონდენტთა 21-მა დაუწერა.

როგორც ჩანს, ჩვენს მკითხველებს ნაკლებად უყვართ „ფანტასტიკა“, „მიუზიკლი“ და „საშინელებათა ფილმები“, ყველაზე ნაკლებად კი ეს უკანასკნელი — რესპონდენტთა უმრავლესობამ — 57-მა შეაფასა იგი მინიმალური — 1 ქულით.

აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდა, 30 წლამდე ასაკის მკითხველებს „საშინელებათა ფილმი“ ურჩევნიათ „მიუზიკლს“.

50 წელს გადაცილებული რესპონდენტები კი „ბოევიკზე“ მეტად უპირატესობას „ვესტერნსა“ და „ფანტასტიკას“ ანიჭებენ.

ქალ რესპონდენტებთანაც პირველი სამეული უცვლელია, განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ მათთან მეოთხე ადგილზე „მიუზიკლია,“ შემდეგ — „ფანტასტიკა“ და „ბოევიკი“.



საპრიზოს ზუსტად ორი ბარათი-რეიტინგი დაემთხვა. ჩვენი გამარჯვებულები არიან თბილისელები — 36 წლის **ნინო ლომიძე** და 24 წლის **ლევან კუძაიძე.**

საპრიზო ფონდი — 100 ლარი მათ შორის თანაბრად განაწილდება.

გამარჯვებულებს ვულოცავთ და პრიზის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 17 აპრილს, 17 საათზე.

№15 (289) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

„**კვირის პალიტრა**“ თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

100 ლარი

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება „**კვირის პალიტრის**“ მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

* საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, მონაწილეობა მიიღოთ *მკითხველის პრეცინეში.*

№15 (289) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში ჩააგდეთ ოთხშაბათის, 17 აპრილის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 18 აპრილის 13 საათამდე.

© თბილისი

თემა №15 (289) — ქართველები საზღვარგარეთ

თქვენი აზრით, საზღვარგარეთ მოღვაწე თანამედროვე ქართველ ხელოვანთაგან ვინ მიაღწია ყველაზე დიდ წარმატებას (ჩამოთვლილთაგან)**?** დაუწერეთ მას **9** ქულა, მომდევნოს — 8 და ა.შ. 1-მდე.

№15(289) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი		
№	ხელოვანი	ქულა
1	ნინო ანანიაშვილი	
2	ლიანა ისაკაძე	
3	თამარ გყურდწითელი	
4	პაატა ბურჭულაძე	
5	სოსო პავლიაშვილი	
6	ზურაბ წერეთელი	
7	ვახტანგ კიკაბიძე	
8	ოთარ იოსელიანი	
9	ზურაბ სოტკილავა	

მკითხველის პრეცინე

რომელი პიროვნების ქმედებას აფასებთ კოდორის ინციდენტის დროს ყველაზე დადებითად?

✓ _____

ყველაზე უარყოფითად?

✓ _____

თქვენი სახელი, გვარი _____

ქალაქი (რაიონი) _____

ასაკი _____ ტელეფონი _____

„კვირის პალიტრის“ ყუთებში მითითებულ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს

მკითხველის პრეცინეის შედეგები

ყველაზე ემოციური პოლიტიკოსები

1.	მიხეილ სააკაშვილი	50.2%
2.	შალვა ნათელაშვილი	16.9%
3.	ვახტანგ რჩეულიშვილი	9.9%
4.	ნოდარ ნათაძე	5.4%
5.	ვახტანგ ბოჭორიშვილი	4.1%
6-7.	კობა დავითაშვილი	1.5%
6-7.	თემურ შაშიაშვილი	1.5%
8.	ელენე თევდორაძე	1.4%
9.	გიორგი ბარამიძე	1.1%
10.	რევაზ მეშველაძე	1.0%



ემოციური პოლიტიკოსის დასახელება რესპონდენტთა 1,1-ს გაუჭირდა.

და პირველად მკითხველის რეიტინგის ისტორიაში — არ დაფიქსირებულა პასუხი „არც ერთი“.

აღსანიშნავია, რომ შალვა ნათელაშვილი წინა ნომრის რეიტინგში გაწონასწორებულ პოლიტიკოსთა ათეულშიც მოხვდა და ემოციურ პოლიტიკოსთა შორის კი ლიდერობაში მხოლოდ სააკაშვილი „ეცილება“.

მკითხველის რეიტინგში 738 რესპონდენტი მონაწილეობდა.

© · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა ·

გთავაზობთ თქვენთვის ნაცნობი პიროვნებების ფოტოებს. გთხოვთ, პასუხები გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყველაზე ორიგინალური პასუხები გამოქვეყნდება გაზეთის შემდეგ ნომერში.

რას ღაარქმევდით?

_____

_____

_____

_____

_____

თქვენი სახელი, გვარი _____

ქალაქი (რაიონი) _____

ედუარდ შევარდნაძე, დავით თევზაძე

გამოქალაქებულები.

ნუგზარ ტუაევი, თბილისი

მ.ს. — სიმ-სიმ ატკროისა... ვაა, არ იღება, ტო.

კ.დ. — ეე, ბიჭო, რამდენი ხანია ბაბუმ პაროლი შეცვალა, მარტო თვითონ იცის.

ზაზა, ციცო, ჰერეთი (საინგილო)

კ.დ. — არ გაგვიმართლა ლანჩხუთში,
არ გაგვიმართლა ხობში,
გულს ნუ გაიტეხ, მიშიკო,
მწამს, გაგვიმართლებს გორში.

ლ. წკრიალაშვილი, თბილისი

მ.ს. — კობა, გაიგე, მედიკო მეზვრიშვილს თელავში დენმა დაარტყა და მძიმე მდგომარეობაშია.

კ.დ. — რას ამბობ, მიშა, მართლა?! რა კარგია, კახეთში დენი მოსულა.

ავთანდილ წერეთელი, თბილისი

— გივი, ჩვენ ვართ, გივი!..
(კ/ფ „ცისფერი მთები ანუ „ტიანშანი“)

ვასიკო ნახუცრიშვილი, ბრეთი

მიხეილ სააკაშვილი, კობა დავითაშვილი

წინა ნომერში გამოქვეყნებულ „ფოტოპალიტრას“ 153 მკითხველი გამოეხმაურა, მადლობას ვუხდით მათ. ვაქვეყნებთ რამდენიმე ორიგინალურ პასუხს.

კ.დ. — მიშა, ფრთხილად კარებში ენა არ მოგეჭეჭყოს! ჰა! ჰა! ჰა!

მ.ს. — კობა, სენ მაგ ხუმლობებს გილჩევნია ენიდან ფეხი აიღო.

ვასილ ტაბიძე, თბილისი

მ.ს. — აი, ეს არის ხობის კულტურის სახლის დირექტორის ოთახი, მე აქ დავიმალები და შენ კოტიკო კემულარიასთან მიდი, ვინმემ არ გალახოს.

რ.ქ., ხობი

კ.დ. — მიშა, რატომ არ შედიხარ?

მ.ს. — დაიცადე, ორი ყუთი ქათმის კვერცხი დარჩათ სასროლი და მერე შევიდეთ.

კ.დ. — მიშა, ახლა ჯობია შესვლა, საწყობში ვიყავი, 10 ყუთი ბატის კვერცხი მიიღეს.

ზაზა გობეჯიშვილი, სოხუმი (თბილისი)

მ.ს. — ბ-ნო ედუარდ, სალაპარაკო გვაქვს თქვენთან და შემოვალთ თუ შეიძლება?!

ე.შ. — რამდენი ხართ?

კ.დ. — ორნი, ბ-ნო ედუარდ!

ე.შ. — ჰოდა, ერთმანეთს ელაპარაკეთ, გენაცვალე, ერთმანეთს...

ლაშა პანკისელი, პანკისი-თბილისი

მ.ს. (შემოვარდა) — მე პროტესტს ვაცხადებ ამ წინადადებაზე!

კ.დ. — რა წინადადებაზე, მიშა?

მ.ს. — არ ვიცი, მაგრამ მაინც პროტესტს ვაცხადებ!

კ.დ. — მიშა, აქ ჰამბურგერებს არიგებენ და რიგში ვდგავარ, თუ გინდა შენ ჩემს მერე იქნები.

ზაზა ყოლბაია, დაბა წყნეთი

ფოტო განწყობისთვის

წინა სკანვორდის პასუხები





ქართულ წამალ „სალხინოს" გამოაქვს ჩირქი ნებისმიერი რბილი ქსოვილიდან

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები, როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი, გამონადენი, ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმლების არეში, შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია, მიიღეთ წამალი „სალხინო" და მოგიხსნით ამ პრობლემებს. „სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

„სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტი, გასტრიტი, ნეფრიტი, გინგივიტი, სტომატიტი, ბრონქიტი და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. „სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი „სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს — მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ „სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ და რეგისტრირებულია, მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია. იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.

„კვირის პალიტრის" უფასო განცხადების ქვითრით შემოსული განცხადებები გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის" დამატებაში — გაზეთში „სიტყვა და საქმე" (აქ განთავსებული განცხადება „კვირის პალიტრაზე" არანაკლებ ეფექტიანია). „კვირის პალიტრაში" კი, ქვეყნდება მხოლოდ ფასიანი განცხადების ქვითრით შემოსული განცხადებები. ქვითრები იყიდება საგაზეთო ჯიხურებში (ფასი 4 ლარი — 20 სიტყვა).

„უფასო განცხადების ქვითარი" ჩააგდეთ „კვირის პალიტრისა" და „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთებში. ყუთები იცლება თბილისში ხუთშაბათობით 13 სთ-დან. მათი განთავსების ადგილებია - თბილისში: მეტროპოლიტენის ყველა სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე; დიღმის ქუჩის კუთხეში; საბურთალოს ბაზრის შესასვლელთან; ორთაჭალაში - გორგასლის ქუჩაზე (ციხესთან) და ავტოვაგზალთან; მოსკოვის გამზირის ბოლოში; ჩოლოყაშვილის (5 დეკემბრის) ქუჩის ბოლოში; დიდუბის ავტოსადგურთან; დიდ დიღომში: ათონელი პეტრიწის ქ. 3 - სურსათის მაღაზიის წინ; მე-3 მ/რ-ნი, მე-15 კორპ. წინ - ავტობუსების გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის გამზ. გადაკვეთაზე, ბანკის წინ, ავტობუსის გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლის გამზ. მუსკომედიის წინ, გაჩერებასთან; ჩიქობავას (საბჭოს) მოედანზე; ზაარბრიუკენის (კოლმეურნეობის) მოედანზე; ნაძალადევში კ/თ „საქართველოსთან", წერეთლის გამზ. გამოფენის წინ, გაჩერებასთან, „თელასთან" და სტადიონთან; დიდუბეში, „სამთო ქიმიის" გაჩერებასთან; დიღომში - მშვიდობის გამზ. პოლიციასთან, უნივერსამის მიმდებარე გაჩერებასთან; მანქანების ბაზრობის ორივე შესასვლელთან; ვაკეში - კავსაძის ქუჩაზე; ჭავჭავაძის 46 და უნივერსიტეტის I კ.-თან; რუსთაველის 34; ბაგებში - გაჩერებასთან; გამსახურდიას გამზ. - ვ.ფშაველას დასაწყისში; ქავთარაძის ქუჩაზე - იზოტოპების ინსტიტუტთან, ბოლო (უნივერსიტეტის) გაჩერებასთან; ნუცუბიძის ქუჩაზე: II მკრ-ის ასახვევთან და „საქართველოს ბანკთან".

ქალაქებში და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, წყალტუბო, სამტრედია, თერჯოლა, ხონი, აბაშა, სენაკი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ბორჯომი, ახალციხე – არსებული „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთები იცლება ოთხშაბათობით 10 საათიდან. ახმეტასა და დედოფლისწყაროში ყუთები დაიცლება ყოველი თვის ბოლო ხუთშაბათს 10 სთ.-დან. ბოლნისში თვის III კვირის ოთხშაბათს 12 სთ-დან. ჟინვალსა და დუშეთში – თვის III კვირის ოთხშაბათს.

ყურადღება: „კვირის პალიტრის" (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©

(15) უფასო განცხადების ქვითარი

განცხადების ტექსტი ___________________________

____

____

____

____

სიტყვა და საქმე

გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით)

გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება

№15 ქვითარი „კვირის პალიტრის" ყუთებში ჩააგდეთ 18 აპრილის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

საზეიმო აღლუმი — დააკვირდით ცის თაღს

აპრილ-მაისში, ღამის ცაზე არაჩვეულებრივ მოვლენას ვიხილავთ — შეუიარაღებელი თვალითაც კარგად გამოჩნდება, რომ ხუთი პლანეტა ცის თაღზე ერთ ადგილას მოიყრის თავს. ასტრონომთა მტკიცებით, ამგვარი მოვლენა 100 წელიწადში ერთხელ თუ მოხდება. მერკური, ვენერა, მარსი, სატურნი და იუპიტერი ერთმანეთთან მიახლოებას 20 აპრილიდან დაიწყებენ, 4 მაისს კი ერთ ხაზზე განლაგდებიან. იდეალურ სწორ ხაზზე ეს პლანეტები მხოლოდ ერთხელ, 1428 წლის 11 აპრილს ჩამწკრივდნენ, უკანასკნელად პლანეტათა აღლუმი 2000 წლის 5 მაისს შედგა, მაგრამ მაშინ მათ თვალთაგან მზე გვიფარავდა. წელს არაფერი შეგვიშლის ხელს ამ უჩვეულო სანახაობით ტკბობაში.

* * *

მთვრალი მამაკაცი გვიან ღამით ბრუნდება შინ. ეზოში რომ შევიდა, ძაღლი გამოხტა თავისი ჯიხურიდან და ყეფა აუტეხა.



მამაკაცი:

— ჩუმად, იდიოტო! გაიღვიძებს ჩემი კნეინა და ვნახოთ მერე, შენ სადღა დაიძინებ...

ფირმა „ბერმუხა"

ბრტყელი და თუნუქის სახურავების, საძირკვლების და აუზების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები ადგილობრივი და უცხოური მასალებით, რესპუბლიკის ტერიტორიაზე. გარანტია 10 წელი.

წერეთლის გამზ. №55, ბინა №53

☎ 96-06-00; 35-15-05; 899-50-06-50

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, ფირმებისა და სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

[R] ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

მთავარი რედაქტორი ლალი გუნთაიშვილი

მთ. რედაქტორის მოადგილეები: ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი

სარედაქციო კოლეგია

მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ.: რედაქცია: 33-39-54

რეკლამა, ფაქსი: 98-74-44

palitra@access.sanet.ge

www.opentext.ge\kvirispalitra

სარეგისტრაციო ნომერი 1518

„კვირის პალიტრა"©

გამოდის ორშაბათობით

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „პალიტრაში"